

ორბანო ქართული ეროვნული კოლიტიკისა და კულტურისა

ზინაარსი

- 1. 26 მაისი ქართ. საკავშ. შტაბი
- 2. უდიდესი ქართული დღესასწაული ი. გურიელი
- 3. 26 მაისი და გერმანია ბ. ვარლანი
- 4. 26 მაისი და ინგლისი ბ. ბეზურიშვილი
- 5. თარი—არალე (რომანი) სტეფანე კასრაძე
- 6. დაბრუნება სიზმარში (ლექსი) ბ. ბ—ძე
- 7. შემოდგომა ჩვენში (ლექსი) ბ. ბ—ძე
- 8. შალვა ამირეჯიბს (ლექსი) ბ. ყიფიანი
- 9. წინაპრის სკივრთან (ლექსი) ბ. შაორისპირაძე
- 10. შ. გედევანიშვილს (ლექსი) ბ. ყიფიანი
- 11. თანამედროვე ქარ. ლიტ. ვითარება ი. მანუკაძე
- 12. ეროვნული ერთობის საფუძვლები ვ. ნოზაძე
- 13. საქართველოს მორიგი საკითხები ბ. შურული
- 14. ზ. ავალიშვილი (სამგლოვიარო) პროფ. მ. წყნეთელი
- 15. ქართული და კავკასიური ენები პროფ. ივ. ჯავახიშვილი
- 16. ისტორიული საბუთები:
- 17. გიორგი დეკანოზიშვილი ა. დეკანოზი
- 18. გიორგი დეკანოზიშვილი თ. სახოკია
- 19. ქართულ-იაპონური ურთიერთობა გ. ნ.
- 20. ქართულ-თურქული ურთიერთობა გ. ნ.


№ 8/9

მაისი

ბაზლინი

1944





26 მაისი

1918 წელს გაუთენდა ქართველ ერს ეს მაისი, ბრწყინვალე ზეიმისა და სიხარულის, მახარობელი რუსეთის ბატონობის დამსხვრევისა და მრავალსაუკუნოვანი საქართველოს სახელმწიფოს მკვდრებით აღდგენისა.

საქართველოს თავისუფლება იშვა მსოფლიო ომში წაქცეული იმპერიის ნანგრევებზე და მით გამოწვეულ რუსული რევოლუციის ქარტენილში.

ჩვენი ერი ერთსულოვნად და მხნედ შეუდგა დამოუკიდებელი ცხოვრების შენებას. ეროვნული სახელმწიფოს მკვიდრ საფუძვლებზე დამკვიდრებისათვის საქირო იყო ქართველი ერის ყველა სასიცოცხლო ძალის შემოკრება და მტკიცედ დარაზმვა, ხოლო ეს მოითხოვდა ქართული ცხოვრების გაწმენდას და განთავისუფლებას მასში დარჩენილ რუსეთის ბატონობის ძირებისაგან, და ბოლშევიკური ძალების გავლენისაგან.

ჩვენს ერს არ დასცალდა ამ საქმის დასრულება. კომუნისტური მოსკოვი მას სდარაჯობდა, რადგან მან კარგად იცოდა, რომ საქართველოსა და კავკასიის დაკარგვა შეუძლებლად ვახდოდა რუსეთში კომუნისტური წყობის გამარჯვებასა და დამკვიდრებას. 1921 წელს კომუნისტური მოსკოვი თავს დაესხა საქართველოს და ცეცხლითა და მახვილით წააქცია ახლადფეხადგმული საქართველოს დამოუკიდებლობა.

ამის შემდეგ ოცდაათხუთჯერ გვეტენდება 26 მაისი, ამერიიდან შავი ღრუბლებით დაფარული და სამგლოვიარო თალხით შემოსილი. ხოლო ეს შაგებში გახვეული ეროვნული თავისუფლების დღესასწაული კიდევ მეტის ძალით იჭრება ქართველთა გულის სიღრმეში და უფრო ძლიერ განცდებს იწვევს ქართველ ერში.

26 მაისი გადაიქცა ეროვნული ბრძოლის დროშად, მეოცდაათზე წელიწადია ამ დროშის ქვეშ იბრძვის ჩვენი ერი, ჩვეულებრივი მხნეობითა და ურყევი სიმტკიცით. მრავალი ათასი ქართველი მამულიშვილი შეეწირა მას და მათმა სამბაგალითო გმირობამ და თავგანწირვამ ახალი ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერა ქართველი ერის სახელოვან ბრძოლათა მატრიანეში.

ამიერიდან ჩვენი ერის ეს თავგანწირული ბრძოლა მტკიცედ გადაეჯაჭვა იმ გვიანტურ ომს, რომელსაც აწარმოებენ ევროპის ერები საბჭოთა ტირანის წინააღმდეგ, დიდი გერმანიის მეთაურობით. მრავალი ათასი ქართველი მებრძოლი სდგას ამ ბუმბერაზი არმიის რიგებში. დღეს, 26 მაისს, ქართველი მებრძოლი მხედრულ სალაშქარს უძღვნიან 26 მაისის დროშას და მისთვის ბრძოლისა და თავდადების ფიცს იმეორებენ. მათთან ერთად უხილავი სულიერი ძალით აერთიანებს 26 მაისი საქართველოს ყველა შვილს მტკიცე რწმენითა და იმედით, რომ მალე ბოლო მოეღებება ჩვენი ერის საშინელ ტანჯვას და საქართველოს მიწაწყალზე კვლავ აღმობრწყინდება ეროვნული სიხარულისა და ზეიმის 26 მაისი.

გაუმარჯოს 26 მაისს!

ქართული საკავშირო უბაგი

უდიდესი ქართული დღესასწაული

26 მაისი უდიდესი ქართული დღესასწაულია, უდიდესი გამარჯვების თარიღი. ქართველი ერის აღდგომის, მისი ამოძრავების, საკუთარი მეობის ამაღლების.

1918 წ. 26 მაისს ჩვენმა ერმა აღადგინა თავისი იურიდიული პიროვნება, თავისი თავი, დადგა საკუთარ ფეხზე, გახდა სუვერენი, გახელმწიფდა.

რუსეთი, 1914—18 წ. ომით და რევოლიუციით, აირდაირია, მოიშალა, დაირღვა. საქართველომ ისარგებლა ამ შემთხვევით და გერმანიის დახმარებით წამოიღო, ერთი საუკუნის თავდაცვით ბრძოლაში მიღებული ჭრილობები შეიხვია და მტერსა და მოყვარეს ამცნო: ამიერიდან ჩემი თავი ბატონი მე თითონ ვარ, ჩემი ეროვნული ბედის მკვლელი მე თითონ უნდა ვიყო.

მოისპო ერთი ერისაგან მეორე ერის გაქვლეცის, დაჩაგვრის, დამონების მიზეზი. ჩვენმა ერმა თავი დამოუკიდებლად აღიარა და გლობუსზე, საუკუნოებით, საკუთარი სისხლით და იარაღით შენარჩუნებული საზღვარი მოიხაზა, მიჯნა გაავლო, თავდაცვის თადარიგს შეუდგა.

საქართველოს აწმყო გადაება წარსულს, რომელიც ასე დიდია, ვებერთელა, ღრმა, ვრცელი, თავისი შინაარსით და ხარისხით.

ქართველი ადამიანი ხანგრძლივ ბრძოლაში გაკაჟებული გასწორდა, გაიმართა და თავისთავთან შემობრუნდა.

საუკუნის მანძილზე, საქართველო დიდ-და მძიმე ბრძოლას აწარმოებდა რუსეთის წინააღმდეგ თავის დაცვისა და თავის გადარჩენისათვის.

ბევრი ფიქრობდა, მტერიცა და მოყვარეც, რომ ჩვენ უკვე დავიქანცეთ, გაეთავდით და რომელიმე მდიდარი იმპერიის მუხურეში დასასვენებელი გავხდით. ასე უნუგეშო იყო ჩვენი მდგომარეობა. აი ეს ერი მკვდრებით

აღსდგა, თავისი ღირსების და თავისი უფლების დაცვას შეუდგა.

აღსრულდა ი. ჭავჭავაძის მოხვედის წინასწარმეტყველება: „ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეყუდნეს“-ო!

ეს არ იყო მხოლოდ დიდი ამბავი ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში. ეს იყო დიდი სასწაული, დიდი გამარჯვება, რომლის სიცხველვე იგრძნო ყველაფერმა ჩვენში, სულიერმა თუ უსულო არსებამ.

ჩვენმა წინაპრებმა, სასახელო ჯარის კაცებმა და გმირებმა, რომელთა ძეღვებით ჩვენი მთების კალთები შემალღებულა, ჩვენ თაობასთან ერთად იგრძნო ეს დიდი სიხარული და მათ გაქვავებულ სახეს შვების ღიმილი მოსწყდათ.

მაშინდელი ჩვენი მდგომარეობა იყო ძნელი და მძიმე. ჩვენი შორეული მოკავშირე, გერმანია, დამარცხდა. ჩვენ კი არც ერთი მეზობელი არ აღმოგვიჩნდა, რომელიც დაგვხმარებოდა და მეგობრული ხელი გამოეწოდა. ხოლო კავკასიის ხალხები, ჩვენს ბედში მყოფი, ჩვენი ისტორიული, შინაური და განუყრელი მეზობლები, დასუსტებული და მოშლილი იყვნენ, გადაამთიგლი, უცხო ტომის ხალხით არეული, საერთო მტრების ჯაშუშებით ძარღვ-განწყვეტილი. სამწუხაროდ მათ არ შეეძლოთ არც საკუთარი თავის დაცვა და არც ჩვენი მოკავშირეობა.

რუსეთი ფილენჯის ქარით დააქადებული თითქო გასწორდა, შინაური არე-დარევა სისხლში ჩაახშო და თავს დაგვესხა.

1921 წ. გაზაფხულზე უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა საქართველო, მაგრამ იარაღი არასოდეს არ დაუყრია. ეროვნულ ბრძოლას მრავალნაირი მეთოდი გააჩნია და ქართველი ხალხი იმის მიხედვით სცვლიდა ამ მეთოდს.



დებს, როგორც ამას მისი საარსებო ინტერესები მოითხოვდა.

დღეს რუსეთი სამკვდრო-სასიცოცხლო ომშია გერმანიასთან ჩაბმული. რუსეთის წინააღმდეგ დარაზმულია მთელი ევროპა, თითქმის ყველა მისი მეზობელი, პატარა. მამაც და გამირ ფინეთიდან მოყოლებული ბალკანეთამდე.

ქართველი ერი ომის დაწყების პირველ დღიდანვე თავის ბუნებრივ და ისტორიულ მოკავშირეთა მხარეზე დადგა, მთელი ძალით, მთელი არსებით, როგორათაც ეს შეეძლო მას შექმნილ პირობებში.

რანაირადაც არ უნდა დამთავრდეს ეს უმაგალითო დიდი ომი, ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული ერთში: რუსეთის მანინჯი იმპერიალიზმი ამ დიდ დაჯახებაში უნდა დამარცხდეს. მონობაზე აგებულ იმპერიას, რომელსაც უცხოელები განაგებენ, არ შეუძლია თანამედროვე ომის სიმძიმეს გაუძლოს. ჯულაშვილის „რეფორმები“ კომინტერნის დაშლა, ერების დამოუკიდებლობა, სარწმუნოების თავისუფლება და სხვა ცოტა დაგვიანებული უნდა იყოს. დაუჯერებენ ეხლა მას საბჭოთა კავშირის მონები,

რომ ყოველივე ეს გულწფელია და შესაძლებელია განაღდდეს? მათ, რომელთა დედასა და მამებს ასი ათასობით უმიზეზოდ თავს სჭრიდა და შვილებს, აიძულებდა ჯალათების წინაშე გამოსულიყო, საჯაროდ სცენაზე თავის დედ-მამის დაკვლა სიამოვნებით აღენიშნა, ტაში დაეკრა?... რამდენი ათასი შემთხვევა იყო ასეთი საბჭოთა კავშირში?

მსოფლიო ისტორიას ბევრი საზიზღრობა ახსოვს ბოროტი ტირანების, მაგრამ ასეთი არასოდეს არა ყოფილა!

დღეს საქართველო ძაძებშია გახეივლი, მაგრამ 26 მაისის დღესასწაულს ის გულში ატარებს. ჯამუშების ქსელში გახვეული, ჩათხრობილი სახით, იგი სულგანაბულია და სასოებითა და იმედით შეჰყურებს მომავალს. და ეს მომავალი შორს არ არის. დღეს ჩვენ თამამად შეგვიძლია ვადაცხახოთ მშობელ მხარეს: იმედი, იმედი და კიდევ იმედი. მოახლოვდებულა ის დრო, როცა 26 მაისს, ჩვენს ეროვნულ დღესასწაულს, ჩვენს მკვდრეთით აღდგომას, ჩვენს მშობელ დედასთან ერთად ვიდღესასწაულებთ.

ი. გუბინილი =

ილიცსე პარტკავ

26 მაისი და გერმანია

წარსულ მსოფლიო ომში რუსეთის იმპერია დამარცხდა და დაინგრა. რუსეთში დაიწყო სამოქალაქო ომი და დიდი რუსული არეულობა. განაპირა ქვეყნები ცენტრს თავისთავად მოსწყდნენ და რადგან არც ერთი ეს მხარე რუსული არ იყო, თავისი საკუთარი ცხოვრების მოწყობას შეუდგნენ; გამოაცხადეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ფინლანდიამ (ფინეთმა), ლატვიამ, ლიტვამ, ესტონიამ; აღსდგა და გაერთიანდა პოლონეთი, უკრაინამ შეჰქმნა თავისი სახელმწიფო და კავკასიაში გამოცხადდა მთის რესპუბლიკა 11 მაისს 1918 წ.

დამოუკიდებლობის წინაშე იდგა აგრეთვე ამიერკავკასიაც, რომელიც განსაკუთრებულ რთულ და მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვინაიდან მისი სამხრეთი მეზობელი ოსმალეთი მეფის რუსეთთან ომს აწარმოებდა; ეს რუსეთი იმეამდ დაინგრა, და მაშინ გამომჟღავნდა სურვილი ოსმალეთისა მთელი კავკასია დაეკავებინა.

ამავე დროს მოსკოვის ბოლშევიკებმა მეომარ მხარესთან ზავი დასდვეს — ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულება. — რომლის მიხედვით ბათუმ-არდაგან-ყარსის მხარენი ოსმალეთს უნდა მიეკუთვნებოდა.

ამიერკავკასიის მთავრობამ, რომელსაც აღნიშნულ საზავო მოლაპარაკებაში არაერთი მონაწილეობა არ მიუღია, რასაკვირველია, უარპყო ბრესტლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება. ამის საპასუხოდ ოსმალეთის ჯარები ამიერკავკასიაში შემოიჭრნენ და ჩეჩენას დაპყრობას ემუქრებოდნენ.

ამიერკავკასიის არ გააჩნდა არც ჯარი და არც იარაღი გაწერთნილ მტერს ვამკლავებოდა; ოსმალებმა აიღეს ბათუმი, ოზურგეთი, ყარსი, ალექსანდროპოლი.

თუ დამხმარე არ გამოჩნდებოდა, უეჭველად, მთელი ამიერკავკასია ოსმალეთს ჩაუვარდებოდა ხელში. ამიტომ ამიერკავკასიის მთავრობამ ისევ არჩია საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან განეხლებინა და ბრესტლიტოვსკის საზავო პირობები მიეღო.

ბათუმის საზავო ყრილობაზე აღმოჩნდა, რომ ოსმალეთი აღარ კმაყოფილდება ბათუმ-არდაგან-ყარსის მიღებით და ახალი ომის შედეგად, ახალი საზღვრების დადგენას, კიდევ ახალი მიწა-წყალის გადაცემას მოითხოვს.

საკითხი იდგა მარტივად: ან ომის გაგრძელება, ან დამორჩილება. პირველი შეუძლებელი იყო, მეორე — დამლუპველი. საჭირო იყო მშველი, დამხმარე ხელი.

და აი, ქართველობამ მიმართა ბათუმში მყოფ გერმანულ მისიას, ჩარეულიყო ოსმალეთისა და ამიერკავკასიის გამწვავებულ ურთიერთობაში.

ეს კეთილი საქმე დაიკისრა გერმანიის მისიის თავჯდომარემ, გენერალმა ფონ ლოსოქმა. მან წინადადება მისცა ოსმალეთის დელეგაციას, რომ იგი შუაგაცი იქნებოდა ოსმალურსა და ამიერკავკასიის დელეგაციის შორის, მაგრამ ეს კარგი სურვილი ოსმალების მიერ უარყოფილ იქმნა.

26 მაისს 1918 წ. ოსმალეთის დელეგაციამ გადასცა ამიერკავკასიის დელეგაციას ულტიმატუმი, რომლის დაკმაყოფილება 72 საათის განმავლობაში უნდა მომხდარიყო. ან ამიერკავკასიის უნდა მიეღო ოსმალეთის მიერ ნაყარანხევი საზავო პირობები, ან ოსმალეთი ისევ იარაღს კიდებდა ხელს.

საზავო პირობების მიღება ნიშნავდა საქართველოსათვის და სომხეთისათვის საკუთარი მიწაწყალის დიდი ნაწილის დაკარგვას, სინამდვილეში სიკვდილს, ან ომის გაგრძელებას, რაც აგრეთვე სიკვდილს უდრიდა.


დასათრუვნად სიკვდილისა და სიცოცხლის გასამარჯვებლად გადაწყდა ამიერკავკასიის რესპუბლიკის სიკვდილი და საქართველოს აღდგომა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკამ სიკვდილის განაჩენი თვითონვე გამოიტანა: ამიერკავკასიის სეიმმა ორი ხმის წინააღმდეგ ერთხმად გადასწყვიტა დაშლილიყო, ვინაიდან რესპუბლიკამ სიცოცხლისათვის თავდაცვითი უნარი ვერ გამოიჩინა.

იმავე დღეს, 26 მაისს 1918 წ. გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და შესდგა ქართული მთავრობა.

ეს მოვლენა ისტორიულად იყო დიდათ მნიშვნელოვანი, რადგან ქართველმა ერმა თავისი უზენაესობის, საკუთარი თავისუფლების აღდგენა და ჩეჩენის აღდგომა გამოაცხადა.

ამავე დროს ბათუმში ქართული დელეგაცია ბაკვი ჩხენკელის მეთაურობით გერმანულ დელეგაციასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა და 28 მაისს ფოთში ქართულ-გერმანული ხელშეკრულება მიიღეს. ამ ხელშეკრულების ძალით გერმანიას უნდა დაეცვა ქართული ახალგაზრდა სახელმწიფო ოსმალური შემოსევისაგან და დახმარებოდა საქართველოს მთავრობას სახელმწიფო აღმშენებლობა-



ში, განსაკუთრებით კიდევ, ჯარის მოწყობის საქმეში; გერმანია სამაგიეროდ, ლებულობდა აქ ეკონომიურ კონცესიას და ქვეყნის სამეურნეო განვითარებას ხელს უწყობდა.

გერმანიის დახმარებით მოეწყო საზღვრების დაცვა ოსმალეთის წინააღმდეგ და მისივე რჩევით საქართველომ დასლო საზავო ხელშეკრულება ოსმალეთთან 4 ივნისს, 1918 წ. ბათუმის ზავის პირობები იყო ძალიან მძიმე, მაგრამ გერმანიის წარმომადგენლებმა აღუთქვეს ქართველებს, საბოლოო ზავისთვის გერმანია დაეხმარება საქართველოს ოსმალეთის წინაშე.

და მართლაც, უკვე ორი დღის შემდეგ ბერლინში, 6 ივნისს 1918 წ., ქართველმა მისიამ გადასცა გერმანიის საგარეო სამინისტროს წერილობითი განცხადება, რომლითაც იგი აღნიშნული ზავის გადასინჯას მოითხოვდა. გერმანიის შტაატს-სეკრეტარი ფონ კულმანი გამოსარჩლა საქართველოს და ქართულ მისიას აცნობა, რომ იგი მოიწვევს კონფერენციას და ოსმალეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებაც გადაიშინჯება. გერმანიის მთავრობამ ამ მხრივ ნაბიჯები მართლაც გადასდგა, ოსმალეთიც დაეთანხმა დასახელებული კონფერენციის მოწვევაზე და იგი უნდა შემდგარიყო, ამნაირად, ბათუმის ხელშეკრულება უქველად შეიცვლებოდა საქართველოს სასარგებლოდ; მაგრამ 1918 წლის ნოემბრის დასაწყისს გერმანია უკვე დამარცხებული იყო.

სულ მალე ივნისში 1918 წ. საქართველოს მოველინა ძლიერადმოხილი და განთქმული გერმანული ჯარი ფრაიჰერ კრეს ფონ კრესენშტაინის უფროსობით. იგივე იყო გერმანული სამხედრო მისიის უფროსიც საქართველოში.

გერმანიის მთავრობამ არ დააყოვნა საქართველოს სახელმწიფოს დე-ფაქტოდ, არსებულად აღიარება და თვით კრესმა დე-ფაქტოდ აღიარების ქალაქი საქართველოს მთავრობას გადასცა. გენერალ კრესს კარგად ესმოდა თავისი დანიშნულება და ეს მან განაცხადა, როცა თბილისში გერმანული ჯარის აღლუმი მოეწყო: —

„აქ, უძველეს ქვეყანაში ჩვენ მოგვიყვანა არა მარტო სამხედრო მიზნებმა, არამედ იმ სურვილმაც, რომ პატარა ქართველ ხალხს დაეხმაროთ, რათა მან თავისი უძველესი ეროვნული სახელმწიფო კვლავ აღადგინოს. ჩვენ მოსული ვართ ამ ქვეყანაში არა როგორც გამარჯვებულნი, არამედ როგორც მეგობრები. ამ თვალსაზრისით ვიხელმძღვანელებთ და ვიმოქმედებთ“-ო.

ამავე დროს საქართველოს დელეგაცია, საგარეო მინისტრის აკაკი ჩხენკელის მეთაურობით ბერლინს გაემგზავრა.

5 ივნისს 1918 წ. ქართულმა დელეგაციამ ინახულა გერმანიის საგარეო სამინისტროში გეჰაიმრატ ფონ როზენბერგი და დრ. ჰიპერტი. საუბარი, რასაკვირველია, საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად აღიარებასა და საერთოდ ქართულ-გერმანულ თანამშრომლობას ეხებოდა. ამას შემდეგ დელეგაცია მიიღო გერმანიის შტაატს-სეკრეტარმა ფონ კულმანმა.

საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად აღიარების საკითხი მეტად რთული აღმოჩნდა, რადგან გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საუფლებო განყოფილების დირექტორი დრ. კრუგე ამბობდა: — გერმანიას არ შეუძლია საქართველო იცნოს. სანამ თვით რუსეთი არ იცნობს მას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. გერმანიამ რომ საქართველოს იურიდიულად დამოუკიდებლობა იცნოს, ამით დარღვეული იქნება ბრესტ-ლიტოვსკის ზავი და მასსადამე, ეს იქნება მტრული ნაბიჯი რუსეთის მიმართ.

ამაზე თავისთავად პასუხს აძლევდა ის მეომრანდუმი, რომელიც საქართველოს მთავრობამ სახელმწიფოებსა და ერებს დაუგზავნა, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: —

„შეერთებული რუსეთთან საქართველოს მეფეთა მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადებით, საქართვე-

ლო, რომელიც არასოდეს არ ყოფილა რუსეთის ინტერესებში, ძალით დაპყრობილი, განაგრძობდა თვით რუსეთის ერთი საუკუნის ბატონობის დროსაც კი ეროვნულ ცოცხალ ორგანიზმის არსებობას და მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელოდა, რათა აღედგინა თავისი გარდაუსვლელი ეროვნული უფლებანი და საკუთარი პოლიტიკური და ეროვნული მისწრაფებანი განეხორციელებინა.

„დიდი ომის განმავლობაში ბრესტ-ლიტოვსკის ზავმდის, რუსეთის ერთგულ საქართველოს აღარ შეეძლო უმოქმედოდ დარჩენილიყო იმ დროს, როდესაც რუსეთის მთავრობამ თავისი მოქმედებით მტერს საზღვრები გაუღო და ხელშეკრულებით საქართველოს პროვინციები დაუთმო. მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიიდან რუსეთის სახელმწიფო სრულიად ვაჭრა და საქართველომ დაინახა, რომ საკუთარ ძალების ამარა არის მიტოვებული, ჯერ ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოს განმტკიცებაში მონაწილეობა მიიღო და შემდეგ გარემოებათა ძალით რუსეთისაგან (რომლის მთავრობამაც გარდა ყველა ამ მოსაზრებების ოფიციალურ დეკრეტებში მიიღო პრინციპები — რომელთა მიხედვით ყოველ ერს აქვს სრული უფლება ამოიჩიოს ისეთი პოლიტიკური რეჟიმი, როგორიც მას სურს და თვით რუსეთსაც კი გამოეყოს თუ ამას მოსურვებს) ყოველ ხელშეკრულებათაგან სრულიად განთავისუფლებული საკუთარ სახელმწიფოს შექმნას შეუდგა.

„ამ რიგად ქართველ ერს, აღადგინა რა რუსეთის ბატონობის მიერ დარღვეული უფლებანი, სურს თავისუფლად შექმნას თავის სახელმწიფო და მოაწყოს თავისი საერთაშორისო დამოკიდებლობა, რათა შესძლოს როგორც მის, აგრეთვე კავკასიის საკეთილდღეობ, ხანგრძლივად და უზრუნველყოფით ისარგებლოს თავის აღდგენილი უფლებებით“.

ძნელი იყო საგარეო საქმეთა სამინისტროების ფორმალური თვალსაზრისის დაძლევა; ძნელი იყო დიდი რუსეთის შესახებ ევროპაში გაბატონებული შეხედულების მოსპობა, სადაც ეს რუსეთი ერთიან ქვეყნად წარმოედგინათ; ძნელი იყო სხვადასხვა ინტერესთა გამო, რუსეთის დიპლომატიური დამარცხება, იურიდიული დამოუკიდებლობის აღიარების მიღწევა.

მაგრამ, ცხადია, ბრძოლა ამ დამოუკიდებლობის ცნობისათვის ამის გამო არ შეჩერებულა, — და უკვე 10 ივნისს გერმანიის მთავრობა ნიშნავს გენერალ კრეს ფონ კრესენშტაინს გერმანიის წარმომადგენელად საქართველოს მთავრობასთან. 18 ივნისს 1918 წ. ავსტრო-ჰუნგარიის მთავრობამაც დანიშნა თავისი დიპლომატიური წარმომადგენელი თბილისში — ბარონ ფონ ფრანკენშტაინი.

გენერალი ფონ ლოსოვი, რომელმაც უკვე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს ცხოვრებაში, სულითა და გულით მონდომებული იყო ქართული საკითხი საბოლოოდ მოეგვარებინა და საქართველოს სახელმწიფოსათვის იურიდიული ცნობა მოეპოვებინა. იგი დაჰპირდა საქართველოს მთავრობას, რომ მიიღებს ყოველ ზომას რუსეთთან გერმანიის მოლაპარაკების დროს საქართველოს საკითხი წარმოდგენილ იქმნას და რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფა დადასტურდეს.

ასეთი შემთხვევაც მალე გამოჩნდა. რუსეთსა და გერმანიას შორის აღძრულ ახალ საკითხთა შესახებ მოხდა დიპლომატიური მოლაპარაკება, რომლის შედეგად დადებულ იქმნა, 17 აგვისტოს 1918 წელს, ბრესტ-ლიტოვსკის დამატებითი ხელშეკრულება.

დასახელებული ხელშეკრულების მეექვსე თავი, მეცამეტე მუხლი ამბობს: —

„რუსეთი აცხადებს თანხმობას, რომ გერმანიამ იცნოს საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო არსება“.

ამგვარად, ის დაბრკოლება, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად აღიარებას ელოდებო-



და, მოსპობილ იქმნა და გერმანიის მთავრობას შეეძლო ამ მიღწევის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს იურიდიულად აღიარება.

ქართული დელეგაცია გერმანელებთან ერთად შეუდგა უკვე საქართველო-გერმანიის ხელშეკრულების გამოიმუშავებას; 25 სექტემბერს 1918 წელს ამ ხელშეკრულების დედანი უკვე მზად იყო. აქ იყო აღიარებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამასთან ერთად გერმანიის მთავრობა პირდებოდა საქართველოს მთავრობას, რომ იგი მიიღებს ზომებს, რათა სხვა სახელმწიფოებმა აღიარონ საქართველოს სახელმწიფოს იურიდიული დამოუკიდებლობა. ხელშეკრულების დანართში მუხლები ეხებოდა ეკონომიურ, საკონსულო და დიპლომატიურ ურთიერთობას, საქართველოში მცხოვრებ გერმანულ კოლონიებს და სხ. ეს ხელშეკრულება განხილულ და მიღებულ იქმნა ორივე მხარის — გერმანელებისა და ქართველების მიერ და 3 ოქტომბერს 1918 წ. ხელმოსაწერად უკვე მზად იყო. მაგრამ მოხდა მოულოდნელი ამბავი: მთავრობა გადადგა. მთავრობის თავჯდომარე, რაინსკანცლერი გრაფ ჰერტლინგი და მისი საგარეო მინისტრი ფონ ჰინცი, რომელნიც უკვე იცნობდნენ ქართულ საკითხს, წავიდნენ.

ახალი მთავრობა ქართულ საქმეს ჯერ არ იცნობდა. გერმანიაში მდგომარეობა კი მეტად სახიფათო ხდებოდა და საუბედუროდ, 9 ნოემბერს 1918 წ. დაიწყო კიდეც გერმანიაში რევოლუცია, რასაც მოჰყვა საჩქაროდ, 11 ნოემბერს, ინგლის-საფრანგეთ-ამერიკასთან და სხ. დროებით ზავზე ხელისმოწერა. ამ დროებითი ზავის ძალით გერმანიას უნდა დაეტოვებინა ყველა მის მიერ დაკავებული ადგილი და გაეყვანა ჯარები სხვა ქვეყნებიდან. გერმანიის ჯარმა დასტოვა საქართველოც.

საქართველოდან მეგობარი გერმანიის ჯარის წასვლა დიდი უბედურება იყო ქართველი ერისათვის, რომელსაც გულთბალი მფარველი აკლდებოდა.

მინც საქართველოს მთავრობას დამარცხებულ გერმანიასთან ურთიერთობა არ შეუწყვეტია. მან გერმანიაში გამოგზავნა ქართული ახალი დელეგაცია დრ. ვლადიმერ ახმეტელის მეთაურობით. დრ. ვლ. ახმეტელის დანიშნულება იყო გერმანიასთან სამეურნეო ურთიერთობანი განვიითარებინა და დამოუკიდებლობის აღიარებისათვის ეზრუნა. და ბოლოს ესეც მიღწეულ იქმნა და 1920 წლის სექტემბრის 24-ს, გერმანიის მთავრობამ იურიდიულად იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, ხოლო თავისი დიპლომატიურ წარმომადგენელად თბილისს წარგზავნა დრ. რაუშერი; თავის მხრივ საქართველომ თავის წარმომადგენელად დანიშნა დრ. ახმეტელი.

ამგვარად, გერმანია იყო პირველი ევროპული სახელმწიფო, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა იურიდიულად იცნო, და ამით მან საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო ასპარეზზე გზა გაუკაფა. 1921 წლის იანვარში უკვე ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ, იაპონიამ და სხ. იცვენეს საქართველოს დამოუკიდებლობა. მაგრამ ხანმოკლე იყო ეს დამოუკიდებელი ცხოვრება: —

წითელმა რუსეთმა 1921 წელს, ისე როგორც თეთრმა რუსეთმა 1801 წელს, უსირცხვილად და მზაკვრულად გასტეხა თავისი სიტყვა, ფეხქვეშ გასთელა 1920 წლის შვიდი მაისის ხელშეკრულებით აღთქმული დამოუკიდებლობა და საქართველოს სახელმწიფოებრივი თავისუფალი ცხოვრება მოუსპო. ამ დღიდან სწარმოებს ბრძოლა ქართველი ერის განთავისუფლებისათვის, — და ეს ბრძოლა ამჟამად ისევ გერმანიასთან ერთად და მისი ევგობრული დახმარებით ხდება. ქართველი მოხალისენი გერმანელ ჯარისკაცებთან ერთად იბრძვიან რუსეთის წინააღმდეგ და მის დასამხობად; ამ დღი ომის შედეგად კვლავ უნდა იშვას, ბუნებრივად, თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო, უნდა აკლავ მოგვევლინოს ახალი 26 მაისი!

ბ. ვარდანი —
3. 6. 21

26 მაისი და ინგლისი

წარსული მსოფლიო ომი (1914—1918 წ. წ.) ბრძოლის ველზე იარაღის ვამარჯვებით არ დასრულებულა; არც ერთ მემორ ბანაკს იარაღით გადაწყვეტი ბრძოლა არ მოუგია და ვამარჯვება სისხლის არა რუგუნიბია. ერთერთ ჭეომარ ბანაკში — გერმანიაში — მოღალატური რევოლუცია დატრიალდა, შიგნიდან გატყდა და ფოლადის სიმტკიცის ციხეს ვალავანიც შემოერღვა. იმპერატორ ვილჰელმის მებრძოლ გერმანიას ზურგი მოეშალა, ნებისყოფა დაუსუსტდა და ამის შედეგად ჩვეყანა იძულებული ვახდა იარაღი დაეყარა, ზავი მოეთხოვა. 7—9 ნოემბერს 1918 წ. აბოზოქრდა რევოლუციური ტალღები გერმანიაში და უკვე 11 ნოემბერს მთავრობა იძულებულია დროებითი ზავის პირობებზე ხელისმოწერა და დასტურის.

11 ნოემბრის 1918 წ. დროებითი ზავი, არმისტისი, საფუძვლად დაედო ომის შეწყვეტას და ამავე ზავის მიხედვით: გერმანიას უნდა ვამოეყვანა თავისი ჯარები ყველა იმ ადგილიდან, სადაც ისინი აქამდე იმყოფებოდნენ, ხოლო ანტანტის სახელმწიფოებს (საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, ამერიკა, იაპონია და სხ.) შეეძლოთ ყველგან, სადაც საჭიროდ დაინახავდნენ, იქ მიეყვანათ თავისი ჯარები და ქვეყანა დაეკავებინათ.

უფრო ადრე კიდევ ოსმალეთის სულთანის იმპერია დაირღვა, ოსმალეთი წაიქცა და მუდროსის დროებით ზავზე ხელი მოაწერა, 30 ოქტომბერს 1918 წ. მეთერთმეტე მუხლის მიხედვით ოსმალეთს უნდა ვაეყვანა თავისი ჯარები ამიერკავკასიიდან, საქართველოდან, კერ-

ძოდ მესხეთიდან და ბათუმიდან, რომელიც მას ჰქონდა დაკავებული.

ამგვარად, მტრული ოსმალეთის ჯარი, მუდროსის ზავის მიხედვით, უნდა ვასულიყო საქართველოდან; ამასთანავე მეგობარი გერმანიის ჯარიც, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს დასახმარებლად იყო აისული, უნდა წასულიყო. ეს ამბავი ხდება ნოემბერში 1918 წ. მაშინ როცა საქართველოს თავისი დამოუკიდებლობა უკვე 1918 წლის 26 მაისს ჰქონდა ვამოცხადებული!

იმჟამად ისეთი საერთაშორისო ვანწყობილება იყო, რომ სრულიად ბუნებრივად ადამიანს უნდა ეფიქრა: ეშველა საქართველოს! მას მოსცილდა მრავალსაუკუნოვანი მტერი — ოსმალეთი; რუსეთს ფეხი აღმოეკვეთა საქართველოდან; მეგობარი გერმანიის ჯარიც წავიდა; ეს-ლა საქართველო არის სრულიად თავისუფალი, სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფო; ხომ მრავალჯერ იქმნა საკაცობრიოდ ვანცხადებული ერთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დებულება! ინგლისი, რომელმაც არა ერთჯერ და ორჯერ აღიარა ყველას ვასავგონად ერების თავისუფლება, უკვე ვანთავისუფლებულ და დამოუკიდებელ საქართველოს უნდა მისალმებოდა და მის ვანმტკიცება-ვამარჯვებისათვის უნდა ხელი შეეწყვიყო!!! მაგრამ ყველაფერი ეს თვალთმაქცობა იყო თურმე! ეს ბეგრმა ერმა ვამოსცადა თავის ბედზე თუ უბედობაზე, და მათ შორის საქართველომაც.



ტყუილი აღმოჩნდა ინგლისის დაპირება ერების თავისუფლების შესახებ! სიცრუე გახდა ინგლისის აღთქმა ერების განთავისუფლების შესახებ! ყალბი იყო ინგლისის აღთქმა სამართლიანი ზავის შესახებ, რომელიც დასრულდა უსამართლო ვერსალის ზავით! და ასეთი ქვეყნისაგან საქართველოს რა სიკეთე მოელოდა?

ინგლისური სამხედრო მისია სწრაფად თბილისში გაჩნდა. მან მოითხოვა გერმანული ჯარის დატყვევება. საქართველომ უარყო ეს მოთხოვნები და შეხლა-შემოხლის შემდეგ თავისი გაიტანა: გერმანიის ჯარი თავისუფლად წავიდა საქართველოდან, ხოლო გერმანული მისია კიდევ კარგახანს დარჩა დასავლეთ საქართველოში, სადაც მას ქართული პარტივისცემა არ მოჰკლებია.

ინგლისელების შემოსვლას თანმოჰყავდა შემადრწუნებელი უჩვეულო ამბავი: სომხეთ-საქართველოს ომი! ინგლისის გამარჯვებით დაიმედებულმა სომხეთმა იფიქრა სადავო ადგილების საქართველოსათვის წართმევა და მას ომი აუტეხა. სომხეთი ამ ომში დამარცხდა. ინგლისის წარმომადგენლები ჩაერივნენ დავაში და იგი შესწყდა 31 დეკემბერს 1918 წ. ეს იყო პირველი მწარე ნიყოფი ინგლისის გამარჯვებისა და მოსვლისა.

1918 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ინგლისური ჯარის ნაწილები მოვიდნენ და საოკუპაციო ჯარების უფროსმა, გენერალმა ტომსონმა განაცხადა: ინგლისელები მოვიდნენ, რათა დაამყარონ წესი და მშვიდობა „ქასპიისა და შავი ზღვის შორის მდებარე რუსეთის ტერიტორიაზე-ო!“.

საქართველომ, აზერბაიჯანმა და სომხეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს; საკუთარი სახელმწიფოები დაიარსეს; ეს ამბავი მთელს მსოფლიოს ამცნეს; და ინგლისის გენერალი-კი ამ დამოუკიდებელ ქვეყნებს ეძახის „ქასპიისა და შავი ზღვის შორის მდებარე რუსეთის ტერიტორიას“!!!

რასაკვირველია, ასეთმა განცხადებამ საქართველოში დიდი აღშფოთება გამოიწვია და მთავრობამ თავგასულ გენერალს სასტიკი პროტესტით მიმართა.

გენერალ ტომსონის აღნიშნული განცხადება, დაბეჭდილი, თბილისში უნდა გაეკრათ, მაგრამ საქართველოს მთავრობამ განკარგულება გასცა ფურცლების გამკვრელები დაეჭირათ.

გენერალი ტომსონი უკან იხევს, იბოდიშებს; ამბობს, რომ იგი საქართველოს შინაურ საქმეებში არ ჩაერევა, ხოლო ინგლისური ჯარისათვის საჭიროა ბინა და სურსათი და ეს მოგვაწოდეთ!

სამაგიეროდ, ეს განცხადება გაკრულ იქმნა ბათუმსა და ბათუმის ოლქში, სადაც 18 იანვარს 1919 წელს ინგლისური ჯარი მივიდა და ამას წინად ოსმალების ხელში მყოფი ქართული ტერიტორიის ოკუპაციას შეუდგა. ასეთი იყო ინგლისის მიერ დაპირებული პრინციპი ერთა განთავისუფლებისა და თავისუფლების შესახებ!

ამავე დროს ინგლისის წარმომადგენლები ინტრიგებს აწყობენ საქართველოს წინააღმდეგ სამუსულმანო მხარეში; მათი წაქეზებითა და დახმარებით შეიქმნა ეგრედწოდებული „ყარსის მთავრობა“, — „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკა“, — რომელიც ერთი მხრივ საქართველოს და მეორე მხრივ სომხეთს ებრძოდა ყარსის, არდაგანის და ბათუმის ოლქთა დაპატრონებისათვის. ინგლისელების ხელი აქ ყველგან სჩანდა, ეს ყველამ იცოდა და ამიტომ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ პირდაპირ განუცხადა ინგლისელების გენერალ ჟოკერს: —

„საქართველოს მთავრობა ყოველთვის თვლიდა, რომ ბათუმისა და არდაგანის ოლქები იმყოფება ინგლისის სამხედრო ძალების პირდაპირ გაკლენაში და მმართველობაში, და მე ვეფიქრობ, რომ ოსმალური ჯარის ასკერები და ოფიცრები ამ ტერიტორიიდან გაყვანილი იქნებიან ინგლისური სარდლობის განკარგულებით... ყარსის

ოლქს რაც შეეხება, ჩვენ გვეგონა, — და ამისი საბუთები გვქონდა, — მას კანონიერ ნიადაგზე სომხეთს გადასცემდით. ახლა კი ჩემს მიერ აღნიშნულ სივრცეებზე შედგენილ იქმნა ახალი, ცრულდმოტეხილი სახელმწიფო, რომელიც ამყარად აცხადებს, რომ იგი იმყოფება ინგლისის პირდაპირ მფარველობაში... ამ ცრუ — მთავრობამ შეადგინა რეგულიარული ჯარი, რომელშიაც იმყოფებიან ასკერები და სადაც მსახურებენ როგორც ოსმალო, ისე რუსის ოფიცრები; იგი აწარმოებს ჩვენს წინააღმდეგ ომს. მისი ჯარები შემოიჭრნენ არდაგანიდან ახალციხეში, და ყველაზე მნიშვნელოვანი და სამწუხარო ფაქტი ისაა, რომ ამ აჯანყებულთა ბანაკში (სხვაგვარა არ შემიძლია მათ ვუწოდო) იმყოფებოდა ორი ინგლისელი ოფიცერი, რომელიც შევიდა იქ აჭარით ბათუმიდან“....

საქართველოს მთავრობას ინგლისის დაპირების აღარ სჯეროდა. ის კარგად ხედავდა, რომ ინგლისელები საქართველოს საწინააღმდეგო პოლიტიკას აწარმოებდნენ და ამიტომ შეეცადა თავისი საკუთარი ძალებით თავი დაეცვა. ახალ-ციხე, ახალ-ქალაქ-არდაგანისაკენ ქართულმა მთავრობამ გაგზავნა ჯარები და ეს მხარე მტრული ბანდებისაგან გასწმინდა — 20 აპრილს 1920 წელს. სომხებმაც დაიკავეს ყარსის მხარე.

ინგლისელმა გენერალმა კორიმ მოითხოვა არდაგანიდან საქართველოს მთავრობას თავისი ჯარები უკან გაეყვანა. მოლაპარაკების შედეგად არდაგანში დატოვებულ იქმნა მხოლოდ 50 ქართველი ჯარისკაცი!

31 მაისს 1919 წ. იმავე გენერალმა კორიმ მოითხოვა ამ მცირე ნაწილის გაყვანაც!

საქართველოს მთავრობამ, რომელიც ხედავდა, თუ რა მზაკვრულ პოლიტიკას ეწეოდა ინგლისელი გენერალი, ამაზე სასტიკი უარი სთქვა.

მაშინ არდაგანში შეყვანილ იქმნა სომხური ნაწილიც და შემდეგ მივიდა ინგლისური ნაწილიც.

ბათუმის ოლქის გენერალ გუბერნატორმა კუკ-კოლისმა კიდევ მოითხოვა არდაგანიდან ქართველი ნაწილის გაყვანა.

საქართველოს მთავრობამ კიდევ უარით უპასუხა.

მოლაპარაკების შედეგად ვადაწყდა: ინგლისელები იკავებენ არდაგანის ოლქის ჩრდილო ნაწილს, სომხები — სამხრეთ ნაწილს, ხოლო ქართველები რჩებიან ქალაქ არდაგანში.

ამგვარად, ინგლისური პოლიტიკის წყალობით, სომხებიც ჩარეული იყვნენ ქართული არდაგანის ოლქის ბედის გადაწყვეტის საქმეში.

ამ დადგენილების შედეგად ეგრედწოდებულ ყარსის მთავრობას ანუ მოჩვენებით „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“ სახელმწიფოს ტერიტორია აღარ გააჩნდა, და ინგლისელებმა მას ბოლო მოუღეს.

მაგრამ ინგლისელთა სიახე, ბოროტება, მზაკვრობა და ინტრიგები ჩვენ ძველ მესხეთში კვლავ გრძელდებოდა. ისინი აქეზებდნენ საქართველოს მტრების მიერ შექმნილ ეგრეთწოდებულ „მუსულმანურ კომიტეტებს“, რომელიც საქართველოსაგან მესხეთის საბოლოო ჩამოშორებას და მომავალში ოსმალეთთან შეერთებას ეტრფოდნენ; ამ კომიტეტებისათვის ინგლისელების კარი ოთხ იყო. მაშინ როცა ქართველი მაჰმადიანები დეგრა-შეიფროვებას განიცდიდნენ. ჩვენ აქ ამბებს დაწვრილებით არ აღწერთ (იხილეთ: ვ. ნოზაძე: „საქართველოს აღდგენისათვის. ბრძოლა მესხეთის გამო“, „ქართლისი“, გვ. 305. პარიზი, 1939 მაისი), მხოლოდ გავკრით შეიკავით იმ დაუნდობელ და მზაკვრულ პოლიტიკას, რომელსაც ინგლისის წარმომადგენლნი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ეწეოდნენ. მაგრამ ქართველი ერი გაიწარბით იცავდა თავს და სამუსულმანო საქართველოც მას გვერდში უდგა, რომელიც ყველა თავდასხმა მოაგრიბას აჯულმოდგინედ ცდილობდა და თავის ნებისყოფასა და ხმას ყველას გასაგონად ავლინებდა. არც წერილობითი ბრძოლა დაუკლიათ და არც ყრილობის გადაწყვეტილება.



31 აგვისტოს 1919 წ. მოხდა მთელი ბათუმის ოლქის მცხოვრებთა წარმომადგენლობითი ყრილობა, რომელმაც ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსთან შეერთების შესახებ: —

„ბათუმის ოლქის მუსლიმანთა წარმომადგენელნი რიცხვით ასი კაცი, ვაცხადებთ ღვთის და ქვეყნის წინაშე, რომ ბათუმის ოლქის მკვიდრნი, სარწმუნოებით მუსულმანები, ისტორიით, სისხლით და ხორციით, ენით, კულტურით და ადათებით ვართ ქართველები და ტერიტორიალურად და ეკონომიურად ყოველთვის ჩვენი მხარე დედა-სამშობლოს საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. გამოვთქვამთ შეურყეველ და მტკიცე გადაწყვეტილებას: ამიერიდან და სამარადისოდ ბათუმი და მისი ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს, საქართველოს რესპუბლიკას“....

ამავე მიმართულებითა და მიზნით ეწეოდა მძიმე მუშაობას ქართული დელეგაცია უცხოეთში, სადაც საქართველო მტრები ახდელი თუ ძალუღი იერიშებით საქართველოს ინტერესებს ებრძოდნენ.

ბოლოს, 1919 წლის აგვისტოში ინგლისელებმა გადაწყვიტეს სამუსულმანო საქართველოს დატოვება, რა უნდა ექნათ ამ მხარისათვის? ეს ნამდვილი ქართული მიწაყალი ვისთვის უნდა ჩაებარებინათ? ინგლისელებს სხვა გამოსავალი არა ჰქონდათ. თორემ ალბად სხვაგვარად მოიქცეოდნენ. სამუსულმანო საქართველო თავის დედა საქართველოს დაუბრუნეს, ხოლო არდაგანის სამხრეთი ნაწილის გამოკლებით, სადაც იმავე ინგლისური ბოროტი პოლიტიკის წყალობით, სომხური ჯარები იდგნენ.... ინგლისელების ჯარი დარჩა მხოლოდ ბათუმში.

როგორც აღვნიშნეთ, ინგლისის ჯარის ნაწილები ბათუმს გადმოსხდნენ 1919 წლის 18 იანვარს — მუდროსის დროებითი ზავის მეთუთხმეტე მუსლის ძალით. მოვიდნენ ინგლისელები და ქალაქის მმართველობა რუსებს ჩააბარეს. ბუნებრივია ხომ ბათუმში ქართული მმართველობა ყოფილიყო? არა, — არა ჰქმნეს ეს ინგლისელებმა; დანიშნეს მათ ბათუმის მმართველი საბჭო ვინმე ვეჟილ მოსლოვის ხელმძღვანელობით, რომელიც მერმე ბოროტმოქმედებისათვის ვაძიებულნი იქნა. ბათუმში ინგლისელების წყალობით გაბატონებული რუსები სდევნიდნენ ქართველობასა და ბათუმში შეიქმნა მოსისინეთა ბუდე საქართველოს წინააღმდეგ. ვერც ამ უთავო რუსებმა მოუარეს ბათუმს და ინგლისის სარდლობა იძულებული იყო მოეხდინა ბათუმის საქალაქო არჩევნები. ამისათვის ინგლისელებმა დანიშნეს კომისია, რომელმაც საარჩევნო წესი თვითონ გამოიმუშავა. 29 თებერვალს 1919 წ. მოხდა ეს არჩევნები, რომელშიც ქართველებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს. ქართველებმა გაიყვანეს 20 ხმოსანი, ყველა დანარჩენი: რუსებმა (2), სომხებმა (4), ებრაელებმა (2), ბერძნებმა (8), მხოლოდ 16 ხმოსანი. საქვეყნოდ ერთჯერ კიდევ ზედმეტად დამტკიცდა, რომ ბათუმი საქართველოს ქალაქია.

ბათუმის ოლქიდან ინგლისელების წასვლის შემდეგ ბათუმის ოლქს მიეცა საშუალება საქართველოს შეერთებოდა. იდგა მარტოდ ბათუმის საკითხი, სადაც ინგლისელები დარჩნენ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი ეუბნებოდა ინგლისის წარმომადგენელს ოლივერ უორდოპს: —

„ჩვენ ძალიან კარგად გავსმის. თუ არ გვეყოლა ძლიერი მოკავშირე, ძნელი იქნება ჩვენი დამოუკიდებლობის მოპოვება, რადგან არათუ მარტო ჩვენ, არამედ ევროპის შედარებით დიდ სახელმწიფოებსაც, რომელნიც უფრო უზრუნველყოფილი არიან ფინანსითი მხრით, ეხლანდელ დროში არ შეუძლიათ გარედან დაუხმარებლად არსებობა“—ო.


ინგლისა რომ ერების თავისუფლება სწამებოდა, იგი რომ პატარა ერთა დამცველი ყოფილიყო, უნდა დახმარება გაეწია საქართველოსათვის და არ მიეყენებინა იმ-

დენი ზიანი და ზარალი, რაც მას მიადგა მარტო სამუსულმანო საქართველოში — მესხეთში და ბათუმის ოლქში! მაგრამ ინგლისი საქართველოს არამც თუ არ ეხმარებოდა, არამედ ამ ნორჩ სახელმწიფოს ყოველმხრივ და ყოველ დარგში ხელს უშლიდა გამაგრებულიყო და მკვიდრად ფეხზე დამდგარიყო. ასეთი იყო ინგლისის მუხანათური პოლიტიკა!

იმ ხანად, როცა საქართველო სამკედრო-სასიციოცხლო დავით ოსმალეთთან ჩათრეული იყო, ბოლშევიკური წითელი ნაწილები მოადგნენ მას აფხაზეთის მხრივ. ისინი გადარეკო იქმნენ და ქართულმა ნაწილებმა ტუაპსეც — კი დაიკავეს 27 ივლისს 1918 წ. მაგრამ ბოლშევიკების მაკვირად ამ მხრიდან მოგვევლინენ შემდეგში თეთრგვარდიელთა ჯარები; რომელთა მეთაურობა ერების არავითარ დამოუკიდებლობას არა სცნობდა, ბოლშევიკების დამარცხებას ლამობდა და მთლიანი რუსეთის აღდგენაზე ოცნებობდა. რასაკვირველია, ასეთი ძალა საქართველოს დამოუკიდებლობას ვერ შეურიგდებოდა და მართლაც მალე, თეთრგვარდიელებმა საქართველოს წინააღმდეგ გაილაშქრეს. ტუაპსეს რაიონში მხოლოდ 300 ქართველი ჯარისკაცი იმყოფებოდა; ეს მცირეოდენი ძალა, ცხადია, ვერ გაუძლებდა რუსების დიდ ძალას და მანაც დაიწია სოჭისაკენ. აქ არა ერთჯერ მოხდა შეტაკება რუს და ქართველ სამხედრო ნაწილებსა, მაგრამ ჩვენ ეს აქ არ გვაინტერესებს. საინტერესოა, რომ მთელი თეთრგვარდიელთა მოძრაობა სულდგმულობდა ანტანტის დახმარებით და კერძოდ ინგლისი თეთრგვარდიელთა გენერლებს, ალექსიევესა და დენიკინს ფულსაც აძლევდა და იარაღსაც. ინგლისის პოლიტიკა მიმართული იყო ძველი რუსეთის აღსადგენად და, რასაკვირველია, იგი არ თანაუგრძობდა ყოფილ სამეფო რუსეთის ტერიტორიაზე შექმნილ ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს და ყოველი ღონით ცდილობდა ეს ახალი სახელმწიფოების თეთრგვარდიელთა მოძრაობაში ჩაეთრია. ინგლისის წარმომადგენლებმა არა ერთჯერ მოსთხოვეს და სთხოვეს საქართველოს მთავრობას იგი თეთრგვარდიელთა დახმარებოდა. მაგრამ, საქართველო როგორც ნეიტრალად გამოცხადებული, ყოველთვის თავს ვანზე იჭერდა და რუსეთის სამოქალაქო ომში არ ერეოდა. სამაგიეროდ დენიკინელები საქართველოს უტყვიდნენ და როცა საქართველოს მთავრობამ მოლაპარაკება და შეთანხმება მოითხოვა, მოხალისეთა ანუ თეთრგვარდიელთა წარმომადგენელად ჩამოვიდა არა რომელიმე რუსი ღენერალი ან რუსი პოლიტიკური მოღვაწე, არამედ... ინგლისელი გენერალი ბრიგსი!

საქართველოს მთავრობა ყოველ ზომას მიმართავდა, რათა ინგლისელები დაეჯერებინა შეიქმნათ მათ ნეიტრალური ზონა დენიკინის მიერ დაკავებულ ტერიტორიებსა და საქართველოს შორის. დენიკინი აფხაზეთსაც ითხოვდა! აფხაზეთი-კი თავისი მხრივ 20 მარტს 1919 წელს თავისი „სახალხო საბჭოს“ პირით აცხადებდა ყველას გასაგონად, რომ იგი შედის საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში.

დიდი მოლაპარაკების შემდეგ დენიკინის ჯარსა და ქართულ ჯარს შორის დაწესდა ნეიტრალური ზონა, მაგრამ ინგლისელ გენერალ კორის მოთხოვნით და ალბად დენიკინელების კარნახით, ქართული ჯარები მდინარე მენხალირი-დან მდინარე ბზიბ-ზე უნდა გადმოეზოლიყვნენ. ინგლისელი გენერლები დაპირდნენ საქართველოს მთავრობას ნეიტრალური ზონის დაცვას, რომ დენიკინელები მას არ გადმოაბიჯებდნენ, მაგრამ ეს დაპირება ცარიელ სიტყვად დარჩა და რუსები მოულოდნელად თავს დაესხნენ ქართველებს და გავრის რაიონი დაიკავეს. ქართველებმა ზურგი მოიმარგეს, შეუტყეს და 17 აპრილს 1919 წ. გაგრა დაიბრუნეს. ამას კიდევ მოჰყვა მოლაპარაკება და ნეიტრალური ზონად გამოცხადდა სოჭის მხარე. ამ მხარისათვის პატრონობა იკისრეს ინგლისელებმა, მაგრამ სინამდვილეში ეს საქმე მათ დენიკინელებს ჩააბარეს. მა-



ლე აქ დაიწყო აჯანყება, „მწვანე არმიისა“, შემდეგ დენიკინის არმია ბოლშევიკების მიერ იქმნა ვალახული და განადგურებული, „მავიზღვის ნაპირებზე“ ბოლშევიკური რუსეთი დამკვიდრდა, ამგვარად, ბოლშევიკური რუსეთი საქართველოს საზღვრებთან მოვიდა.

ინგლისს, რომელიც დენიკინის დამხმარე და მრჩეველი იყო, რომელიც დენიკინს აწოდებდა ფულსა და იარაღს, რასაკვირველია, შეეძლო თეთრგვარდიელთა შეტევითი და თავდასხმითი პოლიტიკა საქართველოს წინააღმდეგ თუ არ მოესპო, შეენელებინა მაინც, ამით საქართველო გადარჩებოდა ამ მხარეში ბევრ მსხვერპლსა და უამრავ გართულებას როგორც ფინანსიურ, ისე ეკონომიურ და ქვეყნისათვის დაწყნარების საქმეში, პოლიტიკურ-მორალურადაც; მაგრამ ინგლისელებმა ეს არ მოისურვეს და ამ მხარეშიც საქართველოს დიდი ზიანი და ზარალი მიაყენეს.

ინგლისელების ამ ორქოფული და მტრული პოლიტიკის მიუხედავად, საქართველო როგორც სახელმწიფო განაგრძობდა თავის არსებობასა და ბრძოლას, და ეს მისი არსებობა სინამდვილე იყო; ჰყავდა მას აგრეთვე შეგობრებიც, რომელიც ევროპაში ქართულ საქმეს დახმარებას უწყევდნენ.

თავისთავად საინტერესოა, რომ პირველი სახელმწიფო საერთოდ, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა და იურიდიულად იცნო, — იყო არგენტინა! 1919 წლის 13 სექტემბერს არგენტინამ ამცნო მსოფლიოს, რომ იგი სცნობს საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო ოჯახის წევრად! დღემდე ჩვენთვის პირადად გამოურკვეველია, თუ რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ეს შორეული ამერიკული ქვეყანა ამ ნაბიჯის გადადგმის დროს! მას საქართველოში არც რაიმე ეკონომიური ინტერესები გააჩნდა, არც იცნობდა მას ალბად ზეირიანად და არც ეინმე ქართველი ყოფილა იქ, რომ ეს საკითხი დაეჩქარებინა. ამ ცნობას საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რადგან მისი საბუთად გამოყენება ყოველთვის მოსახერხებელი იყო.

საქართველოს სახელმწიფო არსებობდა სინამდვილეში და ეს არ შეიძლება სხვა სახელმწიფოებს არ დაენახათ, ადრე თუ გვიან იგი როგორც არსებული სახელმწიფო ფაქტიურად უნდა ეცნოთ. მართლაც, 1920 წლის 12 იანვარს ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ, 7 თებერვალს იაპონიამ და 26 აგვისტოს ბელგიამ იცნეს დე-ფაქტოდ საქართველოს დამოუკიდებლობა, აღიარეს მისი არსებობა. ამის მიღწევას დასჭირდა უცხოეთში დიდი მუშაობა და დიდი ბრძოლა როგორც სახელმწიფო მოღვაწეთა, ისე ერთა ლიგის წევრთა წინაშე. იურიდიულ ცნობამდე კიდევ შორს იყო.

1920 წელი საქართველოს დე-ფაქტოდ აღიარებით დაიწყო; 7 მაისს 1920 წ. მოსკოვმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და დასდო მასთან ხელშეკრულება.

მაღე ინგლისმა ბათუმში დატოვებული თავისი ჯარის ნაწილები გაიყვანა და ბათუმში საქართველოს ჩააბარა 4 ელისს 1920 წელს, ხოლო 1920 წლის აგვისტო-სექტემბერში იგივე ინგლისი ბოლშევიკურ რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულებას ამზადებდა და ინგლისის პრემიერ მინისტრი ლიონ ჯორჯი ბოლშევიკ კრასინს, რუსეთის წარმომადგენელს ეუბნებოდა: ინგლისი ამიერკავკასიით დაინტერესებული არაა და მას რუსეთის გავლენის არედ სთვლისო. ანუ როგორც თვით რუსეთის საგარეო კომისარმა ჩიჩერინმა ეს განაცხადა: — ინგლისი „არ ჩაერევა საბჭოთა რუსეთისა და ამიერკავკასიის ურთიერ-

ობაში და რომ მთელ კავკასიაზე საბჭოთა რესპუბლიკის გავლენის სფეროსა სცნობს“ — (ინილეთ ჩიჩერინის განცხადება: „ზარია ვოსტოკა“, 5 მარტი 1925 წ.).

როგორც ვხედავთ, ინგლისი, იმის მაგივრად რომ დაეცვა ამიერკავკასიის რესპუბლიკები რუსეთის საშიშროებისაგან სიტყვით მაინც, ყოველდღე მუხანათურად ექცევა მათ, აბუხად ივდებს ამ ქვეყნებს და რუსეთს უთმობს აქ გავლენის ასპარეზს, ესე იგი, რუსეთს პირში აძლევს ამიერკავკასიის გადასაყლაბად და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ინგლისს შესძლებოდა სარფიანი სავაჭრო ხელშეკრულება დაედო საბჭოთა რუსეთთან. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა რუსეთს ხელს უხსნიდა ამიერკავკასიაში, და მართლაც იგი მაღე შემოესია მას.

ამნაირადვე მოექცია ინგლისი საქართველოს, როცა ჩვენი ქვეყანა ერთა ლიგის წევრად განდომას ცდილობდა. მიმდებ კომისიაშიც და საჯარო სხდომაზე ინგლისი წინააღმდეგი იყო საქართველო ერთა ლიგაში წევრად მიეღოთ, იმ დროს, როცა ნორვეგიის წარმომადგენელი ფრ. ნანსენი, პატარა ერის შვილი, საქართველოს ერთა ლიგაში მიღებას იცავდა, ინგლისის წარმომადგენელი ფიშერი უარჰყოფდა მას და მერმე იცით რა საბუთით? — საქართველოს რომ რუსეთი თავს დაესხას ერთა ლიგა ვალდებული იქნება მას დაეხმაროს მეთაე მუხლის ძალით და ეს ლიგას არ შეეძლება. სექტემბერში 1920 წლისა ინგლისმა რუსეთს ჩააბარა ამიერკავკასიაზე გავლენის სფერო და 16 დეკემბერს 1920 წ. ი. ი. ორი თვის შემდეგ იმავე ინგლისის წარმომადგენელი ერთა ლიგას აშინებს: რუსეთი რომ დაესხას საქართველოს, მაშინ რაღა ვქნათ, ლიგა ხომ ვერ დაეხმარება საქართველოსო!!! მაგრამ ამ საკითხს ჩვენ კიდევ შევხვებით.

ასეთი იყო ინგლისის ბოროტი და აკე პოლიტიკა საქართველოს მიმართ; დაბოლოს, სომხეთის მიმართაც, რომელიც მან წელთა განმავლობაში ატყუა, აბრიყვა და შემდეგ გულცივად ალაღბელზე მიატოვა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გადასარჩენად არსებითი მნიშვნელობა უკვე აღარა ჰქონდა. იმ მოვლენას, რომ ანტანტის უმაღლესმა საბჭომ (ინგლისი, საფრანგეთი, იაპონია და სხ.) 1921 წლის იანვარში ქართული სახელმწიფო იურიდიულადაც აღიარა და იცნო: საქართველოს საზღვრებზე რუსული ჯარები იდგნენ და საქართველოს დახმარებას კიდევ არავინ უპირებდა, არც დიპლომატიურად. აღნიშნულ იურიდიულ ცნობას ქართველი ერისათვის იმეზად დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა მაინც ჰქონდა და დღევანდელ ჩვენს ბრძოლაში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ეს იურიდიული ცნობა მარჯვედ გამოსაყენებელი იარაღია.

26 მაისი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინების დღე; ამ დღეს დასდგა საქართველოს სახელმწიფო, მას ბებიაობა გაუწია გერმანიამ, ხოლო ინგლისი დიდიდან ქართველი ერის ფეხზე დადგომისა, მას ხელს უშლიდა დამკვიდრებულოყო და გამაგრებულოყო. და როდესაც საქართველოს ახალმა სახელმწიფომ იმდენი ნებისყოფა და ძალა გამოიჩინა, რომ ინგლისური ინტრიგების ქსელში არ გამოიგუდა, მაშინ იგი რუსეთს მიუგდო საჯიჯგნად და წაწამებლად, რადგან რუსეთისაგან იგი მეტ „ხეირს“ გამოელოდა. ინგლისს არა სწამს არავითარი პრინციპები, — ეს ვაჭრული ქვეყანაა და ჯიბის გასქელების საკითხი არის ერთადერთი საზომი ინგლისური პოლიტიკისათვის. ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ჩვენ.

ბ. ბეგუნიშვილი
3. ნ. ზ. ა. ქ



გერმანელების მოხვლა თბილისს 1918 წ.



საქართველოსათვის ბრძოლის ველზე დაღუპული გერმანელი ჯარისკაცის დასაფლავება თბილისში. 1918 წ.

† სტაჟანე კასრაძე

თ ა რ ი - ა რ ა ლ ე

რომანი. მეორე ნაწილი.

17

ნაშუადღევს ექვსზე, ჯერ კიდევ დღე იყო, როდესაც კოტეს თახნლებით, ბატონი სოლომონ ფერეული შევიდა საკათედრო ტაძრის გალავანში.

ნაწვიმარზე ცხელოდა და დასაველეთით გადახრილი მზე, ისე წარმოადგენდა გალავნის კვიპაროსებს, თითქოს ისინი ყოფილიყვნენ დახრუკულნი.

სოლომონი, სიარულში, როდესაც შუბლზე მომდგარ ოფლს იწმენდა, ისე ოხრავდა, როგორც იციან მოხუცმა მამაკაცებმა, რომელთაც საზრუნავი დაულაგებიათ და კმაყოფილი არიან.

ტაძრის კარები ღია იყო.

სოლომონი ტაძარში შევიდა, კოტე ჭადრის ძირში დაჯდა. (ჭადრებიც იდგნენ გალავანში და ისინი, როგორღაც პოულობდნენ პაერს და მათი ფოთლები მხიარულად ქშუოდნენ.) ეხლახან დაერეკათ ლოცვისა, მაგრამ ლოცვა ჯერ არ დაწყებულა.

ტაძარში გრილოდა და იდგა ერთი იმ საკვირველ სიჩუმეთაგანი, რომელიც მითაა საკვირველი, რომ თან ახლავს სხვა-დასხვა გვარი სუნნელებაც და სანახაობანიც, რომელნიც სიჩუმეს ეკუთვნიან თუ დამატებანი არიან სიჩუმესი და ძნელია გადაწყვეტა, თუ რომელია მათში მთავარი.

ტაძრის მნათე, მოხუცი ადამიანი, ანთებულ სანთლით მიმოდრიდა ტაძარში და ხატების წინ სანთლებს ანთებდა; ძველი, შავი ფერის ხატები იწყებდნენ ციმციმს.

მლოცველები არ იყვნენ ტაძარში. მხოლოდ ერთი ქალი, შავებში ჩაცმული, დაჩოქილიყო ეკლესიის სიღრმეში და ისევე მშვიდი სჩანდა, ვით სხვა ყოველივე აქ.

ლოცვა დაიწყო. გაისმა გალობა, აღსავლის კარებს მოედო საკმეველის ბოლი.

სოლომონმა ხელები წინ დაიჭდო, თვალები მილოლა და მიეცა იმ აუშფოთებელ გარინდებას, როდესაც გონება ადამიანისა გაყუჩებულია, გაყუჩებულია აგრეთვე სხეული, მხოლოდ გაუჩვეველი რაღაც ნაწილი ადამიანისა, რაშიც ალბად გონებაც ურევია და სხეულიც; ადამიანი-სხეულს არსებიდან გამოდის და დაეხეტება ისეთ სფეროებში, რომელნიც გონების თვალთათვის არიან გადარაზმულნი, ვით ფუტკარი ადამიანისათვის, ისე აგროვებს სიტკბობას, ამდიდრებს სულს, მაგრამ გარინდება მიტომაა და ისიც აუშფოთებელი გარინდება, რომ ადამიანმა არ იცის და არც ჰსურს იცოდეს, თუ მართლა სიტკბობაა ეს, თუ მართლა სიმდიდრეა სულისა, ან ყოველივე ეს სინამდვილეა მართლა თუ მხოლოდ მოჩვენება.

„მერმე და მერმე უფლისა მიმართ ველოცით!“

„მშველობისათვის ყოვლისა სოფლისა, კეთილად დგომისათვის წმიდათა ღვთისა ეკლესიათა და ყოველთა მათ ერთობისათვის უფლისა მიმართ ვილოცით...“

ასეთი სიტყვები, ვით ძილში ისე ჩაესმოდნენ სოლომონს. სოლომონი ლოცულობდა. კონსტანტინე ფერეული კი, სოლომონის ვაჟი, გალავანში დარჩა და არ ისურვა ტაძარში შესვლა. სამაგიეროდ მან დაჰკარგა სიამოვნება; მიუხედავად ამისა, სოლომონი ვერ ჰკადრებდა შვილს, ამ საგანზე საუბარი ჩამოეფლო.

მომავალი თაობა ეკლესიას არ სწყალობდა.

ღიტი ხანი იყო ასე გარინდებული სოლომონი. ლოცვა ჯერ კიდევ არ გათავებულიყო და ისევე გალობდნენ, როდესაც სოლომონს მოესმა ფენის ხმა; უთუოდ ვილაც სო-

ლომონისაკენ მოდიოდა, მხოლოდ უცნაური ის იყო, რომ ნაბიჯები ისე ისმოდნენ, თითქოს ვინმე გუმბათიდან ჩამოდიოდა.

გაკვირვებულმა სოლომონმა თვალები გაახილა; ეს ის დაჩოქილი ქალი იყო; შავებში ჩაცმული, იგი თვალს არ აშორებდა სოლომონს და ოდნავ-ოდნავ იღიმოდა. სოლომონმა იცნო თავისი ქალიშვილის, მანანას, ფრანგული ენის მასწავლებელი; სოლომონმა იცოდა, რომ მანდილოსანს ერქვა — ანნა ივანოვნა! (გონებაში აღდგა მანანა, რომელიც იხევირებდა: ლანდი, მარდი სეტ, მერკრედი პეტერ!). მხოლოდ ბატონ სოლომონს, ანნა ივანოვნასთან ნაცნობობა არ ჰქონია, მაგრამ რადგან მანდილოსანი დაჟინებით იცქირებოდა, ამიტომ სოლომონმა თავი მიძიმედ დაუკრა.

ქალმა გაიღიმა, სალამი მისცა და წავიდა.

კოტაოდენი ხანი კიდევ დაჰყო სოლომონმა ტაძარში და გარედ გამოვიდა.

ამ მანდილოსნის შეხვედრამ წინასწარობა ოდნავ დაარღვია. ჯერ მარტო ის იწვევდა უკმაყოფილებას, რომ გონება აღნიშნავდა უცნობ მანდილოსნის შეხვედრას: შემდეგ სოლომონმა სხვა რამეებიც გაიფიქრა და ყველაფერი უკმაყოფილოდ:

„აი, ამიტომ იყო, რათა სულიერ მშვენიერებისა და სიტკბობების მთლიანობა არ დარღვეულიყო, ბერები ეძლეოდნენ მარტობას; ხოლო იმ მანდილოსანს, ანნა ივანოვნას, როდი ეპატიებოდა, ისეთი დაჟინებული, რაღაც სხვა-გვარი ცქერა, თითქოს თვალებით ეხებოდა.“

უთუოდ, თუ კი ადამიანი შესძლებს და გაწვედნა ისეთ მშვენიერებას, როგორც სოლომონმა ტაძარში განიცადა, ამისი სიტკბობა უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე ყოველგვარი აღერსი...! მაინც ქალი, რომ ყოველგან და ყოველთვის ქალია, როგორ გაიღიმა ანნა ივანოვნამ...!

რა ლევანის დატუსაღების ამბავი გაიგეს, სოლომონმა, სწორედ ისე, როგორც ლევანი ანგარიშობდა, ხელები გაშალა: ხელმწიფე ჩემო...

კოტემ გაიცინა:

— მაშ დაამწყვდიეს ვაჟბატონი! — და ამ სიტყვაში: დაამწყვდიეს!, ივლისსმებოდა დამწყვდიეა პირუტყვისა, გინა ფრინველის, ხოლო საერთოდ დაციხვა.

მამა დელავდა, მისი ფიქრით საჭირო იყო ეხლავე ნახვა: იმ ბრიყვის, იმ უგზურის, იონა თაკაქსი და ბავშვის განთავისუფლება!

კოტე ამბობდა:

— დაიცა, დაიცა! არაფერი არ არის საჭირო! — წარბ-შეკმუხნენილი იგი ასე ჰფიქრობდა:

დღეს კოტაოდენი იარალი იქნა გადატანილი; ეს კარგია, ხოლო ამის საფასურში, რომ ლევანი რამდენიმე დღე ჩეკაში დარჩეს, არც ეს არის უჩვეულო! — კოტემ განაცხადა:


— მე მომანდეთ ყოველივე! —

მას თუმცა არ ვაზუნებოდა, მაგრამ გადაწყვეტილი ჰქონდა, იონა თაკაქსისათვის არაფერი ეთქვა. მინაუტები კოტეს დაეთანხმენ.

14

მზე დასავლით გადაიხარა და დაიწყო მიმწუხრი.

ტბა იყო ამ დროს წყნარი, ლურჯი და ელვარე; ლურჯნი იყვნენ აგრეთვე შორეული აჭარის მთები, რომელთა ანარეკლი სჩანდა ტბაში.



თომა და ონისიმე პატარა ბაიდაში ისხდნენ და ხმა გაკმედილნი, ვით ადამიანები, რომელთაც ლაპარაკი დიდი ხანია მოუთავებიათ, ქალაქისკენ მისცურავდნენ.

ისინი, ფიქრის მიდამოებში ამუშავებდნენ ყანას და ამის გამო, ხშირად უწევდათ ბაილით მოგზაურობა.

ონისიმე უკანა საჯდომზე წამოწოლილიყო; მას ეფინა ალერდი სიმინდის ფოთლები, ხოლო თომა ნიჩბებით მუშაობდა და როდესაც ვაიფიქრებდა რაიმე მრისხანეს, გაისმობდა მაშინ ნიჩბების ქრიჭინი და ღრიალი ვაკვეთილი წყლის. ასეთ დროს იყო თომა რომ გაუწყრა ონისიმეს, რომელიც თავისთვის ღიღინებდა:

— მოიცა კაცო, ყური დაუგდე სიჩუმეს! — ონისიმემ გულში ჩაიციხა და გაჩუმდა.

თომას გონებას ამ ჟამად იპყრობდა ერთი ბაასი, რომელიც მას კოტესთან შეემთხვა, და რომელიც, მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, იყო ცხარე და მღელვარე.

— მე მირჩევნია მომკლან, ვიდრე მოვკლა! — სთქვა ამ ბაასის დროს თომა ფერეულმა.

ბაასი სწარმოებდა ღამით, თომას კარავში და ამ სიტყვებზე კოტეს დაეტყო, რომ თავი შეიკავა, თორემ კინალამ რაღაც წამოიძახა.

კარავში ანათებდა მთვარე. კოტე დააკვირდა თომას და შემდეგ სთქვა:

— ბიძა თომა, შენ ავად ხარ! ნამდვილად ავად ხარ, თორემ ჯანმრთელი კაცი, ასეთ სიტყვებს ვერ იტყვის.

— რატომ!

— იმიტომ... არ ვიცი რატომ... ერთი სიტყვით.. — კოტე დაიბნა, ან არ უნდოდა ეთქვა ის, რაც სთქვა:

— ასე შეიძლება ფიქრობდეს ისეთი ადამიანი, რომელსაც სასიცოცხლო ძალ-ღონე გამოლევია და სულერთია იცოცხლებს თუ არა .. —

მაშინ თომამ, ცოტა ხნის ღუმულის შემდეგ, დამშვიდებით ჰკითხა:

— კოტე, კარგად მოიფიქრე და სინიდისის წინაშე მიბასუხე, შეგიძლია თუ არა სხვა-დასხვა გარემოებებში თავი გასწირო!?

კოტემ წამოიძახა: შემიძლია! — და ამოისუნთქა. თომამ ოდნავ ჩაიციხა.

— აბა, ბიძა თომა, ან უკეთ რომ ეთქვათ, მართალი ხარ, მხოლოდ ბევრი ლაპარაკი ვერაფერს გამოარკვევს — და დაიწყო კოტემ თავიდან — ვიყოთ უბრალონი და დავანებოთ თავი სიბრძნეს; მოეშვი იმასაც: თუ ვინაც ალილოს მანვილი, მანვილითავე დაეცეს. ამაზე მეტი ჩვენი დაცემა არ შეიძლება და აი, პატარა ამოცანა: შენ აქ მოგივლა იარაღი, იარაღი დაბინავე! არ იფიქრო, რაიმე გარკვეული გეგმა არსებობდეს სამხედრო ხასიათისა, ვერ არავითარი! მხოლოდ ხალხი ირანებმა! მონაწილეობა რომ არ მიიღო, რა თქმა უნდა შეგიძლია, მაგრამ ეს იქნება ან შიში, ან სურვილი რომ არ დაგესვაროს ხელთათმანები. — ისეთი დაბეჯითებით ლაპარაკობდა კოტე, რომ თომა უნდა დათანხმებულიყო და დასთანხმდა, თუმცა დარჩა გრძნობა უკმაყოფილებისა, რადგან თომა დასთანხმდა გონებით და არა გულთნ.

ამის შემდეგ, მას რამდენჯერმე მოუვიდა იარაღი. ეს იყო უმთავრესად ხრახნილი თოფები და ვაზნები, რომელთაც თომა ზეთავდა, ჩვარში ახვევდა და ინახავდა კარავში, თავის საწოლ-ქვეშ გათხრილ ორმოში.

ღღესაც მიიღო იარაღი და დათქმულობის თანახმად მიდიოდა კოტესთან მოსახსენებლად. ონისიმე, ცხადია ბევრ რამეს ხედავდა, მაგრამ რაკი არაფერს ეუბნებოდნენ, ცდილობდა არ შეემჩნია. მას ზოგავდნენ როგორც ცოლ-შვილიანს.

რაღაც მოძრაობა შენიშნეს ქალაქში თომამა და ონისიმემ.

გაურკვეველი მხრიდან მოისმოდა ჩოჩქოლი და ქოლის მიმართულებით გარბოდნენ ქალები და ბავშვები.

ფერეულებმა, თომამ და ონისიმემ ერთმანეთს გადახედეს. იმ ხანებში, ბევრს ლაპარაკობდნენ, რომ კომუნისტებს, სხვა-დასხვა პირობათა ძალით, ჩვენი ქვეყანა უნდა დაეტოვებიათ და ამ პირობად, ხან ოსმალეთ-საბერძნეთის ომი მოჰყავდათ, ხან შინაგანი გართულება, ხან ევროპის წინადადება.

წამით, რაღაც იმედი ამოძრავდა ფერეულთა გულში. — ნეტავი მართლა ხომ არ მიდიან! წამო, ვნახოთ — სთქვა თომამ.

ონისიმეს ხელთ ეჭირა ნორჩი სიმინდით სავსე კალათი. — არა თომა, შენ ნახე თუ გინდა — ონისიმე სახლში მიიჩქაროდა.

თომა ჩქარი ნაბიჯით წავიდა და რა გავიდა ტაძრის ქუჩაზე, მას წარმოუდგა უცნაური სანახაობა: გალავანს ხალხი ირგვლივ ერტყა. გალავანშიაც ხალხი იყო, მხოლოდ ამათ ემჩნეოდნენ, რომ საერთო არაფერი ჰქონდათ გარედ მდგომ ხალხთან, რომელნიც თუმცა მღუმარენი, მაგრამ წყრომით შეჰყურებდნენ შიგ მყოფთ.

როგორც თომამ შემდეგ გაიგო, გალავანში მყოფნი, უმთავრესად იყვნენ მახლობელ სოფლის ბინადრები. მათ მიტინგი ჰქონოდათ. გალავანში იდგა მაგიდა და მაგიდის ირგვლივ, დიდრონი წითელი დროშები.

ერთი ქალი შემდგარიყო მაგიდაზე და უთუოდ რაღაცას ლაპარაკობდა, მაგრამ ყველანი, მყოფნი გალავანში თუ გარედ, მისჩერებოდნენ ტაძრის გუმბათს, სადაც ორი კაცი, ალბად ზეინკალი, ცდილობდა ჯვრის მოჭრას.

ჯვარი იყო დიდი და ფერად ყვითელი.

ზეინკლები, რომელნიც თოკებით მიბმულიყვნენ გუმბათზე, ჯვართან შედარებით, პატარებად სჩანდნენ; ისინი ხერხსაც ხმარობდნენ, ჩაქუჩსაც სცემდნენ, მხოლოდ მოძრაობაში ემჩნეოდნენ გაუბედაობა თუ სიფრთხილე. ჯვარი ჯერ არ ირყეოდა.

გალავანში მდგომნი, განსაკუთრებით ახალგაზრდები, დაბლიდან აქეზებდნენ ზეინკებს:

— გადაამტერიეთ, გადაამტერიეთ! — იძახდა ერთი.

მეორე ჰყვიროდა:

— დაუფრთხეთ ძილი მამა-ზეციერს! — და რადგან ასეთი ძახილი გახშირდა, ხოლო მისი აკრძალვა მიტინგის ხელმძღვანელებმა არ ისურვეს, ამიტომ მოლაპარაკე ქალი, მაგიდიდან ჩამოვიდა.

გალავანის გარედ მდგომმა ქალებმა თანდათან მოთმინება დაჰკარგეს. ისმოდა მათი კრულვა.

ერთმა კიდევ დაიძახა:


— წავიდეთ ქალებო და თუ მამაკაცებს ეს არ შეუძლიათ ჩვენ დავიხოცოთ! ეს იყო გამხდარი, მეტად ღარიბად ჩაცმული მანდილოსანი, რომელსაც ირგვლივ შემოეხეიენ და დაუწყეს დამშვიდება.

ზეინკლები დიდხანს ეწვალენ გუმბათზე, ჯვარი არც ირხეოდა და გარედ მდგომთ იმედი მიეცათ, იქნებ ვერაფერი ავნონო. მაგრამ აი, გუმბათზე კიდევ ორი ახალი კაცი გამოჩნდა; ისინი საჩქაროდ, გუმბათზე თოკებით მიეკრნ და დაიწყეს ღონივრად ცემა ჩაქუჩისა. ყველამ იგრძნო, რომ ჯვარი ვერ გაუძლვდა და გალავანში მდგომთ ასტეხეს „ვაჰას“ ძახილი. მალე ჯვარი შეარყიეს და ზეინკებმა ხალხს ჩამოსძახეს, რათა ყოფილიყვნენ ფრთხილად.

— ამხანაგებო, ფრთხილად, ფრთხილად! — იძახდა ხალხი.

ლითონის ჯვარი მოტყდა და გრიალით დაემვა თუნუქის სახურავზე. ხალხმა ასტეხა ტაშის ცემა, რომელიც დიდხანს არ შეწყვეტილა.

ამ ხნის განმავლობაში, გუმბათზე დაადგეს წითელი დროშა და მოლაპარაკე ქალმა, რომელსაც ამას წინად



სიტყვა წაერთვა, მოასწრო მაგიდაზე შემხტარიყო და ხალხისათვის დაეყვირა:

— გასოვდეთ, რომ რელიგია ხალხის ოპიუმია! —

ქალს მამაკაცური სახე ჰქონდა; სიტყვა თუ არა ეს, იგი მაგიდიდან ჩამოვიდა.

როდესაც ამის შემდეგ თომა სოლომონის სახლისაკენ მიდიოდა, ის იყო დაღლილი და ნაღვლით საცხე; ქალმა, რომელიც ჰგავდა უწვერ-ულვაშო მამაკაცს, სიტყვა თუ რელიგია არისო ოპიუმში, მხოლოდ ისეთი ველური სიხარულით დაიყვირა ქალმა ეს სიტყვები, თითქო იმას კი არ ამბობდა რაც სიტყვა, არამედ ვინმეზე შური იძია. ამ დებულების მოქმედი ღროშებზე ეხატათ, მხოლოდ ისინი, ასე კანდიერად უთუოდ არ იყვირებდნენ ამას.

იონა თავაძეს ეს კარგად უნდა სცოდნოდა, მაგრამ ისიც იქ იდგა, თავის პარტიულ ამხანაგებთან ერთად და ქალის სიტყვებზე მანაც გაიღიმა და ისე ვით სხვებმა, ტაში დაუქრა.

მაინც რამდენი განსხვავებაა ადამიანთა შორის; ერთს სიამოვნებას ჰგვრის ის, რაც სტანჯავს მეორეს და მართლა, რომ ადამიანი არის სუსტი და ამის გამო ღირსი სიბრალულისა.

მორწმუნე ხალხმა, ვალანის გარედ რომ იდგა, კარგად დაიჭირა თავი; ყოველივე ისე მიიღო, როგორც ღვთის განრისხება და დროებითი სასჯელი. ესეც არის, მწუხარებასაც და ბედის სივალახესაც ადამიანმა პატივი უნდა სცე, რადგან ესეც ცხოვრებაა და აგრეთვე წარმავალი ვით ცხოვრება.

თომა ფერეული, როგორც იყო ნაღვლიანი, ისევე დარჩა სოლომონის სახლში, სადაც ტაძრის დახურვა შეეტყუოთ და დამწუხრებულნი სდუმდნენ. დამწუხრებულები უმთავრესად ბიკოლა ნინო და სოლომონი, სხვები სდუმდნენ ამათი პატივისცემით.

ლევანის დატუსალების ამბავი, პირველად თომამ ვერ გაიგო:

— აჰი ტფილისშია ლევანი! — გაიკვირა მან. მას აუხსნეს. ამის შემდეგ თომა დაემშვიდობა, იქაურთ და იმის მაგივრად, რომ ონისიმეს სახლში წასულიყო, ზღვის-პირისაკენ გაემართა, სადაც ივანე იდგა. მოხუცი მედავითნე და სადაც თომა ხშირად დადიოდა სასაუბროდ.

19

მოხუცი ივანე იდგა ზღვის პირად მარტო, მაგრამ დღეიდან მასთან უნდა ეცხოვრა მის დისშვილს, გოგია კოკოსაძეს, რომელიც ჩამოვიდა ტფილისიდან.

ეს მოხდა ასე: დილის ათზე, გოგია ვადმოვიდა მატარებლიდან და თავისი აღმა-დაღმა სიარულით გასწია ბიძის სახლისაკენ.

ჩვენს სანაპირო ქალაქში ძვირფასი გოგია კოკოსაძე ჩამოდიოდა თითქმის ყოველ ზაფხულს; ამიტომ ის კარგად იცნობდა აქაურ მიდამოებს და რადგან საფიქრალია, რომ აქაურობა მას უყვარდა, გოგია კოკოსაძე მიდიოდა და გულ-უბრყვილოდ იღიმოდა.

მას აქ ახალგაზრდობა იცნობდა, ხოლო თვითონ, მით იყო ძვირფასი გოგია კოკოსაძე, რომ მანდილოსნები, როგორც თვითონ ჰქვირობდა, მას არ სწყალობდნენ.

გამოჩნდა ზღვის პირი, მაგრამ სანამ ზღვა გამოჩნდებოდა, ჰერს დაეტყო სიგრილე, ხოლო ნიადაგი შეიქნა სილიანი, სადაც მიმოზნეული იყო თეთრი ხოჭოები.

ეს არ იყო ის, რაც დასტოვა ტფილისში. წარმოდგა ზღვა; ამან გოგია მთლად ააღელვა და მას მოაგონდა თავისი მეგობარი ქალი, რომელიც ეწეოდა პაპიროსს და რომლის სახელი, გოგიას არ უნდოდა წარმოეთქვა:

— მშვიდობით, მშვიდობით! იყავი ბედნიერი! —

ძია ივანეს სახლი ისეთი პატარა იყო, ვით ქონი. ქონს ირგვლივ ერტყა ბუჩქები, ხეები, ხოლო მის ირგვლივ დიდ მანძილზე არ სჩანდა მოსახლეობა.

თვითონ ბიძია ივანე სახლის უკან მუშაობდა.

ეს უნდა ყოფილიყო ბოსტანი, სადაც გოგიამ შენიშნა: ცოტა მცენარეულობა და ემჩნეოდა ბიძია ივანეს, რომ არასოდეს არ უმუშავენია და იყო ხან-დახან სასაცილო, რომ ბიძიას მუშაობა არ გამოუდიოდა და მიუხედავად ამისა, იგი მუშაობას არ ეშვებოდა, ბიძია იყო ძალიან მალალი და თეთრ-წვერა. განუთლ პერანგში მოუჩანდა გამხდარი ნეკნები და საერთოდ, გოგიას ის აგონებდა შეხერხადის ერთ გვირს, ალაღინს, თუმცა ალაღინი სრულებით არ იყო ღარიბი, გოგიამ დაუძახა:

— ბიძია! —

გოგიას ბოხი ხმა ჰქონდა და დაძახებაში უნებურად გამოამყვანა რალაც ნათესაური სიტბო და წუხილი იმის გამო, რომ ასეთ მდგომარეობაში ჰხედავდა მას. ბიძია ივანეს ძალიან გაეხარდა. იგი წამოვიდა ნელა, შეჰყურებდა, თითქოს არ სჯეროდა და ხელით მზეს იჩრდილებდა:

— ბიჭო, დავიჯერეო გოგია ხარ! — სიტყვა მან, მოახლოვდა, გაიციხა და თავისი დისშვილი, გოგია კოკოსაძე გულში ჩაიკრა; შემდეგ გამხდარ სახეზე ოფლს იშმენდა და ლაპარაკობდა:

— ყოჩად ჩემო გოგია, ყოჩად! ღმერთმა დაგლოცოს რომ ჩამოდი და მაამე... — ქონის გვერდით დიდ ნივთის ძირად, ბიძია ივანეს ჰქონდა ამოღებული ჭა; აქ განსაკუთრებით გრილოდა და ივანემ იქ მიიწვია გოგია. დასდნენ და ისაუბრეს.

მზე ჩავიდა. წითლად აელვარდა ზეცის დასავალი, ბიძია ივანე და მისი დისშვილი ქონის წინ ისდნენ და ეძლეოდნენ მშვიდ ბაასს.

გოგიას ნათქვამი ჰქონდა, რომ აქ მოიტანდა რალაცას (ეს იყო სტამბა) და თუ ბიძიას არ ეშინოდა, გოგია საკუთრად დაიჭერდა ერთ ოთახს. ბიძია დათანხმდა. და გოგიას ის უხაროდა, რომ არა თუ დათანხმდა ბიძია, არამედ რალაც ასეთიც სიტყვა:

„გოგია, ობოლი კაცია და ვაი ბიძა-მისის ბრალი, ვერაფერს შევლის განათლების მიღებაში; მას, გოგიას მეტი თავისი სისხლი და ხორცი ამ ქვეყნად არავინ გააჩნია, მაგრამ ეხლა სოფელს ისე უჭირს, რომ ყველამ უნდა უშველოს; გოგიას ამას ვერ აუკრძალავს და ამას ლაპარაკობს ბიძა მისი ივანე“.

ამის შემდეგ გოგია იყო წყნარად, გული ავსოდა სიხარულით და უსმენდა ბიძიას: თუმცა, ერთი რამ აწუხებდა გოგიას: ლევანი, რომელიც უნდა მოსულიყო და არ მოვიდა!

ბიძია ივანე ამბობდა:


— რა დამრჩენია მე ამ ქვეყნად? იმდენი არაფერი ყოველშემთხვევაში, რომ იმაზე ღირდეს, ვინმეს საყვედური აკადრო! არა, არა! არც პირადი სიამისათვის ვლაპარაკობ მე ჩემო ბიძია! მთელი ქვეყანა იყო აწყობილი, დიდსა და პატარას ადგილი ჰქონდა მიჩენილი... ეხლა რა!?! —

ბიძია ივანე აბოლებდა ყალიონს და ყველაფერს რასაც ამბობდა, თან ახლდა სევდა. ასეთი სევდით მან მოიგონა თავისი ღარიბი წარსული, როდესაც კვირაობით, იგი ვადიოდა ქალაქის ბაზარში, სადაც ვებერთელა ქოლვის ქვეშ ჰშლიდა თავის „ლატორიას“. ლატორიას ეტანებოდნენ ბავშვები. ივანე ამბობდა:

„მე უხმობდი ჩემს პატარა მუშტრებს, ვიძახოდი: მოდი თე მთან ბავშვებო! მოდი თე პაწია ყუავილებო ჩემი სულისა და გულის! თქვენ აქ შეგიძლიათ გამოსცადოთ თქვენი ბედი; ეს ღირს მხოლოდ ერთი კაპიკი.“

ერთ კაპიკად თქვენ მოიგებთ თაბაშირის მშვენიერ ქანდაკებას. აბა, შეხედეთ, შეხედეთ! ვიძახოდი მე და ხახაშის პაწია ქანდაკებას, თავზე ხელს ოღნავ დავეკრავდი, თავი იწყებდა ქანაზბას და რომ ბებერი, წვერიანი ებრაელი, რომელსაც მუხლზე წიგნი ვადაეშალა, თვალე-დახუჭული ლოცულობდა.

„გარდა ამისა, თქვენ მოიგებთ ფოჩიან კამფეტებს და ნახავთ ქვეყნის ვასაოცარ სანახაობებს!“ თუ პატარები



ლატორიაში ვერაფერს მოიგებდნენ, მე მათ ვუჩვენებდი სურათებს გასაღიდელებელი შუშით, თან ვუხსნიდი: „ეს გახლავთ პარიზის მთავარი ქუჩა; ის მანდილოსანი, რომელსაც თქვენ იქ ხედავთ, გახლავთ ძვირფასი ბიცილაჩემი, სახელად გაიანე. იგი მიიჩქა: ის სახლში, რათა მოამზადოს ჩემთვის კარგი სადილი!“ მე სრულებით არ ვიცინოდი და ჩემი პატარა მუშტრები განცვიფრებული შემომტკეროდნენ და არ იცოდნენ რა ეფიქრათ, მართლა ბიცილა ჩემი იყო ის მანდილოსანი თუ მე ვიყავი გიყი.

ასეთ საუბარში იყვნენ გართული, როდესაც მოვიდა თომა ფერეული. თომამ ხუმრობით დაიძახა:

— მისპინძელი, სტუმარს თუ ღებულობ! — ბიძია ივანე სტუმარს მიეგება:

— ვიცი თომა, ვიცი! — ამბობდა ივანე — ეკლესია დაუკეტიათ! არც გამკვირვებია, შენ წარმოიდგინე, თუმცა ვერ მოვიფიქრებდი თუ ამას ჩაიდენდნენ; მოდი ნახე ჩემი დიშვილი. —

— როდის ჩამობრძანდით, გოგია! —

— დღეს ბატონო —

— მაშ ლევანთან ერთად გიმოგზავრიათ? —

— კიდევ ჰო, კიდევ არა! —

— კადა თქვენ მაინც გადარჩენილხართ, ლევანი დაუკეტიათ, უთუოდ გაიგებდით! —

გოგიამ წამოიძახა:

— რას ამბობთ! აკი არ მიკვირდა, არ მოვიდა!! —

გოგიამ გამოიჩინა ცნობის მოყვარეობა: სად დაუტუსაღებიათ, რა პირობებში, რატომ, ან უნახეს თუ არა რაიმე?! თომამ ამდენი არ იცოდა; მართალია მისთვის ბევრი რამ ეთქვათ, მაგრამ იმდენ ნალაპარაკეში მხოლოდ ის ახსოვდა, რომ ლევანი დაატუსაღეს, ხოლო დატუსაღების ვითარება, კარვად იცოდა ერთმა ახალგაზრდა მხატვარმა ვანო უთენელიძემ.

— ძალიან კარგი! — სთქვა გოგიამ და შემდეგ ისეთი სიმტკიცით, თითქმის ბრძანებით გამოუცხადა თომას თავისი სურვილი:

— გზხვოთ ამ საღამოსვე შემახვედროთ ვანო უთენელიძეს! —

თომა გაოცდა, თუმცა ხელათვე მიხვდა, რომ გოგია ღელავდა არა მარტო ლევანისადმი მეგობრული სიყვარულის ძალით.

როდესაც თომა და გოგია წასასვლელად მოემზადნენ, ბიძია ივანემ ისაყვედურა:

— რა გეჩქარებათ თქვე დალოცვილებო! —

ბიძია ივანეს ნამეტანი უყვარდა თომასთან საუბარი; თომა იყო კარგი მომსმენი და ნაკლებ მოლაპარაკე. ეკლესიის დაკეტვას მოხუცი ივანე აეღელვებია. მას სასაუბრო დაპგოვებოდა, მაგრამ გოგიასთან ამ საგანზე საუბარს იგი ალლოთი მორიდებოდა. ამიტომ ბიძია ივანემ ისურვა გოგიასა და თომას ცოტაოდენი გაცილება. მოხუცი მოძღვრავდა:

— სწორედ უცნაურია, სწორედ გაუგებარია ადამიანის უვიცობა და აგრეთვე ის, თუ როგორი თავგამოდებით ეყრდნობა იგი ამ თავის უვიცობას, ვითა ჭეშმარიტებას... —

მზე ჩასულიყო. ისინი მიდიოდნენ ვიწრო, კლაკნული ბლიკით, რადგან ეს მიდამოები მღებარეობდნენ ქალაქგარეეთ. ივანე მეტყველებდა:

— ვითომ არ შეიძლება არსებობდეს ისეთი რამ ამ ქვეყნად. რაც ადამიანმა არ იცოდეს! რა თქმა უნდა. ასე ღმერთი ზღაპარია! მაგრამ იქ-თი მიბრძანე, ვანა ჩვენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენი თავი კი ვიცით? არა, ჩვენ ჩვენი თავი არ ვიცით! ვიცით ესა თუ ის გზა, თუ მდინარე, სად იწყება და ჩნდება, სად უხვევს, სად თავდება, ჩვენი თავისა?! ეს არ ვიცით! ან რა არის გასაკვიროლო, ადამიანის ცხოვრებას რომ უფრო მეტი აზრი და განიერება გააჩნდეს, ვიდრე ის აზრი, რაც დღეს მას გააჩნია: ჭამა-სმა, ძილი და სიკვდილი!... —

ქალაქში შევიდნენ. მოხუცი თომას დაემშვიდობებოდა გია დაარიგა სახლში მალე მისულიყო და საუბრით ცოტათი გულმოფხვრებული, უკანვე გაბრუნდა.

ვანო უთენელიძე ქალაქის ხეივანში იყო. იგი გაიხმეს. მცირე საუბრის შემდეგ, თომა ფერეული, გოგია კოკოსაძე და ვანო უთენელიძე გაემართნენ ვანოს სახლისაკენ. მათ აედევნათ წყალქვეშა. ჯერ წყალქვეშამ თუთუნის შეახვივა, ააბოლა და როდესაც ის სამნი დაწინაურდნენ, გაჩაღებული თუთუნის გადაადგო.

წყალქვეშამ სრულებით არაფერი იცოდა; იგი ასრულვლელად მხოლოდ წესს, რომ ასეთ საქმეში მეთვალყურეობის დროს საჭირო იყო გამრჯელობა: ვინ იცის სად რა გამოვიდოდა.

დალილი თომა დასაძინებლად წავიდა. ამ საღამოს იგი იძინებდა ონისიმეს სახლში. ონისიმეს უბანს უკვე ეძინა. იღვა სიჩუმე. ქუჩას ანათებდა ელექტრონი და მთვარე, ორივე ერთად, თუმცა ეს იყო სულერთი; სულერთი იყო აგრეთვე ყველივე ის, რაც თომამ დღეს ნახა, მოისმინა:

ბიძია ივანე ამბობდა, რომ ქართველი ერი დიდი მორწმუნეა და ეკლესიების დაკეტვას ვერ აიტანსო, ხოლო გოგია არ დაეთანხმა და საერთოდ გოგია აღმოჩნდა სრულიად მოულოდნელი რაღაც, თუმცა ღირსი პატივისცემისა! გოგიამ ჯერ სთქვა:

— ჩვენი ქვეყანა არასოდეს მორწმუნე არ ყოფილა, ჩემო ძვირფასო ბიძია! — მერე სთქვა:

— ქართველ ერს ამ საგნისათვის არ ეცალა, თუმცა მისი ბუნება მოყვარულია ნათელიობის, გარკვეულობის და ყოველივე იმისი. რასაც ადამიანმა შეიძლება ხელი მოჰკიდო, ხელი შეახო... — და როცა ამაზე ბიძა გაჯავრდა,

— ცხადია, ეკლესიების დაკეტვა დასაგმობია, მხოლოდ გოგიამ დაასკვნა:

მე იმისი თქმა მინდოდა, რომ საკითხი ღვთის ძიებისა, სრულებით არ არის ქართული საკითხი... —

ბიძია ჯავრობდა, გოგია არა. და თუმცა ასეთ კარგ საგანზე იყო მსჯელობა, თომა არც ალელვებულა და არც სურვილი მოსვლია რამეს თქმისა.

„ნუთუ მართალი იყო კოტე, რომელმაც თომას უთხრა ავად ხარო!“ თომამ ოდნავ, ოდნავ გაიღიმა. ღიმილს იწვევდა მოხუცი ივანე, რომელმაც ბრძანა:

— არა, ჩვენ არ ვიცით ჩვენივე თავი! —

20

წყალქვეშამ ძალიან შორს გაუშვა ორი ახალგაზრდა, გოგია და ვანო, რომელთაც ილიაში ამოჩრდილი რაღაც მიჰქონდათ. საგანი, მათ რომ მიჰქონდათ მძიმე უნდა ყოფილიყო.

წყალქვეშამ გამოცდილი ადამიანი იყო. არც მოტყვივლება შეიძლებოდა მისი ადვილად, არც აჩქარება. მას სურდა ამ საღამოს. მხოლოდ ბინა გაეგო იმ საგნისა: შემდეგ, ოდისმე საგნის ვინაობაც გამოიჩვენებოდა. საჭირო იყო სიღინჯე.

როგორც გვითქვამს. „წყალქვეშამ“ მეთვალყურეობდა ადამიანის საქციელს და თუ კი რაიმე საეჭვოს შენიშნავდა, იგი აცნობებდა მთავრობას.

ახალგაზრდებმა სტამბა მიიტანეს მოხუცი ივანეს სახლში. ვანო დაბრუნდა მარტო.

ანათებდა მთვარე და ქვეყნიერება მთვარის შუქზე იყო ზღაპრულად ბუნდოვანი და დაიდა: ამ ბუნდოვან ქვეყნიერებაზე, მიმოდოდა გარემოს ეშხით მთვარალი ვანო უთენელიძე. მან შეუხვია სოლომონ ფერეულის სახლისაკენ. მართალია მანანას ვერ დაინახავდა, მაგრამ დაინახავდა ეზოს, სახლს. ფანჯრებს და ეს მეტად საჭირო იყო, რადგან ვანო უთენელიძე, საქვეყნო საქმეებში იმარჯვებდა, ეხლა-ხან სტამბა გადაზიდეს და რაა დასამალი! ყოველივე ეს, ეკუთვნოდა მანანას; საქმეებიც, სურვილები და ფიქრი.



მაგრამ შესაძლებელია, სრულიად შემთხვევით მანანას არ სძინებოდა, არამედ ჰცმოდა თეთრი, ღამის კაბა და აივანზე მჯდარიყო.

ვანომ თვალები დახუჭა და სთქვა: ნეტავ მანანა დამანახავა! —

დღეს მანანა ბევრს იცინოდა და სიცილის დროს ირხეოდა და ვანოს ხელს ხელზე ახლებდა;

სოლომონის სახლში ეძინათ. ვანოს გული მოუყვდა.

ფანჯარებში, აივანზე თუ ეზოში არავინ სჩანდა, მხოლოდ შორს ქუჩაში, ვანომ დაინახა ვიღაც მიმავალი კაცი, რომელიც ჯერ იდგა; თითქოს რაიმეს უთვალთვალეზბდა და წასვლა არჩია, რა დაინახა მოახლოვებული ვანო.

ვანო დაღვინდა. ის იყო წყალქვეშა. „ამ ქოფაკს შემეხედე!“ მუქარით ამბობდა გულაძგერებული ვანო;

მან ჯერ იფიქრა წყალქვეშას დასძგერებოდა და გაელახა. მაგრამ მალე გონიერებამ სძლია.

ვანო უთენელიძე სახლისაკენ გაბრუნდა.

21

მეორე დღეს, როდესაც ვანო მშობლებთან ერთად სადილად ჯდებოდა, იყო მდუმარე ვით ადამიანი, რომელიც მნიშვნელოვან საქმეებს აკეთებს და ეს საქმეები ჰგვრიან სიამოვნებას.

ჩამაც სდუმდა. დედაც.

მაგრამ მშობლების დუმილი, რომლისთვისაც ვანოს ყურადღება არ მიუქცევია, იყო მშობლები და სხვა-დასხვა ნაირი. დედამ რამდენჯერმე ძრწოლვითა და უმწეო ვედრებით შეჰხედა თავის მეუღლეს, რომელიც წარბ-შეკრული იჯდა და ყველაფერზე ემჩხეოდა, თუ როგორ გასრტება მჭალი, როგორ შესვც ღვინო, რომ იყო განრისხებული. მაგრამ ჯერ არ ამჟღავნებდა. სადილი გათავდა.

ადგომის წინ ჩვეულებრივ, ვანო დედას მოჰხედავდა და მიდიოდა შემდეგ, ხოლო მამა ამ დროს, ყოველთვის მშვილობიანი ხმით ამბობდა ლოცვას: გმადლობ შენ მეუფეო, რამეთუ გაძაძღენ მე... — ეხლა მამამ ვანოს უთხრა:

— გამიგონე! —

ვანო განცვიფრებული შესდგა, რადგან მამამ თითქმის ყვირილით წამოიძახა: გამიგონე! არასოდეს მამის ყვირილი ვანოს არ ჰსმენოდა. მამა ჰყვიროდა:

— მე შენ ვთხოვ სწორედ, ამ ხალხს თავი დაანებო, თორემ ჩვენ ვერ მოვეწყობით! შენ კარგად იცი მე რაზე გელაპარაკები და მე არ მინდა, რომ ჩემი შვილი იმათთან ერთად ეკლესიებს ანგრევდეს და მამა-პაპეულ სარწმუნოებას ებრძოდეს! მე ის არ მინდა, გესმის! —

დედას თვალთ ცრემლები მოადგა, რადგან ვანო გაფითრდა და გაფითრებულმა სთქვა:

— მე არ მესმის... მე ვიცი რას ვშვრები! —

ვანო წავიდა. ისე ჩქარა წავიდა ვანო, თითქმის გაიქცა, კარები მიახეთქა, ხოლო მამა კიდევ დიდ-ხანს ბობოქრობდა.

ვანო ტალავერში იჯდა; სჭამდა ატამს. რამდენჯერ დამშვიდდა და ისევ აღელდა.

მამამ სთქვა:

— მე შენ კარგად ვერ მიცნობ ბიჭო, მიფრთხილდი! — ეს იყო მუქარა; ვანოს მუქარის არ შეჰმინებია და მანაც უპასუხა:

— ვერც შენ მიცნობ კარგად. მამა-ჩემო, ბავში არა ვარ! — ამის შემდეგ ვანო ტალავერში გამოიქცა.

ატამი იყო ტკბილი და სუნნელოვანი და მის ნათალს, გელეში არც სჭამდა, არც კისერზე იყენებდა. ვანო ჰფიქრობდა:

„სულელებია მოხუცები! ვანომ რომ არ გააკეთოს, განა სხვა ვერ გააკეთებს? რაც მთავარია, ამითი ვანო მშვენიერად ემუშავებს და ბოლშევიკები ექვს ვერ აიღებენ! სამწუხარო იყო რომ არ შეიძლებოდა ამისი თქმა, თორემ მამას რომ ეს სკოდნოდა, აბა რას იყვირებდა!? ნეტავ მართლა თუ მორწმუნეა მამა!

გარეგნობით: გადაპარსული თავი, ოდნავ შეხუთული თეთრ-ნარევი წარბები. დაშვებული უღვაშები, ხოლო მთლიანად სახის გამომეტყველება — თვით დარწმუნებული ერთეული. იგი უფრო წარმოდგინებოდა ძველთაძველი ქართული სიმღერების მოქმედ პირად; ეს სიმღერები: გურული, მეგრული, აფხაზური, სვანური, მთელი პოემებია, არიან დიდათ წარმართულნი, მეტად ხმოვანნი და ყოველი ხმა ილტვის თავისი განსაკუთრებული გზით, რათა მეტოქეობაში ერთი-მეორე გადაჰკვეთონ, შემდეგ გასაოცარი მოულოდნელობით გაიყარონ, ზოგი უფსკრულის პირად, საიდანაც ბოლივით ზოზინობს ნისლი, ზოგი ტყეში, რომელიც აყვავებულა და სადაც ხან ფრინველთა გლობა პოულობს უპირატესობას, ხან მხეცთა ღმუილი და მხოლოდ იშვიათად, ამ სიმღერებში, ხმები თანხმდებიან და ემორჩილებიან კეთილ სმენას.

გარდა ყველაფრისა, ისინი არიან გმირულნი და უღაგოა. არიან შექმნილი ძალ-ღონით აღსავსე მამაკაცთა მიერ, რომელთაც ამ ქვეყნად ბევრი უცხოვრიათ, ბევრი უხილავთ და საბოლოოდ უცვნიათ და მიუღიათ მხოლოდ მიწვიერი“ — არალუი!

მზე გადახრილიყო. ვანოს უნდა ენახა კოტე ფერეული და ორიოდე ეთქვა, წყალქვეშას წუხანდელ შეხვედრის შესახებ; უნდა ენახა აგრეთვე და მოესმინა მანანა, თორემ ისე გაძლება იყო შეუძლებელი და უმიზნო.

22

მთელი დღის განმავლობაში კოტე ფერეული დარწმუნებული იყო, რომ მერაბის სახლში არ წავიდოდა, მაგრამ საღამოს კოტე იქ იყო.

მაია იცინოდა შეხუთული ხმით. კოტეს ეს აღელვებდა; აღელვებდა აგრეთვე ის, რომ ქალს ტიტველ ფეხზე აჩნდა პაწია შავი ბუსუსები და მოძრაობის დროს, სხეული მიმოჰქონდა ზანტად.

ოთახში სინათლე ჩააქრეს. ჩააქრო კოტემ.

ფანჯარაზე მომდგარიყო მთვარე, დიდი და რაღაც ბრიყულად მოღიმარი და მაიამ, ძველი, მდაბიოთა ჩვეულების თანახმად სცადა გულსაკინძის შეზნევა, რათა მთვარისათვის მკერდი არ ეჩვენებია. კოტე გააზვლდა,

— შენ უთუოდ გინდა გამავიყო მაია! — თავდავიწყებით იძახდა იგი.

ქალი თრთოდა, ის იყო არა ჩვეულებრივი: ენებიანი და ჯიუტი.

— არა ფერეულის ბიჭო, არა, მერაბი მოვა!.. — და როცა, მართლა მოისმა ცხენების ფრუტუნის, ხოლო მთვარის შუქზე, კედელზე ჩაიარა მხედრის ლანდმა და შეშინებულმა მაიამ იწყო ბუტბუტი: — დავილუპე, დავილუპე! — კოტემ სთქვა:

— მე არ მივდივარ! მით უარესი შენთვის —

გავიდა მკირედი ხანი, საკმარისი იმისათვის, რათა მხედარი ცხენიდან ჩამომხდარიყო, კეხი და საპალნეები ჩამოეხსნა და კარებზე გაისმა რახუნნი.

— რა ღმერთი გავიწყრა, ქალო! —


მაიას უკვე ეთქვა კოტესათვის: გადარეული! კოტე წასულიყო. მაიას თითქოს ეძინა.

მან უსაყვედურა ქმარს:

— შემაშინე ერთობ! — ეს გამოვიდა ბუნებრივი.

მიუხედავად ამისა, არ გასულა ერთი კვირა, რომ კოტე ფერეულს მერაბისაგან მოციქული მოუვიდა. მოციქული ხნიერი კაცი იყო და რათა ამბავი საიდუმლოდ შენახულიყო, კოტე ცალკე გაიხმო. მერაბს ყოველივე შეეტყო.

— ეხედავ გამიწყრა ღმერთი! — უთვლიდა მერაბი კოტეს — ჩემთვის თავი მოგიჭრია, მაგრამ არ იფიქრო შეგარეს; დღეის ამას იქით, ჩვენ ვართ მტრები! დრო იშოვო მომკალი, დროს ვიშოვი მოგკლავ! — გულისტკი-



ვილით წამოსცდენოდა მერაბს მოციქულთან: — ცალთ-
ვალა რომ ვარ, იმ უსინიდისო ფერეულმა იმიტომ დამ-
ჩაგრაო! —

ეს სიტყვები კოტეს ნამეტანი ეწყინა:

— რა უთქვამს იმ ოჯახქორს — წამოიძახა შეწუხებუ-
ლმა; ბოლოს გაჯავრდა და მოციქულს დააბარა:

— რას ამბობს, მე არ ვიცი... მაგრამ თუ რაიმე ჰსურს,
მოვიდეს და ჰქნას, როდესაც უნდა, სადაც უნდა! —

23

ორი თვის პატიმრობის შემდეგ განთავისუფლებული
ლევან ფერეული, მდინარე ფიჩორის პირად იჯდა და
თევზაობდა. იქვე იჯდა ვანო უთნელიძე, რომელსაც აგ-
რეთვე ჩაეყარა მდინარეში ანკესები, მაგრამ ლევანმა
იცოდა, რომ თვალი უნდა ედევნებია ვანოს ანკესების-
თვისაც, რადგან ვანო უმეტესად ღრუბლებს გასცქეროდა.

გაწითლებული, ვეება ღრუბლები ისე ელვარებდნენ
ჩამავალი მზით, თითქოს ისინი იყვნენ ქვეყნად რომ ჰგზა-
ვნიდნენ სიტბოს.

ღრუბლებში სჩანდა მანანა. მანანა იყო ყოველგან: მას
ეკუთვნოდნენ ფიქრები და მთელი არსება ახალგაზრდა
კაცისა.

რამდენი ხანია ვანოს, არც არაფრის გაკეთება შეეძლო,
არც ჰსურდა. ეს იყო საშიში, შეიძლებოდა ჩამორჩენა!,
თუმცა ირგვლივ, ყოველგან სადაც კი სმენა მიწვდებოდა
გაიძახოდნენ: რომ ესლა იყო დრო ბრძოლათა და გამარ-
ჯვებათა და არა შემოქმედების!.. ბრძოლაში ვანოც ერია
და გამოდიოდა, რომ არ იყო დიდი შეცოდება თუ ღამით,
წიგნს განზე გასტყორცნიდი და დაიწყებდი ქალაქის მძი-
ნარ ქუჩებში ხეტიალს, როდესაც უნებურად, სადაც არ
უნდა წასულიყავ, მანანას სახლთან აღმოჩნდებოდი და
ბუტბუტებდი: მანანა!

დედამ უთხრა:

— შეილო, შენ ძალიან გახდი და საქმელს ვერ ჰემ;
იქნებ ავად ხარ შეილო! —

დედა მუდამ შფოთავდა და ანგარიშში ჩასაგდები არ
იყო —

უეცრად ვანო უთნელიძემ იწყო თრთოლევა; გარეგნუ-
ლად მშვიდსა და ფერმკრთალს, სუნთქვა ეკვროდა და
ამისი მიზეზი იყო სიხარული იმის გამო, რომ მან გადას-
წყვიტა მუშაობის დაწყება. ვინ იცის საიდან დაიბადა ასე-
თი გადაწყვეტილება, მხოლოდ იგი იწვევდა ერთსა-და-
იმავე დროს სიამესა და ტკივილს, შიშსა და სიამაყეს და
ყმაწვილი კაცი თავის-თავს არწმუნებდა: „რა საჭიროა
დიდრონი ნივთების წერა, მაგალითად მანანას სურათი!
ვანოსთვის ეს ჯერ ძალიან ადრეა; საჭიროა პირველ-ყოვე-
ლისა სწავლა, სწავლა და შრომა!“

აი, ეგრედ წოდებული მკვდარი ბუნება!“

მხოლოდ მუშაობის დროს, ჩემო უძვირფასესო მანანა,
უნდა ჩაიძირო საკუთარ არსებაში: აკი ჩაძირულ არიან
მდინარე ფიჩორში ეს ტყეები და ღრუბლები! და როდესაც
შენ დასწერ საგანს, ისე ვით ახალშობილს ახლავს
დედის სისხლი, აგრეთვე იმ საკანს უნდა ახლდეს შენი
სისხლი და ხორცი, რადგან იგი ამოგყავს საკუთარ სხეუ-
ლიდან!“

„ამრიგად, ჩემო პატარა ბატონო ვანო უთნელიძე, ჩვენ
მივიღებთ მოვლენას, ნივთსა თუ საგანს, რომელიც არსე-
ბობს სინამდვილეში და რომელსაც ზედ ერთვის ის ადამი-
ანი, რომელმაც მოვლენა თუ ნივთი ჩვენ წარმოგვიდ-
გინა! ეს გახლავთ შემოქმედება!“

და ნურასოდეს ნუ შეშინდები წარმოდგინო ისე, რო-
გორც ჰხედავ, იყავ გამბედავი! დეე სხვებმა გადარეულად
ჩაგვთალონ, მხოლოდ შენ უნდა იცოდე, შენ უნდა გახ-
სოვდეს, რომ გადარეული არა ხარ!“ —

ასე ასწავლიდა ბავშობისას პატარა უთნელიძეს ბატო-
ნი ვლადიმერი. ბატონი ვლადიმერი იყო მხატვარი. იყო

კოქლი, დიდი, ოთხ-კუთხი თავი ჰქონდა, არასოდეს არ
იციოდა, მაგრამ ბავშვები გრძობდნენ მის სიყვარულსა
და ბავშვებს იგი უყვარდათ.

ვანო უპასუხებდა მასწავლებელს.

— კარგი ვალოდია, მესმის ვალოდია! — რადგან ბა-
ტონმა ვლადიმერმა ვანოს უბრძანა:

— მე შენში ვხედავ ამხანაგს, ასე რომ ჩვენ შეგვიძლია
ერთმანეთთან ვიყოთ შენობით! —

ვანო წამოდგა. ასეთ ფიქრების შემდეგ ძნელი იყო და-
ყოვნება და დროს კარგვა; საჭირო იყო მუშაობა, წინ-
სვლა და საზოგადოდ რაიმე მოძრაობა, რაიც ითხოვდა
ძალ-ღონეს, ნიჭს, ნებისყოფას. მართალია, ირგვლივ ყვე-
ლაფერი იყო კარგი! მდინარის პირად, იქვე სადაც თევ-
ზაობდნენ, იწვო ორი კამეჩი და ვანომ, როდესაც წამოწვა,
ერთ მათგანს მენჯზე თავი დაადო და კამეჩებს ეს არ გაჰ-
კვირებიათ, არამედ განაგრძობდნენ ცონხას;

როდესაც მზე გადაიხარა, მდინარეს მოედო ნისლი, რა-
დაც სუბუქი ობობას ქსელის დაგვარი, მასში ირეოდნენ
პაწია მწერები თუ ქინქლა და მის დაბლა მიდიოდა მდი-
ნარე.

ლევან ფერეულიც იყო კარგი. ის იჯდა უხმოდ და მის-
ჩერებოდა თავის ანკესებს. ლევანი იყო ახალგაზრდა, მაგ-
რამ ვანოს ფიქრით, იგი ჰგავდა ძვილ, წარმართულ სარ-
წმუნოების სასულიერო პირს, რომელიც მღვდარეულსავე
ლობდა; და საზოგადოდ აქ, მდინარე ფიჩორის პირად,
ლომილი იყო მეტის-მეტე! ეს იქნებოდა მშვენიერი, ვინმე
მოხუცი ადამიანისათვის, მხოლოდ ვანო უთნელიძე, რო-
მელმაც მუშაობა გადაწყვიტა, აღლევებული წამოდგა.

„მდინარე ფიჩორი ღრმაა და თევზებიც უთუოდ სილ-
რმეში მიმოდიან, მაგრამ თევზაობის დროს ხმაური მაინც
არ ვარგა; გარდა ამისა, დუმილი და მყუდროება ფიქრითა
სარბიელია, თუმცა ქვეყნად რომ სამართალი ყოფილიყო,
ლევანი არ უნდა მჯდარიყო ამ დროს აქ, არამედ საქმეები
ეკეთებია“ —

ასე ედავებოდა თავის-თავს ლევანი და ამ დავაში პო-
ულობდა გამოხატულებას ყოველივე, რაც ირგვლივ ხდე-
ბოდა, აგრეთვე რაც მომხდარიყო.

საპყრობილეში ჯდომას ლევანი დაესუსტებია. არც
რაიმე ბრალდება წაეყენებიათ მისთვის, არ დაუკითხავთ.
სტამბა გადარჩენილი იყო. იგი მალე დაიწყებდა მუშაო-
ბას.


მაგრამ არავითარ კმაყოფილებას არ ჰგვრიდა ლევანს
ასეთი მუშაობა; მისი აზრით, ხალხი იმდენად იყო ხელი-
სუფლების წინააღმდეგ ამხედრებული, რომ საჭირო იყო
ზრუნვა მხოლოდ არსებით ბრძოლაზე და რაც მალე, მით
უმჯობესი: სტამბები, მიტინგები და აგიტაციები იყო არა
თუ შედმიერი, არამედ მავნე, რადგან ეს ხდებოდა მიზეზი
ხშირ და მრავალრიცხოვან დატუსაღებათა.

ლევანი, საპყრობილედან გამოსული, საზოგადოებამ
მიიღო როგორც გმირი; ლევანი გმირი არ იყო და აი, ვა-
ნოსთან ერთად განმარტოებული, იგი ფიჩორის პირად
იჯდა და თევზაობდა.

არც ამაში იყო ძველებური, ბავშური სიამოვნება. არც
თევზი იჭირებოდა. ერთად-ერთი ლოქო დაეჭირათ, რო-
მელიც წყალში ჩაებათ და არ არის საკვირაოლი, რომ ვა-
ნომ მწოლარე კამეჩებს თავი ანება და ზე-წამოხტა.

ვანო ისე დასდგომოდა ლევანს თავზე, რომ უთუოდ
რაიმეს იტყოდა, მაგრამ ამ დროს, გალმა ნაპირზე, სადაც
ერცვლი ჭაობიანი ველი მდებარეობდა, ატყდა კვიელი.

ტურები ჰკიოდნენ. ისინი იყვნენ მრავალნი. გამოზობდ-
ნენ უღრან ტყდიან, რომელიც იწყებოდა შორს ველის
დასასრულ, მორბოდნენ ველზე ლაქაშებებსა და ლერწმე-
ბში, ჰხტოდნენ და შემყურენი ჩამაყალ მზისა, როდესაც



თვით მზისაგან დაწითლებულნი სისხლიანებსა ჰვადნენ, აღებდნენ წითელ ხახას და ჰვოდებდნენ.

ისინი მოსდევდნენ მზეს, რომელიც ნელა ესვენებოდა და მათ კივილში ისმოდა სასოროწარკვეთილება მგლოვია-რე ქალისა და შიში თავზარდაცემულ ნადირის.

არა ერთჯერ სმენოდა ვანოს ამ პაწია მხეცების ტირი-ლი. იგი მას მუდამ ცუდ გუნებაზე აყენებდა. ვანო გაშე-შდა. ასე გაშეშებული, დიდ ხანს გასცქეროდა იგი ველს, მერე ლევანთან უნმოდ დაჯდა. ლევანს ხმა არ ამოუღია.

მზე ჩაესვენა და კივილი შესწყდა. ტურები მიმოიფან-ტნენ. მაშინ ვანომ სთქვა:

— ავლელდი! —

— მეც ავლელდი — უპასუხა ლევანმა, მხოლოდ ეს არ იყო მართალი; ლევანი რაღაც სასაცილოს პოულობდა, როგორც მხეცების, ისევე ვანოს საქციელში. ვანო შეში-ნებულყო.

ვანოს შიშს იწვევდნენ არა მხეცები, არამედ წარმოდ-გენა იმისი, რომ ოდესმე დაირღვევა ნათელი, მზე საბო-ლოდ ჩაესვენება და ამაზედ სტირიან ეს ცხოველები.

ვანოს ეს ჰქონდა ნათქვამი ძველად და თუმცა ისეთ მე-გობარს ეუბნებოდა, როგორც იყო ლევანი, მაინც ეთაკი-ლებოდა ამისი გამჟღავნება.

„დახე რაებს გრძნობს ეს პატარა ბავში? — განცვიფ-რდა მაშინ გონებაში ლევანი. ვანო მას ეჩვენა ძლიერ სა-თუთი და გამჭვირვალე; ყოველივე ეს იყო განსაკუთრე-ბული და კარგი.

— დიახ, მეც ავლელდი — ამბობდა ლევანი და ახვევდა ანკისებს.

მზის ჩასვლის შემდეგ, ველურმა ფრინველებმა საღლაც ერთი-ორი დაიკვივლეს და იწყო ნელ-ნელა დაღამება. ყო-ველივე მიყურდა.

ვანო, რომელსაც ხალისი დაჰკარგოდა, ავადმყოფივით დაუძლურებულყო და ხმას არ იღებდა. ლევანიც სდუმდა. იგი მფარველობდა და პატრის სცემდა ვანო უთნელიძის ყოველგვარ განწყობილებას.

ის იყო ახალგაზრდებმა ანკისები აჰკრიფეს და ბაიდაში ჩაალაგეს, რომ მდინარეში გამოკრთა თომას ლვილი. შიგ იყვნენ თომა და ონისიმი.

— სალაში ყმაწვილებო! რა ინადირეთ! — დაუძახნეს მათ ახალგაზრდებს.

— ბევრი ვერაფერი... კაცო დაგვიცადეთ რას ვარბი-ხართ... —

ნიჩაბზე იჯდა ონისიმი, მდინარის ჩქერიც შევლოდა და ამის გამო ლეილი მიჰქროდა ვით გატყორცნილი. უკვე შორს იყვნენ ისინი როდესაც მოსძახეს:

— მოკლდას რომ ითხოვთ არ გცხვენიათ? ახალგაზრდე-ბი ხართ, თაგვიწიეთ... —

ახალგაზრდები დატრიალდნენ: საჩქაროდ ჩასხდნენ ბაიდაში და ლევანმა მოჟსუა. ვანოც შეელოდა. შესაძლე-ბელია მართლა დასწროდნენ და თომა რომ შორიდან დას-ციხროდა. იჩნებ გაიწბილებიათ. მაგრამ ნიჩბის თოკმა უმ-ტყუნათ. თოკი გაწყდა და ორივენი ბაიდაში ვადაკოტ-რიალდნენ.

ეს მოკლენა უთუოდ სასიამოვნო რა სასაცილო იყო.

დინჯი ონისიმეს სიცილიც მოისმა, ხოლო თომამ ხმა მოაწვდინა: რომ ასეთი ყოჩალი ბიჭები მას მეტი არსად ეგულვება და რომ სიცილით ლამის გასკდეს!.. —

ახალგაზრდებიც იცინოდნენ. თომამ კიდევ მოაწვდინა ხმა:

— ნახვამდის, ნახვამდის! თქვენისთანა სტუმრებს მე არ ვღებულობ და სადაც გასურთ იქ მობრძანდით! —

ვანომ ლიმილით სთქვა:

— მთლად მასხარად ავგილო თომამ... მაგრამ ვაი თუ მართლა არ მიგვილო...! —

მათ ლამე უნდა გაეთათ თომას კარავში. თოკით ნიჩ-ბები ისევ დაამაგრეს და გზა განაგრძეს, თომას ლვილი აღარსად სჩანდა; ერთგან მათ დაინახეს ნაპირზე მიბმული

ბაიდა და ვილაც კაცი, რომელიც ტყიდან გამოვიდა, შოა-ბიჯებდა წელამდე ლაქაშში და მოემართებოდა ბაიდი-საკენ.

— ბიჭო, ბიჭო შეხედე! — აღელდა ვანო. ლევანი გან-ცვიფრდა.

— ერიჰაა! —

ახალგაზრდებმა იცნეს წყალქვეშა. ის იყო წელში მოხ-რილი და ისე მიდიოდა, თითქოს რაიმეს ეპარებოდა; დაბ-ლა დაშვებული ხელები სჩანდნენ ძალიან გრძლად.

— მოდი ლევან თუ ძმა ხარ გამოვეჩხაუროთ! —

— გიჟი არ იყო! —

ვანომ მუქარით სთქვა: ჰო მე მაგისი... წყალქვეშა დიდ გამრჯელობას იჩენდა. ერთსა და იმა-ვე დროს მას ხედავდნენ ყოველგან.

— სირცხვილით აღარ უნდა მოდიოდეთ სწორედ — ასეთი სიტყვებით შეხვდა კარავში თომა ახალგაზრდებს. ონისიმე წასულიყო. კარვის წინ ენთო ცეცხლი, ზედ ქვა-ბი ეკიდა, ხოლო მოშორებით. ბალახებში იწვა მურა, რო-მელიც სტუმრების გამოჩენაზე არც შერბეულა.

მოიტანეს ლოქო და დაუწყეს ხარშვა.

— მოდი, თომა, დალაბული გააკეთე — ეს ითხოვა ლევანმა. თომა ცეცხლში ნორჩ სიმინდებს აწყობდა შე-საწვავად: მან გაიღიმა და პასუხი არ გაუცია.

თანდათან ეშვებოდა ლამე და (იქცხლსა რა კვამლს ეძ-ლეოდა ფერი. რამდენჯერ მიმოიხედა ვანომ ირგვლივ, ყურიც დაუგდო და ღრმად ამოისუნთქა და თუმცა არ წამოსცდებოდა, ეს უღრიდა წამოძახილს: უჰ, რა მშვე-ნიერებაა! —

წყალში, ზოგჯერ შორს, ზოგჯერ სულ ახლოს ისმოდა თევზების ტლაშუნი, ტყეშიაც გაისმოდა და მისწყობებოდა სულიერთა სხვა-დასხვა ხმები, გამომხატველი უმწეობისა თუ შიშის.

როდესაც წყალქვეშამ ჩაიარა, მურამ თავი აიღო და ავად დაიღრინა. თომას არ გაჰკვირვებია წყალქვეშას გა-მოჩენა, მხოლოდ როგორღაც დადუმდა და ნაღვლიანი თვალებით მიაჩერდა იქცხლს.

— ეჰ, სწორედ საბრალოა ადამიანი... ეს უბედური მაინც ცუდათ გაათავებს... —

იქცხლის პირად ივანშმეს. ჰქონდათ ქინძის ძმარში და-ლაბული ოლაჟი. სოლაჟნი, გაფიცებული მჭადი და შემ-წვარი ნორჩი სიმინდები. აკლდათ და ნატრობდნენ ლეი-ნოს.

ვანშმის შემდეგ ხსისათი გამოიცვალა. ვანომ უთხრა თომას:

— ღმერთმა ავაშენოს თომა, ეს ვანშამი სწორედ დიდე-ბული იყო! —

ლევანმა უთხრა თომას:

— მაგრამ გახსოვდეს, თომა, შემდეგში უნდა დაგირჩეს ლენოც —

ტყის თავზე დასდგომოდა მთვარი; მთვარის შუქზე კაშ-კაშებდა ტბა და თომა დაბალი ხმით ლილინებდა, ხოლო ლევანი, ხანდახან ჩაურთავდა ბანს. მისი ბანი იყო რაღაც მწყრომიარე, მთრთოლვარე და მით ძვირფასი. ამათ სიმ-ღერაში, ვანო მოჰყვა ტურების ამბავს.

— აბა! ასე ავლელდი დღეს! — დაასრულა მან და შემ-დეგ იკითხა: ნუთუ ადამიანის ამდენ მღელვარებას არა-ვითარი ფასი არა აქვს! —

თომამ გაიღიმა:

— არავითარი, მოყვარისათვის არავითარი! ვინ იცის რამდენი ალღევებულა ამ ქვეყნად და რამდენი კიდევ ალღევდება. შესაძლებელია ამითი მხოლოდ სული იზრდე-ბოდეს და კარგია, სხვა არაფერი —

— შენი სიტყვები, თომა — სთქვა ლევანმა — მე მაგო-ნებს ომარ ხაიამს; ეს სპარსელი პოეტია, მას აქვს ნათქმი: ვინ იცის კიდევ რამდენი მოვა დილა... აი, ამდენი სიბ-



რძნეა ხალხში და მოვა, ვინმე ევროპის სახელმწიფო და იტყვის: ბალა-ბალა! ესე იგი, ველურები ხართო, ლაპარაკში დაგვცინებს...!

თომამ ჯერ გაკვირვებით შეხედა ლევანს, შემდეგ გაიცინა:

— ყველაფერი მწამს, მაგრამ სად ტურები, სად ევროპა, სად სპარსელი მგოსანი, საიდან სადაო... — ვანოც ფიქრობდა: საიდან სადაო!, მხოლოდ თავისი ფიქრებით, ვანო იყო ლევანის მხარეზე: „დახე, როგორ უნაფარდია ადამიანის გონებას: ტურები, პოეზია, პოლიტიკა“ ვანოსაც წაეკითხა სპარსელი მგოსნები და ამჟამად მოავონდა: „ნელა იარე! ნაიდავი სადაც დაღიხარ, მშვენიერ ასულთა ბაგეებია... შენ ჰქვენი მათ“.

დაწვინ. დაბლა ეგო ნორჩი ლერწამი, მხოლოდ ვანოს, ნატყვიარობის მიზეზით დაუფეს თომას ქურჭი.

24

აქ მოთხრობილ ამბების შემდეგ გაიდა ორი წელი. რუსეთმა დიდი სიმშლილი განიცადა, რასაც მრავალი მსხვერპლი შეეწირა. ამის შემდეგ მთავრობამ „სამხედრო კომუნისმი“ მოხსნა და შემიიღო „ახალი ეკონომიური პოლიტიკა“. „გამდიდრდით!“ ნაწილობრივ ნება-დართულ იქნა კერძო ვაჭრობა. კერძო საკუთრება. ხალხმა ოდნავ ამოისუნთქა. პოლიტიკის მარჯვნივ გადახრამ, მრავალ მოაზროვნეს მისცა იმედი, რომ ცხოვრება თავისას გაიტანდა და ასახელებდნენ საფრანგეთის დიდ რევოლუციას.

ამავე დროს, თვით ბოლშევიკთა შორის თავი იჩინა მრავალმა უთანხმოებამ. უთანხმოებანი იყენენ მრავალნი. იმ ბოლშევიკებს, რომელნიც არ იყენენ „თანახმანი“, უწოდებდნენ გადახრილთ. ხელისუფლება მათ დიდარო თანამდებობებს ართმევდა და აქვეითებდა. ამ გადახრილთ, ერი ისევე უნდობლობდა უიქიროდა ით პოლიტიკის მწარმოებელთ, რადგან მათ შორის, ჯერ კიდევ, საერთო უფრო მეტი იყო, ვიდრე სადაო.

ერი ხელისუფლებას არ ემორჩილებოდა. ამ ხნის განმავლობაში, მოხდა ორი აჯანყება. ხევსურეთისა და სვანეთის. ორივე მთაა. სუფთა და გულადი. აჯანყებები ჩააქრეს. აჯანყებათა მონაწილენი, უამრავი დაიხოცა, მრავალი ტყვედ გაიდა და ჯიჯი დასულნი. ეწიოდნენ ისეთ ცხოვრებას, როგორც შეპვების პარტიზანთ. ამ გარემოებაში, მთავრობამ გაუადვილა მიელო უკიდურესი ზომები: ტუსაღთა მძევლად გამოცხადება და საქიროების დროს ხერხა, მიხედოით სიისა და არა ბრალდობის. გარდა ამისა, გამრავლდა არა ლეგალურად მცხოვრებთა რიცხვი. ერი მათ ინახავდა. ერი იყო წინააღმდეგი ხელისუფლებისა. ხელისუფლება ატუსაღებდა ხალხს: ზოგს, როგორც აჯანყებათა მონაწილეს, ზოგს როგორც ფარულად მომუშავეს. სხვა-დასხვა პრევენციებში, ხელისუფლება მოითხოვდა დაჩქინილ იარაღს.

ეს ვითარებაც საბაბი ხდებოდა დატუსაღებათა. სატუსაღოები აივსო.

საქირო შეიქნა მოვლა ერთის მხრივ ტუსაღთა, მეორეს მხრივ უპატრონოდ დაჩქინილ მათი ჯალაბობისა. ერთსაც და მეორესაც სჭირდებოდათ ტანთსაცმელი და საკვები.

ესეც ბრძოლა იყო და ჩვეყანამ ესეც იკისრა.

სანაპირო ქალაქში. სადაც მოსავალი უკვე მოეწიათ, ყოველ საღამომობით, ხან აქ, ხან იქ ეზოებში იმართებოდა ნაღი. ადამიანები სხდებოდნენ ხის ძირად და ჩირად-დნის შუქზე არჩევდნენ სიმინდსა და ისმოდა ხმა-მალალი საუბარი, თხილის მტარევა, ხუმრობა და სიცილი. ხალხი იჩრქვდა უდარდლობას და არა იმიტომ, თითქოს კეთილდღეობა ყოფილიყო ამისი მიზეზი, არამედ ეს იყო გაგრძელება ჯანმთელ ადამიანთა ჩვეულებისა.

ამასწინად, სანაპირო ქალაქის მანდილოსნებს თავი მოეყარათ და მისულიყენენ აღმასკომში.

ქალები ითხოვდნენ ეკლესიის გახსნას; ისინი ამბობდნენ ასე:

— გაგვიღეთ ეკლესია! თუ იგი არის ცუდი, თქვენ იქნუ მოხვალთ. ჩვენს შესახებ კი, გთხოვთ ნუ იზრუნებთ, რადგან ჩვენ უკვე ხნიერი ადამიანები ვართ და გვსურს ისე მოვკვდეთ, როგორც მომკვდარან ჩვენი წინაპრები! —

ხელისუფლება დაბნეულა. ქალები ყოფილან ბევრნი და მათ შორის, ადგილობრივი ბოლშევიკების ცოლებიც; ბოლოს ხელისუფლებას გამოუცხადებია:

— კეთილი! ამაზე ჩვენ მოვილაპარაკებთ, მხოლოდ ესლა დაიშალეთო! —

ქალები დაშლილან. ეს გარემოება, სანაპირო ქალაქში იწვევდა მრავალნაირ განმარტებასა და ოხუნჯობას.

25

იდი სიციხების გამო, ზღვის პირი, ნავთსადგურის გასწვრივ ხალხით სავსე იყო.

ზღვა სრულებით წყნარი სჩანდა, თუმცა დროგამომგებით დგებოდნენ „მკვდარი“ ტალღები, რომელნიც ქშუილით ეკემოდნენ სილიან ნაპირს და აჭაფებულნი, წამით ჰფარავდნენ მას. ნაპირზე იწვენენ მობანაყენი და როცა ტალღები მათ წვდებოდათ, იწყებოდა ჟივილ-ხივილი. აქვე, სილაში იწვენენ ჩვენი ამბის გმირები: კოტე და ლევან ფერეულები; ვანო უთნელიძე, გოგია კოკოსაძე და ორიც სხვა ახალგაზრდა.

ზღვიდან ახლად ამოსულ ჩვენს გმირებს, ტანთ სილა ერტყათ, თითქოს შემოსილები იყენენ, სახეზედაც სილა ჰქონდათ და უცნაურად უელვარებდათ სოკელი თმა და სიცილის დროს თეთრი კბილები. მზეზე გაწოლილნი ისინი ბჭობდნენ.

კარგ ფარულ მუშაობად, ისეთი მუშაობა ითვლება, როდესაც სჩანს ვაკეთებულნი საქმე და არა გამკეთებელი.

ბოლშევიკებთან ეს არ იყო ადვილი, რადგან თვით ისინი დახილოვნებული იყენენ ასეთ საქმეებში და დაახლოებით შეიძლოთ წარმოედგინათ. თუ სად რა გაკეთდებოდა, ჩვენი გმირები, ზღვის პირად, წარმოადგენდნენ თითებს, რომელნიც მუშაობდნენ და თუმცა მუშაობდნენ ერთად, ევალბოდნენ არ სცოდნობდათ სხვა არაფერი გართად იმისა, რასაც თვითონ აკეთებდნენ. საქმე ეხებოდა ადამიანთა სიციხეს და გადაჭარბებულ ცნობისმოყვარეობას, ვინა ცოდნას, შეეძლო გამოეწვია სისხლი.

ორი უცნობი ახალგაზრდა ჩამოსულიყო სხვა-დასხვა სოფლიდან. მათ, ორთავემ ერთი და იგივე სთქვეს: რომ ხალხი განიცდის უკიდურეს გაჭირვებას, რომ არიან მზად და მოითხოვენ შეიარაღებულ დარტყმას. ახალგაზრდების ასეთი განცხადება, ყველაზე უფრო ლევან ფერეულს მოეწონა:

— ვამბობ, მეგობრებო, გულსიწყრომით და საყვედურით: სამსახურში ჩემთან, დღეს მოდის ორი ახალგაზრდა და მაწვდის სიას; რა ამბავი? ტუსაღთათვის აგრძობენ ფულს, სურსათს ან ვისაც რა შეუძლია. ვკითხულობ სიას; ვინ გინდა შიგ არ არის; ანიკო ბადრიძე, ბარბაღე ბადრიძე, მთელი ქალაქი! ამხანაგებო, სია ბავშებს მე აუკრძალე... ამის მეტს არაფერს ვლაპარაკობ. ასეთი სიებით ჩეკა, არა თუ ხალხს იჭერს, ასახლებს კიდევ. თქვენ ამას ეძახით ბრძოლას, მე კი ეს მგონია ისეთი საზრუნავი, რაც ევალბებათ მოწყალების დებს... —


გოგამ სთქვა:

— ო, სიები არ უნდა ჰქონოდათ! —

კოტე ფერეულმა სთქვა:

— ლევან ფერეულო, შენ უნდა ყოფილიყავ ჩემთან ჯარში და მაშინ გასწავლიდი, რომ ბრძანების ასრულების დროს მსჯელობა არ შეიძლება! —

თის წადილი ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის. სომ-



გაიცინეს და წამოიშალნენ.

— აბა, მოგზაურობა ზღვაში — იძახდა კოტე ფერული.

— მშვიდობიანი თუ არა მშვიდობიანი! —

— მშვიდობიანი, მშვიდობიანი! მე არ შემიძლია, გაბერილი ვარ — ჰყვიროდა ვანო უთნელიძე. ეს იმას ნიშნავდა, რომ ცურაობის დროს, ერთი-მეორე არ ჩაეყურე უმელავეებით, არამედ ეცურად წესიერად. და არ დაესრულებია ვანოს თავისი სიტყვები, რომ კოტე ფერულს მან თვით ფეხი გამოსდო. კოტე წაბორძიკდა, ხოლო ვანო, შეშინებული რათა კოტეს ხელთ არ ჩავარდნოდა, ხარხარით ზღვისაკენ გაიქცა. მას მიჰყვნენ და ემჩიოდა, რომ მოგზაურობა არ იქნებოდა მშვიდობიანი.

ამ ადგილას, დიდი მანძილი უნდა გაველოთ ზღვაში, სანამ სიღმეს მიახწევდნენ; ვანო უთნელიძე, სანამ თეძოვებამდე წყალი მიწვდებოდა, ხტუნვით გარბოდა; შხეფებმა მას სილა ჩამოჰბანეს და გამოჩნდა, მზეზე გაშავებული და მშვენიერად აგებული სხეული. ზურგში ოდნავ აჩნდა ნატყვიარი. ვანოს ბეჭებზე მოხვდა სოფელი სილა, შემდეგ მოხვდა კისერში, ამას კოტე ისროდა და ვანო უთნელიძემ ხელზე გაწვდილმა წყალში დაიწყო ცურვა.

ხუთივენი კარგად სცურავდნენ; მხოლოდ სოფლელი ორი ახალგაზრდა, უთუოდ სოფლად, მდინარის სისწრაფეს შეჩვეულები, ხელს ჩქარ-ჩქარა ხმარობდნენ; ზღვაში ეს საჭირო არ იყო.

ვანოს დაეწივნენ.

როდესაც კოტე ფერული ვანოს მიუახლოვდა და წყალზედ, ერთბაშად წელამდე ამართული, აწურულ მკერდითა და მკლავებ ვამლილი ვანოს დააცხრა, ადამიანი იფიქრებდა, რომ ის იყო ზღვის ვეშაპი. კოტემ ჯერ ხელებით ჩასძირა ვანო, შემდეგ ფეხი დაჰკრა თავზე. ვანომ მოასწრო დაყვირება, რომ ის „გაბერილია“ ესე იგი, წყალი ბევრი ეყლაპა, შემდეგ ნაღვლით გაიფიქრა, რომ კოტეს სამაგიეროს ვერ გადაუხდიდა და ნეტავ არ გაპხუმრებოდა და კვანტი არ გამოედო. იმდენად ღრმად ჩავიდა ვანო წყალში, რომ იგრძნო წყლის გაცივება, თან სული ეხუთებოდა და მთელი ძალ-ღონით ცდილობდა დაბლა სრბოლა შეენელებია და მაღლა ეწყო ამოსვლა.

როდესაც ვანო მაღლა ამოდიოდა, მის თვალ წინ, თავდალმა დაშვებულებმა ჩაიარა ოთხივემ; რა თქმა უნდა, წყალში თვალები ვახელილი ჰქონდათ და შენელებული მოძრაობა, მათ ამსგავსებდა ალითრიონებს ანუ მელუზებს, რომელნიც ხან ალმა სცურავენ და ხან დალმა, რადგან არიან ზღვის ცხოველები.

ვანო მიხვდა, რომ მცურავეები მიდიოდნენ ფსკერზე, სილის ამოსაღებად, მაგრამ ეს უთუოდ გაძნელდებოდა სიღრმისა გამო.

რა ზედაპირზე ამოვიდა, ვანომ ხანა დაალო და ხარბად იწყო სუთქვა. მერე წყალზე გულ-აღმა გაიშობტა. ამაში იყო უდიდესი სიამოვნება.

გოგია კოკოსაძეს უფლება ჰქონდა კმაყოფილი ყოფილიყო. მან სტამბა გამართა და რამდენჯერმე გამოვიდა „ფურცლები“. ისინი იყვნენ დაბეჭდილი ვახეთის ჩამონაჭერ ქალღმერთზე. ერთი გამბედავი ქალიშვილის თანხლებით, გოგიამ ღამით ჩამოიარა ქალაქი და ფურცლები გააკრა. მხოლოდ ხელმძღვანელობამ გოგია გააფრთხილა, მეორედ ეს არ ჩაედინა! მას ებარა მხოლოდ სტამბა!

ფურცლების ამოჩენამ ხელისუფლება გააშმაგა; სასაცილო იყო, თუ როგორ დაძრწოდნენ ისინი, ვისაც ასეთ საქმეების გამო ძრწოლა ევალებოდათ. მაგრამ უფრო სასაცილო ის იყო, რომ დაბნეულებმა, რა კვალს ვერ მიაგნეს, დაასკვნეს: ტფილისიდან შემოგვაპარესო.

მოქალაქენი ჩუმად იცინოდნენ. მათ ამხნევებდათ მეგნება, რომ ბრძოლა გრძელდებოდა. ასეთ ბრძოლას ლევან ფერულმა უწოდა პოზიციური და სწორედ უცნაურია, გამოაცხადა ზედ-მეტად. გოგიას ხმა არ ამოუღია.

ასე რომ სილაზე იწვნენ და ბჭობდნენ, მაშინ იყო, ნაპირიდან მოშორებით რომ ჩაიარა კაბრიოლეტმა; შივ ისხდნენ ქალბატონი ბარბაღე ბადრიძე, ანიკო ბადრიძე და სოლომონ ფერულის ასული მანანა. ცხენს მართავდა ანიკო. ქალები მითი იცნეს, რომ კაბრიოლეტი ეკუთვნოდა ბატონ ბადრიძეს და ყოველ დღე კარგ ამინდში, ქალები დადიოდნენ საბანაოდ.

ლევანს ხმა ოდნავ აუთრთოლდა და იგი ცდილობდა ქალებისაკენ არ გაეხედა. ვანოსაც უმატა გულისძვგრამ და ის იყო კარგი, რომ ამ დროს ვანო არ ლაპარაკობდა.

წყალზე გულ-აღმა გაწოლილმა ვანომ გაიხედა იქით, სადაც ქალები ბანაობდნენ.

ეს იყო შორს.

ზღვაში სხანდნენ თეთრით თავ-წაყრული ქალები, რომელთაც ტანთ ეცვათ გრძელი თეთრი პერანგები. სიშორის გამო, კაბრიოლეტი, ისე ვით ცხენი მოსჩანდა ლურჯად და გამჭირვალედ.

ამგვარადვე მოსჩანდნენ შორეული ნაპირები და ტყეები.

ჩაყვინთულმა ახალგაზრდებმა იწყეს ამოსვლა. ისინი ზედაპირზე გამოჩენისთანავე ალებდნენ პირს; სასაცილო იყო, თუ როგორ ჩამოსდიოდათ სახეზე წყალი და სიღრმეში შეცივებულები, თუ როგორ უნებურად ამჯღავენდნენ მხის გამო სიამოვნებას.

უკანასკნელად გამოჩნდა კოტე. იგი არ იყო მთლად ამოსული, როდესაც ვანომ თავზე ხელები დაჰკრა და უკანვე გაგზავნა!

ამაზე სულ არ უფიქრია ვანოს; ეს ჩაიღინა თავის უნებურად; მან იწყო სიცილი, ისე, როგორც იცინიან წყალში შეშინებული ადამიანები, თან გამალებით მისცურავდა ნაპირისაკენ.

კოტემ, როდესაც ზედაპირზე ამოვიდა, სთქვა:

— კინლამ არ დამაღრჩო ამ ცივანმა ბალანამ! — იგი ქოშინით ითქვამდა სულს. მერე გაიცინა. მოეწონა და დააფსა ვანოს გამბედაობა. ახალგაზრდები ნაპირისაკენ დაბრუნდნენ. ნაპირზე მათ უცდიდათ ერთი ქერა კაცი, სათვალეებიანი და ბეჭებში ცოტათი მოხრილი. ეს იყო ჩვენი ძველი ნაცნობი, ვიკტორ რაზმაძე.

ვიკტორ რაზმაძე, ლევან ფერულთან ერთად, მსახურობდა ჭიათურის შავი-ქვის სამარჯველო საზოგადოებაში. ჭიათურის შავი ქვა ანუ მანგანუმი, დიდი ღირებულების მოვლენაა. ის იგზავნებოდა საზღვარ-გარედ, ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოებში, როგორც აუცილებელი ნივთიერება მძიმე ინდუსტრიაში. საზოგადოება, რომელიც მანგანუმის საქმეებს განაგებდა, იყო მდიდარი და თავის განყოფილება ჰქონდა სანაპირო ქალაქშიაც.

პაველ ბადრიძე, როგორც მანგანუმის საქმეების მკოდნე და თვით აქციონერი საზოგადოებისა, განაგებდა სანაპირო ქალაქის განყოფილებას; მან თანამშრომლებად მოიწვია ვიკტორ რაზმაძე, აგრეთვე ლევან ფერული.

საფიქრალია, რომ ხელისუფლება ან არ იცნობდა მრეწველობის საქმეებს, ან ეშინოდა, თვით რომ ხელთ აელო საქმეთაწარმოება, არ დაჰკარგოდა მუშტრები — უცხოეთის სახელმწიფოები. ამ რიგად საზოგადოების არსებობა, დათმობა იყო მთავრობის მიერ, სამაგიეროდ მას მიჰქონდა შემოსავლის დიდი ნაწილი. სანაპირო ქალაქში, მანგანუმზე მუშაობდა ხუთასი მტვირთავი მუ-



შა. მუშები დიდ ფულს აკეთებდნენ. მათი მაგიდის გამგე იყო ვიქტორ რაზმაძე, რაზმაძის თანამუშევრე ლევან ფერელი.

ნავთსადგურის ჩრდილოეთ მხარეს, სადაც იდგნენ ევროპის საბარგო ხომალდები, სადაც ნაპირზე არაზინდობივით ელაგა მანგანუმი, დილიდან საღამომდე სწარმოებდა. მუშაობდა.

კვილით მიმოდინდა ორთქლმაქალი და მოჰქონდათ მადნით სავსე იღმა რონოდები. რონოდებზე ჩაღებოდა მუშაობა. იღმა ბული და ისმოდა ჯალამბრების განუწყვეტელი რახრახი.

ერთ რონოდაზე, ერთ ჯგუფში, რომელიც ხუთმეტრიოდე კაცისაგან შესდგებოდა, იშვიათი თანხმობით მუშაობდა სამი კაცი; ერთი იყო ონისიმე ფერელი, მეორე ბატონი ვარლამი და მესამე თემუყვა.

არც პირველი, არც მეორე მუშა არ იყო და თუ მთავრობას დაეყვედრებოდა მათთვის: მუშა-კაცს ლუქმას ართმევო!, არ შეეძლო ამისი თქმა თემუყვასათვის.

თემუყვა იყო მუშა; თემუყვა იყო 55-წლისა, დაბალი, სქელი, ოდნავ ქერა, მელოტი, ხოლო სულითა და გულით — სუფთა ადამიანი.

ეს სამი მუშა-კაცი, ბევრ რამეში ეთანხმებოდა ერთმეორეს და რაშიაც არ ეთანხმებოდა, იმაშიაც ურთერთს პატივს სცემდა.

ცხელოდა; ამ სიცხესა და მადნის ბუღში მუშაობა, არ იყო ადვილი. ამაში ერთმანეთს ეთანხმებოდნენ.

თემუყვამ იცოდა ოფლის მოწმენდა და ამ დროს ამხანაგებს შეჰპლიმებდა. ამ დროში სჩანდა გულის სიკეთე. ყველამ იცოდა რას ფიქრობდა თემუყვა და როგორც ფიქრობდა; მას ჰსურდა სოციალიზმი, ჰსურდა გატაცებით, არა პირადად თავისთვის, არამედ მრავალთათვის. ვარლამმა უთხრა:

— თემუყვა! ჩემო ბეჩაო თემუყვა, აი მოვიდა შენთან სოციალიზმი და შენ მას ზურგი შეაქციე — ვარლამს თემუყვა უყვარდა, ეს უთხრა ხუმრობით და თუმცა თემუყვას ხუმრობა ესმოდა, მაინც მიუგო: რომ სოციალიზმი მასთან არ მისულა, რადგან იგი თუ მოვიდოდა, უნდა მოსულიყო არა როგორც ჯალათი, არამედ ვით ბრძენი მოსამართლე, რომელსაც ყველა პატივს სცემს —

რადგან თემუყვა ასე აზროვნობდა, ამიტომ, როდესაც უფროსი მუშა, ხელისუფლების წარმომადგენელი და თვით ბოლშევიკი მუშებთან ჩაივლიდა, თემუყვა ბარს დაეყრდნობოდა და ხელებ-გამვერილი ეუბნებოდა: ქვო უსკვე თანდემ აბუთერე, კატელინა, პაციენცია ნოსტრა! — ეს ლათინური ისტორიული წინადადება, რაიც ნიშნავს: როდემდე გწადია კატელინა, ბოროტად სარგებლობდე ჩვენი მოთმინებითაო!, ვარლამმა ასწავლა.

მუშები იცინოდნენ, ყველაზე მეტად ვარლამი, რადგან გაუგებრობაში ჩაეარდნილი მთავრობის უფროსი მუშა, იმასლა ახერხებდა, რომ იქარუობას ვასცლოდა.

კიდევ უთხრა ვარლამმა თემუყვას:

— როგორ გაგიბედო ჩემო საყვარელო თემუყვა, მაგრამ ეს შენი სოციალიზმი, კაი დიდი ზღაპარია! — ამ საგანზე ეს სამი კაცი ვერ თანხმდებოდა; თემუყვამ მშვიდად გაიღიმა:

— ღმერთო! ამ კაცს რა მოუხერხო! —

იმ დღეს ხელფასი მიიღეს. ახალი გამოსული იყო „ბაჯალო“, ჩერვონეცი, თუმნის ღირსებისა, აგრეთვე ვერცხლის ფულები.

ნავთსადგურში მუშაობა შესწყდა. მუშებმა ხელ-პირი დაიბანეს და ხმა-მალალი ლაპარაკით, ჯგუფ-ჯგუფად წავიდ-წამოვიდნენ.

თემუყვამ თავისი მეგობრები სასადილოში მიიბატეია. შევიდნენ. იქ ისინი მუშები და სვამდნენ ზოგი ლუღს,

ზოგი ღვინოს. სასადილოში გრილოდა. როდესაც მოიტანეს თეთრი, ჩაცივებული, ღვინო, მშრალი კერძები და დაალოცეს და თვითო-თვითო გადაჰკრეს, ამან ჩვენ გმირებს მეტყველების სურვილი შეუქმნა.

ქართველი ადამიანი, ღვინოს სმის დროს გულში კეთილად იღიბის. ონისიმემ უღვაშებში ჩაიკინა: — მშვენიერია! — სთქვა მან. ეს ეხებოდა ღვინოს. მეგრე თანამესუფრეთ უთხრა: — თქვენც კარგი ხართ, მარა დიდხანს ნუ დამაყენებთ! სახლში რა მიმჩქარებს, ყველაფერს ვერ გეტყვით... ეხლა ავიტაცებ ბავშვებს და ამ ჩემი გამურული ტუჩებითა და უღვაშებით კარგად გავსერი. ვერ წარმოიდგენთ რა კარგია!.. აჭეთ ქალი მიყვირის: ბავშვები ნუ გამიწვირიანო!... —

— ჰე-ჰე-ჰე! — თემუყვამ გაიკინა — ვერ გაგიშობ, ონისიმე, ვერა! მე და ვარლამი ერთი-მეორეს ვებრძვით. შენ უნდა იქნე მოსამართლე —

ირგვლივ ხმაურობდნენ სასადილოში, მაგრამ ხმაური იღმა ისეთი, რომელიც საუბრისათვის განაწყობდა. თამბაქოს ეწვოდნენ. კვამლში. მღუმარედ იჯდა ბატონი ვარლამი და თემუყვას უსმენდა.

ვარლამი იყო უზარმაზარი და ნაყვავილევი. იგი ეხუმრა თემუყვას:

— რა ჩემმა ცოდვამ შეგაყარა ეს სოციალიზმი! — ვარლამი სახის გამომეტყველებას არასოდეს არ იცვლიდა, თუმცა იცოდნენ თუ როდის ხუმრობდა.

— გამიგონე, საყვარელო თემუყვა! — სთქვა ვარლამმა — ნუ დაგავიწყდება, რომ მე ვარ ისტორიკოსი და ქვიყნის ტრიალის თანამიმდევრობაში, გათვითცნობიერებული ადამიანი... —

მაგიდაზე ოთხიოდე ცარიელი ბოთლი ედგათ. მეხუთეს სვამდნენ; სახეები წამოსწითლებოდათ, თვალები უცინოდათ.

— ძალიან კარგი, რაკი შენ ისტორიკოსი ბრძანდიბი, სწორედ შენ უნდა გამიგონო... მე ვითხოვ არა ადამიანების თანასწორობას, არამედ უფლების თანასწორობას, რომ ქვეყნის სიმდიდრით ყველამ ისარგებლოს. გარდა ამისა ადამიანს უნდა ენდო... განა არ შეგრცხვება კაცს, შენსაგით ადამიანზე ბატონობდე! მითხარი ეხლა, ეს არ მოვა!? არ უნდა მოვიდეს? —

ვარლამს, ისე როგორც თემუყვას, ამ წუთში ქვიყნიერება უყვარდა. ყველაზე უფრო კი, უყვარდა თემუყვა. ეს უზრალე ადამიანი, რომელსაც ბევრი ეფიქრა, რომლისთვისაც ყველაფერი ნათელი იყო და ეხლა, მისჩერებოდა ვარლამს და ელოდა პასუხს.

— მოვა, უეჭველად მოვა — სთქვა ვარლამმა და გააგრძელა — უთუოდ დადგება ოდესმე დრო, როდისაც პიროვნების ხარისხისა და საქციელისათვის პასუხისმგებელი იქნება მისი მთავრობა; ეს განხილვა შესაძლებელი მაშინ. როდესაც ადამიანის ბუნების უარყოფითი და ბოროტი თვისებანი დაემორჩილებიან მკურნალობას... —

თემუყვა თუმცა ყურადღებით უსმინდა ვარლამს, მაგრამ კარგად მაინც ვერ გაიგო, დაეთანხმა მას ვარლამი თუ არა!

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა გმირებმა ბევრი შისყვეს, ისინი იყვნენ შეზარხოშებულნი და არა მთვრალნი. განსაკუთრებით არა ემჩნეოდან რა ონისიმესა და ვარლამს. მხოლოდ ხანში შესული თემუყვა, როდესაც სუფრა დასტოვეს და შინისაკენ გაემართნენ, ლაპარაკში გაართული, ხშირად დგებოდა და სხვებსაც აიძულებდა შეჭერებულებიყვნენ. როგორც თვითონ ამბობდა: მისთვის გაზოიკვა, რომ ვარლამისა და მისი უთანხმოება, უთანხმოებადვე დარჩა! —

ამას ამბობდა ოდნავ-ენა დაბმით და სიცილით.



— ან კი, რად გჭირია შენ სოციალიზმი, ჩემო ძვირფასო ვარლამ! შენ უიმისოდაც კარგი ბიჭი ხარ, მხოლოდ იგი მჭირია მე... —

ჩვენს შეზარხოშებულ გმირებს, გზაზე შეხვდათ მუშათა მაგიდის გამგე ვიქტორ რაზმაძე, რომელიც საბანოდ მიიჩქაროდა.

27

ნამდვილად კი, ვიქტორს უნდოდა ენახა კოტე ფერეული. მას რაღაც აწუხებდა. ზღვის პირად ფერეულების ტანთი მოსძებნა და დაიწყო ლოდინი.

მალე წყლიდან ზედი-ზედ იწყეს ამოსვლა ჩვენმა ახალგაზრდა გმირებმა. ისინი იყვნენ სრულიად მიშველნი, ვიქტორი დარცხვენით იღიმოდა. ერთბაშად კოტეს მიადგა:

— თქვენთან საქმე მაქვს! —

არ შეიძლებოდა ეს ყოფილიყო ხუმრობა. კოტე სილაში ჩაჯდა; დანარჩენები გაშორდნენ და იწყეს ჭიდაობა.

იმდენად საყურადღებო იყო ყოველივე ის, რასაც ამბობდა ვიქტორი, რომ თავის-და უნებურად, კოტემ ჯერ წამოიწია და დაჩოქილი ისმენდა, შემდეგ სრულიად აღდა.

როგორც ვიქტორის ნიტყვებიდან ირკვეოდა, იონა თავაძეს, ესე იგი საგანგებო კომისიას, ცნობები მისვლოდა თუ იქვე აედო, რა ქალაქის მიდამოებში, არსებობდა სამხედრო იარაღის საწყობი და ამ გარემოებასთან დაკავშირებით ახსენებდნენ კოტე და თომა ფერეულებს.

კოტე იდგა ვით ელდა-ნაცემი და ისმენდა; ამავე დროს ყველაფერზე ერთად ჰფიქრობდა: „ნუთუ ვინმემ გასცა! ვინ! ვის შეეძლო! საიდუმლოება იცოდა მეტად სანდო პირებმა, მათი რიცხვი იყო მცირე! ან იქნებ შემთხვევით თვალი მოჰკრა! ვთქვათ „წყალქვეშამ“, რომელიც საღდა საღ არ დაბოდიხობდა, თომამაც აღნიშნა რამდენჯერმე! აქ იქნებ ეს კაცი, ვიქტორ რაზმაძე იყო მოგზაფერილი!...“

კოტემ მკაცრად ჩაჰხედა ვიქტორს თვალებში: ვიქტორ!... — ვიქტორმა იგრძნო.

— მესმის! — სთქვა რაზმაძემ — ეს საქმე ძალიან მძიმეა! მხოლოდ თქვენ უნდა გამიგოთ! მე არაფერი ვიცი და არც არაფერი მსურს ვიცოდე! შემთხვევით მოვისმინე ყოველივე ეს და ამის შემდეგ, მე მას ვივიწყებ! —

ვიქტორ რაზმაძის საქციელში, არაბუნებრივი არაფერი იყო; იონა თავაძე მას თავის კაცად სთვლიდა და ხშირად, განსაკუთრებით როდესაც ნასვამი იყო, ეუბნებოდა ცურაოდენ საიდუმლოებებს; თავის კაცად კი, მას შემდეგ სთვლიდა, რაც ტფილისის დაკემის წინა ღამეს იგი, ვიქტორმა თავის ბინაზე შეიფარა; ეს იყო გაბედული საქციელი. ამის შემდეგ მეგობრობა და ხშირი ვახშობა, მით უმეტეს, ღვინო ორივეს უყვარდა.

არც იმდენად სულელი იყო იონა თავაძე, რომ არ სცოდნოდა საიდუმლოების შენახვა;

გარდა ამისა, თავაძემ იცოდა, რომ ვიქტორი ფერეულებს მეგობრობდა, მაშასადამე შეიძლებოდა დაშვება, რომ იგი, ძველი მეგობრობის ძალით აფრთხილებდა კოტეს. აკი ამგვარადვე, როგორც დღეს, ვიქტორ რაზმაძემ სიტყვა მოუტანა, რომ მერაბი პარტიის კანდიდატი გამხდარიყო და ატარებდა იარაღს, რათა კოტეზე შური ეძია. ეს მართალი აღმოჩნდა.

მაგრამ ღღევანდელი შემთხვევა იყო სულ სხვა, შესაძლებელია კოტეს უთვალთვალებდნენ, საქირო იყო სიფრთხილე!

რაც არ უნდა ყოფილიყო, საგონებელში ჩავარდნილ კოტეს რამდენიმე ვადწყვეტილება ჰქონდა: ჯერ ერთი,

როგორმე უნდა გაეგო, თუ საქმე როგორ განმარტდა; საქირო იყო გარდა ამისა, შემცირება საიდუმლოების მცოდნეთა და რადგან ამის შემდეგ იარაღი იქ არ დაიტოვებოდა, იგი უნდა გადაეგზავნა მთებში, სხვა-დასხვა ჯგუფებისათვის, რომელთაც იარაღი სჭიროდათ და დიდი ხანია ითხოვდნენ. მანამდე კი, იარაღისათვის სასწრაფოდ უნდა გამოეცვალათ ბინა.

იწყო შეღამება, როდესაც კოტე გავიდა ქალაქის განაპირას, ხე-ტყის სახერხ ქარხნების უბანში. იქ კოტემ მოსძებნა ერთი მუშა-კაცი და რამდენიმე ხნის შემდეგ, ორივე ლვილში იჯდა და თითქოს საბადეგოდ მისცურავდნენ ტბაზე. ეს მუშა კაცი, სახელად მათია, მამაცი და გამბედავი, ერთი იმათგანი იყო, რომელთაც იცოდნენ იარაღის საიდუმლოება.

იმავე ღამეს, მთელი იარაღი, რაც კი თომას კარავში მოიპოვებოდა, იქნა გადატანილი და დატული შუაგულ ტყეში.

28

წესი ითხოვდა, რათა ზღვაზე დარჩენილ ახალგაზრდებს, კოტეს წასვლისა არც მიზეზი ეკითხათ, არც ყურადღება მიექციათ.

მათ ტანთ ჩაიცვეს და ნელი ტატიოთ, ვიქტორის თანხლებით აყენენ ზღვის ნაპირებს.

ჩამავალი მზე ნახევრად ჩაძირულიყო ზღვაში, ხოლო მეორე ნახევარი, უზარმაზარი და წითელი ისე ჭრტიალებდა, რომ ადამიანის თვალი ვერ უძლებდა მის ცქერას. ცხელოდა ისევ.

ახალგაზრდები ნავთსადგურში შევიდნენ.

ნაბანავები, ისინი იყვნენ დაღლილნი და მოშვივებულნი, მაგრამ არც ერთი მათგანი, რათა ჯგუფი არ დაშლილიყო, არც დასვენებას ჰფიქრობდა, არც დანაყრებას. მხიარული საუბრით, ისინი მიდიოდნენ ნავთსადგურის იმ მხარეს, სადაც ზღვაზე ამართული იყო, ვეება ქვებისაგან ნაკეთები გალავანი, რომელიც ჰქმნიდა ნავთა და ხომალდთა წყნარ საყუდელს და რომელზედაც კარგ ამინდში, ქალაქის ბინადართ უყვარდათ სეირნობა.

ქალბატონი ბარბალე ბადრიძე ყოველ საღამოს დადიოდა აქ ბანაობის შემდეგ; მას თან დაჰყავდა ანიკო და მანანა, რადგან მისი აზრით, შეცდომად ისიც კმაროდა, რომ წელს სააგარაკოდ არ წასულან. ხოლო მეორე შეცდომა ის იქნებოდა, რომ არ ესარგებლათ ზღვის სუფთა ჰაერით.

იქნებ ზოგიერთები ჩვენს ახალგაზრდებში, მიღებული და მანანას გულით ჰფიქრობდნენ და ელოდნენ ანიკოს შეხვედრას, მაგრამ საქციელში ეს არ ემჩინოდათ. საუბრობდნენ უდარდელად და იცინოდნენ. ვიქტორის მორიდება საქირო არ იყო. ვიქტორი თვით იბრძოდა. მან სთქვა: რომ დღეს ქალაქში უთუოდ ბაჭყალის ტელეგრაფის მთავრებზე ვაეტყუროცნათ და შეებათ ეროვნული პატარა დროშები და რომ ჩეკა დარბოდა და ცდილობდა მათ ჩამოხსნას.

კოტე იდგა ვით ელდა-ნაცემი და ისმენდა; ამავე დროს გმირებს მეტყველების სურვილი შეუქმნა.

მზე ჩავიდა, მაგრამ ბადრიძეთა ეტლი არ გამოჩენილა და ახალგაზრდებმა ქალაქში დაბრუნება გადასწყვიტეს. ნავთსადგურს რომ გამოსცდნენ, მათ შემოხვდათ ბატონი სოლომონ ფერეული, რომელიც მისეირნობდა მარტო.

სოლომონი ახალგაზრდებს მიესალმა და თეთრი საზაფხულო ქუდი, რომელიც მისალმების დროს მოიხადა, არ დაუხურავს ისე შესდგა ქვის ზღუდეზე.

29

სოლომონი მოტეხილიყო.

მართალია სოლომონის ვაჟები დიდრონები იყვნენ და ნაცნობების არჩევა თვით შეეძლოთ, მაგრამ ძველი ჩვეულების ძალით, ბატონმა სოლომონმა, გონების თვალი გადაავლო ღვეანის კრებულს: ერთი, სათვალეებიანი და



ქერა, იყო უცხო კაცი, ჩამოსული და მსმელი კაცის სახე- ჯი ჰქონდა, ხოლო მეორეს, სრულიად ბავშვს, მხატვარს ეძახდნენ და მეორე დასდევდა სოლომონის ქალიშვილს, მანანას.

სოლომონმა გაიღიმა; შემდეგ ასე მოლიმარმა მიმოი- ხედა ირვლივ და ღიმილი, რომელიც გამოიწვია თავის- მა ბავშვმა, ეხლა ეკუთვნოდა გარემოს;

ჩასული მზე, საღვლატ ქვესკნელიდან ანათებდა სამყა- როს და ეს სანახაობა თვალისათვისაც იყო საამური და გონებასაც ართობდა. ზღვა მრავალ ფერ-დაკრული ოდ- ნავ ისროდა ტალღებს; ისმოდა ქვებზე ტალღების ტლა- პუნი. ყველაფერი იყო მშვიდობიანი და ღმერთმა სიბო- დალოცოს!, ყველაფერი იყო მყუდრო, არა მრისხანე, არა საშიში!

ბ-ნ სოლომონს მოეჩვენა, თითქოს მას თვალთ მოებ- ლანდა ისეთი მანდილოსანი, რომელიც ჰვავდა ანა ივა- ნოვნას.

სოლომონი მომავალთ დააკვირდა. სწორედ! ეს იყო ანა ივანოვნა. მას ხელმოკიდებული მოჰყავდა პატარა, ექვსიოდი წლის გოგონა, რომელიც დაუსრულებლივ ტი- კტობდა.

ანა ივანოვნას დანახვაზე სოლომონს დაემართა ის, რაც ხშირად ემართებათ ადამიანებს: ზღვა და ხმელეთი, რომელიც სულს ამშვიდებდა, სრულიად გაჰქრა და სო- ლომონის წინაშე იდგა ცოტათი შემკრთალი მანდილო- სანი, რომელიც ისე შესდგა და მიმოიხედა, რომ სოლო- მონი მიმხედარიყო, თუ იგი არ იყო მარტო.

მღელვარე სოლომონი ამას ვერ მიხვდა.

— სალამი, ქალბატონო — ამბობდა ხელგაწვდილი სოლომონი.

— მე თქვენ გთხოვთ ბატონო სოლომონ... გთხოვთ — მღელვარებით ამბობდა ქალი.

საუბარი სწარმოებდა რუსულად და ქალმა „ბატონო სოლომონ“, გამოსთქვა ფრანგულად. ქალის შიში ბავ- შსაც გადაეცა და ტირილისათვის გამზადებული, იგი ეკ- ვროდა ქალს.

ეს ის ანა ივანოვნა იყო. მანანას ფრანგული ენის მას- წავლებელი. რომელიც სოლომონს ეკლესიაში შეხვდა და რომელმაც თვალთა მეტყველებით საბაბი მისცა, რა- თა სოლომონი მასთან ყოფილიყო თავისუფლად. სოლო- მონი აჰყვა! და ამჟამად, იგი მიტომ ჰოვლავდა, რომ ბირ- ველ ხანებში, მან ვერ გამოიჩინა სიმტკიცე, რათა არ აჰ- ყოლოდა დედაკაცს, რომელიც აღმოჩნდა ბილწი! უკა- ნასკენელად ანა ივანოვნა გაჰქრა.

— მე თქვენ გთხოვთ... — ისევ შიშით წარმოსთქვა ქალმა და დაუმატა, რომ იგი არ არის მარტო!

— ო, ვიცი, ვიცი... — მწარედ სთქვა სოლომონმა; მას სმენოდა, რომ ანა ივანოვნას ვილაც მეფურნესთან დაე- წყო ცხოვრება და ეხლა კილოთი აყვედრიდა: სად კულ- ტურული ქალი, სად მეფურნი?!

— ღმერთმა მწაშროს გზაზე რომ გადაგეღობოთ... — განწორებისას ამბობდა სოლომონი და ცდილობდა ეს ეთქვა ღიმილით, რათა არ გამოეჩინა სახე დამარცხებულ მამაკაცისა.

ამის შემდეგ გამოჩნდა უცნობი კაცი, შავი, მალაღი. ის მოდიოდა ჩქარა და სოლომონს მან გამოწვევით უთ- ხრა:

— რას მიყურებ, ვერ მიცანი?! გინდა გაგაცნო ჩემი თავი? —

უთუოდ ეს იყო მეფურნი. ანა ივანოვნამ მას სახე- ლოში ჩაავლო ხელები და ისინი, ხმაღალაღი ლაპარაკით წავიდნენ.

რამდენიმე ხანი სოლომონს გული ძალზედ უცემდა, იგი მიაბიჯებდა გონება დაბნეული და ხშირად ღებო- რდა. ბოლოს გულის ცემა დასცხრა და მას მოაგონდა, რომ

ქუთუთოები, რომელზედაც ძლიერ ემჩნეოდა ნაოქები, პარკივით ჰქონდა დაბერილი და ეჩვენებოდა, თითქოს გრძობდა მათ სიმძიმეს და თითქოს ყოველივე ეს იცოდა ქვეყანამ.

ანა ივანოვნა მას ჰკოცნიდა და სიცილით ამბობდა: ჩემი მოხუცი!

დაღვრემილი დაბრუნდა სოლომონი ქალაქში. იგი იყო დაღვრემილი და შერიგებული, რომ სულიერად და ხორ- ციელად დაღლილია, რადგან ცხოვრება გაათავა და რომ ცოტადენი ხანი კიდევ დარჩენია უყუროს ქვეყნის ტრიალს, რომელშიაც ის მონაწილეობას ვერ მიიღებს.

ქალაქში, გამალბებული მიმოდირდნენ, თითქმის დარ- ბოდნენ შეიარაღებული კომუნისტები, უთუოდ „დაჰერ- ვებს აწარმოებდნენ“. ამ სანახაობამ სულ-მთლად დაამ- ძიმა სული.

30

როგორც ხშირად ხდებოდა, მანანას ზღვაზე თავი ას- ტენოდა და ბიკოლა ბარბალეს, ვასეირნების მაგიერ, იგი პირდაპირ სახლში წამოეყვანა. მანანას ბევრი ევი- ცა, რომ თავი ოდნავ სტკივოდა, რომ კიდევ გაიარა, მაგ- რამ ქალბატონი ბადრიძე ვერ დაეჯერებია.

სახლში თავის ტკივილს გაეგლო და თავის-თავზე გულმოსული მანანა შიშობდა ამ საღამოს კინოში უმისოდ არ წასულიყვნენ. კინოში წასვლა გადაწყვეტილი ჰქონ- დათ ლევანს, ანიკოს, ვანოსა და მანანას; უარეს შემთხვე- ვაში, შესაძლებელია მათთან ბიკოლა ბარბალეც წამო- სულიყო; უარეს შემთხვევაში იმიტომ რომ იგი, ორივე მხრიდან მოისევამდა მანანასა და ვანოს და ხან ერთს ელ- ა-პარაკებოდა ხან მეორეს.

მანანა ტახტზე იწვა და დაუცხრობლად ლაპარაკობდა. მასთან იჯდა ბიკოლა ნინო, რომელიც თუმცა ცდილობ- და, მაგრამ ულიმილოდ ვერ ისმენდა მანანას.

ბიკოლა ნინოს ხელთ ეჭირა მანანას ფუნთუშა ხელები და დროგამოშვებით, ალერსით ამბობდა:

— ოი, შე სულელი! —

ზღვასა და მზეს მანანა გაეშავებია. იგი იწყებდა და- ქალბას და მის შემხედვარეს ჰხიბლავდა მშვენება ჰა- ბუკ სახისა და სხეულის. როდესაც მანანა ზღვიდან დაბ- რუნდა, ბიკოლა ნინო თავის ოთახში ლოცულობდა. ბი- ცოლა იყო დაჩოქილი და მანანამაც დაიჩოქა. მანანა იყო მოწყენილი.

— რა დაგემართა, შვილო! —

— თავი მტკივა, ბიკოლა! —

— ნუ გეშინია გავილის, ღმერთი მოწყალეა! —

თავის ტკივილმა მართლა გაიარა და მანანა ეხლა ლა- პარაკობდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოერთო ოთახები გთხოვების შემდეგ. მას სჭიროდა ბევრი ოთა- ხი და ბიკოლას უნდა სცოდნოდა, რომ საჭირო იყო ავ- რეთვე ტანთსავარჯიშო ოთახიც! ეს ალბად ანიკოს გაე- ლენა იყო.

როდესაც ვანო სურათების გამოფენას მოაწყობდა, მანანას უნდა ჩაეცვა შავი ხვერდის ტანთსაცმელი, ძა- ლიან, ძალიან, სადა, რადგან ასე უყვარდა ვანოს, ხოლო მანანას, სულერთია ისიც დაშვენდებოდა: არა ბიკო- ლა!?

უეცრად მანანა ტახტიდან წამოიჭრა: ბიკოლა, ყურ- ში წყალი მაქვს დაგუბებულები!, სთქვა მან და ცალფეხზე იწყო ხტუნვა, თან ყურს თითით იჩიჩქნიდა და ხიხი- ნებდა.

ოთახში მძიმე ნაბიჯებით შემოვიდა სოლომონი, შეს- დგა.

— წყალი მაქვს, მამა... — ხტუნვას განაგრძობდა მა- ნანა. მამა მეორე ოთახში გავიდა. გასვლის წინ, მან გა- ნაწამები ხმით წარმოსთქვა:

— დამასვენეთ, ადამიანებო... მე თქვენ გთხოვთ ყვე- ლას, დამასვენეთ —



მანანა შესდგა, აცრემლდა და ბიცილა ნინომ იგი დაამშვიდა:

— დალლილია... ცოდვია... —

მანანას მოაგონდა, რომ მალე კინოში წასასვლელად გამოუვლიდნენ და ამან განწყობილება იხსნა.

„საწყალი მამა!“ — სიბრაღულით ჰფიქრობდა მანანა.

ანიკო ბადრიძის ქალს მუსიკა უყვარდა და უთუოდ ესმოდა;

როდესაც სოლომონმა მანანასა და ბიცილას წინაშე საყვედური გამოსთქვა და მეორე ოთახში გავიდა, მაშინ იწყებოდა მიმწუხრი და ოთახებში იდგა მოლოდინით ნათელი, რომელიც არც ნათელია და არც იმდენი ბნელი, რომ ჰღირდეს სინათლის ანთება.

ანიკო ბადრიძის ქალი თავის პაწია სასტუმროში პიანინოს უკრავდა. იქვე ისხდნენ ლევანი და ვანო; ლევანი სავარძელში, ხოლო ვანო ნოხებ დაფენილ იატაკზე რაღაც ხვევრდის ბალიშებზე და მუთაქებში ნახევრად ჩაწოლილი.

ანიკოს წინაშე, ვეებერთელა ენა-გამოვლებული ჰქელთავდა მგლის ჯიშის ძაღლი. ეს იყო „პომპერო“, მოუსვენარი და გადარეული ძაღლი, რომელიც შარშან რომელიღაც უცხოელ გემის კაპიტანს ერუქებია პავლე ბადრიძისათვის. ძაღლი, სანაპირო ქალაქში ცნობილი იყო, როგორც ადამიანთა მოსიყვარულე და ცოტათი სულელი, რადგან ვერ არჩევდა შინაურსა და გარეულ ფრინველებს. ბადრიძეების სიყვარულში პომპერო სწორედ თავდაუტყვერელი იყო და, როდესაც დღეს ეზოში კაბრიოლეტი შემოვიდა, მან მეორე სართულიდან დააპირა გადმოხტომა და ბატონმა პავლემ იგი ძლივს დააკავა. ეხლა პომპერო იყო წყნარად.

ანიკომ ჯერ რაღაც ხმები გასინჯა (ლევანმა იცოდა, რომ პიანინოთი ანიკო არ იყო კმაყოფილი, თუმცა ლევანი ვერაფერს ამჩნევდა), შემდეგ ანიკომ უეცრად გამოცვლილი განწყობილებით გაატარა თითები პიანინოზე და დაიწყო მუსიკა.

ახალგაზრდების მიმოხვრა, სიტყვა-პასუხი თუ ერთობ თავის დაჭერა მანდილოსნის წინაშე, აგებულა ერთ სურვილზე: იყენენ მოხდენილნი!

ჩვენი გმირებიც, ლევანი და ვანო, ისე ვით ანიკო მათ წინაშე, იჯდნენ მოხდენილად; სწორედ რომ ითქვას, ისინი სრულებით არ იჯდნენ მოხდენილად, არამედ თავისუფლად, თითქმის დაუდევრად, მხოლოდ ასეთ დაუდევრობაში სჩანდა მათი ბუნების სირბილე და კეთილშობილება. მუსიკის ხმებზე ყველაფერი გამოიციკლა. ვანოს ხელთ ეჭირა დასურათებული ჟურნალი; თვალთვრებას თავი ანება. სხეულში ვანომ იგრძნო ისეთი უხერხულობა, თითქოს საკმაო იყო ოდნავი შერხევა, რათა ცრემლები წამოსვლოდა, ამიტომ ჯერ ის დარჩა გაუნძრევლად, შემდეგ უხერხულობამ გაიარა და სხეულიც გადააეწყდა.

არც ლევანი ირხეოდა; იგი ერთობ ჩაიძირა სავარძელში, მხოლოდ უმჯობესი იქნებოდა, რომ პომპერო აქ არ ყოფილიყო, რადგან მას უთრთოდა ენა.

„ო, რაღა თქმა უნდა, მუსიკა ადამიანს აუძლურებს; ართმევს სიმტკიცეს და გულს უცრუებს იმ მრავალ პაწია მიზანთა მიხსნევაზედ, რომელნიც ქმნიან ცხოვრებას“ —

ამის გამო. ლევანს, ანიკოს წინაშე ბევრჯერ უთქვამს ასე: „როგორც ვატყობ, მე ისედაც რბილი ადამიანი ვარ! მე ხშირად გაეფრთხივარ ბრძოლას მაშინ, როდესაც სხვები მიიწყენენ და გაეფრთხივარ სხვა-დასხვა-გვარი გონიერი მოსაზრებით, თუმცა ეხლა ვეშობ და ვეჭვობ, რომ საფუძველი მოსაზრებათა არის არა გონიერება, არამედ სიმხალე! მე მაქვს უნარი გვაეჩიო კარგი და ცუდი მუ-

სიკა, რადგან იგი მიყვარს; მაგრამ რადგან მეშინია, კიდევ უფრო არ შემიყვარდეს და არ დამაუძლუროს, რაც ყოველად მიუღებელია ჩვენს ხანაში, ამიტომ გთხოვ: ნუღარ ამინსნი მუსიკას და ნუ მასწავლი...“

მუსიკა შესწყდა. რამდენიმე ხანი ჩუმად იყვნენ, ბოლოს ლევანმა სთქვა:

— თქვენი მუსიკა იყო მშვენიერი! —

ამის შემდეგ ამოძრავდნენ, თითქოს ამოისუნთქეს. ალაპარაკდა ვანო; ის ლაპარაკობდა ჩუმად და რადგან ენა ოდნავ ებმოდ, თითქოს იმის ნაწილს ამბობდა, რისი თქმაც შეეძლო.

— გმადლობთ! — უბრალოდ სთქვა მან — მე თქვენ ანიკო, გიცხადებთ ძმობას; რაც თქვენ ეხლა გავიზიარეთ, ჩვენ იმას ხშირად ვამბობთ, მხოლოდ ლევანი სიტყვებით, მე ფერადებით. მაგრამ ერთი რამე შევნიშნე! თქვენს ნახელვანებში, მგონია მთვარე იყო ბევრი, მთვარე სჭარბობდა —

„მთვარე“ პირობითი გამოთქმა იყო, ჰგულისხმობდა გრძნობიერებას და მას, ისე ვით სიყვარულს, ჰკილავდნენ, ან ცდილობდნენ გაეკილათ.

— არ ვიცი!... — გულწრფელად სთქვა ანიკომ.

როდესაც ახალგაზრდები კინოში მიდიოდნენ, ქალაქის აყვავებულ ხეივანს მთვარე დასდგომოდა, ფოთლებში ელექტრონის სანათურებიც ანათებდნენ და იდგა თავბრუ დამხვევი სუნნელება ცაცხვის ყვავილებისა.

— ძალიან მცხვენია, ბატონებო — დაიძახა ვანომ — მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ეს მთვარე, ჯერ კიდევ მშვენიერებაა, რადგან იგი დღეს ისეთია, თითქოს პირველად ვხედავდეთ... გაიცინეს. დღის სიციხე შენელებულიყო და ისეთი გრილი ნიავე ჰქროდა, რომ შესაძლებელია გაწვიმებულიყო. ლევანს მიჰყავდა ანიკო, ხოლო ვანო უთნელიძე, რომელიც მანანას წამოსაყვანად უნდა წასულიყო, მიდიოდა კენტად და ხმა-მალა ხუმრობდა.

გარეშენი, რომელიც ჩვეულებისამებრ ბევრნი იყვნენ ხეივანში, ხედავდნენ აბობოქრებულ ვანოს; იგი უყვარდათ.

ის იყო ვანო დაშორდა ლევანსა და ანიკოს და ბნელოში შეუხვია, რომ მის წინაშე აიძარტა ვილაც თოფიანი კაცი:

— ამხანაგო უთნელიძე — სთქვა უცნობმა — მომყევით მე, ჩეკაში გიბარებენ! —

ვანომ ხმაზე იცნო მერაბი, რომელიც ეხლა-ხან ჩაწერილიყო პარტიაში.

ვანო გაჯავრდა:

— რას ამბობ. კაცო, გიჟი არ იყო! — ვანო ჯავრობდა მეგობრულად, შემდეგ მერაბს სთხოვა:

— თუ კაცი ხარ ეხლა გამიშვი და გაძლეე პატიოსან სიტყვას, კინოს შემდეგ მე თვით მოვალ.

— ამხანაგო უთნელიძე, შენ არაინ გიჭერს, ეხლავე გაგიშვებენ! წამოდით! —

ვანო გაჰყვა. ყველაფერი მშვენიერად მოეწყო: „არც ქალბატონი ბარბალე ეახლა ახალგაზრდებს, არც პავლე და მხოლოდ იმისათვის, რომ დაბოლოს ვანოს დაეტუსა-ლებიათ“. ასე ფიქრობდა გულდაწყვეტილი ვანო, რომელიც ჩეკის შენობაში, მეორე სართულზე აიყვანეს და ერთ განათებულ ოთახში დასტოვეს. ოთახში საწერ მაგილაზე იდგა ელსმენი, იქვე შავი რევილოვერი. როდესაც ვანო შემოიყვანეს, ისე ვით შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში, ოთახი იყო ცარიელი, მხოლოდ საფერფლეზე ბოლავდა ახლად აკიდებული და დაეწყებული პაპიროსი. ყოველივე ამას: რევილოვერს, სირუმეს, თუ შეგნებას იმისა, რომ ეს არის მრისხანე ჩეკა, ადამიანი უნდა დაეფრთხო, მაგრამ ვანო უთნელიძე მანანაზე ფიქრობდა და შიში არ შეჰფეროდა.



ლევანი და ანიკო კინოში ისხდნენ ამ დროს. სანაპირო ქალაქში, ზაფხულობით სენსები იმართებოდა ღია ჰაერზე. ეს იყო საამური. ლევანი და ანიკო ლოქებში ისხდნენ. ისინი გატაცებული იყვნენ ურთ-ერთით, მაგრამ დრო აზოვეს რათა ვანკვიფრებით აღენიშნათ, რომ არც ვანო მოვიდა, არც მანანა.

— უთუოდ — სთქვა ანიკომ — მანანას თავი კიდევ სტკივა და ამიტომ. — სინათლეები ჩააქრეს. ტილოზე მოზომილი თრთოლვით ამოძრავდნენ სულიერი და უსულო საგნები. დაბლა დაუკრა პიანინომ და ანიკო ლევანს მიეკრა.

— შე დღეს შენთვის დაუუკარი — ჩურჩულებდა ანიკო. — ვიცი... — ლევანს თვალით ოდნავ დაუბნელდა: „ჯანდაბას ყოველივე!“ მიბნედილ გონებაში ამბობდა ვილაც ლევანის მაგივრად. ლევანმა დაუწყაო კოცნა სველ ტუჩებს. ქალი ამბობდა:

— შე სულელო, რატომ მაწვალებ... — ქალი ჰკულისხმობდა ლევანის სიჯიუტეს და მოითხოვდა მას საცხები.

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, ოთახში შემოვიდა ჩეკის მოხელე; ეს იყო ტომით რუსი, იონა თავადის ერთი თანა-შემწეთავანი. იგი ილიმდა. უთუოდ ეს ადამიანი, როგორც თავდაჭერაში ემჩნეოდა, ნიჭიერი კაცი იყო, რადგან მას უბრალო მეზღვაურობას მიაწერდნენ და მეზღვაურისათვის წარმოუდგენელი თავაზიანობით ბოდიში მოიხდა:

— მან თვითონ არ იცოდა თუ ამხანაგ უთნელიძეს ამდენ ხანს ალოდინებდა — სახის გამომეტყველება სწრაფად გამოიკვალა, დაჯდა. ამხანაგი ანდრეევი, საქმის დროს სჩანდა ღინჯი. საკვირველია, ის იყო შვეგვრემანი და არა ბობრი, ვით საზოგადოდ რუსები.

— ამხანაგო უთნელიძე, თქვენ მუშაობდით აგიტ-პროპში... —

ვანო ოდნავ შეკრთა: — დიას... — საუბარი სწარმოებდა რუსულად.

— თქვენ მუშაობდით აგიტ-პროპში კარგად და ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ თქვენ ხართ ჩვენი კაცი — ვანომ წამოიძახა: არაფერი არ მესმის!

ანდრეევა, ამ წამოძახილით უთნელიძე შეაფასა ვით გამოუცდელი ყმაწვილი კაცი და ოდნავ გაუღიმა მას სიბრაღულითა და თანაგრძნობით.

— აი რა, უთნელიძე; რასაც გეტყვი, ეს რჩება ჩვენ შორის... შენ შესულისხარ ფერეულების წრეში; იქ შენ გენდობიან. შენ უნდა გვაცნობო ყოველივე ის, რასაც ლაპარაკობენ ისინი და რაც უმთავრესია: შენ უნდა ვაიგო და გვაცნობო ყოველივე, რასაც აკეთებენ ისინი! —

ვანო თავზარდაცემული უსმენდა ანდრეევს და მას ისეთი შესაბრაღისი, ისეთი შემფოთებული და უმწეო გამომეტყველება ჰქონდა, რომ უთუოდ დაეჯერებოდა თუ იტყოდა: რომ მას სწორედ არაფერი ესმის და საზოგადოდ ამ საქმეში. პოლიტიკის საქმეში არაფერი გაეგება... ამხანაგი ანდრეევი ამაში დარწმუნებული უნდა ყოფილიყო! — ანდრეევა გააწყვეტია:

— კმარა! — მკაცრად სთქვა მან. უთნელიძეს თვალებში ცივად ჩაჰხედა და ყმაწვილი კაცი მიხედა, რომ ანდრეევს ის არ შეებრალებოდა. ანდრეევა კიდევ გაიმეორა: კმარა! — თითქოს სილა გაატყა.

— ეხლა წადი უთნელიძე! ყოველივე საიდუმლო! პირველ ცნობებს წარმომიდგენ ერთ კვირაში! —

უთუოდ დიდი ხანი გასულიყო, რადგან ხეივანში არავინ სჩანდა. ვანო ნაგვემივით მიდიოდა. მას მოაგონდა, რომ პაწია, მაჯის საათი, მანანასთან ჩხუბის დროს მდინარეში გადაისროლა. ეს იყო ისეთი მოვლენა, რომელიც იწვევდა გულის ძვერას, აგრეთვე ღიმილს, მაგრამ დღეს

შემდეგ, ვანო უთნელიძე არ იყო ღირსი ღიმილის და უბედურებად ისიც კმაროდა, რომ მას საზოგადოდ ჰქონდა გული, რომ იყო ცოცხალი —

ყვავილთა სუნი ხეივანში ღამით მძაფრი იყო და ვანო ისე უილაჯოდ მიდიოდა, რომ აყენებდა მტვერს და მას მტვერის სუნიც სცემდა.

ანდრეევა უთხრა: თუ შენ იფიქრებ დეზერტირობას, შენ მაგივრად პასუხს აგებენ ისინი, ვინაც შენ გიყვარს.. — გზები იყო მოჭრილი.

ვანოს გამაღებელი ნაბიჯები შემოესმა; ეს იყო ლევანი, რომელსაც ანიკო სახლში მიეცილებია.

— რა მოვიცა, ვანო!?! — შორიდანვე ჰკითხულობდა ლევანი. ვანოს ძლიერ გაეხარა. მან ძრწოლვით წამოიძახა: ოჰ, ლევან ვეთაყვა!, მაგრამ წამსვე მოაგონდა, რომ შესაძლებელი იყო მას უთვალთვალდებინებ.

— ჩეკაში ვიყავი! მინახულე ხვალ! ეხლა მომეშვი! —

სოლომონ ფერეული, ტანთ-გაუხდელი, ლოგინზე გარინდებული წამოწოლილიყო და თუმცა ღია ფანჯარაში ბაღს ვასცქეროდა, მაგრამ სანახაობა მთავრით განათებულ ბაღისა მას არ ართობდა.

„როდესაც ქალი წასულია, მასთან ვედრებით ვერაფერს გააწყობ!“ ეს იყო პასუხი მრავალნაირ გეგმათა, რომელსაც იძლეოდა გამოცდილება და გონიერება და რომელიც შეეხებოდა ანნა ივანოვნას.

სოლომონმა თვალები მიხუჭა; შემდეგ აიღო წიგნი და დაიწყო კითხვა. ისე გადაიკითხა მთელი გვერდი, რომ არც შეუმჩნევია თუ ჰკითხულობდა, არც ის, თუ სხვაზე ჰფიქრობდა. გონების სიღრმეში დაუქრობლად იცინოდა ანნა ივანოვნა; სიცილის დროს, ლოყებზე მას უცხადდებოდა პაწია ორმოები და ეს იყო თავ-ბრუ დამხვევი.

თავ-ბრუ დამხვევი იყო აგრეთვე სიცილი, მოჩვენებითი წყნარი, რასაც ისროდა სხეული. ამ ორ მოვლენაში, სიცილსა და პაწია ორმოებში ცხადდებოდა მთელი მშვენიერება ანნა ივანოვნასი, ვაგლახ, სამუდამოდ წასულის! კიდევ ფიქრობდა სოლომონი: — აი მდინარე, არსებობს აგრეთვე რევოლვერი და მრავალი საშუალებანი, რათა ადამიანმა ბოლო მოუღო ყოველგვარ სისაძაღლეს, ყოველგვარ სისულელეს! —

სოლომონი ისე წამოდგა, თითქოს წიგნი ხელთ არ სჭეროდა. წიგნი იატაკზე დაეცა.

სოლომონმა შეახვია მსხვილი თუთუნი, ააბოლა და ოთახში იწყო სიარული. მან კარგად იცოდა, რომ თავს არ მოიკლავდა, თუმცა გონების თვალთ, გარკვევით დაინახა რევოლვერი, რომელიც უნდა დაეხალა პირში.

იმ ხანებში, როდესაც ვინმეს ჩვენს ქვეყანაში დაჭერა მოელოდა, იგი გარბოდა სხვა ქალაქში და რამდენიმე თვის შემდგომ, როდესაც მას იგივეუბნდნენ, ეს დამოკიდებული იყო ბრალდების სიმძიმეზე, იგი უკანვე ბრუნდებოდა.

მაგრამ ვანო უთნელიძეს წასვლა არ შეეძლო; ჯერ ერთი იმიტომ, რომ მას მაგივრად სხვებს დაიჭრდნენ, ხოლო რაც მთავარია, შესაძლებელია ამითი ჩეკას ეფიქრა: რომ ვანო უთნელიძე გაიქცა, რადგან ბევრი იცოდა! ამიტომ გადასწყვიტეს: ვანო ქალაქში დარჩენილიყო. ერთი კვირის განმავლობაში, ვანო სამჯერ დაიბარეს ჩეკაში; და ბოლოს იგი დაატყვევეს და ერთი კვირის შემდეგ სრულიად მოულოდნელად გაანთავისუფლეს.

ჩეკის ასეთი საქციელი, აგრეთვე ის, რაც იმ ხანებში ჩეკამ მოიმოქმედა, იყო და დარჩა გაუგებარი, თუმცა ცხადია, ჩეკას სურდა რაღაც დაეხალა ან წარმოედგინა სხვა გვარად.



იქნებოდა დილის სამი საათი, როდესაც ნაცემი ვანო უთხელიძე ჩეკიდან გაუშვეს. გარედ წვიმდა და ჰქროდა ქარი. ვანო მიდიოდა ისე, თითქოს სულერთი ყოფილიყო მისთვის, სადაც უნდა წასულიყო. ქალაქის ხეივანში იგი შესდგა; უნებურად აპხედა ცას და რაღაც ვადაწყვეტილება მიღებული, თითქმის სირბილით გაემართა სოლომონ ფერეულის სახლისაკენ. ისეთივე აჩქარებული შევიდა ეზოში, უკანა აივანზე ერთ ფანჯარას მიადგა და ჩურჩულით დაიწყო ხმობა:

— მანანა, მანანა... —

ოთახი განათდა. გაიღო ფანჯარა და მანანას მაგივრად გამოჩნდა კოტე ფერეული.

ვანოსათვის სულერთი იყო, ვინც უნდა ენახა; კოტეს მან დალაპარაკება არ აცალა.

მშრალი ხმით აბორცდა:

— აი, მოვედი გამცემი, მოლაღატე... მიფრთხილდით ყველამ! სულ ყველამ მიფრთხილდით!.. —

კოტე ფანჯარაზე გადახტა და გასაქცევად გამზადებულ ვანოს საყელოში წვდა.

— აქ მოდი! — ოთახში ფანჯრიდან შევიდნენ.

ვანო სოველი იყო. სახეც სოველი ჰქონდა და ლაწვზე აჩნდა დალილავებული.

— დამშვიდდი! — უბრძანა კოტემ — სთქვი რა მოხდა! —

— გითხარი კოტე... მცემეს, მოითხოვენ სტამბის გაცემას, მოითხოვენ იარაღის გაცემას...

ხელ ისევ დამატუსაღებენ და ჩემთან ერთად მშობლებსაც... —

— არ მესმის... რატომ უნდა დავატუსაღონ, აკი გამცემი ვარო!.. გაეცი!.. —

კოტე მკაცრად ეკითხებოდა.

— არა! მცემეს! მეტი არ შემოიძლია!! —

კოტემ სახე ხელებით დაუჭირა, თვალეში ჩაჰხედა და კიდევ ჰკითხა, მხოლოდ გარკვევითა და დაბეჯითებით:

— მიპასუხე, გაეცი თუ არა!!? —

ვანო თითქოს გონს მოვიდა, გაჯავრებით მიუგო, ვით შეურაცყოფილმა:

— რას ამბობ! არა! —

— მაშ კარგი — სთქვა კოტემ — ჩავიცვამ და წავიდეთ. მგონი მანანა გინდოდა გენახა? —

— მინდოდა... —

— წამო... — უეცრად კოტემ ვანო შეაჩერა და ისევ ჰკითხა: — ღირსი ხარ თუ არა! ხომ არ გითქვამს! —

— არა კოტე, არა! —

მანანა გააღვიძეს. ნაცემარ ლაწვზე, ვანოს მან ხელი მოუსვა. მანანას თვალთ ცრემლები ადგა; ცრემლები, თვალთა გამოისობით სჩანდნენ შავად და ბრწყინავდნენ.

იმავე ღამეს, არ გაველო ერთ საათსაც, რომ მურზა უთხელიძეს თავისი ვაჟი მიჰყავდა სამურზაყანოში, იქ უნდა დარჩენილიყო ვანო, სანამ ამბები მიწყნარდებოდა.

მამა და შვილი ისხდნენ ცხენებზე.

კოტე მათ დაემშვიდობა და სხვა გზით გაემართა შინისაკენ. ისევ წვიმდა. ქარი არხევდა ხეებს და რადგან მათ დანათოდა ელექტრონი, ამიტომ ჩრდილი ფოთლებისა, ისე ირხეოდა მიწაზე, ვით სულიერი.

კოტემ შორს შენიშნა რამდენიმე კაცი; ისინი სჩანდნენ ბუნდოვანად და კოტე მათ დააკვირდა რათა გამოეცნო: ესხათ თუ არა იარაღი. ამ დროს კოტეს დაუძახეს:

— ფერეულო, გაჩერდი! არ გაინძრე! —

ეს იყო მერაბი, რომელიც არ სჩანდა, მხოლოდ იძახოდა აუღელვებლად, თუმცა წყრომით. წამს მოავიწყდა კოტეს, რომ ის მერაბის ქუჩაზე იყო და არ ჰქონდა იარაღი.

ბნელოდა, ხეს მიფარებული გამოვიდა მერაბი და ილიაში თოფ ამოჩრილი წამოვიდა კოტესთან.

კოტემ ჯერ იფიქრა, ხელ-დახელ მოდისო. მერაბი მოახლოვდა; ერთი რაღაც გაურკვეველად შეხედა კოტეს, შემდეგ თავი დაუქანა:

— წამოდი! — სთქვა უმაღური კილოთი, როგორც იტყვის თავის-თავზე უკმაყოფილო კაცი; კოტეს ზურგი შეაქცია და გაემართა: — გამივინე მერაბ... — მაშინ მერაბი შესდგა და გამწყრალი, მაგრამ ისე, თითქოს თავის-თავს უწყურებოდა, წარმოსთქვა:

— წამოდი, დავეცა ოჯახი. ყველა ქუჩები გაკრულია, ცოცხალი ვერ ვახვალ — მერაბი ცდილობდა ხმა-დაბლა ელაპარაკა, მაშასადამე შესაძლებელი იყო სხვებს გაეგონათ, ამიტომ ერიდებოდა და საერთოდ მისი საქციელი იყო წრფელი, ემჩნეოდა, იგი არ ეძებდა სისხლს. განცვიფრებული კოტე, მერაბმა მიიყვანა თავის სახლში და მოათავსა ერთს ბნელს ოთახში, რომელიც ქუჩას გადმოჰყურებდა.

— ჩემს მოსვლამდე არსად წახვიდე — სთქვა მან და წავიდა.

კოტე დაჯდა რიდეებით დაბურულ ფანჯარასთან და დაიწყო ლოდინი. მას შეეძლო წასულიყო; იქნებ ეს ყოფილიყო უფრო გონიერი, მაგრამ ეს იქნებოდა გაპარვა, კოტემ არ იკადრა. წვიმა შესწყდა. შორს, საღდაც განთიადისას იყივლეს მამლებმა და ქუჩაში ადგა ნისლი, რომელიც თანდათან სქელდებოდა. მერაბი მოვიდა. ის იყო დაღვრემილი და არ მალავდა უკმაყოფილებას. მის შემოსვლაზე, კოტე ფეხზე წამოდგა. მერაბმა სთქვა:

— სხვა პირობებში მენახე ფერეულო, უეჭველად მოგკლავდი! — მან ხელი ისე გადააქანა, რომ თავის გონებაში ჯერ კიდევ არ ჰქონდა ვადაწყვეტილი: კარვად იქცეოდა თუ არა და დაუმატა:

— გადამირჩი! —

ყოველივე ამას და რაც შემდეგ სთქვა, მერაბი ლაპარაკობდა უნდილად, თითქოს იძულებით.

— ეხლა წადი! არ გირჩევ სახლში წასვლას, ა, ეს წადი — მაუზერი ხელთ მისცა — ალბად, შენები დაჭერილი იქნებიან. წყალქვეშამ ჩეიღინა ყველაფერი! ამას იმიტომ ვამბობ, რომ მურზას ბიჭს არაფერი დაბრალდეს; იმისი დაჭერაც წყალქვეშას ჩაწყობილია, ვითომ თავის-თავზე რომ ექვეები ეეშორებია. ეხლა მამა-მისს საღდაც ცხენით მიყავდა ბალანა; ჩეკას ესეც გამოანგარიშებული ჰქონდა, გაუშვეს. გირჩევ სადმე წახვიდე! თომა, ფიორიონ და ჭერილი ჩამოიყვანეს; ამობენ, საღდაც ზღვის პირზე სტამბაც დაუჭერიათო!


კოტე წავიდა. მან გააღვიძა მათა და რაც იცოდა მოუთხრო.

მალე ორივენი მიიქაროდნენ ნაპირისაკენ. ფიორიონი წასასვლელად. მათ, ჯერ ტყეში ვადამალული იარაღი უნდა მოენახლებიათ, ხოლო შემდეგ, რადგან კოტე ქალაქს უნდა გასცლოდა, მათა მას გადაიყვანდა თავის სოფელში.

კოტე და მათა მიდიოდნენ მაღალი ჯებირით; ნისლში არაფერი სჩანდა და ის იყო, მათა შესდგა, რათა თავისი ბაიდა ეცნო, რომ კოტემ თავის წინ შენიშნა ვიღაც კაცი. უცნობმა, უთუოდ უფრო ადრე დაინახა ისინი და კოტეს მოეჩვენა, რომ იგი შესდგა და იარაღის ამოღება დააპირა. კოტე გადახტა და უცნობი დასცა. ეს იყო წყალქვეშა; იგი წინააღმდეგობის გაწევას არ აპირებდა.

— ბიჭოს, ბიჭოს... — ქშინავდა კოტე — ეს მომეცი აქ — მოხიდან რევოლვერი ამოაცალა: უბეები გაუსინჯა, წამოაყენა წყალქვეშა.

— წამო ჩვენთან! მხოლოდ იცოდე: ხმა ამოვიღია, გათავდა!! —



ლოყაზე ტლაპო მისხმოდა წყალქვეშას, ქამრიდან ხალათი ამოსტურწოდა, მაგრამ არც სახე გაუწმენდია, არც ტანთი გაუსწორებია: — თქვენ მე ვერ გადაგიჩრები, თქვე პირადლებო! — სთქვა მან.

იგი ნიჩბებზე დასვეს. ზურგიდან მოუჯდა კოტე და რათა უეცრად წყალში არ გადავარდნილიყო, მას ფეხზე მდგარი, ნიჩბებზე შეელოდა მათია.

ბაიდა რომელიც ნისლში მათიას მიჰყავდა ალოთი, მიდიოდა სწრაფად. ასე უხმოდ იარეს ნახევარი საათი. ნისლმა იწყო კლება და რამდენადაც იგი კლებულობდა, იმდენად ჩნდებოდა ქვეყნიერება, რომელიც თითქოს პირველად იბადებოდა ქაოსიდან.

მდინარე ფიჩორის სათავეში, თომას კარავთან ბაიდა გააჩერეს და კოტე სწრაფად ავიდა ნაპირზე.

მურა არ სჩანდა. კარავი იყო ღია, ხოლო კარავში ყოველივე არეული. ლოგინი აეყარათ, წიგნები მიმოფანტათ. ერთი წიგნი აიღო კოტემ, მწუხარებით გადაშალა: „იყო ერთი კაცი და ჰყავდა ერთი ვალღეტილი ვირი...“ საბა ორბელიანის იგავ-არაკები. წიგნი დააგლო და ბაიდაში დაბრუნდა. გზა განაგრძეს.

33

შუაღლე გადასული იყო, როდესაც ჩვენი მგზავრები მდინარე ფიჩორის სათავეებს შეუღდნენ. ისინი მისცურავდნენ მდინარის ერთ შენაკადით, რომელიც გამოდიოდა ულრან ტყეში და ჰგავდა პატარა რუს, სადაც ნიჩბებსაც ვეღარ ხმაობდნენ. ბაიდა მიწოლით მიჰყავდა რუში ჩასულ კოტეს; წყალი მას ხან მუხლებამდე წვდებოდა, ხან მკერდამდე. ბაიდაში, კოტესაკენ ზურგ-შექცევით იჯდა წყალქვეშა და არ ირხეოდა. კოტე შესდგა. გააჩერა ბაიდა.

— ამოდით! — სთქვა მან.

მათია ამოხტა. წყალქვეშა ამოვიდა შემკრთალი, ვით ადამიანი, რომელსაც ყურთა-სმენა არა აქვს და არ იცის, შერება თუ არა იმას, რასაც უბრძანებენ. იგი ქაობში ჩაეფლო და რა ფეხი ამოიღო, გავარდა რევოლვერი. კოტემ ესროლა. წყალქვეშა დაეცა პირ-ჩაღმა.

რევოლვერის ხმაზე, სადაც ახლოს ტყეში, თავზარდაცემული აფრინდა ძერა; იგი ისე ჰკიოდა, თითქოს თვითონ ყოფილიყო დაჭრილი. შემდეგ დამკვიდრდა სიჩუმე, მხოლოდ ისმოდა წყლის ხმა. კოტემ სთქვა:

- სხვაფერ არ შეიძლებოდა —
- რამდენიმე ხნის შემდეგ მათიამ იკითხა:
- ახლა რას აპირებ?! —
- იარაღი ამოვიღოთ და იგი იქ ჩავმარხოთ —
- კი მარა, ტურა ამოთხრის შეჩვენებულნი... — მერე ერთბაშად წამოიძახა მათიამ:
- აბა არიქა! არ ღირს დროს დაკარგვა! —

უსულო გვამი, როგორც იყო პირჩაღმა, ისე ასწიეს და ტყეში შევიდნენ. ისინი მიდიოდნენ უხმოდ, ხშირად იფლებოდნენ და ბარდი, ტანთ ეღებოდათ მათ იმგვარადვე, როგორც ეღებოდა მათ ტვირთს. ერთგან მკვდარი დაასვენეს და მათიამ, იქვე ბარდში შენახული, გამოიტანა ნაჯახი და ბარი. აქ, ხის მორებით ამოყვანილ, საკმაოდ დიდ ორმოში, სადაც ჩაეტოდა ოციოდე თოფი, ჩაფლული ჰქონდათ იარაღი. იარაღი ამოიღეს. ორმოში იდგა წყალი. წყალქვეშას გვამი ჩააგდეს ორმოში და რათა მხეცებს არ ამოელოთ იგი, სასწრაფოდ მოსჭრეს დიდი თხემლა; თხემლის მორებით გვამი ზევიდან დატვირთეს და შემდეგ დააყარეს მიწა.

მეორე დღის შუაღამეს, უძინარი და დაქანცული მათია დაბრუნდა სახლში. კოტე მან ჩააბარა თავის სოფლებს, რომელთაც იგი უნდა გადაეყვანათ მთებში. მთებშივე გადაიტანდნენ იარაღსაც.

34

როგორც მუდამ, საერთო დაჭერების დროს, ჩეკის სარდაფები საესე იყო ტუსალებით. აქ იყვნენ თითქმის ყველა ჩვენი ნაცნობები, გარდა იმათი ვინაც გაიქცნენ, გარდა მანდილოსნებისა და სოლომონ ფერეულისა, პავლე ბაღრიძისა და ვიქტორ რაზმაძის.

ვიქტორ რაზმაძეს იონა თავაძემ საყვედური უთხრა: — მე შენ მეგობარი მეგონე ამხ. რაზმაძე! — საუბარი სწრაზ მოებდა დაჭერების მეორე დილას, ელსმენით, როდესაც გამოირკვა, რომ კოტე ფერეული გაქცეულიყო. ამ მოვლენას, ჩეკის თავმჯდომარე გაეჯავრებია და იგი ჰყვიროდა. ვიქტორ რაზმაძემაც ყვირილით უპასუხა:

— არც ასეთი საყვედურების მოსმენა მწაღია! და თუ გნებავს, გამანთავისუფლე შენი მეგობრობისაგან. გესმის იონა ათვაძე, კმარა! დიან, კმარა! —

რაზმაძემ ლაპარაკი შესწყვიტა. ჩეკის თავმჯდომარეც უხმოდ გაშორდა ელსმენს, მხოლოდ გონებაში სთქვა: — კეთილი! —

საერთო დატუსალებათა დროს, სანაპირო ქალაქში, ჩეკის ახლო-მახლო იწყებოდა ქალთა და კაცთა მიმოსვლა. მათ მოჰქონდათ „გადაცემები“ და ასეთ მიმოსვლას არ აკლდა მხიარულება. მაგრამ ეხლა ყველანი იყვნენ დაღვრემილნი. დადიოდა მრავალგვარი ხმები შესახებ იარაღისა და სტამბისა, შესახებ დაჭერილთა და გაქცეულთა.

საერთო საკანიც, რომლის სიმღერები ხშირად ქუჩას წვდებოდნენ, ეხლა დამწუხრებული იყო და ხმას არ იღებდა. საკანმა კარგად იცოდა, რომ ჩეკამ ორი დიდი საქმე „გახსნა“. ტუსალები დრტვინავდნენ.

თომა ფერეული ცალკე საკანში მოეთავსებიათ. მას, შთამომავლობით აზნაურს, ბრალდებოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იარაღით ბრძოლა.

საკანი იყო ბნელი და უთუოდ ბინძური. შიგ იდგა ნეხვის სუნი და ილაჯ-გამოლეული თომა, უსულო საგანივით მიგდებულყო იატაკზე. მან იცოდა, რომ ერთობ ამოსერილი იყო წუმპეში, მაშასადამე შესაძლებელია, მასთან ლაპარაკი გათავებული ჰქონოდათ, რადგან ასეთ ადამიანთან ლაპარაკს არავენ მოისურვებდა, თუ არავენ შესძლებდა. მას ბევრგან სტკიოდა სხეული.

ეს გასაგები იყო, მხოლოდ გაუგებარი რჩებოდა ცერის სახსარში ტკივილი, რადგან იქნებ ეს ყოფილიყო ნეკრესის ქარი და არა დარტყმული. გონების სიღრმეში თომამ გაიღიმა:

„ნუთუ თომამაც დაარტყა?“
— ამხანაგო თომა ფერეულო, ინახავდით თუ არა თქვენ იარაღს! — ეკითხებოდა თომას, ჩეკის თავმჯდომარე იონა თავაძე.

- ოთახში ბნელოდა.
- თომამ უპასუხა: --
- დიან, ვინახავდი! — ჩეკის თავმჯდომარემ ძლიერ ნასიამოვნები ხმით ჰკითხა:
- რა თქმა უნდა საბჭოთა წინააღმდეგ!?
- რა თქმა უნდა! —
- ვინ გადმოგცათ?! —
- არავენ! —
- თომა! სთქვით ვინ გადმოგცათ —
- ამაზე თომას ხმა არ ამოუღია. ჩეკის თავმჯდომარემ დაუწყო თხოვნა:



— ძალიან ვთხოვთ, რადგან ეს მეტად საჭიროა და დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენთვისაც —

თავმჯდომარემ სინათლე ანთო და იგი თითქმის ევეღრებოდა თომას:

— თქვენ თომა ტყუილს ვერ იტყვი! ვინ მოგაბარათ! თქვენ თვით უნდა გვითხრათ, თორემ ჩვენ ისედაც ვიცით! —

მაშინ თომამ ჩვეულებრივი საუბრის კილოთი სთქვა: — არავითარი იარაღი მე არ მქონია, არც არავითარი მობარება ვიცი! —

ამ სიტყვებზე თავაძეს შესაბრალისი სახე შეექმნა და თომამ უსაყვედურა:

— აბა რა გიყო, შე ოჯახ-ქორო! თუ გინდა, მე შენს განკარგულებაში ვარ, ოღონდ ვაძეხი და სხვას ნუ მომთხოვ —

იონა თავაძე ჭირვეულობდა და თომამ ისევ უარყო ყოველივე. მან განაცხადა:

— არავითარი იარაღი მე არ მქონია —

მაშ რისი იყო ის ორმო თქვენს ლოგინ-ქვევით? — უთუოდ თავმჯდომარეს ჰსურდა, ბრალდებულს იგი მოსჩვენებოდა გულუბრყვილო კაცად.

— ორმო? — განცვიფრებით იკითხა თომამ — შიგინებდა მურა! ჩემი ძალი მურა იძინებდა შიგ, რომელიც შენმა კაცებმა მოჰკლეს —

რა თქმა უნდა, იონა თავაძე გულუბრყვილო ადამიანი არ იყო და მან შესცვალა ხერხი:

— შენ უნდა იცოდე — მკაცრად წარმოსთქვა მან — რომ ასეთი პასუხით, შენ ეკვის ქვეშ აყენებ ყველა მათ, ვინც მე დაბლა მყავს დატუსაღებული —

— შენ ასე გსურს, იონა თავაძე, თორემ მე არაფერ შუაში ვარ —

ოთახში სინათლე ჩაჰქრა. თომა ვილაცამ იატაკზე წააქცია და სცემეს.

ასე მეორდებოდა ყოველ ღამე მთელი კვირის განმავლობაში. ბოლოს თომას თავი ანებეს.

თომას გვერდით მოთავსებული იყო ონისიმე ფერეუელი. ერთი-მეორის მეზობლობა მათ არ იცოდნენ. ონისიმესაც იარაღის საქმე ბრალდებოდა, თუმცა მან განაცხადა, რომ გარდა საოჯახო საქმეებისა, არც პოლიტიკისა იცოდა რაიმე, არც იარაღისა. თავაძე იძიებდა:

— ნუთუ არავინ არაფერი გითხრა ან შეგეკითხა ან დაგავალა, როგორ დავიჯერო! —

— არავინ არაფერი! უთუოდ მერიდებოდნენ, როგორც წვრილ ცოლ-შვილის პატრონს —

როდესაც თავაძე გაჯავრდა და საცემრად წამოვარდა, ონისიმე მიეყრდნო პოლანდურ ღუმელს და დაებჯინა სავარძელს. მაშინ იონა თავაძემ სთქვა:

— კარგი, დაჯგედი ონისიმე —

თავმჯდომარემ იცოდა, რომ ონისიმე ფერეუელი შეაკვდებოდა, მაგრამ არავის გაელახვინებოდა. იგი, როგორც კოტე ფერეუელი, იყო ღონიერი. საკანში ონისიმეს უმეტესად ეძინა.

ლევანი, თემუყვა და ბატონი ვარლამი საერთო საკანში მოეთავსებოდათ, სადაც მათ გარდა, თავსდებოდა ორმოციოდე კაცი. მათი ცხოვრება, ისე ვით მათი დაკითხვა ღიად საყურადღებო არ იყო, თუმცა შეიძლება აღინიშნოს ორი მოვლენა. ერთი, ლევანი დაკითხვაზე უპასუხებდა უკმეხად და იგი არავის უცემია. მეორე, ერთჯერ თემუყვამ ბატონ ვარლამს უთხრა: — თუ თქვენ იცოდით სოციალიზმის ამბავი, მგონებოდა, გასამართლებას აღარ მოგიტოვებდით —

ერთს პატარა, ბინძურსა და ნახევრად ბნელ საკანში, ერთად იჯდნენ მოხუცი ივანე და მისი დიშვილი გოგია კოკოსაძე. ისინი გადაცემებს არ ლებულობდნენ, თუმცა

მათი საქმე ნათელი იყო; ამჟამად ჩეკა იძიებდა, თუ მათ გარდა ამ საქმეში კიდევ ვინ ლებულობდა მონაწილეობას.

„არ არის ბოროტება ისეთი, რომელსაც კაცთა შორის არ გამოუჩნდეს მფარველი და მაჭებარი, არ არის სიკეთე ისეთი, რომელსაც ყველანი მფარველობდნენ და არავის აძაგებდეს“ — ეს იყო ცნობილი ვითარება და ამის გამო, გოგია კოკოსაძეს მართებდა გულგრილობა, როდესაც ჩეკის თავმჯდომარემ მიმართა მას ასეთი სიტყვებით:

— ნუთუ შენ, უბედურო გოგია კოკოსაძე, არ გცხვენია შენი საქციელის... მე სწორედ განცვიფრებული ვარ — იონა თავაძე გულწრფელი იყო — შენ, ღარიბი ახალგაზრდა კაცი, შთამომავლობით გლეხი, ნუთუ კაცო გული არა გაქვს, რომ მშრომელს ებრძი!?! —

გოგია კოკოსაძეს, იონა თავაძე კარგად ვერ იცნობდა, მაგრამ პირველ დაკითხვისათანავე აღმოჩნდა, რომ გოგია უფრო ონისიმე იყო და საზოგადოდ იყო სხვა კაცი, ვიდრე ამას უმტკიცებდა გარეგნობა. გოგიამ მიუგო:

— ყველაფერი ეს, შემიძლია გკითხო შენ! —

გოგია ლაპარაკობდა მშვიდად. მან თავაძის პაპიროსიც მოსწია, რასაც დაკითხვის დროს ტუსაღები ერიდებოდნენ, რადგან ხმები დადიოდა, თითქოს თუთუნში ახვევდნენ ბანგს.

იონა თავაძეს მაგიდაზე ედო მაუზერი, გოგიამ ლაპარაკში მაუზერს ხელი შეახო, სავარძელში ჩაჯდა. ყველაფერი იყო ბუნებრივი.

— ...და არა მარტო მე, ამნანავო თავმჯდომარე, არამედ მთელს ჩვენს ქვეყანას შეუძლია შენ გკითხოს, თუ რატომ არ გცხვენია! მე კი, ვემსახურები ჩემს ქვეყანას! —

— მეც ვემსახურები —

— შენ? — გოგია განცვიფრდა. მერე ხელი ჩაიქნია — კარგი კაცო, ზღაპარს ნუ ლაპარაკობ! — თავაძეს ჯერ სურდა ეყვირა, თავი შეიკავა. გოგიას დამშვიდება აცალა.

— მე კარგად ვიცი — სთქვა მან — რომ მთელი ქვეყანა, ჩვენი და ჩემი წინააღმდეგია. მათ მე ანგარიშს არ უწევს! ეს არ არის ადვილი, მაგრამ ეს ასეა. მხოლოდ მე მინდა, ზოგიერთებმა იცოდნენ, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, რომ მე არ ვსტყუი; ჩვენი ქვეყანა არის პატარა, მას არ შეუძლია იარსებოს დამოუკიდებლად — გოგიამ გაავრძელა:

— და ამიტომ საჭიროა რუსის ჯარების შემოყვანა! თქვენ ამას ეძახით ქვეყნის სამსახურს, ჩვენ — ლალატს — იონა თავაძისათვის ნათელი შეიქნა, რომ გოგიასთან არ ვასჭირდა მოლაპარაკება, მაგრამ მიინც გაავრძელა:

— მიუხედავად ამისა, შე უბედურო გოგია კოკოსაძე, ეს გახლავს ქართველ მეფეების პოლიტიკა, რომელთაც მე ეფიქრობ. შენ ვერ დაუწუნებ ვერც გონიერებას, ვერც გამჭირახობას —

— ვერა, ვერ დაუწუნებ! ეს არც საჭიროა! მხოლოდ, მაშინ ვეროპა იყო შორს და არ არსებობდნენ ისეთი. რამეები, რაც არსებობენ დღეს. კიდევ კარგი, რუსეთმა ვერ შეძლო ჩვენი პატივისცემის დამსახურება. თორემ შენსძლებელია დამოუკიდებლობისათვის მაშინ არ გვებრძოლა და დაგილუპებოდი! რადგან დამორჩილებული ერის შვილი, არ შეიძლება იყოს სულით ღიადი. არ შეიძლება ჰქონდეს შემოქმედებითი აღმაფრენა და სხვა მრავალი ასეთი. ხედავ თავმჯდომარე, რამდენი რამ გვაქვს სათქმელი?! —

ეს არ არის თავმოყვარეობის საკითხი.. —

გოგია კოკოსაძე, იქნებ იმიტომ ებრალებოდა თავმჯდომარეს, რომ მას, გოგიას ელოდა ვადასახლება. ეს დაუსრულებელი ტანჯვა და მშვიერი სიკდილი. ხოლო გოგიამ ეს არ იცოდა და უთუოდ გულუბრყვილობის გამო იყო უღარდელად.



გოგია სავარძელიდან წამოდგა და როგორც იცოდა, აღმა-დაღმა სიარულით ოთახში გაიარ-გამოიარა და სთქვა:

— რადგან თქვენ, ძვირფასო ჩეკის თავმჯდომარე, პატრონი ხართ, მოდი დროს ნუ დაგვარგავთ, დამიბრუნეთ მე ჩემი სტამბა, დაებეჭდავ ფურცლებს და თუ თქვენ ქვეყნის სამსახური გწადიათ, გაიტანეთ იგი ხალხში! — თავმჯდომარემ წარბები შეიკრა:

— იცი რას ვიზამ?! — სთქვა მან — ისეთ ადგილას გადავასახლებ, სადაც ირმებით დადიან!.. —

— მერე, რა ისეთი უმწეო მნახე... ერთ ირემს მეც დავიჭერ და ვივლი! —

გოგიას სიტყვებზე თავმჯდომარეს გაელიმა. ამაზე გოგიამ შენიშნა: მას ეს იმიტომ კი არ უთქვამს, რომ თავმჯდომარეს სიამოვნებოდა. —

მაშინ იონა თავაძე წამოიჭრა. (არის წუთი ადამიანის ცხოვრებაში, როდესაც იგი, შეპყრობილი და ამოძრავებული რაიმე აზრით, მიისწრაფის მის განსახორციელებლად და ამ მისწრაფებაში, სხადის ისეთ რამეებს, რაც თითქოს, ვერ უნდა ჩაედინა თავისი ბუნების მიხედვით; ასე ემართებოდა, ბუნებით უფრო რბილსა, ვიდრე მკაცრს, იონა თავაძეს, რომელიც იბრძოდა და არ ზოგავდა საშუალებებს).

მან გოგიას დაუწყო კემა; დაუწყო კემა არა იმიტომ, თითქოს გოგიას სიტყვები ყოფილიყო მეტად კადნიერი, გინა უშვერი, არამედ იმიტომ, რომ დაკითხვის გაგრძელება იყო უსარგებლო და იგი უნდა დასრულებულიყო.

35

საკანი, სადაც ისხდნენ გოგია კოკოსაძე და ბიძა მისი მოხუცი ივანე, იყო ნახევრად ბნელი. მოხუცს ისედაც თვალთ აკლდა და ვერაფერს ხედავდა, ხოლო გოგია ბნელს შეეჩვია და ყველაფერს არჩევდა. დატუსაღების პირველ დღეებში, როდესაც ძია დასისხლიანებული დაბრუნდა საკანში, გოგია გაშეშდა და ხმა ვერ ამოიღო, ხოლო ძიამ იფიქრა, უთუოდ ვერ ამჩნევსო და რათა ახალგაზრდა კაცს გული არ გასტეხოდა, ყოველივე დაუმალა. სამაგიეროდ გოგიამაც დაუმალა და ამგვარად, საკანში იჯდა ორი ხელ-შეუხებელი დამნაშავე.

— რა გკითხეს, ძია! —

— არაფერი, არაფერი! —

ძიას შესაბრალისად უთრდოდა ხმა, მხოლოდ მათ ბევრი არ უნდა ელაპარაკათ, რადგან შესაძლებელია აყურადღებდნენ და იქნებ კიდევ ამიტომ იყო, რომ ერთად მოეთავსებიათ. ამ მოსაზრებათა მომიზეზებით ძიას დიდხანს ხმა არ ამოუღია; როდესაც ტკივილები და მასთან ერთად მღელვარება მინელდა, ბიძია ივანემ გაიცინა:

— რა არის წვრილი ბურჯუაზია? — იკითხა მან. გოგიამ აუხსნა. ჩეკის აზრით, ბიძია ივანე ეკუთვნოდა წვრილ ბურჯუაზიას.

მთელი ზაფხული გაატარეს ბიძია ივანემ და მისმა დიშვილმა ერთ საკანში. შემდეგ ისინი გააცალკევეს; მათი საშუალებით ჩეკას უნდოდა სხვების აღმოჩენა. მრავალნაირ ხერხს მიმართავდა ჩეკა; მისდგებოდნენ ძიას: გოგიამ ესა და ეს პირები დაასახელა, სხვებიც შენ უნდა სთქვაო, — შემდეგ გოგიას მისდგებოდნენ.

არაფერი გამოვიდა და შემოდგომის დასაწყისში თომა ფერეული, ბიძია ივანე და გოგია კოკოსაძე, გადაყვანილ იქნენ ტფილისის ჩეკაში.

ამავე დროს ჩეკამ იწყო ტუსაღთა ნელნელა განთავისუფლება. განთავისუფლებულ იქნენ ონისიმე, თემუყვა და ბატონი ვარლამი.

36

შუა ზამთარი იდგა, როდესაც ლევან ფერეული მოულოდნელად ჩეკიდან გაუშვეს. ღამის იქნებოდა ცხრა. ბნელსა და უსიცოცხლო ქუჩებში გამვლელი არ სჩანდა.

ჭკროდა ცივი ქარი. წუმბეები გაეყინა. საპყრობილეში სიარული გადაჩვეული ლევანი უნებლიედ ილიმოდა და დროგამომწეობით ისე მიმოიხედავდა ირგვლივ, თითქოს უნდოდა რაიმე განსაკუთრებულად დაენახა, ან გაეგონა.

ბადრიძის სახლთან ლევანი შესდგა. რიდეებით დაბურულ ფანჯრებში სინათლე არ სჩანდა, თუმცა მაღლიდან, სადაც ბინადრობდნენ, ისმოდა მუსიკა, მაგრამ იმდენად სუსტი, რომ ქარის ყოველი მოვარდნა ახშობდა მას.

ლევანი იყო გაუპარსავი და დაუბანელი. გზა განაგრძო. ხეივანი გადასჭრა. შორიდან დაინახა კინო; ის იყო განათებული და ღია კარების წინ იდგნენ ახალგაზრდები, რომელთაც ქარისათვის ზურგი მიექციათ. ლევანმა შეუხვია ბნელსა და ვიწრო ქუჩებში, სადაც გამოდიოდნენ შეულობავი და უსუფთაო ეზოები სამიკიტნოებისა, ფურნებისა და სხვათა.

შევიდა თუ არა ლევანი ბნელში, მოესალმა არეული ხმები: ყვირილი, მუქარა, კვნესა. ხმებზე ლევანი გაიქცა, მაგრამ რა ახლოს მივიდა, თავზარდაცემული შესდგა და საჩქაროდ, რათა არავის დაენახა, ალგის ხეს ამოეფარა.

მიწაზე წაქცეულიყო სოლომონი, რომელსაც ადგომაზე შევლოდა ონისიმე. უთუოდ ორივე მთვრალე იყვნენ. სოლომონი ოხრავდა. მოშორებით სჩანდა უცნობი მამაკაცი, რომელიც ემუქრებოდა ალბად სოლომონს, რომ გააძრობდა ტყავს! ონისიმემ მას დაუყვირა:

— ჰეი, შენ გეყოფა თორემ, მე შენ მართლა გასწავლი ჭკუას! — იმდენი მრისხანება ისმოდა ონისიმეს ხმაში და იგი ისე იყო თქმული, რომ უეჭველია მთქმელს ასრულებაც შეეძლო. უცნობი შეყოყმანდა და გულადობის შესანარჩუნებლად წარმოსთქვა: აბა! ამ დროს გაიღო იქვე კარები და უცნობი მამაკაცი ქალმა შეიყვანა სახლში.

ლევანისათვის ყველაფერი ნათელი შეიქნა: ისევ ის, ფრანგული ენის მასწავლებელი ქალი.

მამა და ონისიმე უთუოდ სადღაც დაითვრენ; მამა იმ უსირცხვილო ქალთან გაიპარა, შეხვდა საყვარელს, საყვარელმა სცემა. შემდეგ მოვიდა ონისიმე.

მამა ფეხზე წამოდგა, ონისიმეს მხარზე დაეყრდნო და ამოიხვრით სთქვა, თან ბარბაცობდა: ხედავ, იმ წუთაკმა რა მაკადრა!! — ონისიმემ შეაწყვეტა:

— წამო ბიძია, წამო! —

გაჭირვებულბული მამა არ მიჰყვებოდა. მას ხმაზე ეტყობოდა, რომ თანდათან იწყებდა შეურაცყოფის გრძობას და რათა მამის ტირილი არ მოესმინა, დამწუხრებული და შერცხვენილი ლევანი გაეშურა სახლისაკენ.

სახლი ისე იდგა, თითქოს პატყი აეყარათ. არც ერთი განათებული ფანჯარა. ფორთოხლის ხე შეებუდრათ და თვალს ცოტათი იამა, რომ გუშინდელი თოვლი ზედ ეგერ-ავერ შერჩენოდა. შემდეგ ოდნავი სინათლევ გამოკრთა; ანათებდა ბიცოლა ნინოს ოთახი და ლევანი გაიქცა.


ბიცოლა ნინომ ლევანი გულში ჩაიკრა და ატირდა:

— აი, ბებერი ქალი სტირის — ბუტბუტებდა ბიცოლა ნინო — მაგრამ ეს არის სინარტლის და არა სასოწარკვეთილების. მართალია კოტე განიზნულია და თომა დატუსაღებული, მაგრამ აკი ლევანი დაბრუნდა, დაბრუნდებიან ღვთის წყალობით ისინიც —

ბიცოლა ნინომ უწინ იცოდა ყვირილი, ეხლა თვით სცხვეროდა თავის ცრემლებისა.

როგორც მის სიტყვებიდან გამოირკვა, მანანა ანიკოსთან ათედა ღამეს, ხოლო სოლომონი სადღაც წასულიყო. ამრიგად სახლი იყო ცარიელი და მას აკლდა სითბო. ლევანი უფრო დანაღვლიანდა.

მეორე დილას, სუფთად გაპარსული, იგი მამის კარებს მიადგა. ის უნდა წასულიყო სამსახურში, სადაც ანიკოსაც შეხედებოდა, მაგრამ წასვლის წინ მამა უნდა ენახა. კარებზე დააკაკუნა:



— შემოდი! — ხმა გასცა მამამ. ბევრს გაიღებდა ლევანი, რათა ეხლა მამა არ ენახა. ლევანი შევიდა. იგი იმდენად ყოფილიყო აღელვებული, რომ მამის დაძახება: შემოდი! —, უთუოდ მოჰყურებოდა; რადგან მამას ეძინა. მამა იყო გალურჯებული, პირი დაეღო და უხმოდ ეძინა. ლევანი ფრთხილად გაბრუნდა. მან დაიწყო ლოდინი, თუ როდის გაიღვიძებდა მამა, რადგან თავისი სურვილის წინააღმდეგ გადასწყვიტა მისი ნახვა. ის ცდილობდა, მამაზე უხვიროდ არ ეფიქრა, საზოგადოდ სულ არ ეფიქრა მამაზე, მხოლოდ მძინარე მამა, ჰგავდა დილის მთვარეს, რომელიც ცაზე, შესაბრალისი სანახავია დღისით.

სოლომონს, რომელსაც მხოლოდ განთიადზე-ლა ჩასძინებოდა, იქნებ კიდევ გავრძელებოდა ძილი, მაგრამ ოთახში ლევანის შესვლა მის სმენას მიწვდა და თუმცა არ გამოღვიძებია, მაგრამ სიმშვიდე წაერთვა და ბურანში ჩაყარდნისმა იწყო ბორბვა:

„ღმერთო, ღმერთო“ — ითხოვდა იგი — „ჰქენი სიზმარი ყოველივე ის სისაძაგლე, რაც მე წუხელის გადამხდა“ — სოლომონს გამოეღვიძა.

მამის ოთახიდან მალე მოისმა სიმღერა. ლევანი მიახლოვდა. სიმღერა იყო უთავბოლო და დრო გამოშვებით. ის ემსგავსებოდა ღმუილს, რაც შეჰფერის თავის თავთან ჩხუბში გართულ ადამიანს, რომელიც მღერის. რათა არ იყვიროს. ლევანი შეეყვანდა: სიმღერის გამო, მამისადმი იბადებოდა საძაგელი იქვი: „ნეტავ, ნიღაბი ხომ არ იყო ასეთი სათნოების გამომეტყველება მამის სახეზე, მაშინ როდესაც, ბუნება მისი არ იყო სათნო და თვინიერი!? ან იქნებ მართლა იყო სათნო, მხოლოდ ახალმა ვითარებამ აპრია და დაამახინჯა!?!“ აქ საჭირო იყო თვალების დახუჭვა და ლევანმა სთქვა:

— მშობლების განსჯა შეილს არ შეჰფერის! —

ვინ იცის, იყო ეს სწორი თუ არა, მხოლოდ ასეთი რამ რომ მოიფიქრა, ლევანს ძალიან გაეხარდა, მამა არ უნახავს, ისე წავიდა.

37

სოლომონმა არც იცოდა თუ მღეროდა, ან თუ რაიმე ხმებს გამოსცემდა. შემთხვევით სარკის წინაშე შესდგა და დაუწყო ცქერა. სარკიდან უსიციოცხლო თვალებით შემოსცქეროდა მას სრულიად მოხუცი ადამიანი, რომელიც მას სურდა ყოფილიყო უკეთესი ვიდრე იყო. მოხუც ადამიანს, ლოყაზე აჩნდა დარტყმული. სოლომონი შემობრუნდა. მას ეცვა შავი ხავერდის ხალათი, რომელიც დაქიქილ იყო. დახეულ ადგილას სოლომონს, ერთვან მოუჩანდა კისერი, შემდეგ თეთრი პერანგი.

მთელი დღე ოთახში დაჰყო სოლომონმა. მოვიდა ბიცოლა ნინო და როდესაც ბუხარი დაანთო, სთქვა: — ლევანი გაანთავისუფლეს.

— გიშველა ღმერთმა, დაგლოცა ღმერთმა — ამბობდა სოლომონი. ის იჯდა ფანჯარასთან. მის წინ, ბაღში, წამოვიდა თოვლი, რომელიც იყო წერილი და ჰგავდა-სეტყვას.

„როდესაც ტანჯვა მოდის, არ უნდა გაინძრე, რადგან ის გაივლის თავისით, ვით სეტყვა! ბედნიერება მაშინ იქნებოდა ამ ქვეყნად, რომ ადამიანს არ უხდებოდეს ბოროტი საქმეების კეთება“ — ამას ჰფიქრობდა სოლომონი, რომელსაც ბუნების სანახაობათა გამო, თუმცა სუსტად, მაგრამ მაინც უბრუნდებოდა სიმხნევე და სიხარულის უხარი.

მოფრინდნენ ბაღში ბელურები და იმ ადგილას, სადაც მანანა მათ უყრიდა საკენკს, დაიწყეს სეტყვაში ბანაობა. ჰშლიდნენ ფრთებს, ჰღელავდნენ და სოლომონს მოჰგვარეს ღიმილი. როდესაც ჩამობნელდა და დღე მიიწურა, დაიწყო ნამდვილი თოვა, ფართე და უხვი, რასაც გარემო შეეგება ხმა გაკმედილი.

სოლომონმა პალტო ჩაიცვა და სახლიდან გავიდა. თოვლი მოდიოდა ახლოდან, რადგან ცა ჩამოსულიყო დაბლა. სოლომონმა ხიდი გაიარა და მას მოეჩვენა, თითქოს ზღვიდან (რომელიც აგრეთვე გაყუჩებულიყო) ჩამავალ მზის სხივებმა, ერთი მყისით გაანათეს ქვეყანა, რომელსაც ათოვდა და ვაჰქრენ.

— რა მშვენიერება! — გონებაში სთქვა სოლომონმა, რომელსაც მართლა სჯეროდა, რომ ეს ასე მოხდა — სწორედ ღირს ადამიანმა იცხოვრო მარტო იმისათვის, რომ ასეთი რამ ნახო —

სოლომონი გავიდა ხის სახერხ ქარხნების უბანში და მდინარის ამალღებულ ჯებირზე იწყო სიარული; ის ხან ტყეს ვასცქეროდა ერთ ადგილას შემდგარი, ხან ჩქარი ნაბიჯით იწყებდა სიარულს, თუმცა ყოველივე იყო სულერთი, რადგან ვარედ სულიერი არ სჩანდა ვინმეს რომ დაეძრახა. ველური იხვები გადაფრინდნენ; მიფრინავდნენ დაბლა და წამით, ცაზედ ასტეხეს შხუილი და სტყენა. მოხუცმა მათ თვალი გააყოლა, თუმცა მის ცნობიერებას ველური იხვები არ შეჰხებია.

უცნაურია, უწინ რომ გაიფიქრებდა, მას ძლიერ სიამოვნებდა ის, რაზედაც ჰფიქრობდა; ეხლა უმადური გრძნობებით:

— ჰო, რა თქმა უნდა, ეს თოვლი, ისეთივე ადამიანებისაგან შესდგება როგორც ჩვენ და ოდესმე, ჩვენც ასე ვეწვევით დედამიწას... —

მდინარიდან ლაპარაკი მოისმა. ესენი იყვნენ მონადირენი, ტბაზე სანადიროდ რომ მისცურავდნენ, თან ისე მშვიდობიანად საუბრობდნენ. თითქოს არასოდეს, არაფერი ამალღევებელი არ მომხდარიყო ამ ქვეყნად.

ეს იყო საკვირველი, აგრეთვე საწყენი, რადგან მათ დაარღვიეს ღუმილი!

„ღუმილი აღსავსე მშვენიერებით ვით ყოველი უცნაურება, აღსავსე იღუმალებით ვით დიდი მუსიკა, ღუმლი ეს უკანასკნელი სიტყვა ყოველივე ხილულისა და უხილავის, დასწყვილოს, ღმერთმა!“

სოლომონმა გაჯავრებით გაიღედა პალტო და ხალათი, რათა თოვლი ჩასვლოდა კისერში.

შუალამისას, იგი დაბრუნდა სახლში და თავის ოთახში შევიდა ხველებით.

38


მეორე დღეს სოლომონი ლოჯინიდან არ ამდგარა. ის იყო დასუსტებული, გამოიყურებოდა შემკრთალი და აშკარად გაურბოდა მნახველთა თვალბში ცქერას. ხმას არ იღებდა, მხოლოდ მუდარით ითხოვა, რათა მკურნალი არ მოეყვანათ. შუადღისით, როდესაც თოვდა და ჩამობნელდა, მან შენიშნა, რომ ეხლა ყველაფერი შეიქნა უცნაური და ამიტომ ღამდება ადრე.

სოლომონმა ჩასთვლია, მაგრამ ისევ ჰბორგავდა და ამბობდა საყვედურით: „დიდი არაფერი იქნებოდა, რათა ყოველივე ის, რაც დედაკაცის გამო შემთხვევა, ყოფილიყო სიზმარი, რადგან ადამიანს ვაცილებით ამაზე უარესი და საძაგელი რამ შემთხვევია, მაგრამ აღმოჩენილა სიზმარი...“ — სოლომონმა თვალი გაახილა და ამოიხრა.

ბუხარში ტკრციალით იწვოდა დიდი კუნძი. ერთგული ბიცოლა ნინო ბუხართან იჯდა და წინდას ჰქსოვდა. სოლომონმა ისევ მილულა თიკლები. ძილი იგი იწყებდა და წუხილის გამო იღვიძებდა, რათა მეორე წუთშივე თვლებმა მორეოდა. სოლომონმა შეშფოთებით გამოიღვიძა და მანანა მოიკითხა: — მომგვარეთ მანანა! —

ბიცოლამ მანანა შემოიყვანა. მამამ მანანას ხელზე ხელი მოჰკიდა:

— მანანა ხარ! — რაღაც მწუხარებით იკითხა და გაილიმა. ვარეშებმა შენიშნეს, რომ ეს მწუხარება იყო ძილიდან გამოყოლილი.



მართლაც, სიზმრებმა სოლომონი დასჯაბნეს:

„ამას წინად, იგი ვით ნახევრად ველური ადამიანი (სიზმარში რა თქმა უნდა!) სცხოვრობდა ძველთა-ძველდროს, უღრან ტყეში, თუმცა კარგად იცოდა, რომ ამავე დროს იყო სოლომონ ფერეული. მზე ჩადიოდა და სოლომონმა დაიწყო ვედრება უფალთა-უფლის არალესი, რომელიც ჰბუღობდა დასავლეთით და ყოველდღე ჰყლაპავდა მზეს. ამ დრო ყველაფერი სწუხდა, სულერი და უსული! სწუხდა სოლომონიც.

არაღე მზეს მუდამ ანთავისუფლებდა, მაგრამ მაინც საჭირო იყო ლოცვა, რადგან უთუოდ ამ ლოცვის გამო თავისუფლდებოდა მზე.

რა ვედრებას მორჩა, სოლომონი გაემართა მახლობელ ხისაკენ, სადაც ეგულვებოდა თაფლი. ავიდა ხეზე და თაფლით გაერთო. მოვიდა მანანა. მანანამ ხარებით სთქვა: მამას რომ ჰხედავს თაფლის მჭამელს, ასე ჰგონია, თვით მას ტანზე რაღაც სცხია და აწუხებს!

მამას სიცილი არ ჰქონდა დასრულებული, როდესაც მოულოდნელად გამოტყვერა რომაელი მეომარი და მანანა გაიტაცა. მანანა ჰკითხდა. მამა მისაშველებლად დაედევნა და მეორე მეომარმა შუბი ჰკრა მკერდში. მამა წაიქცა.

ახლოს იყო მდინარე, დაფარული უხვი მკენარეებით, რასაც კიდევ ეფინებოდა მზე. მეორე ნაპირზე, ცხენებს აბანავებდნენ რომაელები, რომელთაც ჩვენში, შურის ძიების გამო ველურებს უწოდებდნენ, რადგან ისინი იყვნენ გამარჯვებულნი და ქვეყანა ჰქონდათ დაპყრობილი! თან, მათ შორის იყვნენ მეომრები ველურ ურდოებიდან.

სოლომონს ესმოდა ცხენების ქიხინი და გაქცეულ ცხენებს დადევნებულთა ყიჟინი; აგრეთვე ბავშვებიც გაჰკიოდნენ ცხენთა სახოტბაო სიმღერას: — ვარაიდა ვარადა! —

ჰკიოდა მანანა.

მაშინ, სულთმობრძავმა სოლომონმა განრისხებით გადაფურთხა იმ მხარეს, სადაც ეგულვებოდა უფალთა-უფალი არაღე! არაღეს შეაფურთხა! არაღეს უწოდა ბოროტი, რათა იგი განრისხებულიყო და ქვეყნისათვის, ამის მეტად მზე არ გამოეგზავნა!“ —

რამდენიმე დღე იწვა სოლომონი. შემდეგ მოვიდა მკურნალი. სოლომონს სიცხე ჰქონდა, თავბრუ ესმებოდა

და სასო წარუყვეთა ავადმყოფურმა ხმაურმა, რათი გასმუდმებით ედგა ყურში. მას მოესმა, რომ დერეფანში მოდიოდნენ, თან ჯანმთელი ხმებით ლაპარაკობდნენ. ოთახში შემოვიდნენ ჩუმაღ. შემოსულთა შორის იყო სოლომონის ძველთა-ძველი მეგობარი, მკურნალი ძია ალექსი. ერთმანეთისათვის მათ ბევრი არაფერი უთქვამთ. ურთერთს თვალბეჭეში ჩაჰხედეს, გაუღიმეს, ძია ალექსიმ ხელებიც გადააქნ-გადმოაქნია და სოლომონმა მას ნატვრით ჰკითხა:

— ნეტავი მალე?...

სოლომონის წუთები დათვლილი იყო. შუალამით, მან განისვენა ყოველგვარ საქმეთაგან, ყოველგვარ საზრუნავთაგან.

39

1924 წლის აგვისტოს მიწურულში, ერთობ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ აჯანყდა. აჯანყება ჩააქრეს. მრავალი დაიხოცა. ჩვენი ტუსალები: თომა ფერეული, მოხუცი ბიძია ივანე და მისი დიშვილი გოგია კოკოსაძე, რომელნიც ჯერ კიდევ ტფილისში მძევლებად იყვნენ, პირველად დაიხვრიტნენ.

დაიხვრიტა აგრეთვე მერაბი, რომელმაც იარაღი გაიტაცა და აჯანყებულთ შეუერთდა. დახვრიტეს ვიქტორი.

კოტე ფერეული, რომელიც აჯანყებულთა ერთ რაზმს მეთაურობდა, დამარცხების შემდგომ, თავისი რაზმით ოსმალეთში გადავიდა, რათა უცხოეთში გახიზნულიყო.

დანარჩენნი უვნებლად გადაარჩნენ.

შუა ზამთარი იდგა, როდესაც ტფილისის სადგურზე, მატარებლის მოლოდინში ბაქანზე იცდიდნენ ანიკო ბადრიძის ასული ფერეულისა, ლევან ფერეული და მანანა; მატარებლით უნდა ჩამოსულიყო ვანო უთნელიძე, რომელიც ამდენ ხანს სამურზაყანოში იმალებოდა; იგი ჩაირიცხებოდა სამხატვრო აკადემიაში, თან განზრახვა ჰქონდა, დაქორწინებულიყო.

ანიკოსა და ლევანს ჯვარი დაეწერათ.

გამოჩნდა მატარებელი. ვანოს ფანჯარა გაეღო და თმა გაჯეჯილი იყო, თითქოს გადმოხტომას აპირებდა. მომლოდინენი დაიძრნენ. მანანა თავდავიწყებით გაეშურა და ლევანმა თავის მეუღლეს უთხრა: — ორივე ბავშია!.. —

ანიკო და ლევანი მიიჩქაროდნენ და ერთი-მეორეს უღიმოდნენ.

ქ. სოშო.
1938.

დაბრუნება სიზმარში...

ბ. ბ-ძე

მივრბივარ... მივფრინავ ჩემ სახლს ვუბრუნდები...

(ძილში მოგონებამ გული შეარხია.)

გამოჩნდა საჯვარე და ლურჯი გუნდები

იქ, სადაც წინაპართ ჩონჩხები მარხია.

ცა თავზე დამნათის ლაჟვარდთა ცილით...

ხალიჩად იშლება ვარდი და ყვავილი,

ეზოდან მომესმა ცაცხვების შრიალი

და ჩრდილში მიბმული ხარების ბლავილი.

დავეცი ჭიშკართან... აღვაპყარ ხელები, —

მადლობის და მსხვერპლის მე შესაწირავად,

უეცრად გამოჩნდნენ ქურდნი და მკვლელები
ჩემ შესაპყრობელად და დასაქირავად.

მე ოვლში ვცურავდი, ვთროდი და ვკენესოდნი,

ჰო, როგორ მინდოდა დაკარგვა, გაქცევა...

ვის შესწევს გაუძლოს სიმუხთლეს ესოდენს

სიზმარში საუვარელ სახეთა დაქცევას.

მოვიდა რიჟრაჟი და დილა ცისმარი..

(ოთახში თამბაქოს სურნელი სდიოდა)

მე გამომეღვიძა... გათავდა სიზმარი...

თვალთ მადგა ცრეკლები და გული მტკივოდა.

ბრაგა

1936 წ.

შემოდგომა ჩვენში

შაქრით დაყურსული სახლები ქარვისფერნი.

მყუდრო დობილოში: — მწიფე ლეღვებია.

ძველი მოგონება სულში არ ისვენებს

აშლილ ფუტკრებივით ირგვლივ მეხვევიან.

ჯოჯი საქონელის მთებზე ნატარები, —

ფერდებ ამოვსილნი სახლში ბრუნდებიან.

რკო და რქაწითელი შეუსადარები

ჩვენი ვენახების იაგუნდებია.

ნამი ბალახებზე თაფლად დაღვარულა...

სიოს სურნელება მოაქვს ბოსტანიდან.

მიწავ საუვარილო, მიწავ კურთხეულო: —

შენი ხმა მეძახის, შენთან მოსვლა მინდა.

შ. ამირეჯიბს

ბ. ყიფიანი

გნეჟარდა ლხინი, სუფრა ქართული,

ბესიკის სატრფო, ვარდი და ია,

ქართული სევდით ცა აღმართული

და სადღეგრძელო კვლავ ორბელიანს.

სამგლოვიარო არა გვაქვს სიტყვა,

გწვავდა თბილისის სევდები წყნარი,

სიკვდილმა საქმე თუ ვერ გარიჟა,

დარჩები მუდამ დაუვიწყარი.

გვალვიან დროში ვარდი გაშლილი,

გიცნობს სამშობლო და მისი ზეცა,

მიჰქონდა ცეცხლი ბატონიშვილის,

დროშა, რომ ხმალზე ჩამოიკეცა.

გულს ამოქონდა ღამის სიღრმიდან

შოთა — თამარის თეთრი მხედარი,

დალუბულ დროებს სიკვდილით ღრღნიდა

წითელი ქვეყნის ნათავხედარი;

სატრფოს გამოზრდილს სულისა ვარდათ,

აზიზად ქმნილსა დედის აღერხით

ეწირებოდი, მაინც გიყვარდა

მთელნი სიცოცხლე ულამაზესი,

შენც დაიტანჯე, ისიც იტანჯა,

დამშვიდობების ჩამოჰკრეს ზარი,

თითქოს მომავალს გადასკრეს მაჯა

და დაგრჩა უკან ბედის საზღვარი!

წინაპრის სკივრთან...

გ. შაოკისპირელი.

როს დალამდება და სოფელზე გაწვება ბნელი,
იღუმალება ფეხაკრეფით მოიპარება —
შორს, ნაძვნარიდან, მოიჭრება ნიავი ნელი
და ჩვენს ბაღჩაში ვაშლის ხეებს მოეფერება...

აღბათ აღგები.. ბუხრის პირას დასტოვებ ბებოს,
ბრთხილად, ვით ლანდი, აეკვრები აივნის კიდეც,
თვალცრემლიანი გადახედავ უჩემო ეზოს
და ჩუმაღ იტყვი: „ჩემი ბიჭი თუ მოვა კიდე“..

სევდით გახედავ გზის ნაპირას მდგარ ვაშლის ხეებს
და მოაშე ცრემლი დაგინამავს მოწეულ ღაწვებს..
მიუვარდა კვახე ვაშლის ქამა, (ნეტავ იმ დღეებს),
შენ კი მიშლიდი, პაწაწინას: „ნუ სჭამო, გაწყენს“..

ნეტავ იმ დროსა, ფეხშიშველა დავტანტალობდი
გზაში, დეღეში, ორღობეში და „ტრედის წყაროს“,
რა უდარდელად ვიციინოდი, ვრბოდი, ვლაღობდი
და ჩემად ვთვლიდი მთელს ქვეყანას, მთელსა
სამყაროს.

მერე ცხოვრებამ მომიტაცა, ვით ნიავექარი,
მომგლიჯა შენს მკერდს და აღგვაგოს ორთავე
სევდით,
განშორების უამს ხუთი სიტყვა ძლივს მოვასწარი:
„წინაპრისეულ სკივრის ახლოს ილოცე, დედი!“.

და აღბად მუდამ ყურში გიდგას ჩემი ნათქვამი,
მწამს, დედი, წმიდათ ალასრულებ თხოვნას შვილისას:
როცა მიწყდება სულიერის სუნთქვა და ჩქამი,
მიხვალ სკივრთან და ზედ დააკრავ. სანთელს
ცივლისას.

სუსტი სინათლე ხის კედლებზე დანწყებს ცოცვას,
ოთახში ბნელი შეთროლდება ნათლის მხილველი,
მუხლ-მოდრეკილი გულმხურვალედ აღავლენ ლოცვას
და იმ ვედრების თვით ღმერთია გულთამხილველი...

სკივრში შეკრთება ძველისძველი ხელთნაწერები,
სიგელ-გუფჯრები ოხვრით გეტყვის ნუგეშს ნაღვლიანს,
წითელ ფარჩაში გახვეული პაპის წვერები
და ბრჩხილნი მისი დარდისაგან ცრემლებს დადვრიან.

ვერცხლისა ჯვარი, წინაპრისგან დანატოვარი
შეიშმუნება, შენს ლოცვაზედ გაღვიძებული.
სახლის კუთხიდან სიცოცხლისა მოვა მსტოვარი
და გეტყვის წყნარად: „მოვა შვილი გამარჯვებული“.

ილოცე, დედი! ღმერთი არის ყოვლად სულგრძელი:
კვლავ შეგვახვედრებს ჩვენ ერთმანეთს რაჭულ
კერასთან,
წმიდა გიორგი გვეუბლება ვით სახლის მცველი
და მაშინ, აღბად, გავეწორდებით ბედის-წერასთან.

ქალარა თმებზე გადმოგაბნევ სიხარულს ბეშვით,
გულში ჩავიკრავ მოხუც მამას, დასა და ბებოს,
ნაცნობ ადგილებს შემოვირბენ დალამდე ხენეშით,
შევქამ კვახე ვაშლს და ჩავყლაპავ თვალებით ეზოს.

სახლის დირესთან დავიჩოქებ სპეტაკი სულით,
მთროლვარე ბაგით ამბორს ვუძღვნი სახლობის
კერას,
საფუძვლის ჩამყრელს მამაპაპას დავლოცავ გულით
და ჩემს სამშობლოს ამ კერიდან ვეტყვი სიმღერას.

შ. გედევანიშვილს

გ. ყიფიანი

თუმცა არ მინდა ლექსი დავსწერო,
შავი ოთახი ფიქრებში შფოთავს,
მოდი, წაგვიღე ბედო მენწყერო,
ვერაგმა მტერმა მოგვიკლა შოთა,

უცხოეთს ყინავს, ღამეა შავი,
ყოველი ქუჩა თითქოს ლოდია,
წლები დღეთა გადანაშალი
ურდობივით ჩვენზე მოდიან,

გუშინ ვიყავით იქ მიკიტანთან,
ყანწში სტიროდნენ ღვინის წვეთები,
ჩვენი ბიჭები ცრემლებით დათვრა,
სიტყვა ტკივილით ანაკვეთები,

ყველამ უსიტყოთ თავი დავხაროთ,
დავრჩეთ მონები ერთი ქვეყნისა,
უმზეოთ, ძმებო, ვარდი არ ხარობს,
ბედნიერება მას არ ეღირსა;

უბრალო სიტყვით, გრძნობები სუფთა:
„რა კარგი რამ ხარ ტკბილო სამშობლო“,
მისი სიმღერა, დამწვარის სუნთქვა,
იყავ ქართველი ქართლის ნაშობო!

არ გატეხილა აქ საუკუნე,
არ დაუხრია მომავალს ხმალი,
როს მტყორცნელებმა დაარახუნეს,
პასუხი იყო ბრძოლა ახალი.

ზეცაც უმზეო ნისლმა დაბურა,
თამარ პირველის თმა-წნილებიდან
ჯერ ხომ არც ერთი დაბრუნებულა
გადაფრენილი არწივებიდან,

დღეს თქვენ მომავალს უმღერი მეც და
დარდები დარდის ბუდეს ახშობენ;
თუ გაიმარჯვა წითელმა მხეცმა,
ჩვენც ხომ ძაღლივით ჩამოგვახზობენ.



თანამედროვე ქართული ლიტერატურის ვითარება 1921—36 წ.

1

აღებული თემა ფრიად დიდია. ხოლო დასახსიათებელი ხანა მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი. შეუძლებელია ეხლა მთელი ამ ხანის ლიტერატურული პროდუქციის განხილვა. დღეს უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ იმის აღნიშვნით, რაც ზოგადაა, ამავე დროს არსებითი და ძირითადი თანამედროვე ქართული ლიტერატურის განვითარებაში.

ქართული ეროვნული ისტორიის ნორმალური მსვლელობა გაწყვეტილია საგარეო მტრის შემოჭრით. სოციალ-პოლიტიკური და კულტურული ნიადაგი შებრუნებულია და გადაბრუნებული, ამ მტრის ბატონობით. ყოველივე ეს ჰქმნის დაუძლეველ და გარდაუვალ მდგომარეობას, რომლის მოჯადოებულ წრეში ძალას და ცრუმორწმუნეობას დამონებული აქვს ყველაფერი: ადამიანი, საზოგადოება, ოჯახი, სარწმუნოება, მეცნიერება, შემოქმედება და იდეები.

უაღრესად ზუსტ სამეცნიერო დარგებს გარდა, მთელი ე. წ. საზოგადოებრივი მეცნიერებიდან მოკიდებული, მხატვრული მწერლობის და ხელოვნების ზუსტ დარგებამდე, როგორცაა მუსიკა, ფერწერა, სახვითი ხელოვნება, ხუროთ მოძღვრება, მხატვრობა, ჩაქვილია ამ მოჯადოებულ წრეში. პარტიის და პოლიციის ხელმძღვანელებისაგან მას წინასწარ განკუთვნილ და განსაზღვრული აქვს მიზნები და ამოცანები, თემა და მიმართულება, სტილი და ფერები, — ერთი სიტყვით მთელი იდეოლოგიური ხაზი და მისი ტექნიკური შესრულება.

განკარგულებას და ტონს, როგორც ყველაფერში, იძლევა მოსკოვი და საბჭოთა კავშირის ვებერთელა ტერიტორიაზე, დიდ თუ პატარა რესპუბლიკებში სულ განაზღვრული უსმენენ, უშენიშნოდ, უკამათოდ იღებენ ამ განკარგულებას და ტონს; და მას ატარებენ ადვილზე ტექსტუალური თარგმნის მიხედვით. საკითხის მთელი სიმძიმე მდგომარეობს იმაში, რომ დღევანდელი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელები, რომლის ცენტრი არის მოსკოვში, სრულიად უცივ და უაღრესად დაბალი კონტიგენტისაგან შესდგება. ამ ხელმძღვანელობას ყველა ეროვნულ ერთეულებში მსგავსი აგენტები ჰყავს დანიშნული.

სისტემატიურად, ლოლიკური თანმიმდევრობით, ხდება თავდასხმა ყოველ გვარ გადახრების წინააღმდეგ, უმთავრესად უპარტიო და ზოგჯერ თვით კომპარტიის ამა თუ იმ წრეების მიმართაც. ამ შემთხვევაში პირველ ხარისხიდან და ძირითად მიზეზად მიჩნეულია ის გარემოება, თუ ვინ ვერ შესძლო გაყოლოდა გენერალურ ხაზს. დაცილება ამ ხაზთან ისევეა უფრო სასტიკად, ვიდრე სისხლის სამართლის დანაშაული.

ეროვნულ-საზოგადოებრივი ცხოვრება, რანაირი პოლიტიკური რეჟიმის ქვეშ არ უნდა იყოს მოქცეული, როგორი მძლავრი მუხრუჭებით არ უნდა იქნას ვაკრული მისი ძრაობა, არის ეს ერთი ურთიერთობის ფორმათა მსხვერვე და ახლოს დადგენა, ან ამ ახლოს განვითარება, მისი ძირების გადგმა და გაზრდა, ემორჩილება მაინც ერთგვარ კანონზომიერებას.

ეროვნულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში სოციალ-პოლიტიკური ფორმების ცვლილებანი ევოლუციით, თუ მსხვერვეთ და რევოლუციით გატარებული არას შემთხვევაში არ შეიძლება დასცილდეს ეროვნულ ნიადაგს, ეროვნული ყოფის ძირებს. მაგრამ როცა ეს მსხვერვე ხდება საგარეო დამპყრობი ძალის მიერ, როცა, ერთი ეროვნულ სახელმწიფოებრივი სხელი, მისი სოციალ-პოლიტიკური ყოფა, ზნე ჩვეულება, ადათი, კულტურული ღირებულებანი, ხასიათი, ტემპერამენტი, ძალდატარებით

ნებით დამორჩილებულია და ეს დამმორჩილებელი ძალა ამ შინაგან სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრების გადაკეთებას ხელმძღვანელობს, მაშინ ჩვენ საქმე გაქვს უაღრესად დიდ საფრთხესთან, რომელიც ერისათვის, მისი კულტურული განვითარებისა და მომავლისათვის საბედისწეროა. ასეთი საფრთხის წინაშე სდგას დღეს საქართველო და სწორედ ამიტომ რუსეთის და ჩვენი პირობები სრულიად განსხვავებულია.

რუსეთისათვის რეჟიმის საკითხი არსებობს მხოლოდ, მისი უზერხულობანი, ჩვენთვის რეჟიმის საკითხთან ერთად დამპყრობი ძალის ბატონობა, მთელი მისი შედეგებით, ტკივილებით, სიმძიმით.

როცა ჩვენ ესინჯავთ და ვაფასებთ დღევანდელ ქართულ მწერლობას მხედველობიდან ერთი წუთითაც არ უნდა დაგვარგოთ ეს ე. წ. ობიექტიური და აქედან შექმნილი პირობები.

2

თანამედროვე ქართული ლიტერატურა 1921 წ. ე. ი. დაპყრობიდან დღევანდლამდე ორ არსებითად განსხვავებულ ეპოქას შეიცავს. მე განვებ ვხმარობ სიტყვა ეპოქას, რომელიც შეიძლება ზოგიერთებს ექოთეროს, მაგრამ სხვა სიტყვა ვერ გამოხატავდა იმ დიდ ზღვარს, რომელიც სჭრის ამ 15 წელს. პირველი ეპოქა შეიცავს დაახლოებით 4-5 წელს 21—25—26 წ. ეს წლები უდრის მე 19 საუკუნის პირველ 32—40 წელიწადს, როცა რუსის ხმაღს პირველი გამარჯვება ერგო საქართველოსა და კავკასიაში.

როგორც ამ 32—40 წლის განმავლობაში ქართველი ხალხი იარაღით ებრძოდა რუსეთის პირველ შემოჭრას; ასევე განმეორდა დაახლოებით ესავე.

ჩვენი ხალხის 99 პროცენტი გაბატონებული ძალის წინააღმდეგ იყო განწყობილი. ეს საწინააღმდეგო განწყობილება იმდენად მაგარი იყო, რომ რუსულ ჯარზე დაყრდნობილი შულავერის მთავრობა იძულებული იყო პირველ ხანებში ამისათვის ანგარიში გაეწია და ფრთხილად ცდილობდა ქართველი ხალხის ნდობის მიმხრობას თუ დაპყრობას.

მართალია, პოლიტიკური პრესის და სიტყვის თავისუფლება თავიდანვე იქნა აკრძალული, მაგრამ სკოლა, თეატრი, მხატვრული მწერლობა, შედარებით დიდი თავისუფლებით სარგებლობდნენ. ეს აიხსნება უმთავრესად იმით, რომ ქართველ კომუნისტებს ამ ხანებში არ ვააჩნდა არც ერთი მწერალი, არც ერთი პოეტი (თუ არ ვინაგარიშებთ ნ. ზომლეთელს და ს. ეულს) არც ერთი მეცნიერი ან საზოგადო მოღვაწე.

უნივერსიტეტის კათედრები, ხელოვანთა სასახლე, თეატრი, სკოლა და სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთები დარჩა ქართველი ხალხის ხელში, და აქ ისმოდა „თავისუფალი“ სიტყვა, ზოგჯერ გადაკრული, ზოგჯერ თამამი და გაბედული; ქართველი ხალხი თავისი საზოგადოებრივი დაწესებულებებით ერთ მხარეზე იდგა, ხოლო მეორე მხარეზე შულავერის მთავრობა, გამაგრებული რუსული ჯარი და საგანგებო პოლიციით. რამდენად მთავრობა ცდილობდა საზოგადოებრივ დაწესებულებებს დაპატრონებოდა და ქართველი ხალხის ნებისყოფა ვაეტეხა, ამდენად მას წინ ეთობებოდა მძლავრი წინააღმდეგობა. მრავალნაირი იყო ამ წინააღმდეგობათა ფორმები.

იწყება სტიქიურად გაუთხური აჯანყებები, ტერორი ზოგიერთ თავზე ხელაოებულ მოხლეჩების მიმართ. მთელი ერი შეკრული სუნთქვით დაკვრის სამზადისში შევიდა და აქარებული ნაბიჯით მიდიოდა 24 წ. აგვისტოსექტემბრის დღეებისაკენ. ამ დროინდელი ქართული ლი-

ტერატურა ზედმიწევნით გამოხატავს შექმნილ სოციალ-პოლიტიკურ მდგომარეობას. ეს ლიტერატურა სუნთქავს ქართველი ხალხის შეკრული სუნთქვით. მისი მთავარი აგანია, ეპოქის მაჯის ცემა, ბრძოლის ყინის განცდებით ტანული. ეს ლიტერატურა უაღრესად ემოციონალურია, ჰივა და შიგ პესიმისტური და შინარევი, როგორც ამ დროის გახურებული ატმოსფერო, თოფის წამლის სუნელებით გაჟღერებული და გასასროლ ყუმბარების მოძლო-ლინე.

ქართული თქმის დიდი ოსტატი ვალაქტიონ ტაბიძე. დღეს უკვე შერიგებული. კოლხოზზე და საკასრე ქარ-ნანაზე მოძღვრალი, მაშინ ამ განწყობილების საუკეთესო გამომხატველი იყო:

„რამდენი ქარავანი მთებზე, გადამართული, გაიშლება მცნობელი მღვრიე უდაბნოეთის, წვეთი სისხლი არ არის ჩემში არა ქართული. ძაფი ნერვი არ არის ჩემში არა პოეტის“.

ამ სისხლით და ამ ნერვებით 1924 წ. დასაწყისში პოეტი სწერს:

„ქალაქში შიშია.

ქუჩებს და მოედნებს ბერყედ და მოლიერად მოედო ხოლერა.

და თეთრი ეტლები მიქრიან.

სკდებიან კედლები და მე მიფიქრია ამ ნაირ დღეებზე ჩუმად და ცბიერად.

ცხედრები, ცხედრები, ხოლერა, ხოლერა.

და როგორც მხედრები, როგორც ცა-იერად,

მეწყურად, სამუშად გვედება ეს ჭირი.

მზე ჩავა, ამოვა, ყოველთვის შავია!

ნიავეც საესეა ხოლერიით.

წინ მიაქვთ კუბო, ქალაქი ფითრდება.

მეზობელს, რომელსაც თითი არ სტკენია

მთავრობამ ზედ კარზე კირი მიუყარა

და შემდეგ ჯანმთელი გაგზავნა...

იმ ეტლით!

ამოდ ტანჯული უცხადებს ექიმებს:

მე ავად არა ვარ!

ვინ მოვა მსაჯულად? — არავინ!..

მზე ჩავა, ამოვა, ყოველთვის შავია!

ნიავეც საესეა ხოლერიით!

მთვარესაც ედება ბაცილა. ხეებიც ხმებიან,

სახლებზე ფარდები არ შეირხევიან

და ერთ დღეს... ხოლერა... ის...

მთვარესაც ედება ბაცილა.

ფანჯრებზე ფარდები არ შეირხევა.

გადადგამს ერთ ნაბიჯს, სრულიად ცოცხალი

და უცებ ეცემა.

ოპერაში მე ვხედავ გადასძვრათ მსმენელებს

ტყავები თავების სარქვლიდან.

ეს ხდება უეცრად... დადიან ჩონჩხები“..

3

ეს ის დროა, როდესაც სატუსალოები აივსო ქართველობით 24 წ. გაზაფხულზე. და როცა სატუსალოები არ ათავდა, ნაწილს რუსეთში გზავნიან. დანარჩენებისათვის ანთავისუფლებენ მოზრდილ სასკოლო შენობებს. თუ გა-კორტრებულ სავაჭროებს.

ამ დროინდელ სალიტერატურო ჟურნალებში ხშირად წააწყდებით ასეთ სტრიქონებს:

„ზეციდან მოდის კორიანტელი, მსხვერპლთა ძვალე-ბად იქცენ ველები, ღამემ ანთო ცოდვის სანთელი, მიწა აივსო სახრჩობელებით“.

ასე იყო მაშინ, მაგრამ შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. დღეს, იაფფასიანი საბაზრო კარნავალია გამართული

ჩვენში, სადაც ქართველი მწერლების დიდი უმრავლესობა, ზოგი ნიღაბით, ზოგი უნიღბოდ, ან ყალბი პათოსით იძულებულია იმოქმედოს და იმუშაოს.

და განა მხოლოდ პოეზია გამოხატავს ამ წლების საო-მარ მდგომარეობას? — არა. ხელოვნების თითქმის ყველა დარგი: პროზა, მხატვრობა, მუსიკა. შეიძლება იკითხოთ, სად მქალავნდება ეს დიდი დაპირისპირება და გაავრვა-ლებული ატმოსფერო — თითქმის ყველაფერში: მოთ-ხრობებში, ნოველებში, პოეზიაში, მხატვრობის ფერებსა და კომპოზიციებში, მუსიკალურ ტონალობასა და ჰანგე-ბში. ამ დროინდელი პოეზია და პროზა უმეტესად ექს-პრესიონისტულია. აქ საკმაო დიდი ოსტატობით დახატუ-ლია ის, რაც ჩვენი ეროვნული ცხოვრების მაჯის ცემას სუნთქვას უკრავდა და სულს უფორიაქებდა. ამ ხაზს მო-ყვებიან ვრ. რობაქიძე, კოტე მაცაშვილი, კ. გამახურდია, ალ. აბაშელი, მ. ბოჭორიშვილი და სხვები, რომელთა სა-ხელები დღით მნიშვნელოვანია ჩვენი ლიტერატურისა-თვის. ეს ასე ვსთქვათ მეტროლი მწერლებია, თემას ყო-ველ დღიურობის ღადარსა და აიარდნილ კვამლში რომ ეძებნენ. ქართული ლიტერატურის მეორე ხაზი მოდის ის-ტორიული თუ განყენებული თემებით. შ. დადიანი. ნ. ლორთქიფანიძე, დ. შენგელაია ლ. ქიაჩელი და სხვები. ქართველმა მწერლებმა ისროლეს ლოზუნგი: „დიქტა-ტურა ქართული კულტურის ფრონტზე“. ეს ლოზუნგი ღიად და აშკარად ეპირისპირებოდა უცხო ძალაზე და-ყრდნობილ დიქტატურას. იგი შესანიშნავად გამოხატავ-და მთელი ერის სულიერ და მორალურ განწყობილებას, ერის, რომელიც ერთი დამარცხება იარაღით დამარცხდა, მაგრამ, რომელიც დამარცხებულად არ გრძნობდა თავს და დაკვრის სამზადისში იყო.

დღეს ყველაფერი ეს შეიძლება აღამიანს მოეჩვენოს უანგარიშო საქმედ, რომანტიულ გატაცებად და ქართვე-ლი ხალხის ამ დროინდელ შეურთებლობას უწოდოს „წყალზე ფეხით გაჩერება“. „გულის ჯავრის პოლიტიკა“, როგორც ამას მაშინ მოსწრებულად ასახულებდა შერი-გებულთა თეორეტიკოსი პოლიტ. მოღვაწე, სეით დეე-დარიანი. მაგრამ ეს არ იყო არც გულის ჯავრის პოლი-ტიკა, არც წყალზე ფეხით გაჩერება, არამედ მოზღვნილი მახვილის წინააღმდეგ თავდაცვის ინსტიკტით გამოწვეუ-ლი რეფლექსი.

ერს, რომელსაც დაკვლას უპირებდნენ აღმოსავლეთის ფანატიკოსები ქართველი ახალი დროის ფეოდალების და-ხმარებით, ეს ერი არც ამ ქართულ ფეოდალებს და არც აღმოსავლეთის ფანატიკოსებს უბრძოლველად და უსისხ-ლოდ არ ნებდებოდა.

მართალია ქართველმა ხალხმა ბრძოლა წაავო, რადგან შემოსეული მტერი ათასჯერ მეტი იყო მასზე, მაგრამ ჩვენი თავდაცვის ისტორიის გამრულ თავებს დაემატა ერთი შესანიშნავი ეპიზოდი: ქართველი ხალხი მთლია-ნად შეკავშირებული უკანასკნელ შესაძლებლობამდე შეებრძოლა ეროვნული თავისუფლების მკვლელებს.

ამ ხანებში გამოდოდა ლიტერატურული ჟურნალები: ხომალდი, ილიონი, ლომისი, მეოცნებე ნიამორები, გა-ზეთები: ქართული სიტყვა, რუბიკონი. ამ ჟურნალ გაზე-თებში ჯგუფ-ჯგუფად დანაწილებული არიან მწერლები, მაგრამ ადრე ხდება გაერთიანება სახელწოდებით: „სრუ-ლიად საქართველოს მწერალთა კავშირი“ და იწყება „კავ-ასიონის“ გამოცემა. აქ თავმოყრილია და გაერთიანებული ქართველი მწერლები კულტურული და სამეცნიერო ძა-ლები. ყველა მიმართულების. ამ გაერთიანებაში არ ჩანდნენ მხოლოდ კომუნისტები. არ ჩანდნენ იმიტომ, რომ არ იყ-ვნენ... მთელი ეს სალიტერატურო და კულტურული მუ-შაობა მეტროლი ეროვნული ფრონტის რიგშია ჩამდგარი. სალიტერატურო პრესა და გაჩაღებული კულტურული ჟურნაობა ნაწილობრივ ავსებდა აკრძალული პოლიტიკუ-



რი პრესის თავისუფალ ადგილს და ახალი გამოხატულება იყო საიდუმლო მუშაობის, სადაც გაერთიანებული იყო მთელი ერის სასიცოცხლო ძალები.

ქართველი ხალხი 1924 წლამდე ერთი რწმენით, ერთი ნებისყოფით იყო შეკავშირებული მებრძოლ ფრონტში და ქართული ლიტერატურა დირსეულად იდგა აქ, როგორც ფარი და ხმალი.

ამ დროის ლიტერატურას ბევრი ნიჭიერი წარმომადგენელი ქართველი ხალხის სულის მოძრაობას და გულისთქმას. აქ მოცემულია მაშინდელი საქართველო, საქართველო. მებრძოლი, მოუტყენელი და დიდი ამბების მოლოდინი.

ამ დროის ლიტერატურას ბევრი ნიჭიერი წარმომადგენელი ჰყავს, მაგრამ მეტად გრ. რობაქიძე უნდა ჩაითვალოს. გრ. რობაქიძე ყველაზე ნაყოფიერი იყო ამ ხანებში.

მისი შემოქმედება და აზროვნება ლეგელობდა ფოლადის გამძლეობას ამ დად. ეროვნულ ბრძოლაში.

4

როცა 24 წ. აჯანყება დამარცხდა და ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი მოწინავე ინტელიგენციის და მწერლების ერთი ჯგუფი წაწოლის პოლიტიკის გზას რომ დაადგა და ამავე დროს ცდილობდა ამ პოლიტიკისათვის იდეური დასაბუთება და ეროვნული გამართლება მოეხატა, რობაქიძე მათ უპასუხებდა: „გზა ვაწყვეტილია, დღევანდელი ვერ დამკვიდრდება წარსულზე, მომავალი უნდა გადაებას წარსულს“.. მისი „გველის პერანგი“ „ლონდა“, „ლაშარა“, „მალშტრემ“, „ქარდუ“ მალალი დირსეების ქმნილებანია. „ლონდა“ მისტერიია, აგებული ხალხურ ლეგენდაზე. უცნაური გვალვა სწვას ქვეყანას. ყველა შეშფოთებულია და შეშინებული. სარწმუნოების ქურუმი აცხადებს, რომ ღმერთ სადღასაისს აუცილებლად ადამიანის მსხვერპლი უნდა შევწიროთ, რადგან სადღასაი გამწყურალია და წვიმას არ გვიგზავნის. ქურუმი ირჩევს ულამაზეს ასულს ლონდას. ლონდა შეყვარებულია მეფის შვილზე; რადგან ქურუმის არჩევანი უსიტყვოდ უნდა ასრულდეს მეფე თანხმდება ამ არჩევანს. შვილი ვერ თმობს სიყვარულს. მისი აზრით, თუ მსხვერპლი აუცილებელია იგი ათასნაირი და მრავალგვარი. მეფის, ქურუმის და ხალხის ცრუმორწმუნეობა სძლევს, ლონდას შესწირავენ სადღასაისს, — ისერიან უფსკრულში. მეფის შვილიც კადაყვება ლონდას და დაიღუპება. ამ პიესაში პიროვნების უდიდესი დრამატიზმია მოცემული. გრ. რობაქიძეს სიცოცხლე ტანჯვად აქვს წარმოდგენილი. აქ სიყვარული კატასტროფით თავდება, ბენდიერება სიკვდილით, სილამაზე ცრუმორწმუნეობით იღუპება. მსოფლიოს ბნელი და ირრაციონალური ძალები განაგებენ. ვიღაც დამთხვეულ მოქადაგეს საშვალება აქვს უდიდესი ბოროტმოქმედება ჩაიდინოს, უმეცარ და ცრუმორწმუნე ხალხის აყოლებით. უკან, პირველ-ყოფილობისაკენ, იძახის რობაქიძე, სადაც ყველაფერი მარტივია და დიდი, სადაც კეთილშობილება მსაჯულია და სამართლიანობა ღმერთი. ლონდაში რობაქიძე უარყო თანამედროვეობა მთელი მისი ცრუმორწმუნეობით, სისხლით. უხეშობით და მსხვერპლით. ეს იყო დიდი ქარაგმული პროტესტი ახალი დროის ჩვენი ფეოდალების მიმართ, მაგრამ იმ ბანაკში საკმაოდ სქელ კანიანები იხსდნენ და ასეთი პროტესტების არაფერი გაეგებოდათ.

გრ. რობაქიძე პირველი მწერალია და მოაზროვნე თანამედროვეებში, რომელიც ეროვნულ იდეოლოგიას თავისებურ ღრმა დასაბუთებას აძლევს. არსებითად „გველის პერანგი“-ში და „მალშტრემ“-ში სჩანს ამ იდეოლოგიის საფუძველები.

რით ხასიათდება საზოგადოთ ამ ეპოქის ქართული ლიტერატურა? — მებრძოლი განწყობილებით და ეროვნულ-

ლი რიტმის მიგნებით. ამ წლების ნაბეჭდი ლიტერატურული პროდუქცია სრულიად სხვა იერს ატარებს, სხვა სტილს, სხვა სახეს, ვიდრე წარსული თუ მომდევნო ხანის ლიტერატურა. ასე გგონიათ საქართველო აგრძელებდა ჯამოუკიდებელ ცხოვრებას. პროლეტარულ მწერლების, ჟურნალების, გლეხკორების პოეზია და მწერლობა აქ თითქმის არ სჩანს..

5

1921—25 წ. მეტის მეტად მძიმე იყო საქართველოში. ერმა დიდი ძალი სისხლი გამოუშვა ტანიდან. წინ არავითარი პერსპექტივა, ხოლო უკან ვებრთელო მსხვერპლი და ნაპარლი. ქვეყანა დაიბანჯა და გაყრუვდა. იმედი გადაწყდა დიდი ხნით და მომავლისკენ გასახედი ყველა სანთლები თითქო ჩამქრალი იყო.

ქართველი დედების მსგავსად ქართველმა მწერლებმა წავი გაიჭრეს. ეს იყო დიდი გლოვის და მწუხარების ნიშანი.

24 წ. დამარცხების შემდეგ ჩვენი მოწინავე საზოგადოება ისევ ცდილობს კულტურულ ნიადაგზე გამაგრებას. არსდება ქართული წიგნის გამომცემლობის ამხანაგობა. იწყებენ კლასიკოსების და ახალი მწერლების აკადემიურ გამოცემას..

იწყება რეაქციის ხანა. შავი ჩოხებიც არ დარჩა უყურადღებოდ. მაგრამ ხელისუფლება აღმაცრად უცქერის ყველაფერს, რასაც თვითონ არ თაოსნობს. იხსნება კამპანია გაზნეთებში, თ. ლონტის მეთაურობით. შავი ჩოხა და ჩოხა საზოგადოთ ცხადდება კონტრევოლიუციონურ საქმედ. ამ ხანებში ხდება სახელმწიფო უნივერსიტეტის და მწერალთა კავშირის რეორგანიზაცია. მთავრობა ნიშნავს ყველგან თავის აგენტებს. ტფილისს მოაწვა დიდ ძალი უცხოელები: დაწესებულებებში, ქარხნებში, სასწავლებლებში. ქართველობა საკონტრებელში ჩაეარა. იწყება მერყეობა, ლოიალობის გრძობის გამოცხადება, შერიგება.

როგორც ერთი საუკუნის უწინ, როცა რუსეთმა საქართველო დაიმორჩილა, ენლაც დიდი იყო საზოგადოებრივი აზრის შემართება, იარაღით ბრძოლა სისხლიდან დაცლამდე, დამარცხებიდან გამორწვეული დიდი ტკივილები და მწუხარება — მაგრამ როცა საკითხი რეალურად, მთელი თავისი სიმწვავეთ დაისვა, შემდეგ რა? როგორ? საით? ჩვენს ხალხს არავითარი სხვა გზა არ დაურჩა გარდა ერთისა — ადგილზე გამაგრება, ვაწოლა, შეგუება თუ შერიგება. მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს ერის დიდი ნაწილი და განსაკუთრებით ახალგაზრდობა თავისკენ გადაიბიროს. ამისათვის ორი განსაკუთრებული ზომა იქნა შემოღებული. სამუშაოს ვერ იშოვიდი თუ პროდუქციის წიგრი არ იყავი. ხოლო პროდუქციის წიგრი ვერ გახდებოდი თუ სამუშაოზე მოწყობილი არ იყავი. სამუშაოზე ვერ მოეწყობოდი თუ კომპარტიის საგანგებო უწყება არ გაგაგზავნიდა. საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში არ მიგიღებდნენ თუ ადგილკომის ან კომპარტიის სარეკომენდაციო ქალაქი არ გქონდა, ხოლო ამ ქალაქს ვერ იშოვიდი თუ კომპარტიის ნდობით არ სარაგბლობდი. მართალია, ეს რეჟიმის სისასტიკე პირდაპირ მწერლობას თითქო არ ეხება, მაგრამ ამ სასტიკი პირობებში მოეჩქა მთელი ქართული საზოგადოებრიობა, მაშასადამე. მწერლობაც. მთელ ერს და მის კულტურულ ძალებს სული ეხუთებოდა ამ გაუგონარი ინკვიზიციით.

6

ამ დროის განწყობილების დასახასიათებლად საინტერესოა ერთი მწერლის საუბარი მოვიყვანო: „24 წ. აჯანყების დამარცხებით — ამბობდა ის — საქართველო დამარცხდა დიდი ხნით. ჩვენ არ დაგვრჩენია არავითარი სხვა გზა გარდა ერთისა. უნდა შევუბრუნებთ ამ საშინელ ფაქტს. მთელი ერი ხომ სარდაფში ვერ ჩაძვრება, ან უცხოეთში



ხომ ვერ გაიხიზნება? როგორ ფიქრობ? ასე რომ მოხდეს ეს არა ნაკლები უბედურება იქნებოდა ჩვენთვის, ვიდრე პირველი ე. ი. დამარცხება. ჩვენი ერი მოიხილებს ამ დიდ გასაჭირს, ისე როგორც მას მოუწევს ბევრი სხვა, მაგრამ ამისათვის რამდენიმე თაობის მსხვერპლია საჭირო, მსხვერპლი აზრიანად და ანგარიშით მიტანილი. დღევანდელი თაობა იმ მდგომარეობაშია ჩავარდნილი, ერთი საუკუნის წინ გრ. ორბელიანის და დიმ. ყიფიანის თაობა რომ იყო. ამიტომ ისტორია ჩვენი თაობის კაცს ბევრ სიმწერის ოფელს გამოადენს, ბევრ დათმობებსაც გააკეთებინებს, შეიძლება გაასწოროს კიდევ; სამაგიეროდ ბევრი ხეობა-მეწიდას ჩამოიკიდებს ვულზე, ისე როგორც ამას მაშინ ჰქონდა ადგილი. შეურიგებლობის გავრცელება შეუძლებელია ჩვენს დღევანდელ პირობებში: მუდმივად ციხეში ჯდომას ან უცხოეთში გახიზნას სჯობს ადგილზე წახდენა — შენი გამოთქმა რომ ვიხმარო და ამ წახდენის ფასით ადგილზე დამავრება თუ ვამავრება. მასიური ემიგრაცია, ციხე, ციმბირი ეს ყოველივე უანგარიშო ფიზიკური მსხვერპლია საქართველოსთვის. ჩვენმა ერმა იგი უკვე ბევრი გაიღო და მეტის გაღების უფლება გადავარების საფრთხე, რომლის წინააღმდეგ მეორე და მესამე თაობას ბრძოლა აღარ შეეძლება. გაფრანგებას, გაგერმანელებას, გაინგლისელებას, სჯობია ვიმეორებ ადგილზე წახდენა... როგორადაც არ უნდა დაგვეფასებოთ ამგვარი მსჯელობა მაშინ ან როგორადაც არ უნდა დაფასოთ დღეს, ეს იყო კაქტი, მთელი იმ საშინელი პროზის და გულშემშარავი პრაქტიკის, 24 წ. დამარცხების შემდეგ ჩვენში რომ შეიქმნა. ამ საშინლმა სინამდვილემ მოუშინა და ნიადაგი თანამგზავრობის შექმნას როგორც საზოგადოებრივ ასპარეზზე, ისე ლიტერატურაში.

ლიტერატურა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია და რადგან დღეს უკლასო საზოგადოება ყალიბდება წვრილ ბურჟუაზიული ელემენტები მოვალენი, ვალდებული და იძულებული არიან გააყენენ პროლეტარიატს ახალი საზოგადოების და ახალი კულტურის მშენებლობის საქმეში. ასე აყენებდა საკითხს კომუნისტური პარტია. აქედან ფორმულა: ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია. ეს ფორმულა საკმაოდ ძველია და ნაცნობი. თავდაპირველად მას უყენებდნენ პოლიტიკურ პარტიებს და უპარტიო მასებს. თუ პირველ შემთხვევაში საკითხი იარაღმა გადასწყვიტა, აქ იარაღის მხმარებელიც არავენ იყო. თანამგზავრი მწერლები ჩავარდნენ ფრიად უხერხულ მდგომარეობაში. მათ უნდა ეწერათ მითითებით, დაკვეთით. უნდა ეწერათ დიფირამბები და ოდები იმაზე. რაც კითხვობდა: ამწებულ თუ ასამწებულ ელექტრონის ქარხნებზე, კოლმეურნეობაზე, ბრივადირებზე, რომლებიც სოფლებში შესული იყვნენ ეგზეკუციასავით. უნდა ეწერათ დაწინაურებულ მუშებზე და პარტიის ხელმძღვანელებზე. რაც დრო გადის, დაკვეთა ფართოვდება. თანამგზავრებს ეუბნებიან: დღევანდელი თაობაში მონახეთ ისეთი ტიპები, რომლებიც დადებითია, სრულქმნილი, მაღალი იდეების და სუფთა მორალის და ეს ტიპები უნდა მოიხილოთ. იქ, გამარჯვებულ ბანაკში...

დაკვეთა ვერ სრულდება და პრესაში მთელი ალიაქოთია ატენილი: გადავარდა ქართული მწერლობა, რადგან იგი ვერ შეეგუა რევოლუციას, ვერ გაიმსჯალა მისი პათოსით. ვინც დღევანდელი თაობაში ვერ ნახულობს დიდ ფაქტებს და საყურადღებო მოვლენებს, იგი ამოვადებული უნდა იქმნას ქართული ცხოვრებიდან. მწერლები ცდილობენ დანაშაული გამოასწორონ. ამუშავდა ყველა, ვინაც წერის უნარი ჰქონდა თუ არა. მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში არ დაწერილა იმდენი ლექსი და მითხრობა რაც უკანასკნელ 10 წლის მანძილზე დაიწერა. მთელ ამ ნაცოდვილვე პოეზიასა და პროზაში დიდი უმეტესობა უნიჭო საბუთებია და ხელოვნებასთან კავშირი

არ აქვს. ალ. აბაშელს აქვს ერთი მწარე ფრაზა, რომლითაც შეიძლება დავახასიათოთ ამ დროინდელი პოეზია: „დღეს აღარ ისმის ვაჟის ხმაური მაღალ მთებიდან, ლექსი დაახლო წვრილმა ამბებმა, ამონაწერმა გახეთქიდან“.


ამ უკანასკნელი 10 წლის მანძილზე მიუხედავად რეჟიმის სისასტიკისა, მაინც დაიწერა საკმაოდ მაღალი ლირების ნაწარმოები, როგორც მაგალითად კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება, ლ. ქიაჩელის „სისხლი“ დ. შენგელაიას „სანავარდო“ მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“ ნ. ლორთქიფანიძის „მოთხრობათა კრებული“ და სხვა, ხოლო ამ 10 წლის ქართული ლიტერატურის პროდუქტის ორი მესამედი იმდენად დაბალი ხარისხისაა, რომ ლიტერატურასთან თითქმის არავითარი კავშირი არ აქვს.

ქართული ნაბეჭდი პროდუქტის ეს ორი მესამედი, რაც ლიტერატურის სახელს ატარებს, უფრო საბუთებია, დოკუმენტები ცუდათ თუ კარგათ შედგენილი და არას შემთხვევაში ხელოვნური ნაწარმოები. მიმავალში, ლიტერატურის ისტორიკოსებისათვის შეიძლება ამ ნაწარმოებთ დაურჩეს ერთგვარი მნიშვნელობა ეპოქის შინაგან ვითარებათა კუთხეების შესასწავლად და გასაშუქებლად. როგორ შეიძლება პოეტურ ნაწარმოებად მივიჩნიოთ ასეთი ლექსი „დღეს თავს მოკერი, მამას დავახიზნე თუ მიკარნახებს რევოლუცია“ ან და როგორ შეიძლება რომანად მივიჩნიოთ პ. საყვარელიძის 800 გვ. „დაფანტული ფურცლები“, სადაც აღწერილია მისი ციმბირში გადასახლება და უკან დაბრუნება. ამ რომანს ერთი საყურადღებო თვისება აქვს, რაც მდგომარეობს მის სახელში: „დაფანტული ფურცლები“; აქ დაფანტულია არა მარტო ფურცლები, არამედ ყველაფერი პირველი გვერდიდან უკანასკნელამდე.

7

როგორაა წარმოდგენილი დღეს საზოგადოთ საბჭოთა კავშირში და კერძოთ საქართველოში ლიტერატურის ამოცანები? ლიტერატურა შეკავშირებული უნდა იყოს ცხოვრებასთან ე. ი. გაბატონებული პარტიის და მთავრობის პოლიტიკასთან. ხელოვნება არაა თვითმიზანი, იგი არ შეიძლება ნეიტრალური იყოს მშენებლობიდან, და საზოგადოებრივი ცხოვრების ამოცანებიდან. ლიტერატურა როგორც ხელოვნების ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი, უტილიტარული უნდა იყოს, მიზნობრივი, გამოსადიგო. ოდნავ თავს თუ შეიწუხებთ და რუსების ისტორიაში ჩაიხედავთ ამ თეორიას იქ ადგილად ნახავთ. ეს არის რუსული ნილილიზმი. პისარევის მიერ დასაბუთებული. ეს ნილილიზმი დღეს სოციალიზმის მშენებლობაში უებარ წამლად არის გამოცხადებული და იგი ყველა ერების რესპუბლიკებში უსიტყვოდ უნდა მიიღონ. მიუხედავად ათასი განმარტებებისა და დეკრეტებისა, თანხმობა მაინც ვერ დამყარდა ლიტერატურასა და დღევანდელ სინამდვილეს შორის. ალბად არის ფრიად ღრმა მიზეზები შექმნილ სინამდვილესა და დღევანდელ ჩივის საზოგადოებას შორის. შეიძლება ამ მიზეზების ახსნა მხოლოდ იმით, რაზედაც პოლიციის კრიტიკოსები გვითითებენ.

ჩვენ ვიმყოფებით ახალი საზოგადოების და ახალი კულტურის შექმნის პროცესში, რომელიც ჯერ არსად არ ყოფილა და არსად არ შექმნილა, ამიტომ ამ ვარდამავალ ხანაში უმრავლესობამ უნდა დაინახოს მთელი სიდიადე იმის, რაც ხვალ ფაქტად უნდა იქცეს მთელი ერი-სა და საზოგადოების სასარგებლოდ, ამბობენ ისინი. თუ უმრავლესობა დაეკვებულა იმის სიდიადეში, რაც დღეს იქმნება, თუ უმრავლესობა შიშით არის ატანილი, იმ ბედნიერების მოლოდინში რაც დღეს სანახევროდ, ხოლო ხვალ მთლიანად ფაქტად უნდა გახდეს, ალბად ეს ბედ-



ნიერება და სიდიადე ვერ ყოფილა ისეთი, რომელიც ერმა და საზოგადოებამ ხელგაშლით და სიხარულით უნდა მიიღოს. ეს გარემოება დიდად დამახასიათებელია იმ სულიერი გაყრის, იმ დიდი წინააღმდეგობის და შინაგანი ბრძოლის, რომელიც არსებობს დღევანდელ საბჭოთა სიამდვილესა და საზოგადოების უდიდეს ნაწილს შორის. რომ ეს სულიერი გაყრა ნამდვილად არსებობს, ამას არც თვით პოლიციის კრიტიკოსები ფარავენ. ბ. ჟღენტი, რომელიც ერთ ასეთ პასუხისმგებელ კრიტიკოსად ითვლება, სწერს: „ქართული მწერლობა ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლდა სექტანტური კარჩაკეტილობიდან. სჩანს მწერლობა ჯერ კიდევ ვერ დაშორებია ქაოტიური, სტიქიური მუშაობის ტრადიციას“.

„ჩვენი პოეტების დიდი უმრავლესობა განაგრძობს მუშაობას რომანტიული ლირიკის ხაზით. ყოვლად უსაგნოთ, უმიზნოდ დროისა და სივრცის გარეშე. რა აზრი აქვს ეხლა მათ ეკზოტიურ რითმების ქარგვას ლაქვარდიცის, ტურფა სამშობლოს, საკუთარი რომანტიული თავგადასავალის და სხვა ამ გვარ მასალებზე აშენებულ მელექსეობას?“.

„უკეთეს შემთხვევაში იწერება ე. წ. „თანამგზავრული ლიტერატურა“, სადაც პოეტები ამჟღავნებენ თავის სიმპატიებს საბჭოთა საზოგადოებრიობის, მიმდინარე რევოლუციის მიმართ, სადაც ისინი გვეუბნებიან, რომ მათ ახარებთ რიონზე გემების აგება, ზაჰესი, ქარხნები და სხვა, განა ესეც ჩამორჩენილობა არ არის? მაშინ როცა მშრომელი მასები არაჩვეულებრივი ტემპით შიღის წინ, სოციალიზმის მშენებლობის გზით — პოეტებს წარმატებად და მიღწევად ეთვლებათ, თუ მათ იწებეს და შეამჩნიეს ეს პროცესი, კიდევ მეტ მიღწევად, თუ მათ მოეწონათ ეს და „გაუდიმეს“ ამ მშენებლობას, მას ორიოდ გართმული სტრიქონი უძღვნეს.“

„სოციალისტურ მშენებლობას სჭირდება არა ნიშპატიები და დიფირამბები, არამედ აქტუალური მონაწილეობა, დახმარება მწერლობის მხრივ!“ ბ. ჟღენტი რომ დაუჯერონ, ქართველი მწერლები და პოეტები მიწის სათხრელად ან საღმე ქარხნებში უნდა გაიგზავნონ, რადგან ლაქვარდიცა, სამშობლო, პირადი განცდები, ეს კონტრევოლუციონური საქმე ყოფილა.“

ამ მოგრძო ტირადიდან საკმაო სიცხადით სჩანს მდგომარეობის მთელი ის სირთულე, რომელშიაც მომწვედელთა საბჭოთა ხელმძღვანელობა ერთი მხრით, ხოლო მეორეს მხრით საბჭოთა საზოგადოებრიობა. ხელმძღვანელობა განუყოფელია ბატონობს. მას ახდიადა არავინ ედავება ამ ბატონობაში, არავინ ებრძვის, რადგან ახდითი ბრძოლა მოასწავებდა მის ე. ი. საზოგადოების ფიზიკურად განადგურებას. ამიტომ საზოგადოებამ ჯერ არ ნახულ და უჩვეულო ხერხს მიმართა. იგი არ ებრძვის, მაგრამ არც იღებს გულით და სიყვარულით იმას, რასაც ასე გულმოდგინეთ აძალებენ. იგი დამუნჯებულია და პირ აკრული. თითქო მომხდარია რაღაც საიდუმლო შეფიცვათა შეთანხმება. საკითხის მთელი სიმძიმე მდგომარეობა იმაში, თუ როგორ მოხდება ამ დიდ წინააღმდეგობათა კვანძის გახსნა. სანამდე ვ-სტანს ეს გაფიცვა, როდემდის გაგრძელდება ეს უცნაური დღეობა, სადაც ერთ მხარეზე სდგას ხალხის ნებისყოფა, მისი სასიცოცხლო ინტერესები, ხოლო მეორეზე, ხმალი და ცრუმორწმუნეობა..

შეიძლება ბევრი არ დაგვეთანხმოს მდგომარეობის ასეთ ნაირ დაფასებაში? საიდან მოიტანეთ ეს გაფიცვა და ეს დღეობა, როცა ყველა ალღუმებზე ქართველი მწერლები და მოწინავე საზოგადოება უჭვემვერდომილეს გრძნობებს აცხადებენ? იწერება დეკლარაციები, ლექსები, პოემები, სადაც ეს ცრუ მორწმუნეობა და ხმალი უკვე საბოლოოდ შეყვარებულია. ჯერ ერთი, ამ სახის საბჭოთა დოკუმენტები ფრიად საექვო ხასიათისაა. არ ვამტკიცებ, რომ ყველა ეს დოკუმენტები ძალით დაწერი-

ლია, მაგრამ იგი არას შემთხვევაში არ გამოხატავს დღევანდელი საზოგადოების განწყობილებას და სულის მოძრაობას.. საბჭოთა წყობილებაში ამ გვარი დოკუმენტები ერთგვარი თამასუქია, რომელსაც პროცენტებში აძლევენ ყელთამახუთავ მევახშეს. ჩვეულებრივი თამასუქიდან ეს უკანასკნელი იმით განსხვავდება, რომ აქ არც ფულის ოდენობა, არც უძრავ-მოძრავი ქონების რაოდენობა არაა აღნიშნული. არა. აქ სხვა საქონელია ტრიალში: მორალი, სინიღისი, აზრი, სული და გულის თქმა.. და ხალხი ცოტ-ცოტაობით ამას ჰყიდის იმის მიხედვით თუ როგორ შეიძლება არსებობის შენარჩუნება.

დავებრუნდეთ ეხლა იმ საკითხს რომელიც ასე მწვავედ სდგას ჩვენს ქვეყანაში. მართლა არის შესაძლებელი, ხელოვნება საზოგადოთ და მწერლობა კერძოდ, თავისუფლად განვითარდეს იმ პრინციპების მიხედვით, რომელსაც დღევანდელი პოლიტიკური ხელისუფლების კრიტიკოსები და თეორეტიკოსები აყენებენ? მართლა არის შესაძლებელი ხელოვნების და ლიტერატურის განვითარება, მიზან შეწონილობის, უტილიტარობის, გვემა-მოზომილობის პრინციპით!.. არის შესაძლებელი, რომ ხელოვნება კარნახობდეს ყოფის ორგანიზაციის კანონებს? არა. ხელოვნება რომ იყოს კოორპერატიული დუქანი, ან ქარხანა სხვა და სხვა საქონლის დამამზადებელი, ან საკანონმდებლო დაწესებულება, მაშინ სხვაა, მაგრამ ხელოვნება ისეთი დარგია, რომელსაც შეუძლებელია წინასწარ განუსაზღვროთ ყველაფერი, შენ ესა და ეს უნდა მოაწესრიგო, ესა და ეს გარდაქმნა!

უპირველეს ყოვლისა ხელოვნება ითხოვს თავისუფალი მოქმედების არეს. ესაა მისი განვითარებისა და ქმედობისათვის ძირითადი ელემენტი. ხელოვნებას არ სჭირია მითითება საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი და საყურადღებო მოვლენები დაინახოს. იგი პირველი წვდება ამ მოვლენებს, თვითონაც, უშუალოდ. ის, რაც ჩვეულებრივი მოქალაქისათვის, პოლიციელისთვის, სახელმწიფო მოხელისათვის, პროფესორებისათვის უჩინარია, მისთვის ხილულია და საცნაური. საზოგადოებრივ ცხოვრების და ადამიანის განვითარებას ათასი თავისებური მოვლენა ამოძრავებს; ხელოვნება განცდა თუ ხილვა ყოველივე მისი. ხელოვნება რომ ახდენს ერთგვარ ზედ მოქმედებას პიროვნების და საზოგადოებრივ ცხოვრების მიმდინარეობაზე, ეს უდავოა, მაგრამ მისი ზედ მოქმედების პროცესი არის ნელი, ხანდაზმული. არას შემთხვევაში იგი რეგულიარიატორი არ შეიძლება იყოს ამ მოძრაობის და განვითარების..

ვის შეუძლია დასახელოს, რომ ესა თუ ის უკვდავი ნაწარმოები ძალით, მითითებით ან დაკვეთით შეიქმნა? ხელოვნების და ლიტერატურის განვითარების ისტორიაში არავის არ შეუძლია ასეთ მაგალითზე მიგვიითოს. პირიქით, ისტორია ჩვენ გვეუბნება, რომ დიდი პოლიტიკური და მორალური ინკვიზიციების დროს ხელოვნება დაცემის გზაზე დამდგარი, ხოლო როცა ეს ძირითადი დაბრკოლება იშლება, მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ხელოვნების აღორძინება და განვითარება.

სრულიად სამართლიანი იყო გ. ქიქოძე როცა „არციფიონში“ სწერდა: „რევოლიუციამ ვერ გადალახა ევრაზიის საზღვრები. დედამიწის ერთი მეექვსედი შემოღარგლა და რა დაუპირისპირა მან ძველ კულტურას? ელექტროფიკაცია, ინდუსტრიალიზაცია, კოოპერაცია. ძველი ღმერთები მოკვდნენ, კრიტიკულმა აზროვნებამ ამოსწურა ძველი ილუზიები. შეუძლებელია უკან დაბრუნება გულუბრყვილო ცრუმორწმუნეობისაკენ, მაგრამ სული დაცალიერდა და ელექტრონის ნაკადით არ შეიძლება მისი ავსება“.

და მარლთაც კომუნისტურმა რევოლუციამ ყველაფერი დაანგრია, რისიც დაანგრევა შეიძლებოდა. როცა საკათხი დადგა დადებითი, აღმშენებლობითი მუშაობის დასაწყებად, ნგრევის ხელმძღვანელები აღმოჩნდნენ უციკი, უზადრუკი, უსუსური, თავცარიელი და ხელცარიელი.

გამოირკვა, რომ რუსული კომუნიზმი ვერაფერს იმეტებს, ვერც პიროვნებისათვის, ვერც საზოგადოებისათვის, ვერც ერებისათვის. პირიქით, მან ერთიც, მეორეც, მესამეც სულიდან ხორცამდე გაძარცვა.

პიროვნებას და საზოგადოებას ნებისყოფა მოუკლა, სული ამოხადა, ყველა ელემენტარული უფლებები წაართვა. ერები კრემლის კარებზე დააბა, სულიერად, ნივთიერად, პოლიტიკურად, მორალურად.

ამ სამარცხვინო და საშინელი რეჟიმის ბალანსში დარჩა მხოლოდ ოთხი რამ: ინდუსტრიალიზაცია, ელექტროფიკაცია, კოლხერაცია და განუკითხავი ტერორი. კაცობრიობის ისტორიაში ვერაფერს დაასახელებს მონობის შემდეგ მსგავს რეჟიმს თავისი სისასტიკით და უცნაურობით.

ამბობენ: ბევრი რამ გაკეთდა, აშენდა ქარხნები, ელექტრონის-სადგურები, დიდი სახლები, მდინარეებზე ხიდები; ეს ყველაფერი კარგი; მაგრამ თქვენ ის მითხარით რა ფასით გაკეთდა ყველაფერი ეს? ამ 27 წ. გასწორვ მსოფლიოს ერთ მეექვსედზე, სადაც ეს რეჟიმი ბატონობს, რამდენმა ადამიანმა იცხოვრა ბედნიერად, რამდენმა უშიშრად დაიძინა თავის ბინაზე?

ამ 27 წ. მანძილზე მსოფლიოს ერთ მეექვსედზე, სადაც 156 ერი, და სხვა და სხვა ტომი ბინადრობს, რომელთა საერთო რიცხვი 190 მილიონს უდრის, დამისახე-

ლეთ ერთი დიდი მოაზროვნე; მწერალი, პოეტი, მხატვარი, მოქანდაკე, კომპოზიტორი.. ამის დასახელება ძნელია. სამაგიეროდ ჩვენ შეგვიძლია დავასახელოდ მეორე. დიდი ნიჭის მქონე პირები, მოაზროვნე ფილოსოფი, პოეტი, მწერალი და სხვა, ბუნებრივი სიკვდილით არც ერთი არ მომკვდარა. ან ხელისუფლების მიერ იქმნა მოკლული, ან თითონ მოასწრო და თავი მოიკლა, ან ციხეშია თუ გადასახლებაში.

ვიდრე საბჭოთა წყობილება გააგრძელებს თავის არსებობას ისე როგორც იგი დღეს არის, ჩანხაზე შემდგარი და ხმალ ამოწვდილი, ვიდრე ადამიანი და საზოგადოება ელემენტარულ უფლებებს ვერ მოიპოვებს, თავისი არსებობის და სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, მანამ ჩვენს ეროვნულ ხელოვნებას და ლიტერატურას არ შეუძლია შექმნას ისეთი ღირებულებანი, რომელთაც ჰქმნიდა იგი ძველად, რომელთა მნიშვნელობა არა მარტო უადრესად ეროვნული იყო, არამედ ერთაშორისაც.


თანამედროვე ქართული ლიტერატურა შეიძლება დავახასიათოთ კ. გამსახურდიას რომანის ერთი გმირის სიტყვებით: „მე ასე მგონია ჩვენი საუკუნე ნამეტნავად ბევრს ლაპარაკობს ხელოვნებისათვის. ეს უთუოდ მავნებელია... ოო, რამდენს ყბედობს და კამათობს ჩვენი თაობა. ეს სიბერწის უპირველესი ნიშანია. შვილისადმი სიყვარულზე მუდამ უშვილოები გვიჭედენ ყურებს“.

ის სახელმწიფო, რომელიც მთლიანად საპყრობილეს წარმოადგენს, ვერასოდეს ვერ შექმნის წესიერ პირობებს ხელოვნებისა და აზროვნების განვითარებისათვის.

ი. მანჯავაძე



გენერალი კრავს ფონ კრესენშტაინი. გერმანიის სამხედრო მისიის ხელმძღვანელი. თბილისი 1918 წ.



გრაფი ფონ შულენბურგი, გერმანიის პოლიტიკური მისიის ხელმძღვანელი. თბილისი. 1918 წ.



გერმანულ-ქართული თანამშრომლობა, თბილისი, 1918 წ.



ეროვნული ერთობის საფუძვლები მშობიარობის ტკივილები — ოცდაექვსი მაისი

პირველი მსოფლიო ომის განმავლობაში რუსეთის იმპერია წაიქცა და დაიღწა. გადადგა ტახტიდან რუსეთის იმპერატორი და თვითმპყრობელი ნიკოლოზ მეორე, რომლის გვარმა მხოლოდ სამასი წელი იმეფა რუსეთში. იგი შესცვალა დროებითმა მთავრობამ. კავკასიაში ამ დროს მეფის წარმომადგენლად ანუ ნამესტნიკად იყო ნიკოლაი ნიკოლაევიჩი. იმპერატორის გადადგომას მისი მოადგილის გადადგომაც მოჰყვა. ამის შედეგად კიდევ რუსეთის „დროებითა მთავრობამ“ ამიერკავკასიის დაუნიშნა საგანგებო ხელისუფლება: „ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი“ ანუ შემოკლებით „ოზაკომი“. ამ საგანგებო კომიტეტის თაემჯდომარე იყო, რასაკვირველია, რუსი: დეპუტატი ხარლამოვი, წევრებად კიდევ „ერთა წარმომადგენელი“, ქართველების მხრივ: კიტა აბაშიძე და აკაკი ჩხენკელი. ხარლამოვის კომიტეტს ნამდვილი ხელისუფლება არა ჰპყრობია, იგი იყო უძალი და უღონო დაწესებულება, ვინაიდან მთელი ხელისუფლება რევოლუციურ ორგანიზაციათა ხელში იყო, როგორც იყვნენ: მუშათა საბჭოები, გლეხთა საბჭოები, ჯარისკაცთა საბჭოები და სხ. ეს რევოლუციური ორგანიზაციები გარდაიქმნენ პოლიტიკურ პარტიათა ბრძოლის ასპარეზად, სადაც სოციალდემოკრატები-მენშევიკები, სოციალდემოკრატები-ბოლშევიკები და სოციალისტ-რევოლუციონერები მთავარ როლს თამაშობდნენ.

პეტროგრადში პირველი „დროებითი მთავრობა“ შესცვალა „კოალიციურმა მთავრობამ“, რომელსაც კრიზისის შემდეგ, „მეორე კოალიციური მთავრობა“ მოჰყვა. ამის კიდევ მესამე და ბოლოს 17 ოქტომბერს 1917 წელს ბოლშევიკური გადატრიალება. ამ გადატრიალების ნაყოფი იყო ზავი რუსეთისა მეომარ სახელმწიფოებთან და ომი ყველა მათ მიმართ, ვინც ახალ ხელისუფლებას არ ურიგდებოდა. ზავი საგარეო და ომი საშინაო, — ასე დაიწყო ბოლშევიკური ბატონობა მოსკოვში.

ბოლშევიკებს კავკასიაში არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდათ და რასაკვირველია, ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ცენტრმა 20 ოქტომბრის (1918 წ.) სხდომაზე უარყო მოსკოვიდან ბოლშევიკური კომისარის დანიშვნა. „ოზაკომის“ შექმნილი რუსული მთავრობა აღარ არსებობდა; კერენსკის მთავრობამ სული დალია; ასევე დალია სული მისმა წარმომადგენელმა ამიერკავკასიაში „ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტ“ — მა ანუ „ოზაკომ“ — მა. იგი გაუქმდა 15 ნოემბერს 1917 წ.

რა ხელისუფლება უნდა შექმნილიყო მის მაგივრად? ამის გადამწყვეტი იყვნენ რევოლუციური ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები. რუსეთში უკვე მძვინვარებდა ანარქია და იწყებოდა სამოქალაქო ომი. ამიერკავკასიასაც ეს ბედი მოელოდა. საქართველოში ამ ქვეყნის დაცვა არეულობისა და ომისაგან. 1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში მოეწყო რევოლუციურ ორგანიზაციათა საგანგებო თათბირი, რომელმაც ერთხმად გადაწყვიტა:

„ვინაიდან ცენტრალური, ყველას მიერ უფლებამოსილად ცნობილი მთავრობა არ არსებობს, და დღითიდღე ძლიერდება მთელს სახელმწიფოში ანარქია, რომელიც მოსალოდნელია ამიერკავკასიაშიც გავრცელდეს, და რადგან საჩქაროდ გადასატრიალია მთელი რიგი საზოგადოებრივი, ფინანსური და ეკონომიური კითხვებისა, რომელთა გადაჭრაზე დამოკიდებულია ჩვენი მხარის უახლოესი ბედი, თათბირი ადგენს: შესდგეს ამიერკავკასიის მმართველობა, რომელშიც შევლენ ამიერკავკასიის ცენ-

ტრალურ, საზოგადოებრივ, ოფიციალურ და ეროვნულ ყველა რევოლუციურ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენელი. ადგილობრივი მმართველობა თავის მოქმედებაში უნდა ემყარებოდეს ამიერკავკასიის და ადგილობრივ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს და ადგილობრივ თვითმმართველობათა ორგანოებს“. მაშასადამე: უნდა დაარსებულიყო ამიერკავკასიის მმართველობა, რომელიც რევოლუციურ ძალებს დაემყარებოდა. ასეთივე დაარსდა 14 ნოემბერს 1917 წ., და მას დაერქვა ამიერკავკასიის კომისარიატი, რომლის თაემჯდომარე იყო ევგენი გეგეჭკორი.

რევოლუციის დაწყებისთანავე ჩისახა აგრეთვე ორი მნიშვნელოვანი ორგანიზაცია. პირველის დანიშნულება იყო ამიერკავკასიის ერებს შორის დავა-ცილობის მომწესრიგებლობა — ეს იყო ერთაშორის კომისიები. და შეიქმნა აგრეთვე პარტიების შემათანხმებელი კომიტეტი, ეგრედ წოდებული ინტერპარტიული კომიტეტი. შეთანხმება ერებს შორის, შეთანხმება პარტიებს შორის — ასეთი იყო ამ ორგანიზაციების დანიშნულება.

ამიერკავკასიის კომისარიატი, როგორც ადგილობრივი მმართველობა, მოღვაწეობას შეუდგა. შემოღებულ იქმნა ერობა, რომლის გულისათვის ათეულ წელთა მანძილზე ოკეანე-მელანი დაიხარჯა; გამოიცა განკარგულება მიწების ჩამორთმევის შესახებ; გაუქმებულ იქმნა ბატონყმობის იურიდიული ნაშთები; გაუქმდა თავადაზნაურული წოდება.

საქართველოს თავადაზნაურობამ თავის მხრივ საკუთარი ნაბიჯი გადასდგა და დაადგინა: მთელი მისი ქონება, რომელიც ამ წოდებას, როგორც ორგანიზაციას ეკუთვნოდა, გადასცემოდა საკუთრებად ქართველ ერს. მაგრამ ვინ წარმოადგენდა ამ ქართველ ერს?

ამიერკავკასიის კომისარიატი იყო ამიერკავკასიის მმართველი, ხოლო ქართული რევოლუციური ორგანიზაციები ერის წარმომადგენლებად ვერ ჩაითვლებოდნენ. ამიტომ ქართულმა ინტერპარტიულმა კომიტეტმა გადასწყვიტა მოეწვია საქართველოს ეროვნული ყრილობა; მის შემადგენლობაში იყვნენ: წარმომადგენლები თვითმმართველობათა, აღმასრულებელ კომიტეტთა, კულტურულ დაწესებულებათა და პოლიტიკურ პარტიათა. საქართველოს ეროვნული ყრილობა მოეწყო თბილისში 19 ნოემბერს 1917 წელს და მისი წევრთა რიცხვი იყო 343 (19 სათათბირო ხმით). ეს იყო პირველი შემთხვევა რუსეთის ბატონობის 117 წლის განმავლობაში, როდესაც მთელი ქართველი ერის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი; აქ გამოცხადდა მთელი ქართველი ერი თავისი წარმომადგენლებით.

ეს წარმომადგენლები ასე იყვნენ განაწილებული:

- 1) საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტების — 89;
- 2) ქალაქთა თვითმმართველობების — 33;
- 3) მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების — 15;
- 4) კოოპერატივების 8;
- 5) ვაჭრობა-მოეწველობისა და ბანკების — 26;
- 6) თავადაზნაურობის — 20;
- 7) საკათალიკოსო საბჭოსი — 1; *).
- 8) კულტურული-გამანათლებელი და სხვა დაწესებულებების — 43;

* ამ დღეში ჩინის ეროვნული აზროვნების სიბუნების დამახასიათებელია ის საეკლესიო მოვლენა, რომ ქართული ეკლესია, მოღვაჯე და მებრძოლი ქართული ეროვნული მე-ობისა, ქართველი ერის ბელის გადამწყვეტ წუთში ეროვნულ ყრილობაზე მხოლოდ ერთი ხმით იყო წარმოდგენილი!



- 9) მასწავლებელთა კავშირის — 9;
- 10) ქართული პრესის — 9;
- 11) უცხოეთში არსებულ ქართული საზოგადოებების — 6;
- 12) ქართული ჯარის — 20;
- 13) ქართველი მაჰმადიანებისა და ქართველი კათოლიკების — 7;
- 14) ქართველი ებრაელების — 3;
- 15) აფხაზების — 2;
- 16) ქართული პოლიტიკური პარტიების — 67.

აი, ამ ფართოდ მოწვეულ ეროვნულ ყრილობას უნდა მოეწყო თავისი ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს თავადზნაურობის მიერ გადაცემულ რამოდენიმე მილიონიან ქონებას მოუვლიდა.

მაგრამ დრო იყო მეტად არეული და რთული: მსოფლიო ომი გრძელდებოდა, რუსეთში ანარქია იყო გამეფებული და სამოქალაქო ომი დაწყებული. საქართველოს ეროვნული ყრილობა თავადზნაურობისაგან მიღებული ამ ძვირფასი საჩუქრის ანუ ძღვენის მიღებაზე ვერ შეეზღუდებოდა და საქართველოს მომავალ ბედსაც შეეხებოდა.

აკაკი ჩხენკელმა ინტერპარტიული კომიტეტის სახელით გახსნა საქართველოს ეროვნული ყრილობა და სხვათა შორის სთქვა: რუსეთში ყველა ერი ჩამოყალიბდა და თავის ინტერესებს იცავს, დროა ამიერკავკასიაშიც დაირაზმონ და შეკავშირდნენ ერებო. მაშასადამე, უნდა დასმულიყო საქართველოს პოლიტიკური სახეობის საკითხიც. და ეს საკითხი მართლაც წარმოსდგა; ყრილობის მეორე სხდომაზე ინტერპარტიული კომიტეტის სახელით ნოე ჟორდანიამ მოხსენება წაიკითხა და სამართლიანად განაცხადა: „თქვენ იცით, რომ ინტერპარტიულ საბჭოში შედიან ყველა ქართული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და თუ იცვენ შესაძლებლად ერთი პირისთვის მიენდოთ მოხსენების ვაკეთება, აშკარაა, ყოფილა საერთო ნიადაგი და სწორედ ამ საერთო ნიადაგზე იქნება ჩემი მოხსენებაც აგებული“ — რა იყო ეს საერთო ნიადაგი? ნოე ჟორდანიამ მოახსენებდა ყრილობას: —


„თქვენ იცით, რომ ჩვენი ინტერესები შეკავშირებულია რუსეთის ინტერესებთან და როცა ვარკვეთ ჩვენი ერის მდგომარეობას, გამოვდივართ რუსეთის საერთო ინტერესებიდან. ცხადია, დღესაც ვრჩებით იმ ნიადაგზე, რომელზედაც ვიდგით წინათ, ესე იგი, რუსეთთან კავშირის ნიადაგზე. ასმა წილმა განვლო მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა. ეს არ იყო ვისიმე ეთნიანობისა, ან უბრალო შემთხვევის შედეგი. ეს იყო ისტორიული აუცილებლობა. მაშინ საქართველოს წინაშე იდგა დილემა: ან აღმოსავლეთი ან დასავლეთი. და ჩვენმა წინაპრებმაც გადასწყვიტეს განშორებოდნენ აღმოსავლეთს და მიემართათ დასავლეთისათვის. დასავლეთისაკენ გზა კი იდგა რუსეთზე; მაშასადამე, დასავლეთისაკენ სვლა ნიშნავდა რუსეთთან შეერთებას. რუსეთთან შეერთება მოხდა შემდეგი პირობით: ჩვენ უნდა ვყოფილიყავით რუსეთის ჩარჩოში და გვექონოდა თვითმმართველობის უფლება შინაურ საქმეებში. მხოლოდ პირველი ნაწილი ამ პირობისა დარჩა ძალაში, მეორე ნაწილი კი ადრევე იქნა დარღვეული. ბევრი წვალება, ბევრი ვაჭირვება გადავიტანეთ ამ ასი წლის განმავლობაში. მაგრამ არც ერთი ქართული პოლიტიკური პარტია არ მოითხოვდა რუსეთისაგან ჩამოშორებას, ვინაიდან ეს იქნებოდა აღმოსავლეთის წინაშე წამოჩოქება. ეს კი არავის სურდა. ახლა, როცა რუსეთის ძველი წყობილება დაიმსხვრა — ერებს ეძლევათ საშუალება თვით გამოსჭედონ თავისი წყობილება და მომავალი. და ახლაც ჩვენ წინ დავგიდგა იგივე დილემა, რომელიც ამ ასი წლის უკან ჩვენი წინაპრების წინ იდგა: ან ისევ დასავლეთი და, მაშასადამე, რუსეთი, ან აღმოსავლეთი. ამნაირად, ჩვენი თვითგამორკვევა დღესაც ისეთია, როგორც იყო ამ ასი წლის წინეთ.

ამ მხრით ჩვენ შორს ვერ წავედით ჩვენს წინაპრებთან შედარებით“.

ასეთი იყო ნოე ჟორდანიას დასაბუთება საქართველოს საკითხის შესახებ; და მისივე პროგრამა საქართველოს მომავალზე იყო შემდეგი: ყველა ქართული პოლიტიკური პარტიები შეთანხმდნენ მოეთხოვათ რუსეთის დამფუძნელ კრებაზე საქართველოს ფართო თვითმმართველობა. ანუ მისივე სიტყვით: „უნდა მოეთხოვათ საქართველოს მიენიჭოს სრული თვითმმართველობა, უნდა ჰქონდეს უფლება საკუთარ საჭიროებაზე გამოსცეს კანონები, უნდა ჰყავდეს თავისი ნაციონალური ადმინისტრაცია, ჯარი, სასამართლო, სკოლა, ერთი სიტყვით, უნდა მოხდეს ყველა დაწესებულებათა ნაციონალიზაცია და სს“.

ამნაირად: საქართველოს თვითგამორკვევა, როგორც ეს ეროვნულმა ყრილობამ გამოამჟღავნა, ფართო ავტონომიის არა სცილდებოდა და ამით ყოველშემთხვევაში საბოლოოდ გადაწყდა ის დავა საქართველოს პოლიტიკური სახეობის შესახებ, რომელსაც შეეწირა მრავალი ძელანი და ღვაწლი ათეული წლების მანძილზე: ყველა პოლიტიკური პარტია დაბოლოს შესდგა საქართველოს ავტონომიის საფუძველზე და ქართველი ერის თვითგამორკვევა ამგვარად და ჯერჯერობით გამოისახა რუსეთის ფარგლებში პოლიტიკური ავტონომიის მიღებითა და მოთხოვნით. ამიტომ იყო, რომ მთელი ეროვნული ყრილობა ალტაცებით შეეგება ნოე ჟორდანიას მოხსენებას და თქვენი მონა-მორჩილიც, რომელიც იმ ყრილობის წევრი იყო, აღფრთოვანებული გახლდა. მაგრამ დღეს ოდეს უკან ვიციქობით და გარდასულ ამბებს თვალს ვავლებთ, ვფიქრობთ სხვაგვარად. ვფიქრობთ პირველად ყოვლისა, რომ საქართველოს საკითხი რუსეთის საერთო ინტერესებით არ უნდა გასინჯულიყო. საკუთარი ერის ბედი პირველად ყოვლისა მისი ინტერესების მიხედვით უნდა სწყდებოდეს. სინამდვილის ვითარება ამა თუ იმ გზას აარჩევინებს ერს, მაგრამ ეს გზაც მხოლოდ ერის ინტერესებთან უნდა იყოს შეგუებული. მეორე რუსეთთან „შეერთება“ არ იყო აუცილებელი ისტორიული მოვლენა. ქართული სამეფოების პოლიტიკამ მეტად დააჩქარა რუსეთის მოსვლა ამიერკავკასიაში. ასე რომ არ მომხდარიყო, ქართული სამეფოები მეცხრამეტე საუკუნის ისტორიაში შევიდოდნენ, და იქნება მაშინდელი მომავალი სხვაგვარ წარმართებულიყო. მესამე, ერეკლე მეფის წინაშე არ იდგა დილემა ანუ ორთაშორისო საკითხი: ან აღმოსავლეთი ან დასავლეთი. ერეკლე მეფის წინაშე იდგა საკითხი: დაეცვა სამეფო გარეშე მტრებისაგან და ხალხი განადგურებისაგან. ამ მიზნით მან მოახა მხოლოდ ერთად ერთი დამხმარე ძალა რუსეთი. ქართველი მეფეთა ბრალი აღარაა, რომ რუსეთმა მათ პირობა დაუტრღვა და სამეფოებიდან გუბერნიები გამოსჭრა. ამას მოჰყვა დიდი ბრძოლა, რომლის მოკლე აღნიშვნას ჩვენ შევეცადეთ.

ნოე ჟორდანიის თაობის წინაშე არ იდგა დილემა, როგორც იგი ამბობს: „ან ისევ დასავლეთი, და მაშასადამე, რუსეთი, ან აღმოსავლეთი“. ჩვენი უფროსი თაობის წინაშე იდგა მხოლოდ ერთი საკითხი: — საქართველოს გამოხსნა რუსეთის ჩარჩოებიდან ანუ ქართველი ერის განთავისუფლება. ამბების შემდეგმა განვითარებამ გვიჩვენა, რომ მხოლოდ ეს აღნიშნული საკითხი იდგა გადასაწყვეტად. ყველამ ცხადათ იხილა, რომ რუსეთი დასავლეთი არა ყოფილა, და რომ დასავლეთში ანუ ევროპაში შევიდა საქართველო მერმე, სწორედ რუსეთს გარეშე, მის დაუხმარებლად და მის წინააღმდეგ. ეს მოვლენა შემდეგში დადასტურა თვით ნოე ჟორდანიამ, როცა განაცხადა, რომ აღმოსავლეთის ბარბაროსობას დასავლეთის იმპერიალიზმი მიჩვენიყო. ეს აღმოსავლეთის ბარბაროსი — რუსეთი იყო. ამგვარად, თვით ისტორიულმა მსვლელობამ გადასწყვიტა არა სწორად დასმული საკითხი, გადასწყვიტა სწორად მით, რომ საქართველო რუსეთს ჩამოშორდა.



გვახსოვს კარვად, თბილისში იმ დროს, ეროვნული ყრილობის გარემო, დიდი სჯაბასი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ. პარტიული თუ არა-პარტიული ხალხი, ბევრი მათგანი, ფიქრობდა, რომ საკითხი უკვე მომწიფებული იყო, ოღონდ ამზინებდა ყველას ერთი მოვლენა: კავკასიის ფრონტზე იდგა რამოდენიმე ასიათასი რუსის ჯარისკაცი, უკვე დისციპლინა-დაკარგული და ბოლშევიკების ყურისმგდებელი. ბოლშევიკები მათ შორის უკვე გახურებულ ქადაგებას ეწეოდნენ ამიერკავკასიის კომისარიატის წინააღმდეგ და ჯარებს ჩასჩიხინებდნენ: ამიერკავკასია რუსეთს ჩამოშორდა, ზავის წინააღმდეგია, მიწას არ იძლევა და ხელისუფლება ბურჟუებისა და თავადაზნაურობის ხელშიაო. ბოლშევიკები მოუწოდებდნენ მათ, მიეტოვებინათ ფრონტი და გაელაშქრათ თბილისისაკენ, იქ საბჭოთა ასეუ ბოლშევიკური ხელისუფლების დასამყარებლად. ასეთი ცდაც იყო, მაგრამ ამაო. ყოველ შემთხვევაში, თუ ეროვნული ძალები სათანადო სიძალეზე აღმოჩნდებოდნენ, ეს საშიშროება გახრწნილი რუსული ჯარების მხრიდან დიდათ მნიშვნელოვანი არ იყო, როგორც შემდგომი გამოირკვა. რუსეთის ჯარებმა მიატოვეს ფრონტი და უწყსრიგოდ შინისაკენ გაეშურნენ, ხოლო ადგილობრივი არეულარევა მოსპობილ იქმნა შინაური ძალებით.

საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ მიიღო მრავალი სხვადასხვა გადაწყვეტილება საჭირობოროტო საკითხების გამო; მანვე ჩაიბარა საქართველოს თავადაზნაურობისაგან მიძღვნილი რამოდენიმე მილიონის ქონება და აარჩია ეროვნული საბჭო სამოცი წევრისაგან შემდგარი; ხოლო ამ უკანასკნელმა აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი 15 წევრისაგან, რომლის თავმჯდომარე იყო ნოე ჟორდანიანი. ამ კომიტეტში შედიოდნენ: 8 სოციალდემოკრატი, 2 სოციალისტდემოკრატი, 2 სოციალისტრევოლუციონერი, 2 ნაციონალდემოკრატი და ერთი წარმომადგენელი სამაჰმადიანო საქართველოსი. ამგვარად, შესდგა საქართველოს ეროვნული დაწესებულება, რომელსაც ჯერ ხელისუფლება არ გააჩნდა, მაგრამ ისტორიის მიერ კი იყო აღჭურვილი მომავალი საქართველოს სახელმწიფოს დამაარსებელი და შემქმნელი გამხდარიყო.

საერთო არეულობის ხანაში, როცა რუსული ჯარი სტოვებდა კავკასიის ფრონტს და შიგნით უწყსოება იწყებოდა, მაშასადამე, ფრონტის დაცვისათვის და წესიერების აღდგენისათვის საჭირო იყო სამხედრო ძალა, — ეროვნულმა საბჭომაც მიმართა ქართულ მხედრობას შედგენილ ყოფილიყო ქართული ჯარი. რათა მაშინდელი მდგომარეობა დავახსიანოთ, მოვიტანოთ ამ მოწოდებიდან ერთი ნაწილი: — „სახელმწიფოს მთლიანობა დაირღვა, ეკონომიური ცხოვრება მოიშალა, რუსეთი განვეუღლა სამოქალაქო ომისა და ანარქიის ცეცხლში. ამშობლო და თავისუფლება განსაცდელშია... დადგა დრო, ყოველმა თქვენთაგანმა უნდა დაიცვას ჩვენი პატარა ქვეყანა გარეშე შემოსევისაგან და შინაური არევისაგან“. შინაური არეულარევა რომ თავი დაიხანებოთ და მის შესახებ სიტყვა არ გავაგრძელოთ, საქართველო ნამდვილი საფრთხის წინაშე იდგა სამხრეთის მხრიდან.

ომი ჯერ დასრულებული არ იყო. რუსული ჯარები დაიშალნენ და გასწიეს რუსეთს. ოსმალეთის ჯარები ფეხდაფეხ მისდევდნენ მათ და უბრძოლველად იკავებდნენ ბრძოლით დაკარგულ თავის ადგილებს, უახლოვდებოდნენ სომხეთ-საქართველოს მიწაწყალსაც. დღეს არა ხვალ, თურქთა ჯარები შემოიჭრებოდნენ ამიერკავკასიაშიც. ვინ უნდა ყოფილიყო ამ საკითხის მომგვარებელი? არსებობდა ხომ ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც არსებითად ადგილობრივ მთავრობას წარმოადგენდა!

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, 15 ნოემბერს, 1917 წელს დაარსებულ იქმნა ამიერკავკასიის კომისარიატი. მისი მოვალეობა იყო: 1) წაყვანა ადგილობრივი საოლქო პოლიტიკისა, რასაკვირველია, რუსეთის დემოკრატიასთან კავ-

შირით, რომელიც არ არსებობდა და რომლის შექმნასაც ეტრფოდნენ; 2) ავტონომიური გადაწყვეტა მხოლოდ ადგილობრივი საკითხებისა; 3) მიყვანა ამიერკავკასიისა იმ წუთამდე, როცა შეიქმნებოდა ყველასათვის ცნობილი მთავრობა ან მოიწვეოდა სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება. ყველას მიერ ცნობილი მთავრობა რუსეთში არ შექმნილა და დამფუძნებელი კრება კი ბოლშევიკურმა მთავრობამ გარეკა 4 (17) იანვარს 1918 წ.

ამავე დროს კავკასიის არმიის სარდალმა, გენერალ-ლეიტენანტ ოდიშელიძემ, წინადადება მიიღო თურქთა სარდალ ფერიკ-ვეზიბ-ფაშასაგან ზავის მოლაპარაკების შესახებ და „დამოუკიდებელ კავკასიის მთავრობას“ ომის შეწყვეტასა და მშვიდობის დამყარებას სთხოვდა. ეს მოხდა 1 (4) იანვარს 1918 წელს. ზავის წინააღმდეგი ვინ უნდა ყოფილიყო, როდესაც მებრძოლი ძალისაგან კავსის ფრონტი იცლებოდა! მაგრამ საკითხი ის იყო, რომ „კავკასიის (თუ ამიერკავკასიის) დამოუკიდებელი მთავრობა“ არ არსებობდა, არსებობდა მხოლოდ ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც ამ ქვეყანას რუსეთის ნაწილად აცხადებდა. ამიტომ ამიერკავკასიის კომისარიატის პასუხი ზავის წინადადებაზეც შესაფერი იყო: ზავზე მოლაპარაკებას შევუდგებით როგორც კი სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება სათანადო უფლებას მოგვცემს! ეს პასუხი გაიგზავნა 4 იანვარს 1918 წ. ამავე დღეს ეს სანუკვარი დამფუძნებელი კრება გარეკილ იქმნა.

ამავე დროს თურქეთის ჯარი წინ მოიწვედა და თებერვლის 1-ს 1918 წ. „კავკასიური ჯარებისაგან“ მიტოვებული ფრონტიდან.

ოსმალეთის სარდალი ვეზიბ-ფაშა ატყობინებს ამიერკავკასიის კომისარიატს, რომ ბრესტილიტოვსკში შესდგა საზავო კონფერენცია რუსეთსა და ცენტრალ-სახელმწიფოებს შორის (გერმანია, თურქეთი, ბულგარეთი, ავსტრო-უნგრეთი) და თქვენი წარმომადგენელიც გამოგზავნეთო. თებერვლის 6-ს ამიერკავკასიის კომისარიატი უპასუხებს ვეზიბ-ფაშას, რომ ამიერკავკასიის სეიმი გამოიმუშავებს ზავის პირობებს და გაცნობებთო. საიდან გაჩნდა ეს ამიერკავკასიის სეიმი?

მას შემდეგ რაც ბოლშევიკებმა რუსეთის დამფუძნებელი კრება გარეკეს, და ამგვარად მთლიანი რუსეთის ხელისუფლების შექმნის ცდა უნაყოფოდ ჩატარდა, ამიერკავკასია, შექმნილი მდგომარეობის გამო, იძულებული გახდა დამოუკიდებლად ეწარმოებინა თავისი შესახები საქმეები. ამიტომ რევოლუციური ორგანიზაციების ცენტრმა გადასწყვიტა 12 იანვარს 1918 წ:

„დამფუძნებელი კრების გარეკამ ამიერკავკასია კვლავ თავისი საკუთარი ძალების-ამაოდ მიატოვა... მხარეს სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ მახლობელ დღეებში მოწვეულ იქმნას კრება დეპუტატთა, არჩეულთა დამფუძნებელ კრებაში ამიერკავკასიიდან და კავკასიის ფრონტიდან“-ო. 22 იანვარს, 1918 წელს კი დეპუტატების ამ კრებამ თავის მხრივ დაადგინა: „ამიერკავკასიიდან არჩეულ დამფუძნებელ კრების დეპუტატთა სხდომამ განიხილა რა შექმნილი მდგომარეობა, საჭიროდ აღიარა დროებით, სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების ისევ შეკრებამდე(!), მოწვეულ იქმნას ამიერკავკასიის სეიმი საკანონმდებლო ფუნქციებით ადგილობრივი ცხოვრების ყველა საკითხებში. სეიმის მოწვევისათვის საჭიროდ მიაჩნია სამჯერ შემცირებულ იქმნას საარჩევნო მეტრი, ცალკე პარტიების მიერ მიღებული. სეიმის მოწვევის ვადათ დაინიშნოს 10 თებერვალი“. ამგვარად წარმოიშვა ამიერკავკასიის სეიმი. სეიმის წევრთა რიცხვი უდრიდა 115-ს. აქედან 32 დეპუტატი იყო სოციალდემოკრატიული პარტიის, 30 აზერბაიჯანული, მუსსაევების პარტიის და მისი თანამგრძობთა დეპუტატი, 27 სომხური, დაშნაკუტუნის პარტიის, 5 სოციალისტ-რევოლუციონური პარტიის, 1 სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის, 1 ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის.

ამიერკავკასიის კომისარიატი ევგენი გეგეჭკორის თავჯდომარეობით 10 თებერვალს 1918 წელს გახსნილ სეიმს წარუდგა.

სეიმის თავჯდომარედ არჩეულ იქმნა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე. ყველა პარტიამ სეიმში თავისი განცხადება გააკეთა. ნოე ჟორდანიამ სოციალდემოკრატიული პარტიის სახელით განაცხადა, რომ ზავისა, მიწის და ეროვნული საკითხია უმთავრესიო. ყველა ამათში, სთქვა მან, უმნიშვნელოვანესია ეროვნული საკითხი. „ამ საკითხს აქვს ორი ფორმა: ჩვენი დამოკიდებულება ცენტრთან და დამოკიდებულება ერთა შორის აქ. პირველი ფორმა დღეს მოხსნილია, რადგან არ ვიცით, როგორი იქნება ჩვენი დამოკიდებულება რუსეთთან ერთი თვის შემდეგ, როგორი წყობილება დამყარდება იქ, ან გეგეჭკორის მასთან რაიმე კავშირი თუ არა. ამიერკავკასიაში მრავალი (!) ერები ცხოვრობენ. როგორ უნდა განხორციელდეს ერთი ერის თვითმართველობა ისე, რომ ამით ხელი არ შეეშალოს მეორეს? ერთადერთი საფუძველი, რომელზედაც შეიძლება უნდა ავიდეს — არის ეროვნებათა თანასწორუფლებიანობა“ — თ. ამნაირად, ამიერკავკასიის სეიმი შეუდგა მუშაობას ისე, რომ მას თავისი საგარეო სახე გამოეკვეთა არ დაურჩა. ამიერკავკასიის მთავრობის შედგენა ისევ ევგენი გეგეჭკორის მიხედვით და ქართველების მხრიდან იქ შემდეგი პირობები შედიოდნენ: მთავრობის თავჯდომარე და სამხედრო მინისტრი — ევ. გეგეჭკორი; ში ვან საქმეთა მინისტრი — ნოე რამიშვილი; საგარეო საქმეთა მინისტრი — აკაკი ჩხენკელი; მიწადასახლების მინისტრი — ნოე ხომერიკი; საზღვაო — ვლადიმერ გობეჩია, დანარჩენი სამინისტრო დაწესებულებები განაწილებულ იქმნენ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის.

16 თებერვლის სხდომაზე სეიმმა განიხილა თურქეთთან ზავის დამყარების საკითხი და არჩეულ იქმნა საზავო დელეგაცია აკაკი ჩხენკელის თავჯდომარეობით. საზავო პირობა იყო: 1914 წლის საზღვრები და თურქეთის სომხეთისათვის ავტონომია!

ეს ამბები რომ თბილისში ხდებოდა, ამავე დროს ბოლშევიკური რუსეთი ცენტრალ სახელმწიფოებთან ზავზე მოლაპარაკებას აწარმოებდა, რაც ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით დასრულდა 18 თებერვალს 1918 წელს. ჩვენ აქ ამ საკითხების თავგადასავალს დაწვრილებით ვერ შევხებით (ერთჯერ უკვე განვიხილეთ იგი კრიტიკულად. იხილეთ „ორნატი“, მისი, 1934 წ. და „ქართლოსი“).

ბოლშევიკებმა, რასაკვირველია, ამიერკავკასიის დაუკითხვად თურქეთს დაუთმეს ყარს-არდაგან-ბათუმის მხარენი.

17 თებერვალს 1918 წ. შესდგა ამიერკავკასიის სეიმის არაჩვეულებრივი სხდომა, სადაც ეს ზარდამკევი ცნობა იქმნა წაკითხული. ცხადია, ამიერკავკასიის კომისარიატმა ბრესტლიტოვსკის ზავის გამო პროტესტი განაცხადა. ამიერკავკასიის სეიმის თავჯდომარე ჩხეიძეც აცხადებდა პროტესტს. მაგრამ მაინც ამ საქირბოროტო ზავის საკითხების გამოსარკვევად ამიერკავკასიის საზავო დელეგაცია აკაკი ჩხენკელის თავჯდომარეობით გაემგზავრა ტრაპეზუნდს თურქეთის საზავო დელეგაციასთან მოსალაპარაკებლად.

თურქეთმა, რასაკვირველია, მოითხოვა ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების განაღდება ესე იგი ყარს-არდაგან-ბათუმის დაცლა და თურქეთისათვის გადაცემა. ამიერკავკასიის დელეგაციამ ამაზე უარი განაცხადა და რადგან არავითარი შეთანხმება შესაძლებელი აღარ იყო, ამიტომ 1 აპრილს ამიერკავკასიის კომისარიატმა საზავო დელეგაცია უკან გამოიწვია. ეს უკვე ომს ნიშნავდა.

ოსმალები ამ დროს ამიერკავკასიის ფარგლებში შემოჭრილი იყვნენ, მათ ერთი საათითაც არ შეუჩერებიათ წინსვლა ამ საზავო მოლაპარაკების დროს! ასე რომ იმ დღეს, როცა ამიერკავკასიის დელეგაციამ ტრაპეზუნდის

საზავო კონფერენცია მიატოვა, 1 აპრილს, ბათუმი თურქებმა დაიკავეს.

დაიწყო ომი ამიერკავკასიის ოსმალეთთან!

სეიმმა მოწოდებით მიმართა ამიერკავკასიის ერებს: „დაჰკრა საათმა, როცა წყდება ჩვენი სამშობლოს ბედი. თქვენ იცით, რა მოთხოვნილება წამოგვიყენა ოსმალეთმა. ჩვენგან ითხოვდნენ გვეცნო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება, რომლითაც მოითხოვდნენ ჩვენგან საუკეთესო ცინე-სიმაგრეებს და ჩვენს საუკეთესო ნავთსაყუდელს — ბათუმს. ჩვენგან მოითხოვეს სამი ოლქის და-ცლა-განთავისუფლებას. ჩვენ ყოველი ღონე ვიღონეთ ოსმალეთთან მშვიდობიანი მოლაპარაკებით მოგვეგვარება საქმე. მაგრამ ოსმალეთი მაინც თავისას ადგა. სამშობლოსა და მომავალ თაობათა წინაშე, ჩვენი დიდი პასუხისმგებლობის შეგნებით, ჩვენ შეურყევლათ ვარჩიეთ სამარცხინო ზავს ხელი არ მოვაწეროთ. ამიერიდან კითხვას გადასჭრის იარაღი. ყველამ იარაღს ხელი, ყველანი გაეშურეთ ფრონტისაკენ! გამოდით ყველანი სამშობლოს და თავისუფლების დასაცავად“...

ამ მგზნებარე მოწოდებას მაშინდელ ვითარებაში რა დიდი შედეგი უნდა მოეტანა? რეგულიარული ჯარი არ არსებობდა; დასავლეთის ფრონტიდან, ბრძოლით დაღლილი და თავმოდულებული ქართველი ჯარისკაცები, ნაწილ-ნაწილ ბრუნდებოდნენ უკან; საქართველოში შედგენილი მცირე ქართული ერთეულები, მონალისენი, პატარა გვარდია და პარტიული რაზმები, თუ მილიცია ოსმალეთის რეგულიარულ ჯარს წესიერ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ, თუმცა იყო ბრძოლის აღმაფრენა და თავდადებაც. ოსმალეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ მხოლოდ სომხური და ქართული ნაწილები. აზერბაიჯანელები ერთმორწმუნე თურქების წინააღმდეგ ბრძოლას არც აპირებდნენ და ამიერკავკასიის მთავრობას აწვებოდნენ ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულება მიეღო!

7 აპრილს 1918 წელს თურქთა ჯარები უკვე ოზურგეთში იყვნენ! მხოლოდ მეორე დღეს, გამირული თავგანწირვით, ვალოდია გოგუაძის ჯავშნიანი მატარებლის რაზმმა შეაჩერა მათი სვლა ჩოლოქთან.

ამავე დროს ოსმალების აგენტებმა მესხეთში — ახალციხის მაზრაში — აჯანყება გამოიწვიეს და აჯანყებულმა თათრებმა 19 ქართული სოფელი დაარბიეს და ააწიოკეს; აიღეს აბასთუმანი, ზეკარი, აწყურის; ახალციხეს ალყა შემოარტყეს; ამიერკავკასიის მთავრობის ეგრული წოდებული „მაჰმადიანთა მერვე პოლიცია“-ც ქართული მხედრობის წინააღმდეგ იბრძოდა! ამავე დროს ბოლშევიკები თავისი აგენტების საშუალებით აწყობდნენ არეულობასა და უწყესობას საქართველოს სხვადასხვა მხარეში, და ამნაირად უნუგეშო მდგომარეობა იქმნებოდა. თუ ამ სუსტად დახატულ სურათს შევავსებთ იმ მოვლენით, რომ თვით ამიერკავკასიის კომისარიატში აზერბაიჯანელთა წარმომადგენლები ოსმალეთთან ომზე უარს აცხადებდნენ და ოსმალეთის გამარჯვებას ხელსაც უწყობდნენ, — მაშინ ნათელი გახდება ეს უნუგეშო მდგომარეობა: ბრძოლის გაგრძელება სრულებით შეუძლებელი იყო. დამხმარე ძალა არსაიდან სჩანდა. ერთადერთი გამოსავალი იყო ისევ საზავო მოლაპარაკების განახლება. მაგრამ ამიერკავკასიის არ შეეძლო ზავზე მოლაპარაკება, სანამ იგი ფორმალურად რუსეთის ნაწილად ითვლებოდა. ამიტომ აუცილებელი გახდა რუსეთისაგან ჩამოშორება და დამოუკიდებლობის გამოცხადება.

22 აპრილს 1918 წელს ამიერკავკასიის სეიმმა შემდეგი გადასწყვიტა: „აღიარებულ იქმნას ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერატიული დემოკრატიული რესპუბლიკა და ეცნობოს ეს სხვა სახელმწიფოებს“. შესდგა ახალი მთავრობა, დამოუკიდებელი ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობა, აკაკი ჩხენკელის თავჯდომარეობით. ამ ახალ, ამჟამად დამოუკიდებელ მთავრობაში შემდეგი ქართველები შედიოდნენ: აკაკი ჩხენკელი — თავჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი; ნოე რამიშვი-



ლი — შინაგან საქმეთა მინისტრი; ნოე ხომერიკი — მიწათმოქმედების მინისტრი; გრიგოლ გიორგაძე — სამხედრო მინისტრი. დანარჩენი სამინისტრონი განაწილებული იქმნენ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის.

მთავრობის თავმჯდომარე ჩხენკელმა აცნობა ოსმალეთის ჯარების მთავარსარდალს, რომ გამოცხადდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და სთხოვა სამხედრო მოქმედებები შეეჩერებინა. იმ დღესვე, 10 (23) აპრილს შესწყდა ომი. ხოლო 15 აპრილს ა.ვ. ჩხენკელმა მიიღო პასუხი, რომ ოსმალეთის მთავრობამ აღიარა და სცნო ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და ეს შეატყობინა აგრეთვე თავის მოკავშირეებს (გერმანიას, ავსტროსლავიურებს, ბულგარეთს).

ოსმალეთისა და ამიერკავკასიის საზავო კონფერენცია ეხლა ბათუმში ხდებოდა. 11 მაისს 1918 წელს შესდგა ბათუმის საზავო კონფერენციის პირველი სხდომა. რა გამოიარკვა?

ოსმალეთის დელეგაცია აღარ დაქმავთვლიდა ყარს-არდაგან-ბათუმის მხარეების წაღებით და მოითხოვა დამატებით: ახალქალაქის, ახალციხის, ალექსანდროპოლის, ერზაქანის და სუმარლინის მაზრებიც. ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრი ხალილ-ბეი ასეთ მოთხოვნას ასე ასაბუთებდა: ამიერკავკასიის ომი ჰქონდა ოსმალეთთან და ამის შედეგად დაკავებულ იქმნა ახალი მიწაწყალი, ამიტომ ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულება ჩვენთვის უკვე დამაკმაყოფილებელი აღარ არისო. და 14 მაისს არდგენდა იგი ულტიმატუმს, რომლის მიხედვით ამიერკავკასიის ოსმალეთისათვის უნდა მიეცა რკინისგზაც ჯარების სპარსეთისაკენ გადასაცხად. ა.ვ. ჩხენკელმა ამაზე პროტესტი განაცხადა. საპასუხოდ ოსმალების ჯარებმა ალექსანდროპოლი დაიკავეს.

15 მაისს 1918 წ. ხალილ-ბეი კლავ იმეორებს, რომ ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულება არ შეიძლება იყოს ზავის საფუძველად და ისევ მოითხოვს ახალციხე — ახალქალაქ — ალექსანდროპოლ—სუმარლინს. 16 მაისს აკაკი ჩხენკელი უპასუხებს: ჩვენ ვლებულობთ ბრესტლიტოვსკის ზავს და ვერავითარ ახალ ადგილებს ვერ დაგითმობთო. ამავე დროს აკაკი ჩხენკელმა გადასცა თავისი პროტესტი ოსმალეთის მთავრობის მოთხოვნების გამო მის მოკავშირე სახელმწიფოებს და მათ შორის გერმანიასაც.

ამ დროს ბათუმში იმყოფებოდა გერმანიის დელეგაცია გენერალ ფონ ლოსოვის თავმჯდომარეობით. იმავე 16 მაისს ფონ ლოსოვი ატყობინებს აკაკი ჩხენკელს, რომ მან გადასცა ამიერკავკასიის დელეგაციის პროტესტი გერმანიის ყველა მოკავშირეს. 17 მაისს ა.ვ. ჩხენკელი პროტესტს აცხადებს იმის გამოც, რომ ოსმალეთმა ალექსანდროპოლი დაიკავა.

15 მაისს 1918 წ. ბოლშევიკურმა რუსეთმა გამოაცხადა, რომ იგი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას არა სცნობს და საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობას მოითხოვს.

18 მაისს, ოსმალეთის წარმომადგენელი ხალილ-ბეი აცხადებს, რომ ოსმალეთს უფლება აქვს, მას შემდეგ რაც ტრაპიზონის მოლაპარაკება შესწყდა და ომი მოხდა, ახალი ტერიტორიები მოსთხოვოს ამიერკავკასიისათვის.

ასეთ გართულებულ მდგომარეობაში ჩაერია გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარე, გენერალი ფონ ლოსოვი და იკისრა შუამავლობა მოდავე მხარეთა შორის.

20 მაისს უკვე, თურქთა ჯარები გაეშურნენ კარაჯლისზე თბილისის დასაკავებლად.

22 მაისს 1918 წ. ხალილ-ბეი ისევ დაჟინებით მოითხოვს ახალი საზღვრების დაწესებას.

23 მაისს თურქთა ჯარებმა დაიკავეს იგდირი, შაბარანი.

ამიერკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი სწერს ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარე

ხალილ-ბეის: ამგვარი მოქმედება ეწინააღმდეგება ოსმალეთის დაპირებებს და კეთილგანწყობილებას არღვევსო.

24 მაისს ოსმალეთის დელეგაციამ უარყო ფონ ლოსოვის წინადადება გერმანიის დელეგაციის შუამავლობის შესახებ.

ქართული საზავო დელეგაციის ხელმძღვანელი ბათუმში, აკაკი ჩხენკელი, 25 მაისს 1918 წელს, თბილისში ეროვნულ საბჭოს დეპუტატთა აცნობებს:

„საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების კიდევ დაგვიანებას ექნება საბედისწერო შედეგები. გერმანიელთა შუაგაცობის ცდამ ამაოდ ჩაიარა. ოსმალეთის შემოსევას უნდა დაეუპირისპიროთ გერმანიის მიერ ზურგგამაგრებული დამოუკიდებელი საქართველო. გერმანიის წარმომადგენლად ქართულ მთავრობასთან დანიშნული იქნება გრაფი ფონ შულენბურგი, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ცნობილ უნდა იქმნას. დროებითი ხელშეკრულებანი გერმანიასთან უკვე მზადდებიან. ველი დაუყოვნებლივ ცნობას დამოუკიდებლობის აქტის შესახებ“.

26 მაისს 1918 წ. ოსმალეთი ულტიმატუმს არდგენს: 72 საათის განმავლობაში ამიერკავკასიამ დაუყოვნებლივ მიიღოს ოსმალეთის დელეგაციის მოთხოვნილება ახალქალაქ — ახალციხე — ალექსანდროპოლ — ერზაქან — სუმარლინის მაზრების ოსმალეთზე გადაცემის შესახებ და ვაატაროს თურქეთა ჯარები ამიერკავკასიის რკინისგზებითო.

ვინაიდან ამიერკავკასიის საზავო დელეგაციაში, სადაც სომხებიცა და აზერბაიჯანელებიც შედიოდნენ, ერთსულოვნება არ არსებობდა საზავო საკითხების გამო, და კიდევ მეტიც, აზერბაიჯანელები ოსმალეთს მხარს უჭერდნენ, ამიტომ არამც თუ საზავო მოლაპარაკების ვაგრძელება აღარ იყო შესაძლებელი, არამედ ფაქტურად დარღვეული იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთლიანობა და ეს ახლად ნაშობი სახელმწიფო უკვე სულსა დაფავდა. ეს მდგომარეობა ყველას კარგად ესმოდა.

26 მაისს 1918 წელს მოწვეულ იქმნა ამიერკავკასიის სეიმის სხდომა, რომელზეც სოციალდემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენელმა ირაკლი წერეთელმა განაცხადა:

„ჩვენ მუდამ ვიბრძოდით ერთა სოლიდარობა-თანხმობისათვის. ერთობა იყო იდეალი, მაგრამ შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ჩვენი სურვილის წინააღმდეგ უნდა განაცხადოთ, რომ როცა დიდი ხნით სწყდება სხვა და სხვა ერთა ბედი, როცა მტერი უკვე შემოიჭრა ჩვენს მხარეში და წინ მოიწევს, ერთობა, სოლიდარობა აღარ არის... (ქართველი ხალხი) დარჩა მარტო; მას მოსწყვიტეს სომხის ხალხი (თითქმის მთელი სომხეთი ოსმალეთმა დაიკავა. ვ. ნ.), მისგან ამ წუთში წავიდა მუსულმანური მოსახლეობა; და ის გარემოება, რომ არსებობს ფაქტურად ამიერკავკასიის რესპუბლიკა, არსებობს ფაქტურად ამიერკავკასიის დელეგაცია — ამ (ქართველ) ხალხს ართმევს შესაძლებლობას, თუნდაც იმ ძალებით, რომელიც მას გააჩნია, შექმნას სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლება თავისი ინტერესების დაცვა. იცოდე (ქართველო ხალხო!), თუ გსურს დაიცვა შენი ინტერესები, გადარჩინო თავი, შენ უნდა შექმნა შენი სახელმწიფო ორგანიზმი და შენი ოფიციალური წარმომადგენლობა“...

26 მაისს 1918 წელს ამიერკავკასიის სეიმმა, ორი ხმის გამოკლებით, ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „ვინაიდან ომისა და ზავის საკითხში აღმოჩნდნენ ძირითადი განსხვავებანი იმ ხალხთა შორის, რომელთაც შექმნეს ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა, და ამიტომ შეუძლებელი გახდა ერთი ავტორიტეტული ხელისუფლების გამოსვლა, რომელსაც შეეძლოს ამიერკავკასიის სახელით ლაპარაკი, — სეიმი ადასტურებს ამიერ-



კავკასიის დაშლას და თავის უფლებამოსილებას თავიდან იხსნის“. ამნაირად გარდაიცვალა ამიერკავკასიის რესპუბლიკა და იშვა საქართველოს რესპუბლიკა.

26 მაისს 1918 წელს მოწვეულ იქმნა დღემდე მივიწყებული საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა ნ. ჟორდანიის თავჯდომარეობით, რომელმაც თავის სიტყვაში, სხვათა შორის სთქვა:

„დღეს თქვენ აქ მოწამე იყავით ერთი ისტორიულის და იმავე დროს ტრალიკული აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი, ეხლა, ამავე დარბაზში, ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს. ამ ორ სახელმწიფოთა შორის, რომელთაგან ერთი მოკვდა და მეორე იბადება, შეუძლებელია ყოფილიყო ინტერესთა წინააღმდეგობა. და თუ ოდესმე პირველი აღსდგება მკვდრეთით, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მათ შორის მუდამ იქნება ინტერესთა თანხმობა“...

26 მაისს 1918 წელს 5 საათზე და 10 წუთზე ნ. ჟორდანიას კათხულობს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, რომელიც საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ ერთხმად იქმნა მიღებული.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში ნათქვამია: „მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყრველი მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წესწყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად მოიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერკავკასია.

„დაიჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იღვეს თავის საკუთარი საქმეების გაძლოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს, მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერკავკასიის ერთი შემაერთებული კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობა დაიშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს საკუთარ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის დაპყრობისაგან თავი გადაიჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს. ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

- 1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელი და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.
- 2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა.
- 3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.
- 4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს. განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.
- 5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განუორიგვლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შეესებულებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებით მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე“.

ასეთი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი*). ეროვნული საბჭოს იმავე სხდომაზე არჩეულ იქმნა საქართველოს ეროვნული მთავრობა შემდეგი შემადგენლობით:

მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი — ნოე რამიშვილი; სეარეო საქმეთა — აკაკი ჩხენკელი; სამხედრო — გრიგოლ გიორგაძე; ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის — გიორგი ჟურული; განათლების — გიორგი ლასხიშვილი; მიწათმოქმედების — ნოე ხომერიკი; იუსტიციის — შალვა მესხიშვილი; გზათა — ივანე ლორთქიფანიძე.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. რამიშვილმა აუწყა უცხოეთს საქართველოს დამოუკიდებლობისა და რესპუბლიკის დაარსების შესახებ.

რევოლუციისა და ომის ქარცეცხლში, საშინელი ტკივილებით იშვა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო.

რამოდენიმე თვის განმავლობაში ისტორიული მოვლენანი ელვისებური სისწრაფით ვითარდებოდნენ, და მოულოდნელ მდგომარეობასა ჰქმნიდნენ. საკითხები, რომელთა შესახებ მოაზროვნე და თუვინდ მეოცნებე ადამიანი, უწინ სიზმრადაც არ მოუვიდოდა, ცხოვრების სინამდვილეში მთელი თავისი სისასტიკით წამოიჭრა და გადაწყვეტა მოითხოვა.

რუსეთში მომხდარმა ბოლშევიკურმა გადატრიალებამ და აღმოჩენილი სამოქალაქო ომმა ამიერკავკასია მას ფაქტიურად მოსწყვიტა. დაინგრა არამც თუ მარტო უზარმაზარი სახელმწიფო და მისი პოლიტიკური ორგანიზაცია, დაირღვა და დაწყდა ის ეკონომიური და ფინანსიური რგოლები, რომელიც ამ ვეებერთელა ქვეყანას აერთებდა. შედეგი იყო არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიური, ფინანსიური, და კერძოდ, სასურსათო კრიზისიც. მძლავრებითა და ძალადობით შექმნილი რუსეთის იმპერია ეროვნულ ნაწილებზე გაიღვა და მათ შორის ამიერკავკასიაც, რომელიც ჯერ კიდევ მთლიანი იყო, ფაქტიურად ჩამოშორდა. ეს ფაქტიური ჩამოშორება დადასტურებულ იქმნა 15 ნოემბერს 1917 წელს — ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნით.

ბოლშევიკურმა რუსეთმა ცენტრალ-სახელმწიფოებთან ზავი დასდო და ამიერკავკასიის დაუკითხავად ოსმალეთ ყარს-არდაგან-ბათუმის მხარეები მიუბოძა. მოსკოვს რა ენაღვლებოდა, ამით რომ საქართველო და სომხეთი იღუპებოდა! არც საქართველო, არც სომხეთი ასეთ საშინელ განაჩენსა და ღალატს არ შეურიგდებოდა. ოღონდ თავი რომ ეხსნათ ამ მოლაღატური ნაყოფისაგან, მათ საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან უნდა დაეწყათ. საზავო მოლაპარაკება კიდევ შესაძლებელია მხოლოდ დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოთა შორის. ამის შედეგი იყო ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება 22 აპრილს 1918 წელს. ამიერკავკასიის დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ იარსება 22 აპრილიდან 26 მაისამდე! მისი სიკვდილის მიზეზი იყო ამიერკავკასიის ერების შორის ორიენტაციის სხვადასხვაობა და ოსმალეთის წადილი ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის სომ-

* არა ერთი და ორი კრიტიკული სიტყვა შეიძლება თქვოიყო ამ აქტის შესახებ. მაგრამ დღევანდელ პირობებში ეს მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია და ამიტომ ამ საკითხს აღარ ვეხებით. (იხილეთ „ორნატი“, 1934 წ. პარიზი).



ხეთი და საქართველო ეწინააღმდეგებოდნენ ოსმალეთის მოთხოვნებებს, ხოლო აზერბაიჯანი მას მხარს უჭერდა. — ამგვარ ვითარებაში შეუძლებელი იყო ამიერკავკასიას თავისი საკუთარი და ერთიანი საგარეო პოლიტიკა ჰქონოდა; — ომისა და ზავის საკითხების ნიადაგზე დაილუბა ამიერკავკასიის რესპუბლიკა. ამის შედეგად დაარსდნენ ცალკე რესპუბლიკები: საქართველო, სომხეთი და აზერბეიჯანი.

უკვე ადრე თავის შინაურ საკითხთა მოსაგვარებლად აზერბაიჯანმა ც. და სომხეთმა ც დაიარსეს თავ-თავისი ეროვნული საბჭოები, და სცილობდნენ აგრეთვე ეროვნული ჯარების შექმნას ც. ყველაზე ბოლოს საქართველომ გადასწყვიტა ეს საკითხი.

ამგვარად, ამიერკავკასიაში ფორმალურად არსებობდა რამოდენიმე ხელისუფლება; საერთო ამიერკავკასიური ხელისუფლება ანუ ამიერკავკასიის კომისარიატი, ეროვნული საბჭოები და რევოლუციურ ორგანიზაციათა ცენტრალური ორგანოები. ფაქტურად ხელისუფლება რევოლუციურ ორგანიზაციებს ეპყრათ. ასეთ, პირობებში, ცხადია, ერთი მტკიცე ხელისუფლების დამკვიდრება შეუძლებელი იყო და ამიერკავკასიის რესპუბლიკა თავის საშოშივე ატარებდა ამიფეთქებელ ძალებს, რომელთა მოქმედება დააჩქარა საგარეო და ომის პირობებმა.

ქართველ ერი იმხანად მიაღდა იმ საკითხს, რომლის გადაწყვეტა არ მოხერხდა იარაღის ძალით მეცხრამეტე საუკუნის პირველ მესამედში. ეს საკითხი იყო საქართველოს რუსეთისაგან განთავისუფლება. იმავე საუკუნის სამოციანი წლებიდან, მას შემდეგ რაც რუსეთი საბოლოოდ დამკვიდრდა საქართველოში და დაიწყო ქართველი ერის გარუსების პოლიტიკა, ბრძოლის საგნად გადაიქცა ქართული ეროვნული სახეობის დაცვა და ხალხის მზადება ეროვნული ბრძოლისათვის. ილია ჭავჭავაძის თაობამ ამ მიმართულებით იმოდგაწა. შემდეგი ხანა იწყება მეოცე საუკუნით, როდესაც ეროვნული და სოციალური საკითხები მთელი სიმწვავეით გაიშალა; ავტონომისტურმა მოძრაობამ ანუ რუსეთის ფარგლებში პოლიტიკური თვითმართებლობის მოთხოვნები ჩაითრია ერის დიდი უმრავლესობა, და ყველა პარტია; ამ მოთხოვნების გარშემო გაერთიანდა მთელი ერი, რომელსაც ამ დროს სოციალდემოკრატიული პარტია მესაჭეობდა და საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ სწორედ ეს მოთხოვნები წარმოადგინა. ეს იყო 1917 წლის 19 ნოემბერს, ხოლო რამოდენიმე ხნის შემდეგ, ანუ 10 თებერვალს 1918 წელს, ნოე ჟორდანიამ უკვე განაცხადა: „... არ ვიცი, როგორი იქნება ჩვენი დამოკიდებულება რუსეთთან ერთი თვის შემდეგ, როგორი წყობილება დამყარდება იქ, ან გვექნება მისთან რაიმე კავშირი თუ არა“ — ო. სამი თვის განმავლობაში ქართული აზროვნება, შექმნილ ვითარებათა ზეგავლენით, უკვე არდგენს რუსეთისაგან ჩამოშორების შესაძლებლობის საკითხს. და 26 მაისს, როცა ეს შესაძლებლობა ისტორიამ მისცა, გამოცხადებულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობა.

მაგრამ უფრო ადრე, ვინც მს მოხდებოდა, ძველი ტრადიციებისა და ქართული უკვდავი სულის მატარებელმა სამღვდლოებამ დაუბრუნდა საქართველოს, ის რაც მან დაჰკარგა რუსეთის უხეშობისა და მძლავრობის გამო. საქართველოს სამღვდლოებამ უკვე 1917 წლის მარტის 12-ს გამოაცხადა საქართველოს ეკლესიის რუსული სინოდისაგან დამოუკიდებლობა და აღადგინა ქართული ეკლესიის უზენაესობა. ეს მოხდა 1917 წლის 12 მარტს, მაშასადამე ვაძილებით ადრე, ვინც თვით საქართველოს დამოუკიდებლობა. 1917 წ. 12 სექტემბერს საქართველოს ეკლესიის საბჭომ აირჩია საქართველოს კათალიკოსად კირიონი, დამსახურებული და მსცოვანე საეკლესიო მო-

ღვაწე და ისტორიკოსი, კირიონ მეორის სახელით. ამგვარად, ქართული ეკლესია აღსდგა და მისი აღდგომა წინ უსწრებდა საქართველოს სახელმწიფოს დაარსებას, როგორც ეს მოხდა უკვე ერთჯერ, შორეულ წარსულში.

რუსეთის ბატონობის ხანაში საქართველო გამოლიანდა ტერიტორიულად; ძველი ქართული მიწაწყალიდან თურქეთის საზღვრებში მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა. საქართველოს დაუბრუნდა დაკარგული ადგილები. მაგრამ ამ ძველი საქართველოს ამ გაერთიანებულ ტერიტორიაზე მოსახლეთ ქართველობას თვით მოელოდა თავის დაკარგვა. ვარნა ქართველმა ერმა იმდენი ეროვნული ენერჯია და სიცოცხლის წყურვილი გამოიჩინა, რომ მას სიკვდილის საფრთხე აღარ მოელოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქართველ ერს ახალი სულიერი მეთაურობა მოევიღნა ილია ჭავჭავაძის თაობის მოღვაწეობით. ეროვნულმა ბრძოლამ ამ რუსულ ხანაში სამ ფრონტზე იწარმოა. პირველია: პოლიტიკური ფრონტი, სადაც იდგა საკითხი „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ — ო. ამ ფრონტზეა ბრძოლა: სამეფოს აღდგენისათვის, ხელშეკრულების განაღდებისათვის, გამოყოფისათვის (სეპარაციისათვის) ავტონომიისათვის, ავტოკეფალიისათვის. მეორეა: კულტურული ფრონტი, სადაც იბრძოდნენ ქართული: ენისათვის, სკოლისათვის, წიგნისათვის, გაზეთისათვის, თეატრისათვის, ისტორიისათვის, ზნეჩვეულებათათვის, წირვალოცვისათვის, ვალობისათვის და სხვადასხვა. მესამეა: სოციალური და ეკონომიური ფრონტი, სადაც იყო ბრძოლა გამართული სამეურნეო განვითარება-წინმსვლელობისათვის, მიწისათვის, შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის და სხვადასხვა. აქა დახასიათებული მხოლოდ მთავარი ფრონტები, თორემ ქართული ცხოვრების ყოველი მოვლენა ამა თუ იმ სახით თავის ეროვნულ რაობას გამოხატავდა და რუსულისაგან იმიჯნებოდა. ბრძოლის განვითარების ეს პროცესი იყო მძიმე და წინსვლა ბრძოლით კიდევ უმძიმესი. მაგრამ ომმა დააჩქარა საკითხების გადმოშლა და მალი მსვლელობით მათი გადაწყვეტაც.

დამოუკიდებლობის გამოცხადებით და ქართული სახელმწიფოს აღდგენით გადასწყდა თავისთავად ეროვნული საკითხი, რომელმაც 117 წლის განმავლობაში შეიწირა მსხვერპლად უამრავი ქართული სისხლი და ხორცი, განუზომელი შრომა და დაუფასებელი ღვაწლი ქართულ თაობათა.

დამოუკიდებლობის გამოცხადებით ქართველი ერი თვით ხდებოდა ბატონი თავისი ენისა, სკოლისა, თეატრისა, საზოგადოებებისა და სხ., რომლის შექმნასა და დაცვას მან უზარმაზარი ძალღონე, ნიჭი და თანხები შეაღწია.

დამოუკიდებლობის გამოცხადებით ეროვნული ერთობის საფუძვლებიც მტკიცდებოდნენ და მკვირდებოდნენ.

ქართველმა ერმა აღიდგინა თავისი სახელმწიფო. საქართველო კვლავ გამოვიდა ისტორიის ვსაზე თავისი ეროვნული სახით, თავისი საკუთარი სახელითა და გვარით, თავისი პასპორტით. მრავალ საუკუნეთა შემდეგ ეს იყო ჭეშმარიტი აღდგომა საქართველოსი. სიონის ტაძრის ზარებიც დარეკეს, როგორც ეს იცოდნენ ძველად, ოდეს მტრისაგან ქვეყანას ათავისუფლებდნენ და ვლასა მგელაძე გაეშურა მამადავითის სსსაფლაოზე, რათა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის საფლავებში ჩაეძახა: აღსდგა საქართველო! — ო.

მაგრამ ომისა და, რევოლუციის პირობებში მწარე ტკივილებით ნაშობ საქართველოს სახელმწიფოს, იმავე ომისა და რევოლუციისაგან საბედისწერო საფრთხე მოელოდა. ვადაურჩებოდა მათ საქართველო?



საქართველოს მორიგი საკითხები და ეკონომიური პერსპექტივები

საქართველოს წარსული მრავლად გვიხატავს იმ ტრადიკულ სურათებს; როდესაც გარედან შემოსული მტერი ლამობდა ჩვენი საარსებო ინტერესების შელახვას. ბევრი რამ ზიანი იწვნია ამნაირის დარბევით ჩვენმა ქვეყანამ.

უფრო მეტსაც იზარალებდა, რომ მას ერთგულნი შეილნი არ ჰყოლოდა დარაჯად... ასეთი დარაჯობა კვლავაც გემართებს ქართველობას. შიშინაობა ჯერ მთლად არ გამქრალა და რომ ფხიზლად ვიყვნეთ საჭიროა გავიხსენოთ ზოგი რამ მორიგი მწვავე და საჭირ-ვარამო გარემოებანიც, რომელთ მოგვარება საარსებოა ჩვენი მომავლისათვის.

ეს მით უფროა საველდებულო დღეს, როდესაც შეიძლება, ჩვენი ბედის გადაწყვეტაში ისეთი გარეშე ძალები ჩაერიონ, რომელნიც ჩვენთან კეთილადაც იყვნენ განწყობილი, მაგრამ მათთვის უცნობ სიტუაციაში ვერ გაერკვევიან, თუ ჩვენ თვითონ არ ვეცადეთ და დროზე არ გავუშუქეთ ის, რაც ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში გაშუქებას მოითხოვს...

საქართველოს წარმოკვეშირი ერთ თავის ბიულეტენში ასე ახასიათებს საქართველოსა:

„... მჭიდროდ, ალაგ-ალაგ ზედმეტად დასახლებული აგრარული ქვეყანა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა გაავითაროს სამთო, და საფაბრიკო მრეწველობა, და სადაც სოფლის მეურნეობაში ევოლუცია გამოიჩვენა იმ მხრით, რომ იქ ვითარდება ძვრიფასი ინტენსიური კულტურა, სხვა და სხვა მომგებიან დარგებში, სადაც მუშაობს მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი“...

ეს ზოგადი დახასიათება, ბევრად თუ ცოტად, სწორეთ გვისურათებს დღევანდელ საქართველოს და შეგვიძლია იგი იმ ჩარჩოდ ჩავთვალოთ, რომელშიც მოქცეულია ჩვენი ერის საქმიანობა და ცხოვრება, მისი ეკონომიური აწმყო და მომავალიც.

რომ უფრო ნათლად და კონკრეტულად წარმოვიდგინოთ ეს მხარე, მოვიყვანოთ ზოგიერთი სტატისტიკური ცნობები.

დღევანდელი საქართველოს ტერიტორია შეიცავს 69525 კვ. კილ., ან 61.091 კვ. კილომეტრს (იხ. „გრუზინ-სკაია ს. რ.“). ამ წიგნაკშივე, რომელიც გამოშვებულია 1936 წელს, მოსახლეობა ნაჩვენებია 3.300.000 სული ორთავ სქესისა. იქვე მეორე ალაგას — კი, ნაჩვენებია მხოლოდ 3.230.000 სული. ამნაირს გამოურკვეულობაში ერთობ ძნელია გამოანგარიშება იმისი, რამდენად დიდაა ჩვენი მოსახლეობა, მაგალითად, 1941 წლისათვის.

სამაგიეროდ, ჩვენა გვაქვს ცნობა, რომ 1926 წელს მოსახლეობა უდრიდა 2.666.494 სულსა. თუ მივიღებთ, რომ ამ ეამად მოსახლეობის წლიური ზრდა, ალბად, არის მხოლოდ ერთი პროცენტი (ბოლშევიკების შემოსვლამდე ეს ზრდა, ვარაუდით, უდრიდა 1,1 პროცენტამდე), მაშინ 1941 წლისათვის მოსახლეობას უნდა მომატებოდა 15 პროცენტამდე, ე. ი: (2666494 + 399974) = 3066468.

მაგრამ, თუ ბაზათ 1936 წლის აღნუსხვით მივიღებთ მოსახლეობის რაოდენობას 3293.000, ამის მიხედვით, 1941 წლისათვის მოდის მოსახლეობა (323000 + 164650) უდრის 3.457.650.

ეს ორი სხვა და სხვა ჯამი, იმავე 1941 წლისათვის, გვაძლევს ზედ-მეტად ნაანგარიშვეს: (3457650 — 3066465) = 391.183 სულს. რომელია ამ ორ ციფრთა შორის ნამდვილი? ან ეს ზედმეტად ნაანგარიშვეი საიდან უნდა იყოს გაჩენილი?

ამ ჯამების განსხვავება დიდ თავშისაყემ კითხვას აყენებს ჩვენს წინაშე. ექვი გვეპარება, ვაი თუ ეგ ზედმეტი მოსახლეობა გაჩენილია საქართველოში გარეშე ჩვენი

ქვეყნის ნორმალური ზრდის კოეფიციენტისა. ვიმეორებთ, თუ ბოლშევიკურ 1936 წელს გამოშვებულ წიგნში შეცდომა არა არის რა დაშვებული, ეს არა ბუნებრივი ზრდა იმისი გამოშვებულად, რომ ჩვენი ქვეყანა დღესაც (ან რასაკვირველია!) იმავე პოლიტიკის მსხვერპლია, რაც ცარიზმის დროს იყო. და ეს პოლიტიკა არის საქართველოში არა ქართველი ელემენტების უხვად დამოსახლება, ჩვენი საკუთარი მოსახლეობის შესავიწროვებლად და დასაჩაგრავად...

ამ პოლიტიკის მეოხებით მოხდა საქართველოში მობინადრეთა ხელოვნურად აკრელება და იმ ცდების ჩატარება, რომ ქართველობას დაჰკარგოდა საქართველოში მისი უბირატესობა. ნაციონალური სახე და საკუთარ ქვეყანაში მოსახლეობის უმცირესობის კატეგორიაში მოქცეულიყო. ასე გაჩნდნენ ჩვენში ახლად გადმოსახლებული რუსები, სომხები, ბერძნები და ვინ გინდა არა! ეს ჩვენი მოხსენება უკვე გამწვანებული იყო, როდესაც ხელთ მოგვხვდა ბერლინში გამოსული წიგნი: „Die wirtschaftlichen Möglichkeiten der Sowjetunion“. იქ საქართველოს ხალხთ აღრიცხვა მოცემულია 1939 წლისათვის, რასაკვირველია, ბოლშევიკების სტატისტიკიდან ამოღებული. საქართველოს სრული მოსახლეობა ნაჩვენებია 3,5 მილიონი. აქედან ქალაქებში ცხოვრობდნენ 1,1 მილიონი, სოფლებში — კი 2,4 მილიონი. ბოლშევიკებისავე ცნობით. 1926 წელს საქართველოს მოსახლეობა უდრიდა 2666494 სულსა. თავის თავად ცხადია, ჩვენ მიერ გამოთქმული შიში, რომ საქართველოს მოსახლეობის ზრდა, გარდა ნორმალური მატებისა, იმითიც ხდება, რომ საბჭოთა ხელისუფლება უხვად ასახლებს ჩვენში არა ქართულ ელემენტებს, სრულ ძალაში რჩება და თვალნათლადაც მტკიცდება ზემოდ მოყვანილი 1939 წლის სტატისტიკითაც... მეტადრე ადამიანს თვალში ეცემა ასეთი ზრდა საქართველოს ქალაქების მოსახლეობის.

1926 წელს — 594.000 სული
1939 წელს — 1.100.000 „

დიდ საშიშროებაზე, რომელიც საქართველოსათვის მოსდევდა რუსეთის ამ პოლიტიკას, თავის დროს, დიდის მღელვარებით სწერდა ოთხმოციან წლებში ილია ჭავჭავაძე. ქართველი მწერლობა არ უშვებდა შემთხვევას, რომ ამ საგანზე ჩამოეგდო სიტყვა. დიდი ილიას აზრების წარდგენა და გამეორება მოგვიხდა ჩვენც პეტერბურგში, 1905 წელს, ე. წ. გრაფ სოლსკის კომისიაში. ამაზედვე გვეცნდა მეფის მოადგილე გრ. ვორონცოვ-დაშკოვთან ოფიციალური გამობასება, როდესაც, მიიკვე მოთხოვნით, წარუდგინე მას ჩემი პეტერბურგში ნათქვამი სიტყვა.

გვახსოვს, გრაფი ჩემს თვალ წინ რომ კითხულობდა მოხსენებას, თავაზიანად მეუბნებოდა: „აი ამასა და ამაში სრულიად გეთანხმებით, თქვენ სწორედ აღნიშნავთ, რომ დრო არის მოისპოს გარეშე ელემენტების აქ გადმოსახლება და ამიერიდან აღარც სომხებს, აღარც ბერძნებს და სხვებს აღარ დავასახლებთ აქაურ გუბერნიაში, მაგრამ რუსეთის გადმოსახლებას კი ვერ დაგვიშლით და ისინი კვლავაც იქნებიან აქ დაბინავებულნი, როდესაც ამის საჭიროებას დაეინახავთ“. ასე მოულოდნელად დაასრულა ვორონცოვმა თავისი ფრაზა, შესწყვიტა აუდინცია და ხელი გამომიშვირა გამოსათხოვებლად. არც კი მოისურვა ლაპარაკის გაგრძელება!...

მეფის მოადგილის სასახლიდან გარეთ რომ გამოვედი, უცბად მომხმა ყუმბარის აფეთქება: არსენ ჯორჯიაშვილმა ისროლა იგი ბარიათინსკის ქუჩის ჩასახვევში



და ადგილზე მოკლა გენერალი გრიაზნოვი, გრად ვორონცოვ-დაშკოვის უახლოესი სამხედრო თანამშრომელი...

რასაკვირველია, არც ამ გარემოებამ შესცვალა რუსული პოლიტიკა საქართველოში: რუსებისა და არა რუსების გადმოსახლება საქართველოში კვლავ გრძელდებოდა...

ემიგრაციაში საქართველოდან გამოქცეულებმა გვიამბეს, და ეს ხომ კომუნისტურ განთავსებაშიც წავიკითხეთ, რომ სადგურ წნორის წყლის სიხლოვეს ბოლშევიკური ხელისუფლებას გაუშენებია არც ახალი სოფელი: ერთი გადმოსახლებულ რუსებისათვის, მეორე ებრაელებისათვის. ახალციხის მაზრაშიც გაუშენებიათ ახალი სოფელი. ამ შემთხვევაში უკვე გადმოსახლებულ სომხებისათვის.

მაღლობის ნიშნად ამ სომხებმა ერთ თავის ახალშენს, თურმე, დაარქვეს „მახარაძევა“! იმ ახალშენებმა, სიბყვიის ამ რუსული ფორმით, არც შამფური დასწვეს, არც მწველი: კომუნისტ კომისარსაც ასიამოვნეს და რუსებსაც, გადმოგვეცეს ჩამოსულმა ჯავახელებმა... აი ასეთი მაგალითები რომ თვალწინ გვიდგას, შიშით ვსვამთ საკითხს: საიდან გაჩნდა ის ზედ მეტი, თითქმის 400 ათასი მოსახლე, რომელიც ბუნებრივი ზრდით არ უნდა იყოს გამოწვეული?

თუ ისევ 1926 წლის აღრიცხვას მივმართავთ, ჩვენ ვხედავთ, რომ მთელ ამ 2666494 მოსახლეობაზე მოდიოდა:

ქართველი — 68,4 % (1.809.083 სული)
სომეხი — 11,6 % (307018 „)

დანარჩენი მოსახლეობა. კი ეკუთვნოდა ათ-თორმეტ სხვა და სხვა ეროვნებათ, რომელთა ხვედრითი წონა უდრიდა, დაწყებითი 0,4 პროცენტისა, ვიდრე 5,2 პროცენტამდე.

ასე რომ მკვიდრი ქართველები, აფხაზების (= 2,2 %) გამოკლებითაც შეადგენენ ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას % 68,4 =-ს. ყველა ეროვნებათა უმცირესობა კი უდრიდა 31,6 პროცენტს, ე. ი. მესამედზე ნაკლებს. (იხ. ჟურნ. „სამშობლო“. პატარი ნუსხა).

რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 77,7 % სოფლად ცხოვრობდა; ქალაქად — კი 23,3 პროცენტი.

მთელი ეს მობინადრენი ასე ყოფილან. კიდევ დანაწილებული:

ეროვნებანი:	სოფლად:	ქალაქად:
ქართველები	72,45 %	48,25 %
სომხები	7,29 „	25,16 „
რუსები და სხვები	19,96 „	26,59 „
კერძოდ ქალ. ტფლისში 1930 წელს იყო:		
ქართველები	133,865 სული	მცხოვრები = 43,3 %
სომხები	102,173 „	„ = 33 %
დანარჩ. ეროვ.	70.104 „	„ = 23,7 %

როდესაც ქართველების რიცხვის ზრდას ქალაქ თბილისში ეცნობით, დაწყებული 1876 წლიდან დღევანდლამდე, ამჩნევთ მათ თანდათანობით, თითქმის შეუწყვეტლად მატებას. სამაგიეროდ, ესეც მცირედის გამოჩაკლისით, სომხების პროცენტულად იქამდე მიდის, რომ, მაგალითად, 1922 წელთან შედარებით, ასეთ ეროვნულ ზრდას ვხედავთ იქ 1930 წლისათვის:

ეროვნებანი:	რიცხვი ზრდისა
ქართველების	64,3 %
სომხების	20,3 %
სხვა ეროვნებათა	15,4 %

(1922 წლიდან 1930 წლამდე).

დედამიწის ზურგზე ყოველი ქალაქი, სულ პირველად, თავისი საკუთარი ქვეყნის, ჰინტერლანდის, ხარ-

ჯზე იზრდება. ამ ბუნებრივი ზრდის ხელის შესაშლად საქირთა გარეშე, მტრული ძალდატანების მოხმარება. ჩვენ ვიკითხავთ, რომ ასეთი მოსევა იყო ხოლმე ძველად საქართველოს დამპყრობელებისა და ბოლოს ასეთივე ვახდა პოლიტიკა საქართველოს „დასაცავად“ შემოხიზნულ რუსეთისაც. და აი, როდესაც ერთი და მეორენიც, ისტორიის მსვლელობის მეოხებით, მოშორებული იყვნენ, ტფილისის მოსახლეობის ზრდა კვლავ ბუნებრივი კანონების მიხედვით სრულდება. ზემოდ მოყვანილი სტატისტიკური სურათი სწორედ ამ დებულების გამომხატველია.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მთელი მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის მსვლელობის დროს არა ყოფილა შემთხვევა, რომ, მაგალითად, სომხების რიცხვი თბილისში მთელი მოსახლეობის ნახევრამდე მაინც ასულიყო. იგი ყოველთვის ამაზედ ვაცილებით ნაკლები იყო ხოლმე. ქალაქ თბილისის გარშემო, ერთ დროს, დიდი აურ-ზაფარი იყო ატეხილი სომხურს წრეებში და ვახეთებში. ამისი ცხარე გამოძახილი, ცხადია, ქართულ პრესასაც მოედო.

ერთ დროს, როდესაც პოლემიკაში ილია ჭავჭავაძეც ჩაერთა და სომხის პუბლიცისტებმა უკვირნეს ქართველებს, რომ თქვენი მეფეების დროს ქართველებს მთელს ქალაქში 19 სახლის მეტი არა ებადათ რამეო, ილიამ მოკლეთ მოუჭრა სიტყვა: „ხომ არ ვაგვიტებულხართ: ცხრამეტი ჯერ თავლა ექმნებოდა საქართველოს მეფესო“...

მართლაც — და ის რუსული ოფიციალი დოკუმენტი, ჩვენ რომ ცოტა ზემოთ მოვიყვანეთ, ნათლად ამტკიცებს, რომ 1801—1803 წლებში ტფილისში საუკეთესო სახლები სწორედ ქართველებისა ყოფილა, და იმდენად დიდი შენობებიც, რომ რუსებმა მხოლოდ იმ ბინებში შექმლეს თავისი ოჯახის დაბინავება, რადგან მაშინ ყაზარმები, ცხადია, ჯერ არ ჰქონდათ ვაშენებულები.

იმ სომხის პუბლიცისტებს თავისი თემის დასამტკიცებლად მოყავდათ ძველად ევროპიელი მოგზაურების მიერ ჩაწერილი სტატისტიკური ცნობები. მაგალითად ტურნეფორს თავის მოგზაურობას დროს ხელთ ჰქონია ცნობა, რომ ქ. თბილისში, 20.000 მცხოვრებლებზე ქართველები მხოლოდ 2.000 ყოფილა. დანაშთები, თათრების მცირე რიცხვის გამოკლებით, სულ სომხები იყვნენო.

ასეთი სტატისტიკა, რასაკვირველია, არსებობს, იგი ჩვენ ყველას წავიკითხავს, მაგრამ დაწერილს, წაკითხვის გარდა, ვაგებაც უნდა. იმ დროში ქალაქ თბილისს იგივე ახასიათებდა, რაც სხვა სატახტო ქალაქებს ფეოდალურ ეპოქაში. იქ არც მეფეები, არც მათი კარი, ან. დარბაზის ხალხი, დიდი ფეოდალები, მათი ოჯახობა, ამაღლები, აზნაურნი და სხვა, არ ყოფილან მუდმივი მცხოვრებნი. დედაქალაქები სეზონურად უყრიდნენ თავს ამ ხალხსა. ეს ქალაქები პერიოდულად დაცარიელდებოდნენ ხოლმე, და ადგილობრივ, მეტ წილად, ვაჭარ-ხელოსნები რჩებოდნენ. თავის თავად ცხადია, რომ უცხოელ მოგზაურთა სტატისტიკა ამნაირ ქალაქს ახასიათებს და იგი იმ თბილისის მოსახლეობას აგვიწერს, რომელიც, ჩვეულებრივად, ქალაქის ზღუდეების გარეშე ვერსად იძროდა.

საქართველოს კანონებით ვაჭარ-ხელოსნების თავისუფლად გარედ წასვლა აღკრძალულიც კი იყო, თვით მტრის შემოსევის დროსაც თუ ვინმე მათგანი დასტოვებდა ქალაქების კედლებს, მის ქონებას კონფისკაციას მოუხდენდნენ.

თვით მოსახლეობის აღწერაც მაშინ ვიწრო მიზნობრივი აზრით ხდებოდა: ვაგვოთ ვინ რამდენი ფული უნდა გადაიხადოს ქალაქის ხარჯების გასასტუმრებლად. ამ ხარჯებს ვაჭარ-ხელოსნები იხდიდნენ და სხვები, რასაკვირველია, არც იქმნებოდნენ შეტანილი თბილისის აღწერაში.



აი აქედან წარმოსდგება ტურნეფორის და სხვა მოგზაურთა მოწმობა, რომ ქ. თბილისში 20.000 მოსახლეობაზე ქართველები მხოლოდ ორი ათასი სული ყოფილა. თავის თავად ცხადია, რომ მათ ვარდა კიდევ იყვნენ თბილისში მუდმივი ქართველი მცხოვრებნი. ისინი სტატისტიკაში ვერ შევიდოდნენ, რადგან, ვიმეორებთ, ქალაქურ გადასახადებიდან თავისუფალ-თარხნები იყვნენ. თავიანთი ყოველწლიურ სახელმწიფო გადასახადებს ეს კატეგორია თბილისში მუდმივ მცხოვრებ ქართველებსა, სხვაგან იხდიდნენ თავ-თავიანთ ფეოდალურ ერთეულებში.

იმ ფეოდალურ ხანაში, ქალაქში მელიქებად განწესებული მოხელენი ვერც კი გაუბედავდნენ მათთვის რამ საგადასახადო მოეთხოვათ...

აბა რა ჭკუაში მოსატანია, თუ ქართველები მხოლოდ ასეთი მცირე რიცხვით ბინადრობდნენ თავიანთ სატახტო ქალაქში, რად დასჭირდებოდათ 15 საყდრის აშენება და მათ შორის ასეთი დიდებული ტაძრების, როგორც სიონი (მეექვსე საუკუნეში აშენებული), ანჩისხატი (თითქმის იმავე დროს), მამა დავითი, ჭაშვეთი და სხვა... სომხეთის ვანქის ეკლესია მხოლოდ მეთექვსმეტე საუკუნეშია აშენებული, და ორი სხვა უძველესი სომხის საყდარი, დიდი და პატარა ეკლესიები, ქართველი მეფეების და ერის ძღვენი, სომხებისადმი გაჩუქებული, რომელთაც ისინი დაეთმოთ, როგორც საქართველოში ახლად გადმოსახლებულ და გაჭირვებულ ქრისტიან ხალხსა.

თუ ეს ძველი ამბები თბილისის შესახებ აქ მოვიყვანეთ, ეს იმიტომ კი არა, რომ დაგვეხასიათებინა პრეტენზიებით გაბერილი არა ქართველი ელემენტები. (საუბედუროდ, ამნაირი პრეტენზიების გამოძახილი, აქაც, ემიგრაციაშიც გვსმენია...)

ჩვენი სურვილი იყო უფრო ქართველები დაგვეხასიათებინა. მოხსენებულ პოლემიკის დროს ვაჯაერება ბევრი იყო, მაგრამ პასუხებით უფრო გულის მოსაფხანად იწერებოდა, არ სჩანდა ცდა ისტორიული საბუთების ამოწურვით ცხადეყოთ იმ მოსევათა უნიადაგობა.

უნდა საზოგადოთ ითქვას, რომ რაღაც ქართული დაუდევრობაა უყურადღებოთ დატოვება სხვების ჩვენზე მოსვენისა და ყალბი პროპაგანდისა. გაჩუმება იმ დროს, როცა უნდა ავლაპარაკდეთ და ამით ეჭვის შექმნა, რომ სწორედ სხვები არიან მართალნი და არა ქართველები... ასეთი მაგალითები არა ერთია და თუ ასე ალაღბებდნენ მიუვადეთ ჩვენი საარსებო კითხვების გაშუქება, შეიძლება ამით დიდად ევნოს საქართველოს ინტერესებს ამ ახალს ეპოქაში.

ვიმედოვნოთ, რომ თბილისის გარშემო ატეხილი დავა წარსულს ჩაბარდა და ჩვენ დედა ქალაქს ამ ეპოქა ალარავინ გვედაიება, მაგრამ თუ სიფხიზლი არ გამოვიჩინეთ ბევრ ზარალის მოლოდინში უნდა ვიყოთ სხვა კითხვებშიც. ნუ დავივიწყებთ რომ ჩვენ ზოგ მეზობლებს ვერ იქმნა და ჯერ ვერ მოვასწავინეთ, მაგალითად, შემდეგი წამოდავებანი: ახალციხის მაზრაზე, თუ მხოლოდ ქალაქ ახალციხეზე, ახალქალაქის მაზრაზე, თითქმის ბორჯომის ხეობამდე, წამოდავება ბათუმზე, ზაქათალაზე და სხვა... ახლა ამას დაუშვართ ცხინვალ-ლიახვის ხეობის საკითხი და ვინ იცის კიდევ სად რა!?

სხვებს ნუ გავამტყუნებთ, სადაც ხშირად ჩვენივე ფუჭდება საქმე. მაგალითად, როდესაც ერთ ევროპიულ კონფერენციაზე რატომღაც დაისვა ქ. ბათუმის და მისი ოლქის საკითხი, იქ სწორედ ორი ქართველი დელეგატი შეებნენ ერთმანეთსა. რა უნდა ეფიქრათ უცხოელებს, როდესაც თვით ქართველების შეუთანხმებლად იხილეს ამ საკითხში?..

სწორედ ეს გევალებს სრულის ყურადღებით ვიყოთ, როდესაც სახიფათო კითხვებს გვიყენებს ვინმე...

ჩვენი მწვავე და საჭირვარამო კითხვების ნაწილობრივ ამოსაწურად, მეტად არ მიგვაჩნია მოვიყვანოთ

კიდევ შემდეგი ამბავი, ამოღებული თბილისის კომუნალურ გაზეთებიდან.

ბოლშევიკურ სამოთხეში არ სჯერდებოდნენ იმ დიდ მსხვერპლს, რომელიც საქართველომ მოიკანა თავისი ღირსების დასაცავად. ჩვენი საუკეთესო შვილების უამრავი სისხლის დანთხევის შემდეგ, იწყება იქ სხვა და სხვა პროექტების შედგენა საქართველოს ტერიტორიის შესაცვლელად და შესამცირებლად.

მათი გეგმით, მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს რაიონობათ დაყოფვა ისე უნდა მომხდარიყო, რომ, ზოგ და ზოგ ალაგას, ქართველების რიცხვი, შედარებით სომხებთან. უფრო ნაკლები გამოჩენილიყო. არა ჩერდებოდნენ იმის წინაშეც, რომ სრულიად კავკასიის დედა ქალაქად თბილისის ნაცვლად (მაშინ ამ როლში თბილისი იყო) ვლადიკავკასი გამოეცხადებინათ. მთელი ამ გეგმის მიზანი, როგორც პროექტორები ამკლავებდნენ გულ ახდილად, იყო: „სტირანიე პოლიტიჩესკიხ გრანიც“! ამას პირველს რიგში საქართველოს პოლიტიკური საზღვრების მოშლა უნდა მოჰყოლოდა... ეს ეპიზოდი მხოლოდ იმიტომ გავიხსენეთ აქ, რომ საქართველოს საზღვრებზე მოსვენის სურვილები შეიძლება კიდევ გადმოვიშალონ.

სწორედ სავალალო იქმნება, თუ ჩვენ, ქართველები, ამ საშიშროების არსებობას დროზე ყური არ ვათხოვთ...

საქართველოს ტერიტორიას ორნაირად ემუქრებიან. ზოგს უნდა მისი საზღვრების სულ ერთიანად მოშლა, ზოგს ამ საზღვრების საგრძნობლად შევიწროება.

საქართველოზე ყოველი მხრიდან ასეთი მოწოლა მით უფროა უმართებულო, რომ, შედარებით სხვა კავკასიურ რესპუბლიკებთან, სწორედ ჩვენი ერია მიწის სივიწროვით უველაზე უფრო გაჭირვებული.

ამას ხომ თვით ბოლშევიკური გამოკვლევანიც ხმა მალა და თვალ საჩინოდ აღიარებენ. ამ რამდენიმე წლის წინეთ საბჭოთა რესპუბლიკებში მოხდენილი იყო სპეციალური აღწერა გამოსაკვლევად, თუ სად რომელი მხარეა მიწის სივიწროვეს რომ ყველაზე მწვავედ განიცდის და რომელია რაიონები, თავისუფალი მიწებით უფრო მდიდრები, სადაც შესაძლებელი იყოს ზედმეტი ხალხის ახლად დასახლება. და აი, საყოველთაოთ იყო ცნობილი, რომ აზერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკებში არის ასეთი თავისუფალი ადგილები.

საქართველო კი მიწის სივიწროვეს იმ-ზომამდე განიცდის, რომ იქიდან ნაწილი მოსახლეობისა სხვაგან უნდა იყოს გადასახლებული.

აი ნიმუში მიწების სივიწროვისა: მოდის თითო კომლზე მიწა: (კომლი შესდგა 5-6 სულსაგან ორთავ სქესის).

საქართველოში =	3,8	დესეტინა.
სომხეთში =	5,08	„
აზერბეიჯანში =	6,7	„

როგორც ამ სივიწროვის შედეგი ასეთია ამიერკავკასიურ რესპუბლიკებში აღრიცხვა დარიბი და შემძლე (კულაკები) გლეხებისა: (პროცენტებში):

ერები	დარიბი	„კულაკი“
საქართველოში =	41,2 %	9,7 %
სომხეთში =	14,8 „	15,0 „
აზერბეიჯანში =	18,6 „	31,9 „

დიდია ჩვენი ქვეყანა, თუ პატარა, მას თავისი საკუთარი ღობე აქვს ვარს შემოვლებული. ამ ღობის გარეთ არც სხვისი რამ გვინდა ქართველებს, არც სხვას დავანებებთ, რაც ღობეშია მოქცეული.

ერთ დროს ჩვენი მოშურნენი ავრცელებდნენ ხმებს, ვითომ ქართველთა მიწა-წყალი სულ უცხოელების ხელში გადადისო.

რომ ეს ამბავიც თავიდან ბოლომდე მოგონილია აი მისი საბუთი. გრ. ვიორგაძის წიგნში „საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში“ ასეთი ცნობა გვხვდება: თავად-აზნაურის გაყიდული მამული შეიძინეს (1870—1880 წლებში).

გლეხებმა = 75 % ყველა გაყიდული მამულებისა
 თავადებმა = 20 % " " "
 მოქალაქეთ = 1,5 % " " "

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, საქართველო თავის საკუთარ ალაღ-ბედზე იყო ხოლმე მიტოვებული, უცხოელ ბატონობას მწარედ განიცდიდა და იგი მოგავიწყებდათ იმ მხარეს, რომელზედაც გამართლებულია თქმულება: „სოფელი ვნახე უძაღლო და შიგ გავიარე უჯოხო“. იმ სისხლის წვიმების

დროს თვით ჩვენი ერი გამოდიოდა მისი საარსებო ინტერესების მცველად. როგორც სოფელი, ისე ქალაქებიც მას არავეისთვის დაუთმია და ბოლოს, თავის ხელში შეინარჩუნა.

აი იმ საგულისხმო გარემოებამ გვათქმევინა ერთ ჩვენს წინა მოხსენებაში:

„ამნაირად საქართველოს პატრონად ისტორიულადაც და ფაქტიურადაც ქართველი მოდგმის მოსახლეობაა დღესაც, მიუხედავად ჩვენი მტრების ცდისა, რომ ეს სხვანაირად ყოფილიყო“ და ბოლოს დავსძენდით: „ეს გარემოება ჩვენს ერს უფლებებთან ერთად მოვლევობასაც აკისრებს და სწორედ მას ხდის პასუხისმგებლად იმ მშენებლობაშიც, რომელიც ჩვენში სწარმოებს“.

გიორგი შუაშული.



ძველი ქართული მილიცია. 1875 წ.

✦ ზურაბ ავალიშვილი

სწორედ ორმოცი წლის წინად დაიწყო ქართველმა ემიგრაციამ ბრძოლა ევროპაში საქართველოსათვის და ამ დროის განმავლობაში ჩემი მწარე ხეებრი ისიც იყო, რომ მოვესწარი დაკარგვას ჩემ ამხანაგთა, მეგობართა, თანამებრძოლთა, ხნით ზოგთა უფროსთა და ზოგთა უმცროსთა. გიორგი დეკანოზიშვილი, არჩილ ჯორჯაძე, მელიქონ ქარცივაძე, პეტრე სურგულაძე, გიორგი მაჩაბელი, ლეო კერესელიძე, — აი ვინ წავიდნენ ისე, რომ მათი საფლავებიც ვერ ვნახე. ხოლო უკანასკნელად ზურაბ ავალიშვილმაც დასტოვა ეს ქვეყანა და ბედმა შემთხვევა მომცა მის კუბოზედ ცრემლი ჩამომგდო და მისთვის მიწა მიმეყარა უცხო ბავარიის მიწაზედ გათხრილ საფლავში.

ზურაბ ავალიშვილი 1918 წელს გავიციანი ბერლინში, როდესაც იგი დამოუკიდებელი საქართველოს დელეგაციის წევრად ჩამოვიდა გერმანიაში, ვითარცა იურიდიული მრჩეველი დელეგაციისა. ჩვენ ურთი-ერთს დავუახლოვდით და მაშინ გავიგე, რომ რასაც ზურაბზედ ამბობდნენ, არ იყო სიმართლე, არამედ გაუგებრობა: ზურაბი არა თუ ნამდვილი ქართველი იყო, არამედ თავმოყვარე ქართველი პატრიოტი. დიდი მცოდნე ქართული კულტურისა, საქართველოს წარსულისა, პატივის-მცემელი, დამფასებელი და მოყვარული თვისი ერისა. მაგრამ იგი იყო უაღრესად რეალისტი პოლიტიკაში, მის ბუნებას არ შეეფერებოდა რევოლუციონური ბრძოლა და იგი არც ოდეს ყოფილა რევოლუციონური მებრძოლი საქართველოსათვის. წესი და დრო მისი ბრძოლისა განირჩეოდა რევოლუციონერთა ბრძოლის წესისაგან და დროისაგან. მისი წიგნი „საქართველოს რუსეთთან შეერთება“ მაგალითად მაჩვენებელია მისი ბრძოლის წესისა იმ დროს. როდესაც რევოლუციონერები საქურვლით ბრძოლას ქადაგობდნენ და აწარმოებდნენ, ხოლო მისი მიყისე დაბრუნება რუსეთთან 1917 წლის რევოლუციის შემდეგ და სამსახური დამოუკიდებელი საქართველოსათვის მაჩვენებელია იმისა, თუ რა დროს და რაგვარ ნიადაგზედ შეეძლო მას თვისი ღვაწლით ნამდვილად წარემართა საქმე საქართველოს. ამ თვალთა-ხედვით უნდა განვიხილოთ პუბლიცისტიკა და პოლიტიკური მოღვაწეობა ზურაბ ავალიშვილისა და მაშინ ერთი-და მეორეც ვასაგები იქნება ჩვენთვის, და ის საყვედურიც, რომლითაც ხშირად მიმართავდნენ ხოლმე განსვენებულს, საფუძვლს იქნება მოკლებული. ხოლო მცირე შეცდომანი ან ზომის საზღვართა გადაცილება, რომელნიც ხშირად აუცილებლად ხდებოდა პუბლიცისტური და პოლიტიკური მოღვაწეობის დროს, მცირევე მნიშვნელობისანი არიან! საქმე მოღვაწისა მისი დადებითი მხარით განიზომება, და რომელ ქართველ მოღვაწეს დაუწერიან იმ დროს „საქართველოს რუსეთთან შეერთების“ მსგავსი რამ და ისე მოხერხებულად და გაბედულად დაუცვავს საქართველოს უფლებანი, როგორც ეს ქმნა ზურაბ ავალიშვილმა, ან ვისგან იყო ნამდვილი დაცვა საქართველოს საქმისა 1918 წელს და შემდეგ ევროპის მთავრობათა წინაშე ისეთი ცოდნითა და ჭკუით, რაგვარნიც ზურაბს შესწევდენ?

ზურაბ ავალიშვილი სპეციალობით იურისტი იყო, ცნობილი რუსეთში, მეცნიერული შრომებითა და მოღვაწეობით სამართლის დარგში. ამიტომ იგი სენატორად დანიშნეს დროებითი მთავრობის დროს. მაგრამ მისი საყვარელი საგანი ისტორია იყო, განსაკუთრებით საქართველოს ისტორია. ზურაბს არა თუ მარტო უყვარდა საქართველო არამედ იგი იცნობდა საქართველოს წარსულს და აწმყოს ზედმიწევნით, იცნობდა ძველთ მისი წარსული კულტურისა, იცნობდა მის მიწა-წყალს, მის ხალხს; მან იცოდა ზედმიწევნით ძველი ქართული ენა, მას შესწავლილი ჰქონდა ძველი მწერლობა ქართული, აგრეთვე იცოდა რა-

საკვირველია ახალი, იცოდა მუსიკა ქართული, საეკლესიო და საერო, იცოდა მთელი ცხოვრება ქართველი ერისა, ნივთიერი და სულიერი, და მონაწილეც იყო მისი. ამიტომ მოგვცა მან შესანიშნავი გამოკლევანი საქართველოს სამუშალო საუკუნეთა უმნიშვნელოვანეს მოვლენათა, საუკეთესო და პირველი ცდა „ვეფხისტყაოსნის“ კვლევისა კულტურულ-ისტორიული და ლიტერატურულ-ისტორიული მხრით, ქართულად დაწერილი, სწორი და ღრმა-მეცნიერული განხილვა დაკითხვა კუროპალატის დროს მომხდარ ამბავთა, ფრანგულად დაწერილი, აღწერა საქართველოს ცდისა თურქეთაგან კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ ევროპასთან ერთად ოსმალეთისა სფეროსის მოსასაბოლოად, რუსულად დაწერილი, და ბევრი რამ სხვა, სხვა ენებზედ, დიდი ნიჭითა და ცოდნით აღსრულებული ნაშრომი საქართველოს კვლევის დარგში. ზურაბს აუარჩებელი ცნობა ჰქონდა მეკრებილი საქართველოს შესახებ, ვაბნეული ევროპიულ მწერლობაში. ამ მდიდარი მასალის მეცნიერულად დამუშავება მას არ დასცალდა. — განსვენებულს დიდ ნიჭთან ერთად განსაკვიფრებელი ენერჯია ჰქონდა გონებრივი შრომისა და ყოველ-მხრივი ინტერესი. მან, ასე ვთქვათ, ყველაფერი იცოდა, და იცოდა კარგად, ზოგი რამ ისე ღრმად, რომ სპეციალისტის შთაბქდილებას ახდენდა. მაგალითად მისი შესავალი, დაწერილი ჩემი გერმანული თარგმანისათვის ს. ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, გერმანულ სპეციალისტებს მწერლობის ამ დარგისა, სპეციალისტის თხზულება ეგონათ! ზურაბი მართლაც ქართველი პოლიპისტორი იყო ახალი დროისა, რაიცა იმეიათი მოვლენა ქვეყანაზედ ცოდნის დარგთა და რაოდენობის გიგანტური ზრდის გამო. იგი მართლაც „სოფელს კიტრსა ბერად არ ამოჰკრეფდა“, არამედ გონების თვალი სწორი ინტერესით სჭერებდა ყველაფერს, რაც ადამიანს აინტერესებს, — უმაღლეს და უღრმეს ფილოსოფიურ საკითხთაგან დაწყებული სამზარეულო ხელოვნებამდე! ასეთ კაცს პრაქტიკული ინტერესიც ბევრი აქვს და ამიტომ ვასაკვირველი არ არის, რომ „ვეფხისტყაოსნის საკითხთა“ დამწერი წინად კახეთის რკინის გზის გაყვანის საქმეში უმთავრეს როლს აღასრულებდა და პირველი დირექტორიც იყო ამ რკინის გზისა. ხოლო ამერიკაში ამ ომის წინად საქმეზედ წასრულმა ინგლისურად ლექსი დასწერა: „ღვინის ქება“. — ზურაბი პოლიგლოტიც იყო, ღრმა მცოდნე უცხო ენათა.

ზურაბი ბევრს მიუყარებელ და მკაცრ ადამიანად მიაჩნდა; თუ დახლოვებული არ იყო მასთან. მაგრამ მასთან დაახლოვებისთანავე გრძნობდა ადამიანი, რომ იგი ძლიერ გულ-კეთილი იყო, რბილი და დამჯერიც კი. მას შეეძლო მეგობრობა და ამხანაგობა, ხოლო არა ყველასთან, და მეგობრობა და ამხანაგობა მჭიდრო, თუ ვისმე დაიახლოვებდა. მას ძლიერი ჰუმორი ჰქონდა, ხან და ხან მჭრელი, მაგრამ აროდეს ბოროტი; პირიქით, მისი ხუმრობა რომ კიდევ არ ყოფილიყო სასიამოვნო ან მისაღები, ყოველთვის სიცილს მოჰგვრიდა კაცს, ამასვე ვხედავთ მის ზოგიერთ ნაწერში. მინ სტუმართ-მოყვარე, პურადი და შემაქცევარი, სუფრაზედ მხიარული და მოყვარე და მცოდნე ქართულ სიმღერათა და ლხინისა, იგი ნამდვილი კახელი თავადი იყო, ხოლო დიდ საზოგადოებაში ნამდვილი ქართველი დარბაისელიც და ნამდვილი უმაღლესი კულტურის ევროპელიც.

ასეთი იყო ეს განსაკვიფრებელი ინტელექტი და არა-ჩვეულებრივი პიროვნება. იგი დაჰკარგა საქართველომ და მით მართლაც არა ჩვეულებრივი რამ: ზურაბ ავალიშვილები ხშირად არ იბადებიან არსად და არც სა-

ქართველოში დაიბადება მალე მეორე ზურაბ ავალიშვილი. ხოლო მე პირადად დავკარგე არა მარტო ძვირფასი მეგობარი, არამედ თანამშრომელი და წყარო ცნობათა, მრჩეველი და გზის მაჩვენებელი ბევრ საქმეში, რომელიც მაინტერესებდა. ჩვენ ერთად გამოვეცით „სიბრძნე-სიცოცხლის“ გერმანული თარგმანი. მისი „ვეფხისტყაოსნის საკითხები“ და „ჯეჯროსანთა ომები“ მათ დაბეჭდვამდე მქონდა წაკითხული, მისი ხელით ნაწერი; ჩვენ გვინდოდა ერთად გამოვეცა „ვეფხისტყაოსნის“ ქართული ტექსტი და მისი გერმანული თარგმანი, „ქართლის ცხოვრების“

ტექსტი ჩემი გერმანული თარგმანით და მისი კომმენტარებით, და სხვა, დღეს კი ზურაბი აღარ არის, და ეს ოცნებაც გამიქრა მე დაობლებულს და ხნით დამაშვრალს.— მშვიდობით, ძვირფასო ძმაო და მეგობარო! ჩემთვის დაუვიწყარი იქნები, სანამ სული მიდგია, მაგრამ ღირსი ხარ მართლა საუკუნოდ იყოს ხსენება შენი მშობელი ერის შორის.

მ. წაჩაბელი.

კველინბურგი
31 მაისი 1944 წ.



შოთას ქანდაკება.

გამოძერწილი დ. მ—ლის მიერ.

ბერლინი 1943 წ.

ქართული და კავკასიური ენები

ჩვენმა სახელოვანმა ქართველმა მეცნიერმა, რომელმაც დაუფასებელი ღვაწლი დასდო ქართველი ერის წარსულის შესწავლასა და მთელი თავისი განუსაზღვრელი უნარი შეაღია ამ დარგში მუშაობას, ქართული მეცნიერებას დაუტოვა უკანასკნელი შრომაც, რომელიც ენის საკითხებს ეხება. ამ 754 გვერდიან წიგნში, რომელიც არსებითად ენათმეცნიერთათვის არის განკუთვნილი, პირველი კარი ენება ქართულ-ქართველურის და ე. წ. კავკასიის ენების შესახებ მწერლობის მოკლე მიმოხილვას, რომელსაც მეორე კარი მოსდევს მიზნისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრით. კარი მესამე: ე. წ. კავკასიური ენებისა და ქართულ-ქართველურის მორფოლოგიის ძირითადი საკითხები. ნაწილი პირველი: გრამატიკული სქეს-კატეგორიები თანამედროვე კავკასიურ ენებში, ცხრამეტე თავად დაყოფილი. კარი მეოთხე: რიცხვითი სახელები, მათი წინანდელი და თავდაპირველი სახე, აგებულება და სხვადასხვა სისტემა, ხუთი თავისაგან შემდგარი. კარი მეხუთე: ქართველურ-სინურ - ლილურ - ლეგურ - ალბანური ნაცვალ - სახელები, და კარი მეექვსე: ზმნა. სიტყვათა ძირების ნათესაობა, დასკვნა.

ჩვენ აქ, რასაკვირველია, მკითხველს ვაცნობთ მხოლოდ დასკვნას, რომელიც ახალი სიტყვა კავკასიის შესახებ ენათმეცნიერებაში, მაგრამ რომ ესეც გასაგები იქმნეს საჭიროა ტომთა საერთო სახელების განმარტებაც.

ქართველურ ენათა ჯგუფს ეკუთვნის: მეგრული, ჭანური და სვანური.

სინდური ენებია: აბხაზური, უბიხური, ჩერქეზული, ანუ ადიღური და ყაბარდოული.

ლილურ ენათა ჯგუფი ჩრდილო-კავკასიაშია გავრცელებული. **ლილური ენებია:** ჩაჩნური, ქისტური, და წოეური.

დადესტნის ლეგური ანუ ლეკური და ალბანური ენებია: ლუმუქური, აკუშური, ჰერკილური, წახბური, თაბასარანული, რუთულური, ჯეკური, ბუღუხური, ალუღური, კერული, ხინალღური, ყუბაჩური, ბაგულაზური, ბოთლიხური, კარატული, ახვასური, ღუნძური, ანწუხური, ქარული, არჭული, დიდოური, ანდიური, ჭამალალური, ტინდალური, ყაფუჩური, ხვარშული, ინხოკარული, უდური, ბაგულალური ლოდობერული.

უბრალო თვალის გადავლება გვიჩვენებს, თუ რა უზარმაზარი შრომა გაუწევია პროფ. ივ. ჯავახიშვილს, რომლის ღვაწლი ჯერ კიდევ სათანადოდ არაა დაფასებული. აქვე ვათავსებთ ჩვენ აღნიშნული გამოკვლევის დასკვნას უცვლელად.

3. 6.

ივ. ჯავახიშვილი

ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი მეორე: ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. თბილისი, 1937.

დასკვნა (გვერდი 622)

გულდასმითმა განხილვამ გამოგვიქადაგა, რომ ქართულ-ქართველურისა და სინდური ენებისა ცხვე, როგორც ლილურ-ლეგურ-ალბანური ენების თავდაპირველი აგებულება დროთა განმავლობაში ძალზე შეცვლილა. მაგრამ მეტყველების მთავარი ნაწილების გაღრმავებულმა შესწავლამ და კვლევა-ძიებამ მაინც ამ ენების თავდაპირველი აგებულებისა და

სიტყვათა საგანძურის უძველესი მარაგის ძირთა ნათესაობაც ცხად-ჰყო.

2. საუკუნეთა განმავლობაში მომხდარი ცვლილება იმდენად არსებითი, დიდი და ფართო ყოფილა, რომ თავდაპირველი ნათესაობის და მიუხედავად ამ პროცესს ეს მონათესავე ენები ერთმანერთისაგან ისე დაუშორებია, რომ ენათა დამოუკიდებელ, გარეგნულად უცხო ჯგუფებადაც — კი უქცევია.

3. აქამდე გაწეული შრომა, დაკვირვება და ანალიზი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართველთა, სინდ-ლილღ-ლეგ-ალბანელების შორეული წინაპრები ღვიძლი მოძმე ტომები ყოფილან, რომელთაც მონათესავე და თავდაპირველად ერთი ენაც-კი უნდა ჰქონოდათ. მესამე წიგნში, რომელიც უძველეს კულტურას ეხება, მოყვანილი მრავალი ფაქტები თავის დროზე, იმეღია, ყველას დაარწმუნებს, რომ ჯერ საერთო და შემდეგ მონათესავე ენას გარდა, მათ გარკვეულ ხანამდე კულტურაც საერთო ჰქონიათ.

ქართველ-სინდ-ლილღ-ალბანელთა თავდაპირველი ნათესაობა მარტო ლინგვისტიკური ანალიზით — კი არ მტკიცდება, არამედ უძველესი ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოლოგიური ცნობებითაც, რაზედაც საუბარი პირველ წიგნში გვაქვს, „საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის მთავარი ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოლოგიური პრობლემები“ რომ ეწოდება, იქ ამ ერთა და ტომების ნათესაობა მათი სახელებისა და სხვა ყველა ცნობების ანალიზითაცა და თვით ძველი ავტორების მოწმობითაც დასტურდება.

მრავალგვარმა სხვა-და-სხვა გარემოებამ ეს მოძმე ერები და ტომები რომ ერთმანერთს დააშორა, ეკონომიურმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა ფაქტორებმა ისინი ხუთ დიდ ერთეულად აქცია. ენის საერთო თვისებათა მიხედვით, ამათგან ყველაზე მკაფიოდ ქართველთა ერთეულია გამოყოფილი, რომელიც საკუთრივ ქართულს გარდა, მეგრულ-ჭანურ-სვანურშიც შედის. ის გარემოება, რომ მათ ყველას სქეს-კატეგორიებიც თანაბრად აქვთ დაკარგული, ენის აგებულება და მორფოლოგიური ელემენტებიც ერთი-და-იგივე მოეპოვებათ, გვაფიქრებინებს, რომ შემოადნისწეული ძირითადი ცვლილება, რომელმაც მათ ესოდენ დამახასიათებელ-განმასხვავებელი თვისება, გრამატიკული სქეს-კატეგორიები დაავიწყა, ერთად და დაახლოვებით ერთსა-და-იმავე ხანაში უნდა ჰქონდეთ გამოვლილი. ამას გარდა, მომხდარი ცვლილების ერთგვარობა და ენის ახალი სახის ჩამონათქვითლობის მთელი მსგავსებაც გაუგებარი და აუხსნელი იქმნებოდა, თუ საერთო ფაქტორთა შორის ცოტად-თუ-ბევრად მჭიდრო პოლიტიკური კავშირისა და მთლიანობის არსებობასაც არ ვიგულისხმებდით.

რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბევრი კვლევა-ძიება საჭირო, სანამ ამ ღრმა და უაღრესად მნიშვნელოვანი ცვლილების ხანის სრული დამაჯერებლობით განსაზღვრას შევძლებდით, მაგრამ თუ ლოლიკურ მოსაზრებათა დახმარებით წინასწარი ჰიპოთეზის წამოსაყენებლად ამაზე მსჯელობა მიზანშეწონილი იქმნებოდა, შესაძლებელია მაინც ითქვას, რომ ეს ცვლილება უხსოვარ დროს უნდა იყო მომხდარი, თითქმის ჯერ კიდევ იმ ხანამდე, სანამ ქართველური ტომების უკანასკნელი ტალღა ამიერკავკასიაში საბოლოოდ დამკვიდრდებოდა. ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ გრამატიკული სქეს-კატეგორიები ერთნაირად დაკარგულ-შეცვლილია ქართველთა მოსახლეობის ისეთ ორს უკიდურეს სანაპიროზე, როგორც წინათ ქედს იჭითაც-კი გადაჭიმული სვანეთია და სამხრეთ-დასავლეთით ქანები, რომელიც ის-



ტორიულ ხანაში პოლიტიკურად ძალიან გვიან, თანაც მცირე დროის განმავლობაში, იყო საქართველოსთან დაკავშირებული, რაკი ამ დროს ასეთი ცვლილება ვერ მოხდებოდა, ანტიომაც იგი იმ ხანაში უნდა იყოს მომხდარი, როდესაც ქართველურ ტომთა შორის მკვიდრი კავშირი იყო შესაძლებელი.

ჩემი წინამდებარე წიგნის ერთ ამოცანათაგანს შეადგენდა, ცხად-მყოფი, რომ ქართულ-ქართველური ენების განვითარების ისტორიაში ორი დიდი ხანის არსებობა უნდა გვქონდეს გათვალისწინებული: პირველი და უძველესი ის ხანაა, როდესაც გრამატიკული სქეს-კატეგორიები ამ ენათა ძირითადს დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა, მეორე, მომდევნო ხანა-კი იმ დროითგან იწყება, როდესაც გრამატ. სქეს-კატეგორიები გაქრა და, ღრმა ცვლილებასთან დაკავშირებით, ქართულ-ქართველურის ახალი სახე ჩამოინაქვთა.

როდესაც მომავალში ამ ცვლილების ხანის ქრონოლოგიურად განსაზღვრას შევძლებთ, მაშინ, გრამატ. სქეს-კატეგორიების ფორმანტიანობისა, თუ უამისობისა და მიხედვით, ამა-თუ-იმ სიტყვისა და ტერმინის გაჩენის ხანის დაახლოვებით განსაზღვრაც მოხერხდება, რასაც კულტურის ისტორიისათვის, რასაკვირველია, უაღრესი მნიშვნელობა ექმნება.

ისევე, როგორც ენის აღნაგობაში მომხდარმა ღრმა ცვლილებამა და სხვა ფაქტორებმა ქართულ-ქართველური გამოჰყო, ამავე მიზეზითა და გზით სინდური, ლილღური, ლეგური და ალბანური ენოვანი ერთეულებიც ჩამოინაქვთა.

თვითეული მათგანისათვის საერთო სახელი უკვე მოგვეპოვება. მაგრამ მორფოლოგიური საკითხების განხილვა მკითხველს დაარწმუნებდა, რომ სინდურ, ლილღურ, ლეგურ და ალბანურ ენებს, განმასხვავებელ თავისებურებას გარდა, საერთო თვისებებიც მოეპოვებათ რომლებითაც ქართველურ ჯგუფს უპირისპირდებიან. ამიტომ სინდ-ლილღ-ლეგ-ალბანელებისათვის საერთო სახელი ეხლაც გვჭირდება და უფრო მეტად დაგვჭირდება მომავალში, როდესაც ამ დარგში კვლევა-ძიება გაცხოველდება. ასეთი საერთო სახელი ძველადაც ყოფილა, ამიტომ ხელოვნურად შეთხზული ახალი სახელის მაგიერ, ძველი სახელის განახლების გარდა არაფერია საქირო.

პირველ წიგნში, რომელსაც „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთის მთავარი ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოლოგიური პრობლემები“ ეწოდება, ეს საკითხი დაწვრილებით განხილულ-დასაბუთებულა, ამიტომ აქ იმ ნაშრომში მოპოვებული შედეგის მხოლოდ მოკლედ მოყვანით დავაკაყოფილდებით.

პროფ. კ. პატკანიანმა თავის დროზე მიაქცია იმ გარემოებას ყურადღება, რომ სომხ. უსახელო გეოგრაფიაში პტოლემეაძის გეოგრაფიის მაქსამატების ტომის სახელი სომხ მთარგმელს ნახჰამატინჰ-ად გადმოუთარგმნია. ამავე მეცნიერის სამართლიანი განმარტებით, ამ სახელის პირველი, ნახჰა, ნაწილი ჩაჩნების ეროვნული სახელი ნახჰო-ა, მაშასადამე, ცხადია, რომ მაქსამატები ჩაჩნების სახელი ყოფილა, ამაზე შორს პატკანიანი არ წასულა.

1922 წ. აკად. ნ. მარტა მაქსამატების სახელით მეორე, მატ, ნაწილის რაობასა და მნიშვნელობასაც მიაგნო.

პატკანიანზე დაყრდნობით, მან გამოსთქვა მოსაზრება, რომ იქ ვითარდება ძვირფასი ინტერსიური კულტურა, მატ-იც ჩაჩნურივე სიტყვაა, რომელიც ენას და ტომს ნიშნავს. ნ. მარტაც მხოლოდ ამით დაკმაყოფილდა და ამაზე შორს არ წასულა.

საქმე ის არის, რომ სტრაბონის და სხვ. ბერძენ ავტორების ცნობით, ჩრდილოეთ-კავკასიის სინდურ-ლილღურ-ლეგურ ტომებს საერთო სახელად სარმატები, ანდა უფრო ძველად, საურომატები და სვრმატები ეწოდებოდა. მაშასადამე, დაცული გვჭონია ის ძველი ადგილობრივი სახელი, რომელიც ყველა ტომებს სწოდებია და რომელიც ჩვენ გვჭირდება ეხლა. თუ წინათ ამ სახელის აგებულება და თავდაპირველი მნიშვნელობაც გაუგებარი იყო, ამაჟამად შესაძლებელია ითქვას, რომ იგი საურო-სა და მატ-ისაგან შესდგება. რაკი მატ-ი აქაც, უიქველია, ენას, ანუ ტომს უნდა ნიშნავდეს, მხოლოდ საურო-ს ანუ სარ, ანდა სვრ-ის რაობა და მნიშვნელობა-ლა გვაქვს დამოსარკვევი. ჩვენს ზემოდასახელებულ წიგნში მოყვანილი საბუთებითგან ჩანს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში იყო თემი და სახელმწიფო, რომელსაც ქართველი ისტორიკოსი შარო-ს უწოდებს, ბერძენ-რომაელების ძველი გეოგრაფებიც აქვე ხერრ-ების ტომებს ასახელებენ. ხერრ-ის სახით არაბთა გეოგრაფებს დალისტანშიც ჰყავთ აღნიშნულნი, ხოლო ძველ სომხურ ისტორიულ საბუთებში შარურ გეოგრაფიულ სახელად გვხვდება, რომელიც დღევანდლამდე არის შერჩენილი. ყველა ეს ორ გარემოებას ამუღავნებს:

1. შარო-ს სახელი ყველგან ფართო ტერიტორიაზე გვხვდება იქ, სადაც სინდურ-ლილღურ-ლეგურ-ალბანური ტომები ბინადრობდნენ, და 2. ეს სახელი რაღაც ზოგადი თვისების მქონებულია.

ამნაირად, საურომატების, ანუ სარმატებისა და სერმატების სახელი ადგილობრივი სახელი ყოფილა და შაროელთა ენის აღმნიშვნელია.

ყველა ამ მოსაზრებათა გამო, უფლებაცა გვაქვს და უფრო მიზანშეწონილიც იქმნება, რომ სინდურ-ლილღურ-ლეგურ-ალბანურ ენათა საერთო სახელად ისევ ძველივე ზოგად-შარომატების, ანუ საურომატების სახელი შემოვიღოთ და ამიერიდან ეს სახელი ვიხმაროთ. ცალკეულს სინდურს, ლილღურს, ლეგურს და ალბანურ ენათმეცნიერებას გარდა, ზოგადი შარომატული ენათმეცნიერებაცა და შედარებითი ქართულ-შარომატული ენათმეცნიერებაც უნდა შეიქმნას. რაკი ლილღურ-ლეგურ-ალბანურ ენებსაც მრავალი საერთო თვისებები აქვთ, ამიტომ მათთვისაც საერთო სახელია ჯერ კიდევ მოსაძებნი.

წინამდებარე წიგნის ავტორმა კარგად იცის, რომ არაერთი ცალკეული ეტიმოლოგიისა და მოვლენის განმარტება სხვანაირადაც შეიძლება, თვით მასაც, ამ ნაშრომში შეტანილს გარდა, აზრად სხვაც მოსვლია. მომავალში, რასაკვირველია, შესაძლებელია ბევრი რამეც-კი შეიცვალოს, მაგრამ მას მაინც ჰგონია, რომ მხოლოდ ამ მიმართულებით, ამ მეთოდებითა და ამნაირი მასალის გამოყენებით მოხერხდება იმ გზის გაკაფვა, რომელიც აწინდელი გარემოზღუდვითობისაგან ფართო ასპარეზზე გავიყვანს და ყოველმხრივ სანტერესო და უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას შეგვაძლებინებს.

პროფ. ივანე ჯავახიშვილი

ისტორიული საბუთები ქართულ-იაპონური ურთიერთობა

არა ერთი საბუთი მოიპოვება უცხოეთში, რომელიც საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ხანას ეხება. ძნელია ამ საბუთების სინათლეზე გამოტანა, ვინაიდან ბევრი მათგანი სამინისტროთა არქივშია მოთავსებული და გამოსაქვეყნებლად მიუწვდომელი. მაგრამ ჩვენ მაინც მოვახერხეთ რამოდენიმე მნიშვნელოვანი საბუთის დაბეჭდვა და მომავალშიც ამ მხრივ ცდას არ დავეშურებთ.

ქვემოთ მოთავსებული საბუთი ეხება რუსეთ-იაპონიის ომის ხანას და მასთან დაკავშირებულ მოღვაწეობას ქართველთა, რომელთაც მოიწადინეს საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლა ეწარმოებინათ. ამ ბრძოლის ხელმძღვანელი იყო გიორგი დეკანოზიშვილი, რომელიც ფინელ მეგობრებთან ერთად იაპონელებს დაუკავშირდა. ამიტომაც ჩვენ დროულად მივიმჩინეთ ამ შესანიშნავი პიროვნების ბიოგრაფია გავვესხენებინა. ამ მიზნით ჩვენ ვისარგებლეთ მებრძოლი ნაციონალისტის თედო სახოკიას მოგონებით, რომელიც 1911 წელს დაიბეჭდა ვაზეთ „კოლხიდა“-ში, სადაც რასაკვირველია, აქ მოხსენებულ ამბავთა შესახებ კრინტიც არაა დაძრული, ცენზურის პირობებისა გამო.

მაგრამ ჯერ გავცნოთ თვით გიორგი დეკანოზიშვილის პიროვნებას.

3. 6.

გიორგი დეკანოზიშვილი

გიორგის მამა, გაბრიელი, ოფიცერი იყო და უმეტესად რუსეთში ცხოვრობდა. ამიტომ მისმა ვაჟმა გიორგიმ და ქალიშვილმა მარიამმა სრულებით არ იცოდნენ ქართული. გიორგი რუსეთში, პეტროვსკში, დაიბადა აგვისტოში 1868 წ. თბილისში მისმა მამამ იყიდა პატარა სახლი „ნოვოგიორგიევსკაია პლოშად“-ზე, ნორაშენის ეკლესიის ახლო და შვილები მიაბარა: გიორგი რეალურ სასწავლებელში, რომელიც მან მშვენივრად დაასრულა, და მისი და ქალების პირველ გიმნაზიაში. შემდეგ გიორგიმ დაასრულა პეტერბურგში სამთო ინსტიტუტი საუკეთესო დიპლომით. საკვირველი ის იყო, რომ გიორგი ჯერ რალაც სამხედრო სასწავლებელში მისცა იმისმა მამამ მოსკოვში, მაგრამ მან მალე მიატოვა სამხედრო კარიერა. გიორგი და მხედარი! მეტად პატარა ტანისა, სუსტი აგებულებისა. წვრილი ხმა, ავადმყოფობის დროს ძლივს ლაპარაკობდა. ქართული ენის სწავლას გ. შეუღდა პეტერბურგშივე სტუდენტობის დროს, თბილისში კი ოჯახში ვერაფერი შეიძინა.

გასაოცარი იყო ის ტრანსფორმაცია, რომელიც ამ ადამიანმა განიცადა. იმდენად იყო „გარუსებული“ რომ ჭადის სახელიც კი არ იცოდა და პირველად რომ ნახა ჭადი ჩვენ სახლში ბავშობისას, „ზოლოტოი ხლებ“-ი დაარქვა და აი ეს ადამიანი, რომელმაც მართალია ჭადის სახელიც კი არ იცოდა, გახდა შემდეგში გულწფელი და თავდადებული პატრიოტი. მთელი თავის გონება, ენერჯია და თვით სიცოცხლეც სამშობლოს შესწირა. არავითარი წვრილმანი თავმოყვარეობა და ამბიციისა მას არა ჰქონდა. საქართველო იყო მისი ფიქრის, გრძნობის და მოქმედების ერთი საგანი. მიუხედავად სუსტი აგებულებისა და შემდეგში მძიმე ავადმყოფობისა, ეს იყო კაჟივით მაგარი და უდრეკი ხასიათის პატრონი. მისი ნელი ხმით ბასი, ყოველთვის მოფიქრებული და გულწფელი ადამიანზე საკვირველად მოქმედებდა, იზიდავდა მისკენ და აჯერებდა, რომ ის მართალი იყო. ყველა უცხოელთა წრეებში ჰყავდა მას მეგობრები. ერთმა ოსმალეთის გამორჩეულმა მოღვაწემ მშვენიერი წერილი მოსწერა გიორგის სტამბო-

ლიდან, როდესაც მიიღო პირველი ფრანგული ნომერი „საქართველოსი“ ურჩევდა თავის პარიზელ მეგობრებს გაეცნობას. და კავშირის დაჭერასა

ბრაზილიაში გ. გაეზაენა გიორგი ზდანოვიჩმა 1902 წ. ივლისში. იქიდან დაბრუნებისას შეუღდა „საქართველოს“ გამოცემას. მოიწვია არჩილ ჯორჯაძე. ცხოვრობდა მაშინ ბულვარ მონპარნას-ზე 168; არჩილ ჯორჯაძეც იქვე ახლო ცხოვრობდა რაჟ რენე პოლინ-ზე რედაქცია კი ჟურნალისა იყო 51 რუჟ სან სოვაჟორ.

გიორგიმ ჯერ გაიცნო და დაუმეგობრდა ცილიაკუს, და ფინლანდიელებს. გიორგის ეხმარებოდა ახალგაზრდა იასონ (თუში), გვარად მგონი ქადაგიძე.

თუ არა ვცდები იარალის მომტან გემზე ისიც იყო.

გიორგი როდესაც მძიმედ გახდა ავად ივლისში 1906 წ. წავიდა ლოზანში; შემდეგ ერთი წელიწადი ვენაში ექიმობდა და იქ მარტში 1907 არჩილ ჯორჯაძემ ინახულა და რამდენიმე თვის შემდეგ არჩილი თვითონაც ავადმყოფი დაბრუნდა საქართველოში.

არის ერთი წერილი გიორგი ლასხიშვილისა, სადაც ის თხოულობს გიორგისაგან „ჯოხებს“ (თოფებს), მაგრამ მისი წერილი არ არის იმედით სავსე. „ჩვენ მაინც ვმუშაობთ“ იწერება გ. ლასხიშვილი, მაგრამ ემდურის ორგანიზაციის სისუსტეს, გულს უმაგრებს ავადმყოფ გ. დეკ-ს და ეუბნება „ლიბერალებად“ არ გადავიქცევიო. რაც შეეხება „სოც.-დემ.“-თან შეთანხმებას, რომელსაც აქედან გ. დეკ. ურჩევდა, ის სხვა აზრისა იყო: მათთან კავშირი შეუძლებელიაო, მათ მხოლოდ ჩვენი „ჯოხები“ (ე. ი. თოფები) უნდათ, თორემ სხვა არაფერი, სულ ჩვენ ლაძღვა-გინებაში არიან და სახელს გვიტეხენო. და უგზავნის პარტიის მანდატს მომავალი კონფერენციისათვის.

1907 წ. ოქტომბერში გიორგი ოჯახობით გადასახლდა მონპელლიეში, სადაც ცოტა უკეთ შეიქნა, მაგრამ 1910-ში უეცრად აღმოაჩნდა ქლეჟი და საჩქაროდ გადაიყვანეს კანში, სადაც გარდაიცვალა 18 ნოემბერს 1910 წ.

ანდრო დეკანოზი

პარიზი. 1944 წ.

გიორგი დეკანოზიშვილი

შარშან 1910წ. 18 (5) გიორგობისთვის ქ. კანში (საფრანგეთში) გარდაიცვალა, ხოლო 2 ქრისტეშობისთვის თფილისში. წმ. ნინოს სასაფლაოზე მიწას მიაბარეს გიორგი დეკანოზიშვილი. დამწერთა, თუ მსურველთაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ამ ღირს-სახსოვარი ადამიანის შესახებ თავის დროზე ძალიან ცოტა დაიწერა; თითქმის შეუმჩნეველათ ჩაიარა მისი სიკვდილის ამბავმა. ამიტომ მისი დასაფლავების წლის თავზე გვსურს მკითხველს გავუზიაროთ ჩვენი მოგონება და ზოგიერთი ფაქტი მისი ცხოვრებიდან. ხოლო ყოველმხრივი დაფასება გიორგი დეკანოზიშვილის პიროვნებისა, მოქალაქობისა და სამშობლოსათვის გაწეული ამაგისა უნდა ვადაიდვას სხვა უფრო მარჯვე და შესაფერი დროისათვის.

განსვენებული პირველად 1891 წელს გავიცანი თფილისში. პეტერბურგის სამთამადნო ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტად იყო. დაბალ-დაბალი, სუსტი აგებულებისა, მიკნავებული ხმის პატრონი გიორგი სრულებით არ აფიქრებებდა ადამიანს, რომ სათავეში მოექცეოდა ისეთ საქმეს, რომელსაც დასჭირდებოდა გულადობა და თავგანწირვა. მხოლოდ ჭკვიანი და თან ლამაზი თვალები ივლებდა შიგ ამ ადამიანის უსასწერო კეთილშობილებას, სპეტაკ გონებას და ამალღებულსა და წარმტაც

1950



ფიქრ-აზრთა პარმონიულ შეზავებას, იმ ხანებში გიორგი ხელმძღვანელობდა წრეს, რომელიც შეედგინათ პეტერბურგში მოსწავლე ქართველ-სომეხ სტუდენტებს. ამ წრეს აზრათა ქონდა, ერთობრივი ძალითა და დახმარებით ებეჭდა როგორც ქართულათ ისე სომხურათ სამეცნიერო წიგნაკები მდაბიოთათვის. ქართულათ პირველი წიგნაკი იყო „ლენტის მსგავსი ქიები“ სტუდენტის (ან ექიმის) ივთიკანაძისა. მეორე წიგნიც გამოსცა წრემ — და, სამწუხაროთ, ამით გათავდა მისი მოქმედება, მაგრამ აზრი, დათესილი განსვენებული გიორგის მიერ, აზრი შეერთებისა, ერთად მოქმედებისა მშობელი ერისათვის ზრუნველისა და საზოგადოებისათვის შრომისა სტუდენტობაში მანც დარჩა და შემდეგ მის მოქმედებას დედა-ბოძათ დაედვა.

შემდეგ 1892 წელიწადს ინსტიტუტი ჩინებულათ დაასრულა და სამშობლოში სამთამადნო ინჟენრათ ჩამოვიდა, განვითარებული, ახალგაზრდურის იმედებით აღფრთოვანებული და ცხოვრების უღელში შესაბამელათ გამზადებული. მისი ჩამოსვლა და ჩვენში ხორველის გაჩენა ერთი იყო. მთელ ქართველობას თავზარი დაეცა. საზოგადოების შეძლებულმა ნაწილმა თავს უშველა და უშიშარად აღიღს მიაშურა. მდაბიო ხალხი, სოფელი, როგორც ყოველთვის და ყველაფერში, უპატრონოთ დარჩა. აღარსად ექიმი იყო მისთვის, აღარსიდან მატერიალური დახმარება. მაშინ ექიმებიც იმდენი არა გვეყავდა, რამდენიც დღეს არის. შედგა ინტელიგენტთა წრე, რომელმაც გადასწყვიტა ღვთის ანაბარათ დარჩენილ ხალხს მიშველებოდა. სენი ამ დროს ქართლში მძვინვარობდა — და წრემაც იქით მიაშურა. თუ მოვიგონებთ, რომ ხორველას მაშინ ისე ვერ ვიცნობდით და იმასთან ისე დაშინებული არ ვიყავით, როგორც დღეს ვართ, სრულიად ბუნებრივი იყო ის შიში. მაშინ ყველას რომ უნერგავდა ეს სენი. ამიტომაც რაინდობაში უნდა ჩამოვართვით ყველას, ვინც მაშინ ამ წრეში ერია და თავის სიცოცხლეს ბეწვზე კიდებდა. წრე შედგა თუ არა, ერთ პირველგანს გიორგი დეკანოზიშვილი მოყვა შიგ. ვის-ვის, მაგრამ გიორგის აგებულობისა და ტანის სიმთელის პატრონს კი უნდა დაეხია უკან ამ საშიში სენის წინაშე! მაგრამ, როცა მოყვარის სიყვარული ადამიანში საკუთარ თავის სიყვარულს და თავის დაცვის გრძნობას, სჭარბობს, იქ შიშის ხსენება ქრება, სუსტი გმირათ იქცევა ხოლმე. ეს იყო მისი პირველი გამოსვლა ცხოვრების ბრძოლის ველზე, თეორიიდან პრაქტიკაზე გადასვლა, საქმეთ ქცევა სიტყვისა. ქართლის ერთ-ერთ სოფელში, თუ მახსოვრობა არა გვალატობს, მის სამშობლო რუისში, სხვათა პატრონობის დროს თვითონ მას შეეყარა ხორველა და კინაღამ თან გადაყვა.

ჩვენის უმწეო, ბეჩავისა და სულ მუდამ სხვისაგან ჩავგრის დაწვეული გლეხის გაცეხის საზღვარი არა ქონდა, ამ „ნასწავლებლს“ რომ უყურებდა. რაც თავი შეესწავლა ჩვენს ვლენობას, პირველათ ხედავდა პირისპირ მდგომ ინტელიგენციას, რომელიც მისთვის გულშემმატკიერობას იჩენდა და ისიც ასეთ სულისა და ხორცის გაყრის დროს! ჩვენმა ხალხმა დაინახა, რომ მისთვისაც ზრუნავენ, ზრუნავენ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, და რომ ამ ზრუნვას, თუ საჭიროებამ მოითხოვა, მზათ არიან — მთელი თვისი არსება შესწირონ, თავს შემოივლონ!..

ხორველობა რომ გათავდა გიორგი ჭიათურის შავიქვის მადნების გამგებლათ მთიწვია იმ დროს ცნობილმა შავიქვის მწარმოებელმა ნიკ. ლოლობერიძემ. როგორც სპეციალისტმა — ინჟინრმა, რამდენათაც ეს შესაძლებელი იყო, ყოველი ღონე იღონა — პრიველყოფილი წესი შავიქვის დამუშავებისა თანამედროვე წარმოების თანახმით მოეწყო, მაღაროებში მომუშავეთა მდგომარეობაც გაუმჯობესებია. საზოგადოთ, ვისაც კი რამე საქმე ქონდა მასთან, მისი სიამტკილობით და ადამიანური ქცევით მოხიბლული შორღებოდა. პირველათ ხედავდნ ინჟინერს, რომელიც ყველაზე ნაკლებათ ზრუნავდა ფულისა და გამდიდრებისათვის. ბევრი დასციხილა კიდევ, „ინჟენ-

რობის“ მოხმარება არ იცისო... თუ რამე საზოგადო ხასიათის საქმე კეთდებოდა ჭიათურასა და მის გარშემო, შიგ უეჭველათ გიორგის მადლიანი მარჯვენაც უნდა გარეულოყო, ყველგან უეჭველათ უნდა დაეტოვებია კვალი ზნეობრივისა, გონებრივისა და ქონებრივი დახმარებისა. ჯამაგირიდანაც სწორეთ იმდენი რჩებოდა, რამდენიც აუცილებლათ საჭირო იყო თავდაბლურ მოთხოვნილებათა პატრონი ადამიანისათვის. ორი მესამედი მისი ჯამაგირისა სხვებს ურიგდებოდა, ასე რომ, როცა ნ. ლოლობერიძესთან სამსახურს თავი დაანება, შავი ღღისათვის მონარჩენი არაფერი წაყოლია.

ჭიათურაში ყოფნის დროსვე დასტამბა გაზ. „ივერიაში“ ჭიათურის შავიქვის წარმოების ისტორია, აღნიშნა მისი აწმყო და მომავალი მნიშვნელობა ჩვენი ხალხის საეკონომიო ცხოვრებისათვის. განსვენებულის წერილი დღემდე ერთადერთია ქართულ ენაზე ჭიათურის სიმდიდრის ასე თუ ისე გაცნობისათვის. მის ღირსებას მით უფრო ემატება ძალა, რომ დაწერილია ქართველ სპეციალისტის — მიერ, რომელმაც ალაგობრივ იცხოვრა, გაეცნო წარმოების ალაგობრივ პირობებს, ყოველგვ თავისი თვლითა ნახა, უმეტეს შემთხვევაში თვითონ იღებდა პირდაპირ მონაწილეობას.

იმერეთიდან წასული გიორგი ბაქოში დაბინავდა, ნავთის ერთ-ერთ მწარმოებელთან. ამ საქმესაც დიდ ხანს არ შერჩენია. მხოლოდ ორიოდ-სამიოდ წელიწადი გაატარა ბაქოში, „სამსახურს“ თავი მიანება და თფილისს ვადმოვიდა, რომ აკტურით მონაწილეობა მიეღო ჩვენს საზოგადო საქმეებში.

1899 წელს უკვე ევროპაში ვხედავთ გიორგის. ეცნობა ინგლისს, გერმანიას, საფრანგეთს, ბოლოს ამ უკანასკნელი ქვეყნის დედაქალაქ პარიზში ოჯახს მოეკიდა.

1901 გიორგი საქართველოს ბრუნდება, და მის დაბრუნებასთან ერთად საძრიკველი ეყრება ჩვენი ცხოვრების ახალ ხანას. ისახება ახალი ჯგუფი, რომელიც შემდეგში უნდა შეიქნეს მატარებელი ჩვენი ხალხის საპოლიტიკო იდეალებისა, მის მისწრაფებათა გამომხატველი. ამ ჯგუფის გულისხმადება განხორციელება, გამომხვევება წილათ ხვდა ჩვენს დაუვიწყარ გიორგის, მანვე იკისრა გაძლოლა, მთელი საქმის მებაირახტრობა.

ეს მოძრაობა იმ ხანებში დაიბადა, როდესაც რუსეთის იმპერიის ცხოვრების სეებედს პლევე განავებდა. თითქმის გუშინდელი ამბავია და ყველას კარგათ გვანსოვს, თუ რა დღეში იყო საერთოდ რუსეთის მწერლობა და კერძით ჩვენი. ყოველი თავისუფალი სიტყვა, თავისუფალი აზრი ყოველადის ულმემბლობით იყო დევნილი. ზემოხსენებული ჯგუფის აზრ-მისწრაფებათა გამოთქმა, საქართველოს უფლებათა აღდგენის შესახებ ლაპარაკი არსებულ გარემოებათა გამო ჩვენში შეუძლებელი იყო. უნდა დაარსებულყო ორგანო ისეთ ადგილას, სადაც ცენზურის დევნას არ განიცთიდა, ორგანო თავისუფალი. ამ აზრის განხორციელება, როგორც უკვე ვსთქვით, გიორგიმ იკისრა რა თქმა უნდა, ამათან ერთად წინდაწინვე ეკისრა ყოველი განსაცდელი, ამ საქმეს რო მოსდევდა.

ახლა საჭირო იყო თანხა, საშვალეობა ამ აზრის განსახორციელებლათ აქაც გიორგი ჩაება. თითქმის მთელი საქართველო მოიარა. დაარსა კომიტეტი, რომელთაც უნდა ეზრუნათ ორგანოს გამოსაცემათ საჭირო ფულის შეკრებისათვის. თვითონ კი ისევე პარიზს დაუბრუნდა და საქმეს შეუდგა.

ყოველთ უწინარეს პარიზში დაახატია და ჩამოასხმეია ახალი ხასიათის ქართული შრიფტი, „პარიზულათ“ წოდებული. ამ შრიფტს დღეს საქართველოშიც ვხმარობთ და სხვა არსებულ შრიფტებისაგან გაირჩევა როგორც თავისი სილამაზით, ისე ხეავრეილობითაც. „ვენის“ შრიფტან შედარებით ორ მესამედ აღდიღს იქერს.

თვით ორგანოს გამოსაცემათ გარშემოკრიფა მთელი ქართველი ახალგაზრდობა რაც იმ ხანებში უცხოეთში და

განსაკუთრებით პარიზში ცხოვრობდა. ყველას მიაღებია მონაწილეობა: ქალსა თუ კაცს, ფულით თუ კალმით, ვიღებდნენ ისა თუ ფიზიკური მუშაობით. ჩვენს ნერვულ დროში მხოლოდ ვიორგი დეკანოზიშვილის მოთმინება და საქმის სიყვარული უნდა ქონოდა ადამიანს, რომ ეშრომა სხვებთან და სხვებიც აემუშაებინა, და საწყენისა, გულის ასამღვრევის მეტი კი იმ თავითვე არაფერი შეხვედრია ამ ისედაც დასუსტებულსა და ხახვერათ ავთმყოფ ადამიანს.

1903 წლის საპარტიო მოღვაწეობით უკვე მზათ იყო პირველი ნომერი ახალგაზრდა საქართველოს ორგანოს „საქართველო“-სი. ქართულ ნუმერთან ერთად თანტოლათ იბეჭდებოდა ფრანგულ ენაზე „ლა ჟორჟი“, რომელიც ევროპაში ყველა ცნობილ საპოლიტიკო მოღვაწეს და რედაქციას გაეგზავნა. თან გ. დეკანოზიშვილი კავშირს იჭერდა ყველასთან, აცნობდა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს, ჩვენს ღათარგუნვილ უფლებებს, ამ უკანასკნელთა აღსადგენათ ჩვენს ზრუნვას, ჩვენს იმედებს... თანაც სთხოვდა, ხმა ამოეღოთ ჩვენ შესახებ, გამოგვსარჩლებოდენ ევროპის სამსჯავროს წინაშე. და ევროპის პრესაშიც პირველათ ახსენეს საქართველო, ქართველები, მათი ტკივილი, მისწრაფება, უფლება სხვა ერებთან ადამიანური ცხოვრებისა... ერთი სიტყვით, საძირკველი ჩაეყარა ევროპელთა მიერ ჩვენი ხალხის და ჩვენი ინტერესების გაცნობის საქმეს დაიდას, მსოფლიო პოლიტიკის თვალთ რომ გავშინჯოთ. ამავე დროს მჭიდრო კავშირი დაიჭირა გიორგიმ რუსეთის იმპერიის სხვა ეროვნებათა ორგანიზაციების მეთაურებთან, ესწრებოდა მათ კრებებს, იცავდა ინტერესებს, საცა კი ამას გარემოება მოიხივდა. ერთი სიტყვით, გაჩნდა კავშირი იმ ელემენტთან, ურომლოთაც ცალკე მდგარი ეროვნობის ნაყოფიერი მოქმედება თანამედროვე პირობებში ყოვლად შეუძლებელი და წარმოუდგენელია. ეს კავშირი, ურთიერთი თანხმობა თანდათან იზრდებოდა...

პირველი ორი-სამი ნუმერი „საქართველო“-სი თითქმის დაუბრკოლებლათ გაშრიდა. მაგრამ შემდეგ კი გაჭირდა საქმე. გიორგისაგან სამშობლოში დატოვებულ წრეებს ბოლომდი ვერ შეყვათ სახარჯოს მოგროვების ხალისი, და ამიტომ ორგანოს გამოსაცემათ საქირო ფულის გზავნა მეტათ გვიანდებოდა. უსახსრობა კი მეტათ საგრძნობელი ხთებოდა: შენახვა უნდოდა ორ ადამიანს, რომელთაგანაც ერთი რედაქციას უძღვებოდა და საგანგებოთ ამისათვის იყო საქართველოდან ჩამოსული, ხლო მეორე აწვანსვენებული მის. კიკნაძე ასოთამწყობათ იყო. სამწუხარო და თან საცინელი იყო, როცა უსაშვალეზოთ დარჩენილი ერთადერთი ასოთამწყობი „საქართველო“-სი „საერთო გაფიცვა“-ს გამოაცხადებდა. ასეთ კრიტიკულ მდგომარეობაში, საცა იყო და არ იყო, გიორგის უნდა გაეჩინა ფული, და ფულიც სასწაულებრივ ჩნდებოდა და ისევე ატრიალდებოდა ხოლმე საქმე.

სულ უბრალო წერილმანისათვისაც კი გიორგის უნდა ჰზრუნა: ვაზეთის ექსპედიცია, აუარებელი მიწერ-მოწერის გაძლოლა გიორგისა და მის ერთგულ მეუღლეს აწვით კისერზე. აუარებელი საქმისა და საზრუნავით დატვირთული ადამიანი კიდევ დროს პოულობდა — ორგანოსათვისაც რაიმე დაეწერა. განსვენებულის კალამს ეკუთნის წერილები რუსეთ-იაპონიის შესახებ. ფრანგული განყოფილების წერილების „ვაფრანგულების“ ზრუნვა სავსებით თავისი მეთულისათვის ქონდა ჩაბარებული, რომელიც აუწერელი ხალისით და გულმოდგინებით ასრულებდა თავის მოვალეობას. განსვენებულის მეუღლე, ტომით ფრანგის ქალი, არა მარტო ერთგული მეუღლე იყო თავისი ქმრისა, არამედ შეგნებული და გულწრფელი მოსამსახურე იმ წმინდა საქმისა, რომელსაც მისმა სულმნათმა ქმარმა თავისი ახალგაზრდობა სავსებით შესწირა.

„საქართველო“-ს ნუმერებთან ერთად გიორგის ზედამხედველობით პარიზში ქართულად გამოიცა ცალკე რამდენიმე წიგნაკი და მათ შორის „ოქმები“ ქართველ რევო-

ლიუციონერთა პირველი კონფერენციისა, რომელსაც თვის საყურადღებო წერილებით სხვადასხვა საზოგადო კითხვის შესახებ საპატიო ადგილი უჭირავს უცხოეთში გამოცემულ არალეგალურ ლიტერატურაში, და თავის დროზე დიდი მნიშვნელობაცა ქონდა ჩვენი ახალგაზრდობისათვის სხვადასხვა საჭირობოროტო კითხვის კვლევა ძიების საქმეში.

ასე იყო თუ ისე, „საქართველო“ მე-13 ნუმერამდი გამოვიდა. რუსეთში უკვე თავისუფლების სიომ დაბერა, შესაძლებელი შეიქნა თავისუფლად ლაპარაკი, თავისუფლათ წერა. მაშასადამე, „საქართველო“-ს გამოცემაც ბუნებრივათ უნდა შეჩერებულიყო. მთელი მოქმედების ცენტრი უკვე საქართველო იყო. იქ უნდა შემოკრებილიყო მთელი ძალა ჩვენი ახალგაზრდობისა. გიორგიმაც თითქმის მთელი ქართველი ახალგაზრდობა პარიზისა სამშობლოში გაისტუმრა. — იქა ხართ საქირო და მიეშველეთო. თვითონ კი საფრანგეთში დარჩა, რომ გაძლოლოდა მოძრაობასთან ერთად დაბადებულ საქიროებს.

რუსეთში მანიფესტი გამოცხადდა 17 ოქტომბრისა. გიორგის თავისუფლათ შეეძლო დაბრუნება სამშობლოში. მაგრამ მისგან თავისი საქმე თხოულობს — ევროპას არ მოშორდეს. ისიც ელის თავისი ნაშრომის ნაყოფს, — „გაზაფხულ“-ს; მაგრამ მანიფესტს შემდეგ არ გაუვლია ორ თვეს. „გაზაფხულის“ მაგიერ დაგვიდგა ზამთარი — მკაცრი, სუსხიანი, რომელმაც გაგვიანფანტა ყოველი ნაშთი იმედისა, მომავლის ბედნიერებისა; ოცნებიდან გამოგვიყვანა და თვალწინ დაგვიყენა სინამდვილე, მწვავე, გორიზი. შეუბრალებელი...

გიორგის მგრძნობიარე გულს, რა თქმა უნდა მწარეთ დააჩნდა ეს გაცრუება იმედისა და მასთან შეერთებული გულის გატეხა ჩვენი ხალხისა. შესუსტება მოძრაობისა... ამდენი შრომისა და მღელვარების გაველენით მისი სათუთი აგებულება და შერყეული ტანის სიმთილე იმ ზომამდე გაუარესდა, რომ ძალაუფლებურათ უნდა აეღო ხელი ყოველ მოქმედებაზე და სავსებით უნდა ეზრუნვა სიმთელის აღდგენისათვის. მაგრამ თვით, ხომ გვიან, ძალიან გვიან დაიწყო ზრუნვა საკუთარი თავისათვის გიორგიმ? კუჭის დასწრელების ნიადაგზე დაუსწეულდა გული და დასწემდა ზშირად გულის წასვლა. იძულებული იყო მთელი კვირაობით და ხან თვეობითაც ლოგინში წოლილიყო ხოლმე. აქიმების რჩევით პარიზს და მის ჰაერს თავი მთარიდა და გადაებარა სამხრეთ საფრანგეთს ქ. მონპელიეს. მისი მკუღლის მზრუნველობისა და მოკლის წყალობით, ეს ცოცხლა-მკადარი. თითქმის ლოგინთ ქცეული ადამიანი, მთელი 7—8 წლის განმავლობაში სიკვდილის ებრძოდა, და ექიმები ვაკვირვებული იყვენ. მისი გულის პატრონს ან აქამდი როგორ ედგა სული!.. კარგათ ვახლომისა და შეჩერებული მოძრაობის ისე დაბრუნების იმედი ერთ წამსაც არ დაკარგვია ამ ვასაოცარ ადამიანს. სიკვდილამდი ერთი წლის წინ მწერდა: „შედარებით უწინდელზე უკეთ ვარ, რადგან ფეხები აღარ მისივდება და სიარული შემიძლია; მაგრამ გულის ავთამყოფობა კიდევ მაქვს და ამ სამი დღის წინათ კრიზისი მქონდა; მე გულს არ ვიტებს და იმედი მაქვს კიდევ ვიმუშაებ თქვენთან ბევრათ თუ არა, ცოტათი მაინც. მერმის ზაფხულს პარიზს ვაპირებ ჩამოსვლასო“...

მაგრამ არ გაუმართლა იმედი განსვენებულს; აღარ დასცალდა მორჩენა და „მუშაობა“. 1910 წლის 18 მარტობისთვის კიდევ მომაწოდა თავისი ამბავი და ის წერილი შეიქნა მის უკანასკნელ ნაწერათ როგორც ჩემთან, ისე სხვებთანაც. შრომისა და ათასგვარი ზრუნვისაგან ძალზე დასუსტებული და ისეთაც სიკვდილის პირს მიწეული გამოცემულიყო. გამოსწენოდა ქლექი ფილტვისა, რომელმაც სრულ სამ თვეში სამარეში ზაიყვანა. სიკვდილის წინაწამებში, მოუსურვებია მონპელიიდან ქ. კანს (კანენს) წაყვანათ, იქნება, იქაურმა თფილმა ჰაერმა მარგოსო, მაგრამ კანის მზის ცხოველ-მყოფელმა ალერსიანმა სხივებმაც ვერ უშველა მის მორეულ ავთამყოფობას, და ჩამოს-



ვლის მეორე დღეს 18 (5) გიორგობისთვის, ერთი საათის უტანჯველ სულთაბრძოლის შემდეგ, ნაშვადღევის 4 საათზე, მის უზომოთ მოსიყვარულე მეუღლეს, ხელში მისი საცოდავი უძრავი ვაციებულები ხელითა ეჭირა...

ერთი გულის ამჩუყებელი წვლილიცა: მის უნუგეშოთ დარჩენილ მეუღლესვე და ერთ იქ შემსწრე ქართველ მეგობარს, მიხ. თუმანიშვილს, წილათ ხვდათ მისი ცხედარის კუბოში ჩასვენება...

სანამ ცხედარს საქართველოს წამოსვენებდენ, ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ფრანგთა და პოლონელთა სოციალ. პარტიებისამ შესაფერი და გულმხურვალე პატივი სცეს მათ შორის შემოხიზნულსა და თავისუფლებიანის დაუცხრომელი მებრძოლის გვამს; თითქო გრძობდენ, რომ მისი თანამემამულენი მისსავე სამშობლოში თავისდაუნებურათ ვერ შესძლებდენ მისდამი იმავე პატივისცემის საჯაროთ გამონატვას, უკანასკნელი ვალის გადახტას და რომ ჩუმათა და მღუმარეთ ჩაუშვებდენ ცივ სამარეში...

განსვენებულს გათხოვილი დისა და მეუღლეს გარდადარჩა ორი შვილი: ვაჟი ტარიელი — 10 წლისა და ქალი თინათინი — 8 წლისა. ორივე მონპელიეში სწავლობს გიმნაზიაში.

თ. სახოკია.

გაზ. „ქოლხიდა“, 2 დეკემბერი 1911 წ. ქუთაისი.

„იხანაქა რევოლუციი“

ვოორუეიონნოე ვოზსტანე ვ როსიი ნა იაპონსკაია სრედსტვა. ს. პეტერბურგ. 1906 ცენა 10 კობ. ტიპოგრაფია ა. ს. სუგორინა. ერთელევ პერ. 13.

წინამდებარე დოკუმენტები: როგორც მკითხველი დაინახავს, საქართველოს განთავისუფლებისათვის ნაწარმოებ ერთი ხანის დანასიათებას წარმოადგენს. ეს არის ხანა, როდესაც რუსეთში დაიწყო ფართო რევოლუციური მოძრაობა. ამ მოძრაობით სარგებლობა ეროვნული განთავისუფლების მიზნით ქართველთა ერთმა ჯგუფმა მოიხურვა, რომლის სულის ჩამდგმელი და შემომქმედი იყო გიორგი დეკანოზიშვილი. ამ შესანიშნავი ქართველი მოღვაწის და მებრძოლის თავგადასავალი ჯერ შესწავლილი არაა, სამწუხაროდ.

პეტერბურგში გამოქვეყნებული ქვემო მოთავსებული დოკუმენტები ამ მებრძოლის ერთი ხანის მოღვაწეობას ნათელჰვენს. თუ 1906 წელში ეს დოკუმენტები შეიძლება ყალბად გვეჩვენებოდა, როგორც რუსული პოლიციის მიერ შეთხზული, დღეს ეჭვი არაა, რომ იგი ნამდვილია. დღეს უკვე ვიცით, რომ გიორგი დეკანოზიშვილი (დეკანოზი) 1904-5 წელში სხვა რევოლუციონერებთან ერთად, იაპონიის წარმომადგენელს დაუკავშირდა, რომელმაც მათ მისცა ფული იარაღის შესაძენად; ვიცით ისიც რომ ეს იარაღი, ნაწილობრივ მაინც, ვინაიდან ნაწილი დაიღუპა ზღვაში, შემოიტანეს და გადმოტვირთეს საქართველოში. იარაღი დანაშინული იყო აჯანყებული ქართველი ერისათვის ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოსაყენებლად.

გიორგი დეკანოზიშვილის ამ ცდამ პრაქტიკულად ფუჭად ჩაიარა, თუმცა ეროვნული მოძრაობის ისტორიაში მან შესამჩნევი კვალი დასტოვა.

თუ რომელ მებრძოლ ძალას ეყრდნობოდა გიორგი დეკანოზიშვილი თვით საქართველოში, ჩვენ ეს დანამდვილებით არ ვიცით; ვიცნობთ მხოლოდ პიროვნებებს, რომელნიც ამ საქმეში მონაწილეობას ლებულობდნენ, და რომელთაგან ზოგი დღეს კიდევ დღევარძელობს. იმედია, რომ მათგან აღწერილი იქნება ქართული ბრძოლის ეს ერთი ფურცელიც. პეტერბურგში გამოქვეყნებული წიგნაკი შეიცავს 20 გვერდს და თუმცა ეს აღნიშნული არაა,

მაგრამ იგი გამოცემული უნდა იყოს რუსული „ობრანკის“ მიერ. ჩვენ ვთარგმნით ამ წიგნაკს თავიდან ბოლომდე გამოუკლებივ და პირდაპირი თარგმანით.

3. 6.

„იხანაქა რევოლუციი“

„რუსულ საზოგადოებაში უკვე დიდი ხანია გავრცელებული იყო ხმები, რომ შორეულ აღმოსავლეთში ჩვენს სამომარ მარცხთან ერთად, ჩვენში, შინ იბრძოდა საგრძნობლად რევოლუციური მოძრაობა, და რომ შეიარაღებული აჯანყებისათვის რუსი რევოლუციონერები ფუტლს ლებულობდენ იაპონური ხაზინიდან. ხალხური ალღო არ მოტყუებულა. იაპონელებიც და რუსი რევოლუციონერებიც ცინიკური უგულობით ამორჩევაში ერთი მეორის ღირსნი არიან. ერთმა თავისი იარაღის სახელი გათხვარა მოსყიდვის ტალახით, ვიმეორებ დიდი სიტყვა თავისუფლებისა შეურაცხო თავისი სამშობლოს გაყიდვით.

თქვენს წინ უღავო საბუთებია, რომელიც არავითარ ეჭვს არა სტოვებს, რომ რუსის პიროვნებათა მიერ თავისი მთავრობის წინააღმდეგ აღმართული იარაღი ნაყილია იაპონური ფულებით. ჩვენ ვებეჭდავთ ამ საბუთებს თარგმანებით და ზოგიერთს დედანით — ხელნაწერით. დაე იცოდეს მთელმა ქვეყანამ, ვისთანა აქვს საქმე თეთორასას; დაე იცოდეს რუსეთმა, ვინ ჩემულობს მის განთავისუფლებას“.

„ომამდე პეტერბურგისათვის ცნობილი თავისი სამსახურით როგორც იაპონური მისიის სამხედრო აგენტი, იაპონიის ჯარის პოლკოვნიკი აკაში, რუსეთსა და იაპონიის შორის დიპლომატიურ ურთიერთობათა შეწყვეტის შემდეგ, გადასახლდა სტოკჰოლმში, რომელიც გახდა ევროპაში იაპონური ჯაშუშობის ცენტრად. 1904 წლის შემოდგომიდან, როდესაც განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღა მოედო რუსეთის ხალხს, და ომით და მარცხებით უკმაყოფილებამ განამტკიცა რევოლუციური მოძრაობის წარმატებანი, აკაში დაუკავშირდა პარიზში მცხოვრებ რუს ემიგრანტ-რევოლუციონერებს. 1904 წლის ნოემბერში დაწყებული მოლაპარაკება დასრულდა შეთანხმებით რუსეთში შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ იაპონიის მთავრობის ხარჯზე. რევოლუციონერების მხრივ შუამავლებად გამოვიდნენ ქართველი გიორგი დეკანოზი და ფინლანდიის პარტიის აკტიური წინააღმდეგობის მომხრე, ცნობილი მოღვაწე კონნი ცილლიაუს“.

„აი პირველი, ჩვენთვის ცნობილი, წერილები აკაშისა დეკანოზისადმი“.

18 ნოემბერი

მოწყალეო ხელმწიფევ.

„ძალიან გმადლობთ თქვენი წერილისათვის. ვინაიდან მუდმივთ ბინა არა მაქვს სწორი მჯავრობათა მიზეზით. აჯანყებენი წერილები ჩემი ახლო მეგობრის სახელზე, შემდეგი მისამართით“:

„ბატონ ჰავაოს, ბრაჰეტან, 18. სტოკჰოლმი.“

„როცა მის სახელზე წერილს გამოავზავნით, თქვენ შეგიძლიათ ჩემი გვარი სულაც არ დააწეროთ მეორე კონკრეტს. თუ მე აქ არ ვარ, იგი დაუყოვნებლივ გადმომიგზავნის წერილს. სადაც კი ვიქნები. რაც შეეება იმას, რაზეც მე გწერთ, ის მზადაა პარიზში და თქვენს განკარგულებაშია: მე დამრჩენია მხოლოდ მივეცე ბრძანება ჩემს პარიზელ მეგობარს.

„მიღეთ ჩემი სალამი და სხ. აკაში“.

„1 იანვარი 1905“.

„ძვირფასო მეგობარო, საქმე პარიზში, მგონია, შესანიშნავად მოეწყო. ეხლა ახალწლის გამო მიიღეთ ჩემი საუკეთესო სურ-



ვილები როგორც პირადათ თქვენთვის, ისე საერთო ჩვენი საქმისათვის.

„ვიმედოვნებ, რომ ჩვენი მეგობრობა უფრო განმტკიცდება. გთხოვთ, ძვირფასო მეგობარო, კვლავ მიიღოთ ჩემი ახალწლის მოლოცვანი.“

აკაში“.

(ამ წერილის ფრანგული ხელნაწერი დაბეჭდილია წიგნაკში).

„მოწყალეო ხელმწიფეც,

„თქვენი წერილი როტტერდამიდან მივიღე. მე მივწერე ჩემს მეგობარს ტაკაძეს, 22 ქუჩა ვინიობ, პარიზში. ამ ბატონს დაუნიშნეთ თქვენ ბაემანი. პარიზში თქვენი დაბრუნების შემდეგ, ალბად, მიიღებთ მისგან წერილს.“

„მიიღეთ და სხ.“

აკაში“.

(ამ წერალის ფრანგული ხელნაწერიც მოთავსებულია წიგნაკში).

„პარიზში ყოფნისას აკაშიმ მიიღო წერილი“:

„მოწყალეო ხელმწიფეც,

„გულში საღამოს მიღებული თქვენი წერილის საპასუხოდ, შინ დაბრუნების შემდეგ, ვიჩქარი ვაცნობოთ, რომ ბ. ცილიაქუსი ჯერ არ მოსულა და რომ მას ველი ყველწუთში.“

„თქვენი ერთგული ემპილოვ“.

„რამოდენიმე თვის გამორკვევითა შედეგად აღმოჩნდა, რომ ემპილოვ არის ფსევდონიმი დეკანოზისა, რომელსაც ფარული მიზნებისათვის ბინა ჰქონდა ქუჩა პიერ მარონზე, და რომ აკაში პარიზში ჩასვლის დროს ჩერდებოდა ხოლმე სასტუმრო ოტელ დიენა-ში. ამ გამოძიებამ საშუალება მოგვცა აღმოგვეჩინა, რომ 1905 წლის 2 მაისს სამ საათზე აკაშის მიერ ნაქირავებ ოტელ დიენის ოთახში № 20 მოხდა აკაშისა და დეკანოზის შეხვედრა, რომელსაც წინ უძღოდა დეკანოზის წერილი აკაშის სახელზე“.

„პარიზი, 1. მაისი, 1905.“

„ძვირფასო მეგობარო,

თქვენი დეპეშის საპასუხოდ ვატყობინებთ, რომ ჩვენ შეგვიძლია შევხვდეთ ერთმანეთს ხვალ. სამშაბათს, 3 და 4 საათს შუა. თქვენთან საუბარი საიმოცენების მოლოდინით მიიღეთ და სხ...“

„ამ შეხვედრის დროს აკაში არწმუნებდა თავის მოსაუბრეს, რომ აუცილებლად საჭიროა აქტიური ბრძოლა რუსეთის თვითმპყრობელურ წესწყობილებასთან, და დეკანოზმა კი დაწვრილებით მოახსენა თავის პატრონს რუსეთში რევოლუციური მოძრაობის მსვლელობაზე და კერძოდ ყირიმში მომხდარ არეულობათა შესახებ. ეს საუბარი დასრულდა მით, რომ აკაშიმ გადასცა გიორგი დეკანოზს 125 ათასი ფრანკი შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად და ორივე შეთანხმდა მომავალ მიწერმოწერაში იხმარონ ფსევდონიმი „ფრედერიკ“ და „ჟორჟ“.

„ამ შეხვედრის ხანაში აკაშიმ მიიღო შემდეგი წერილი ცილიაქუსისაგან“:

(ამ წერილის ხელნაწერი დაბეჭდილია წიგნაკში).

„კოპენჰაგენ, 25 აპრილი.“

„ძვირფასო მეგობარო,

„გმადლობთ წერილისათვის, რომელიც მივიღე დაგვიანებით, უქმეთა გამო, საპასუხოდ სტოკჰოლმიდან. რაც შეეხება ჩემს მგზავრობას, მე ვფიქრობ აქედან წავიდე პარასკევს საღამოს ჰამბურგს, სადაც დავრჩები ერთი დღე, შერმე წავალ შაბათ საღამოს და მივალ პარიზს ორ-

შაბათ ნაშუადღევს. იქ, მგონია, დავრჩები ცოტახნით ლონდონს წასვლამდე, და თუ თქვენ შეგეძლებათ ჩამაბაროთ პარიზში 4,000 გირვანქა (სტერლინგი) მათთვის, ვისაც დავპირდი ამერიკაში მოგროვილი თანხები, ძალიან მადლობელი ვიქნები. მზადება შესანიშნავად მიმდინარეობს და ფული დნება, როგორც თოვლი მხეზე.“

„ვიმედოვნებ, თქვენ გადმოგცეს დაპირებული მოხსენება თქვენ წასვლამდე, იგი გამოგვზავნეთ აქედან შაბათ საღამოს. როგორც კი პარიზს მივალ, მაშინვე შევატყობინებთ ჩემს მისამართს. ნახვამდის, ერთი კვირის შემდეგ ან დაახლოვებით ასე.“

„მეგობრულად თქვენი კონნი ცილიაქუს“.

„მალე შესაძლებელი ვახდა გადაგველო ფოტოგრაფია შემდეგი საბუთიდან, რომელიც ცილიაქუსის ხელითა ნაწერი“:

(ეს საბუთი ფრანგულ ენაზე მოთავსებულია წიგნაკში).	
იახტა	3,500 500 ლონდონი.
„ს. რ.	4,000 აქ.
ეკიპაჟი და სხ.	500
5,000 თოფი გ-სთვის	2,000
1,000 თოფი ს. რ.-სთვის	800 15 დღე.
8,000 თოფი ფ.-სთვის	6,400 " "
5,000 თოფი ს. პ.-სთვის	4,000 " "
500 მაუზერი ფ. და ს. რ.-სთვის	
დასარიგებლად	2,100
	<hr/>
	21,300
უკვე მიღებულია	2,000
	<hr/>
	23,300

„ეს უკანასკნელი საბუთი წარმოადგენს დიდ მნიშვნელობას იმიტომ, რომ აკაშისაგან ცილიაქუსის მიერ რალაც საიდუმლო საქმისათვის ფულის მიღების დადასტურების გარდა, იგი შეიცავს ანგარიშს ხარჯებისას იარაღისა და იახტისათვის, ეს უკანასკნელი ალბად იარაღის გადასაზიდათ; ამასთანავე ანგარიშში ნაჩვენებია ასოებით ის ორგანიზაციები, რომელნიც ლეგულობენ ფულსა და იარაღს: ს. რ. (სოციალისტ რევოლუციონერები), გ. (ქართული რევოლუციური პარტია — გრუნინსკაია რევოლუციონაია პარტია), ფ. (ფინლანდიას) და ს. პ. (პოლონური სოციალისტური — სოციალისტ პოლონე). ამ ანგარიშის მიხედვით ცილიაქუსის მიერ შეიარაღებულ აჯანყებაზე დახარჯული თანხა გამოიხატება საგრძნობი რიცხვით — 26,000 გირვანქა სტერლინგი, ანუ დაახლოვებით 260,000 მანეთი!“


„21 მაისს დეკანოზმა მიიღო კონნი ცილიაქუსის წერილი ლონდონიდან. რომელიც შედგენილი იყო მათი საერთო მეგობარის, აკაშის მონაწილეობით“.

„ლონდონი, 20 მაისი“.

„ძვირფასო ბ-ნო დეკანოზი, გწერ, რათა ვაცნობოთ, რომ ჩვენი საქმე ძალიან კარგად მიდის. შესაძლებელია ვიმოვიოთ და გამოვიგზავნოთ კიდევ უფრო მეტი. ვინემ ვფიქრობდით, ოლონდ თქვენ მოახერხეთ კი მათი მიღება. ამ საქმისათვის ვიქნები ჰამბურგში 25-ს, და გთხოვთ იყოთ მზად იმ შემთხვევისათვის თუ დავჭირდებით იქ მისვლა საქმის საბოლოო მოსაწყობად. ამ შემთხვევაში მე თქვენ გამოვიგზავნით ერთ-სიტყვიან დეპეშას: „საჭიროა“. და მერმე იკითხავთ ბ-ნ ზინკლერს, სტრაიტს ჰოტელ-ში, იუნგფერნსტიგ; ყველა მეეტლემ იცის.“

„ჩვენი საერთო მეგობარი საღამოს გიძღვნით და მთხოვს ვაცნობოთ, რომ იგი ყველაფერ ამაში თქვენთან ერთადაა“.

„თქვენი ერთგული კ. ც. (კონნი ცილიაქუს).“



„სამი დღის შემდეგ, 24 მაისს, დეკანოზი ლებულობს ჟორჯისაგან (აკაში) წერილს:

„23 მაისი“.

„ძვირფასო მეგობარო,

„ჯერ კიდევ აქა ვარ. ჩვენმა მეგობარმა ც. იქნება კიდევ მოგწერათ. მე ალბათ წავალ აქედან ბერლინს ხვალ საღამოს. თუ თქვენ მიიღებთ ც-ს მოწვევას, მაშინ სასიამოვნო იქნება ჩემთვის კიდევ გნახოთ თქვენ, რაც ჩემთვის ძალიან სასურველია, რადგან შესაძლებელია იქნეს ისეთი რამ, რაზეც მოვილაპარაკებთ. მაშ ასე, ეცადეთ მოხვიდეთ 3-ში.

„მიიღეთ და სხ.

ჟორჯი“.

„რამოდენიმე დღის შემდეგ გიორგი დეკანოზს მიუვიდა ლებულობსი ლონდონიდან“:

„ლონდონი 3, 10, 22, 25, 9 ს. 45 წ. გადაეცით ფრედერიკს, რომ ჟორჯი მოვა 4 ს. 45 წ. ჩრდილოეთის საღვურთ, სადაც მას სურს მისი ნახვა“.

„ამ დებემაში აღნიშნულ დღესა და საათს პოლიკონიკი აკაში მივიდა პარიზს, სადაც შეხვდა დეკანოზი. მისალმების შემდეგ, ორივე გაემგზავრა ნიუ ოტელ-ში, სადაც მათ მიერ ნაქირავებ ოთახში დაჰყვეს რამოდენიმე საათი, და შემდეგ გაემგზავრა ბერლინს. იმ დღეს, როდესაც აკაში და დეკანოზი, ერთმანეთს შეხვდნენ, კ. ცილიაქუსი მივიდა ჰამბურგსა, სადაც დასახლდა სტრაიტი ოტელში. იგი შემოწერილში, 20 მაისისა, ცილიაქუსისა და დეკანოზისა, მოხსენებულა ვაჭარ ზინგლერის სახელით. 27 მაისს იგი ინახულა ბერლინში მხოლოდ რამოდენიმე საათით ჩასულმა აკაშიმ. მათი შეხვედრა გავრძელდა 2ს. 15 წუთს. იაპონელი დაბრუნდა ისევ ბერლინს, და ცილიაქუს-ზინგლერი კი ცოტახნის კოპენჰაგენში ყოფნის შემდეგ დაბრუნდა ისევ ჰამბურგს. შემდეგ იგი წავიდა გარბურგს, სადაც იყო სატრანსპორტო კონტროლაში ბაუკ და დიურკოპ და ჰოლც; და შემდეგ დაათვალიერა ნვენსადგურში მდგომი პატარა გემი „კალიკსტო გარსია“, რომელსაც უფროსობდა შევიდი ბესტრემი“.

„3 ივნისს დეკანოზმა მიიღო აკაშის წერილი“:

„ძვირფასო მეგობარო,

ჰამბურგში შეგვერხდით. მე ესლა აქა ვარ და დავრჩები კიდევ რამოდენიმე ხანს, როგორაა თქვენი საქმიეები? იმუშავეთ ენერგიულად, იპოვნეთ გადაზიდვის საშუალება; აუცილებელია გავათავოთ სულ მოკლე ხანში. რა ისმის პარიზში? მე აქ ალბათ დავრჩები შუა კვირამდე (მაგალითად ოთხშაბათამდე) და ბინას არ გამოვიცვლი. თქვენ გექნებათ დრო მომწეროთ.

„გრავენ-სტრიტი, ჩარიინი კროსს“.

„და 20 ივნისს წერილი ჟორჯ მარტენის ხელმოწერით“:

„ლონდონი 19-6.

„ძვირფასო მეგობარო,

„თუ იჩქარით დანარჩენი მიიღოთ ესლავე, მაშინ უკეთესი იქნებოდა აქ მოსვლა ბ-ნ ჰანრისთან, №3 კლიფტონ, ვილას კებდენ სკვერ, ნ. ვ. ლონდონ, თუ არა და მომწერეთ მისამართით.

ჟორჯ მარტენ

ბ. მარტენ, ვ. კლიფტონ ვილას“.

„შეკრებილი ცნობების მიხედვით აღმოჩნდა, რომ ამ წერილში აღნიშნული გვარით ჰენრი, ლონდონში ცხოვრობდა კონნი ცილიაქუსი, და ჟორჯ მარტენის სახელით იფარებოდა იაპონელი აკაში.

„იმ დროს, როცა აკაში, ცილიაქუსი და დეკანოზი ერთმანეთს სწერდნენ, მიდიმოდიოდნენ და ხედებოდნენ, ეწარმოებია აგრეთვე არა ხაკლებ საინტერესო საქმიანი მიწერმოწერა, რომელიც ეხებოდა იარაღის შესყიდვას. იმავე დეკანოზსა და იმ დროს შვეიცარიაში მცხოვრებ, პეტერბურგისათვის ცნობილ, ერთი ფრანგული ვაჭეთის კორესპონდენტის, ევგენი ბოს ანდა იმ პირს შორის, ვინც შემთხვევით ატარებდა ამ გვარსა და სახელს. მოგვაქვს სიტყვა-სიტყვით ეს მიწერ-მოწერა ფოსტითა და ტელეგრაფით“.

„კვირა, 18 ივნისი.

„გუშინ ვიყავი ჩემს მომწოდებელთან, და თანახმად თქვენთვის ცნობილი მონაცემებისა, მე დავსდევ ვინას-წარი ხელშეკრულება“.

„დღეს ნაშუადღევს მე მქონდა შეხვედრა ჟენევაში ჩვენს მეგობართან, რომელიც იწონებს აღნიშნული ხელშეკრულების პირობებს, გარდა ვადის საკითხისა, რომელსაც იგი სთვლის მეტად გრძელად. მაშ, მე უნდა ვინახული ჩემი მომწოდებელი, რათა შევეცადო მივიღო მისგან თუ გინდ ნაწილი დაკვეთისა 18,000 ცალის ოდნობით 12 ივლისისათვის. იმედია ხვალვე მივიღებ დამაკმაყოფილებელ პასუხს და ამგვარად ჩვენ შეგვიძლია ყველაფერი გადავწყვიტოთ ხვალ საღამოს ან სამშაბათს დილით. უნდა გავათავოთ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება-სულაც ვეღარ მივიღოთ საქონელი, რომელსაც ეხლა ყველგან თხოულობენ; ამის დადასტურება მივიღე ფარულად.

„თუ თქვენ გსურთ დაესწროთ კონტრაქტზე ხელისმოწერას, მაშინ წამოდიოთ ხვალვე საღამოს 8 ს. 50 წ. ლიონის რკინისგზით. თქვენ შეგიძლიათ მოხვიდეთ ლოზანაში ან ჟენევაში; პირველ შემთხვევაში შეიძლია სადგურზე შეგხვდეთ. თუ თქვენ წამოსვლის საჭიროებას არ ხედავთ ან საქმე გაკავებთ, მაშინ კეთილი ინებეთ და შემატყობინეთ დებეშით ხვალვე თქვენი სურვილები და შენიშვნები, თუმცა ვფიქრობ, ზუსტად შევასრულე, რაც თქვენ გსურდათ. რადგან ხვალ ჟენევაში ვიქნები თქვენ მეგობართან, გამოგზავნეთ დებემა ჩემს სახელზე ჟენევაში, მოთხოვნით. ხელისმოწერა არ უნდა.

„ჩვენი მეგობარი წაიღებს მხოლოდ 18 ცალს 22-ის მაგივრად. მე ვფიქრობ, რომ შეგეძლებათ წაიღოთ 8 ან 9, რადგან წამოსვლის წინ საჩქაროდ მოხდენილი გამოანგარიშება სწორი არ იყო. იანგარიშეთ თვითონ:

18 ცალი	0,50	9,000
18 X 200=36,000	1	36,000
	სულ	45,000

„თქვენი საპასუხო დებეშით შემატყობინეთ ზუსტად, რამდენი ცალი გსურთ.

საუბედუროდ, ჩემი მომწოდებელი აქედან ახლოს არ სცხოვრობს და რომ იგი ვნახო, მჭირდება 4 საათის მგზავრობა რკინისგზით. ამის მიუხედავად მე, როგორც ხედავთ, ტყუილა დრო არ დამიკარგავს და იმედი მაქვს კეთილად დავასრულო დაკისრებული მოვალეობა.

თქვენი ერთგული ვეგენი ბო“.

„ლოზანა, 20 ივნისი 1905 წ.

„ძვირფასო მეგობარო,

„კვირას გამოგიგზავნეთ დაწერილებითი წერილი, რომელიც უნდა მიეღოთ ორშაბათს დილით ადრე. გთხოვთ მოსულიყავით აქ ან გეპასუხათ დებეშით ჟენევაში, სადაც გუშინ ჩვენს მეგობართან ვიყავი. რადგან ფოსტაში ვერ ვნახე მოსალოდნელი თქვენი დებეშა, გადავწყვიტე, რომ თქვენ თავის დროზე ვერ მიიღეთ ჩემი წერილი ან საჭიროდ არ ჩასთვალეთ პასუხი. ვინაიდან ჩვენს მეგობარს გამგზავრება ეჩქარებოდა და მიორე მხრივ კი მის მიერ დანიშნული ვადა მეტისმეტად მოკლე იყო, მე იძულებულ



ლი გავხდი ჩემს მომწოდებელთან დამედო კონტრაქტი თქვენთვის ცნობილ პირობებში 15,000 ცალისა და 2 ძილიონი 500 ათასი წიგნაკის შესახებ.

„რადგან ჩვენი მეგობარი ფიქრობს წაილოს მთელი დანაკვეთი თქვენთან შეთანხმებისამებრ, ვთხოვთ მაცნობოთ თქვენი განზრახვანი, ვინაიდან ჩემს მომწოდებელს არ სურს თავი დაიბოროკოს ვადებით ნაკლებ 30 დღისა. ვიქნები პარიზში კვირის ბოლოს; კვირას ან სულ გვიან, ორშაბათს. თუ თქვენ გირჩევნიათ ჩემს მოსვლას მოუცადოთ, რათა საქმე გადაეწყვიტოთ, მოიქეცით როგორც გსურთ; მაგრამ მე ძალიან მსურს შემატყობინოთ ჩემი, ამისი და ამისწინა წერილების მიღების შესახებ.

თქვენი ერთგული ევგენი ბოლოზანა.

„დეპეშა“.

„ლოზანა, 1529, 56 21—6 11 ს. 15 წ. ს.

„მივიღე თქვენი დეპეშა წერილის გავზავნის შემდეგ, რომელსაც მიიღებთ. ხვალ დეპეშას ვუგზავნი მომწოდებელს. მაგრამ არ ვფიქრობ მოკლე ვადაზე დავათანხმო. გემის წასვლა თუ მოხდება არა უადრეს 20-ისა, ე.-ს შეუძლია მოასწოროს. დეპეშით მაცნობეთ გემის გასვლის ზუსტი ვადა. ყველაფერს ვიზამ, რაც ჩემზეა დამოკიდებული. დაუყოვნებლივ ვაცნობებთ მომწოდებელის პასუხს“.

„ლოზანა, 21 ივნისი“.

„ძვირფასო მეგობარო, დიდი სიამოვნებით მივიღე თქვენი წერილი 20-ის, რადგან თქვენი დეპეშა არ მომივიდა, რითაც აიხსნება ჩემი მოუთმენლობა. 18 ივნისის წერილით ვთხოვეთ დეპეშები გამოგვხავნათ ყენევაში; იქ გავზავნებ? ხვალ ვბრუნდები ყენევას, რათა მოლაპარაკება ვაწარმოო „განძთა ვადამზიდავ საერთაშორისო საზოგადოებასთან“ და შევივლი კიდე ფოსტაში. არაფერი მაქვს დასამატებელი წინა წერილზე. არ გინახავთ ჩვენი მეგობარი, რომელსაც უნდა გაეგლო დღეს პარიზზე? მე უკვე გითხარით, რომ მან შეუტყვეთა 15 ათასი და 2,500,000 კარტი, რომელიც მზად უნდა იყოს 12 ივლისს. ვერ შეეძლო მეტი მიმეღწია ვადის სიმოკლის გამო. და ამის გარდა საჭიროა საქმარისად დიდი დამატება არაჩვეულებრივი ხარჯებისათვის და ყუთების სასწრაფო დამზადებისათვის, და აგრეთვე ჩქარი მატარებელით გავზავნისათვის. ყველაფერი ეს მოვაწყე ჩემს მომწოდებლებთან კარგ განწყობილებათა წყალობით: ამას არავის სხვას არ გაუკეთებდენ. დღეს დილით თქვენი წერილის მიღების შემდეგ ჩემს მომწოდებელს ვავუგზავნე დეპეშით შეიძლება, შეუძლია თუ არა მას დანიშნული ვადისათვის მოგვეცეს მეტი საქონელი. ეხლანდ მივიღე მისი საპასუხო დეპეშა, რომლითაც მაცნობებს, რომ შეუძლია ჩავვაბაროს კიდე 1000 ცალი და 200,000 კარტი. როგორც ხედავთ, ეს იმდენი არაა, როგორც თქვენ ითხოვდით, მაგრამ მაინც შეგიძლიათ გაავზავნოთ ორგზით. შემდეგ ათ დღეში ანუ 22 ან 25 ივლისს შეიძლება მივალწიოთ იმას, რომ მომწოდებელმა მოგვეცეს 7,000 ცალი და 150 კარტი თვითივე ცალზე, რასაც ითხოვდით თქვენი წერილით. მითხარით, როგორ მოვიქცე.

1. „დავუკვეთო 1,000 ცალი და 200,000 კარტი, რომელსაც ჩემი მომწოდებელი მპირდება 12 ივლისისათვის“.

2. „დავუკვეთო 7,000 და 150 კარტი თვითივე ცალზე, ახალ ვადის ვადაწევით 10—17 დღით ყოველ შემთხვევაში“.

„თქვენი აქ ყოფნა უსარგებლოა, მით უმეტეს, რომ კვირის ბოლოს ან ორშაბათს მოვალ პარიზს თქვენ სანახავად, კონტრაქტისა და სხვა ქალაქების საჩვენებლად და შემდგომ განკარგულებათა მისაღებად.

„თქვენმა მეგობარმა მითხრა, რომ მას ალბად კიდე დასჭირდება საქონელი, მაგრამ ჯერ უნდა ვაიგოს მეორე გემის გასვლის შესახებ და რომ იგი ამის შესახებ წინასწარ მაცნობებს.

„კეთილი ინებეთ მიპასუხეთ ხვალ, ხუთშაბათს, წერილით, რომელსაც მივიღებ პარასკევს დილით, რა ვუყო თქვენს დაკვეთას, რადგან, თქვენ თვითონ ხედავთ, ჩემს მომწოდებელი მოითხოვს ვადას 25-დან 30 დღემდე.

„ჩააგდეთ თქვენი წერილი ფოსტის ყუთში ექვსის ნახევრამდე, რომ იგი იმ სალამოსვე გამოიგზავნოს. თუ თქვენ ხვალ, ხუთშაბათს, მინ არ იქნებით და თავის დროზე არ მიიღებთ ჩემს წერილს, მაშინ მივდექეთ სულ უგვიანეს პარასკევ სალამოს, რადგან პასუხისათვის მაქვს ვადა მხოლოდ შაბათამდე.

„ყველა წერილი და დეპეშა მომართეთ აქ ლოზანაში“.

ე. ბოლოზანა.

„უკანასკნელ წერილზე დეკანოზი 22 ივნისს დეპეშით უპასუხებს“.

„დეპეშა“:

„ბო, ლა გარენ ლოზან

„დაუკვეთეთ ყველაფერი 20 ან 23 ივლისისათვის არა რიგ-რიგობით“.

„ამ დეპეშას დეკანოზი აწერს ხელს თავისი სიდერის რენუფის გვარს. შემდეგ ევგენი ბოლოზანა წერს დეკანოზს“.

„ლოზანა, 22 ივნისი, სალამო.

„ძვირფასო მეგობარო,

„მივიღე თქვენი გუშინდელი წერილი და თქვენი დეპეშა 19-ის, გამოგზავნილი პარიზიდან 7 ს. 30 წ.“

„რადგან ფოსტა იკეტება 8 ს. გაიგებთ, თუ რატომ ვერ მივიღე იგი“.

„თქვენი გუშინდელი დეპეშის შემდეგ: „მიიღეთ 7,000 და 150 კარტი“, ვუდეპეშე ჩემს მომწოდებელს და მომცა დადებითი პასუხი. იგი მპირდება 5 ან 6 ათას ცალს და 150 კარტს, დამატებით 1,500-დან 2000 ფრანკამდე სიჩქარისათვის, 16 ივლისს.

„მეორე მხრივ განძთა გამგზავნი საზოგადოებასაგანაც მივიღე დაპირება, რომ იგი ყველაფერს იზამს, რათა საქონელი გაავზავნოს თავის დროზე და რომ 20 ივლისს შეიძლება გემი დაიტვირთოს“.

„ჩემმა მომწოდებელმა მიიღო გარკვეული პასუხი და, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი რიგზე იქნება“.

„გარწმუნებთ, მომწოდებელმა რაც მისგან იყო დამოკიდებული, ყველაფერი გააკეთა, რათა თქვენ გასიამოვნოთ, და თქვენ ამას დაიჯერებთ, როცა თქვენის თვალთნახავთ დეპეშათა იმ რიცხვს, რომელიც ჩვენ ერთმანეთს ვავუგზავნეთ. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ასეთი დიდი საქმისათვის ასე მოკლე ვადა მოგვეცით. მე თვითონ არ მოველოდი საქმის ასე კეთილად დასრულებას. აბა გასინჯეთ, საჭიროა დამზადება 2,500 ყუთისა ოც დღეში, მერმე რევიზია, დაწვთვა, ჩაწყობა და სხვა და სხვა. საჭირო იყო 5 ან 6 ქალაქში ერთსა და იმავე დროს ყოფნა. კიდე კარგი, მომწოდებელი ჩემი კარგი მეგობარია. თორემ ისე საქმე არ გამოვიდოდა. ყველაფერს ამას თქვენ საბუთებიდან დანიხავთ. ვიმედოვნებ კმაყოფილი დარჩებით, თუმცა 8,000-ის მაგივრად მხოლოდ 6,000 იქნება. მაგრამ ეს დიდი განსხვავება არაა, მგონია, არ ექნება მნიშვნელობა, მით უმეტეს, რომ მითხარით, რომ თქვენ დაამშვიდებთ ჩვენს მეგობარს, გქონდეთ ჩემი იმედი“.

„ლოზანა, პარასკევი, 81. სალამო.

„ძვირფასო მეგობარო. ვიჩქარი რამოდენიმე სიტყვა მოგწეროთ. 6 ს. 15 წ. გამოგვგზავნეთ დეპეშა ცნობით, რომ ყველაფერი მოწყობილია. დღეს ნაშუადღევს ჩვენ დავსდევით ხელშეკრულება 7 და 150 მეტრზე თითოეული სათვის. უნდა ვადავიხადოთ დამატებით გაძლიერებული მუშაობისათვის. ყველაფერს ამას ავიხსნით ორშაბათს, როგორც მოვალ პარიზში, კვირას სალამოს ან ორშაბათს



ილით. მობრძანდით ჩემთან ორშაბათს, როცა გნებავთ; გიცდით. არ ვიცი მისამართი ჩვენი მეგობრისა და ველო- დები მისგან ცნობას ყუთებზე ნიშნების დაკვირვების შესახებ. გაუგზავნეთ დეპეშა და სთხოვეთ დარიგება, რომელსაც შემატყობინებთ პარიზში. „მივიღე თქვენგან: 1) დეპეშა ჟენევაში, 2) დეპეშა აქ, 3) წერილები აქ.

„საერთოდ 7 ცალი. თუ საჩქარო არა გაქვთ რა, ნულარ მომწერო.

მეგობრული სალამი“.

„ამ მიწერმოწერის საგანის შესახებ, სადაც იხსენება „15 ათასი 2,500,000 კარტი“, „1,000 ცალი და 200,000 კარტი“, „7,000 და 150 კარტი თითოულზე“, ზერელე პირველ წაკითხვისას შეიძლება წარმოიდგინოთ ყველა- ფერი, მაგრამ არ იფიქრებთ იარაღზე და ტყვიანზე, მაგრამ თუ მიაქცევთ ყურადღებას ბო-ს წერილების ცნობას 22- ისას, სადაც იგი ამბობს, რომ საჭიროა 8. ორიათასნახე- ვარი ყუთი „კარტებისათვის“ და რომ ამ გამოუცნობ კარ- ტებს სჭირდებათ „დაზეთვა“, მაშინ ყოველი სხვა ეჭვი უნდა გაიფანტოს და მკითხველისათვის ცხადი გახდება, რომ საიდუმლო ურთიერთობა დეკანოზისა და ბო-ს არის გვემის ალსრულება პირველისა, აკაშისა და ცილიაკუცი- ისისა და რომ ბო იყო შვეიცარიაში იარაღებისა და ტყვიე- ბის შემსყიდველი, და ფრანგული სახელი ტყვიისა კარ- ტულში, საიდუმლოებისათვის, შეცვლილ იქნა სიტყვით კარტ. თუ ამ მიწერ-მოწერის საფუძველზე მოვახდენთ იმის ანგარიშს, რომ რაღაც „საგნების“ და „კარტების“ სახით იაპონიამ შეაიარაღა რუსი რევოლუციონერები, აღმოჩნდება, რომ მან, იაპონიამ, ბო-ს ხელით იყიდა დე- კანოზისა და ცილიაკუსისათვის 25,000. თოფი და 3.500,000 ტყვია“.

„24 ივნისს ბო ატყობინებს დეპეშით პარიზში დეკა- ნოზს:

„ინჟინერ დეკანოზს 18, ქუჩა ფოს სენ-ჟაკ.
„საქმე ვათავებულა, ორშაბათს, პარიზში ვიქნები, არა მაქვს მეგობარის მისამართი“.

„და იმავე დღეს დეკანოზმა მიიღო ლონდონიდან წე- რილი ცილიაკუსისა ინგლისურ ენაზე:

„ლონდონი, 23 ივნისი“.
„ძვირფასო დეკანოზი,
„ჩემთან ერთად გწერთ ჟორჯი და გთხოვთ მოხვიდეთ აქ ზოგიერთ საქმეზე მოსალაპარაკებლად, ეს სჯობია ვი- ნემ ვენდოთ ფოსტას. ვიმედოვნებთ მოხვალთ და შეგვეძ- ლება გადავწყვიტოთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი. გულწრფელად თქვენ“.

„და მეორე დღეს დეპეშა აკაშისაგან:
„ლონდონი 62 57 18 24 8 ს. 11 წ. სალამო,
„არ ვიქნები სამი-დღის განმავლობაში, ვბრუნდები აქ მხოლოდ სამშაბათ სალამოს.
მარტენ“.

„და ორი დეპეშა ცილიაკუსისა; პირველი:
„ჟორჯი დაბრუნდა. იგი და მე გთხოვთ რაც შეიძლება ჩქარა მოხვიდეთ. გვიპასუხებთ ჩრასტოვ 20 ბედფორდ მენშენ, გროუნერ სტრიტ“

„და მეორე: ლონდონი 362 18 25 ჯ.“.
„თქვენი აქ ყოფნა საჭიროა. სთხოვეთ მეგობარ ბ-ს მოუტადოს თქვენს დაბრუნებას“.

„ჩვენ მოვათავსეთ აქ ჩვენს ხელთ არსებული საბუთები. დამატებით უნდა მოვახსენოთ, რომ გემი „კალიკსტ გარ-

სია“, რომელიც უკანასკნელად დაათვალიერა ჰამბურგის ნავთსადგურში კონნი ცილიაკუსმა, 16 ივლისს გავიდა ზღვაში და გაეგზავრა ისეთი მიმართულებით, რომელიც თვით ადგილობრივი ნავთსადგურის მართველობამაც არ იცოდა. მკითხველთ უნდა გაეახსენოთ, რომ 25 აგვისტოს ქალაქ ულიაბოროგის მცხოვრებმა, მყენითავე იუნტუნე- კმა, რომელიც მსახურობდა იანტაზე, ქალაქ კემი-სთან ახლოს, იპოვა დასილული განძი: 93 ყუთი, რომელშიც აღმოჩნდა 659 ვინტოვკა, 658 ხიშტი და 120,000 ტყვია. 26 აგვისტოს იაკობ შტადტის ჩრდილოეთით 22 კილო- მეტრზე, ლარსმორ შხერში, ფინლანდიის ნაპირებისაკენ მიმავალი გემი, სახელით „ჯონ კრაფტონ“, შეტურდა ქვა- ზე. რამოდენიმე საათის შემდეგ გემზე მოხდა აფეთქება. გემის ჩაძირვის ნაწილების განხილვის დროს აღმოჩნდა აუარებელი ოდენობა თოფების, რევოლვერების და ტყვი- ების. 28 აგვისტოს კუნძულ კოლმარზე აღმოჩენილ იქნა მიმალული 700 ვინტოვკა, ყუთები საესე რევოლვერებით, ტყვიებით, ასაფეთქებელი მასალებით, და აგრეთვე რე- ვოლუციური წიგნაკები რუსულ ენაზე;

„ყველა ამ შემთხვევაში ნაპოვნი იარაღი აღმოჩნდა შვეიცარიაში გაკეთებული. გვიხსენოთ, რომ მეგრძოლი რაზმები დეკემბრის დღეებში მოსკოვში შეიარაღებული იყვნენ აგრეთვე შვეიცარული დამზადების იარაღით.

„მიწერმოწერიდან იცით, რომ „ჯონ კრაფტონის“ გა- რდა ლაპარაკი იყო კიდევ ერთ გემზე.

„ეს მეორე გემი, იაპონური ფულით შესყიდული იარა- ლებით დატვირთული, დანიშნული იყო კავკასიურ რევო- ლუციურ ორგანიზაციებისათვის და მისი მოწყობ გაგზავ- ნა დაკისრებული ჰქონდა გიორგი დეკანოზს. ამ საიდუ- მლო გემის შესახებ უცხოეთის გაზეთებში დაბეჭდილი იყო შემდეგი ცნობები:

„ცნობილი პოლანდიელი ანარქისტი კორნელისენ, რო- მელიც ამჟამად პარიზშია, თანამშობლობს ამსტერდამის ანარქისტულ გაზეთში „ფოლკსბაგად“, სადაც მან, დი- დი ხანი არაა, გამოაქვეყნა წერილი „ექსპედიცია კავკა- სიისაკენ“, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა.

„წარსული წლის სექტემბრის დასასრულს ამსტერდამის ნავთსადგურში იღვა გემი, რომელზეც იმ დროს ბევრს ლაპარაკობდნენ, და გაზეთი „ტელეგრაფ“ ირწმუნებოდა კიდევ, რომ იგი დატვირთულია იარაღით და საბრძოლო მასალებით, და ზოგიერთი გარემოება მართლაც ადასტუ- რებდა, რომ ყველაფერი წესრიგზე არ იყო. ამ გემის მო- სასახურენი კი დაჟინებით უარჰყოფდნენ გავრცელებულ ხმებს, და ვინაიდან გემი მალე მოიხსნა, იგიც მივიწყეს. ეხლა კი ხრისტიანი კორნელისენ თაგისთავს ათიარებს ამ გემის „სირიუს“-ის პატრონად და დაწვრილებით მოგვი- ხრობს, რომ მან, გემმა ათი ვაგონი იარაღი მიიტანა კავკა- სიაში. 15 იანვარს „სირიუსი“ უხიფათოდ დაბრუნდა კავ- კასიიდან ამსტერდამს. იგი სწერს: „ინტერნაციონალური კომიტეტი“ (სად იმყოფება ასეთი, იგი არ აჩვენებს) იძუ- ლებული იყო ემოქმედა მეტად ფრთხილად იმ ცდის შემ- დევ, როცა „ჯონ კრაფტონ“-ი, რომელსაც ამგვარი ტვი- რთი (იარაღი) უნდა მიეზიდა ფინლიანდელი აჯანყებუ- ლებისათვის ჰელსინგფორსში, დაიღუპა ფინლანდიის ნა- პირებთან“.

„გემ „სირიუს“-ის შესახებ ცოტა ხალხმა იცოდა რამე, და იგი ისე უნდა ვასულიყო ზღვაზე, რომ ყურადღება არაეის მიექცა. სიანს, იმედოვნებდნენ პოლანდიას პოლი- ციის სუსტი მეთვალყურეობით რადგან, მიუხედავად იმისა, რომ „ტელეგრაფ“ განგაშს სტეხდა, პოლიციამ ამას არა- ყითარი ყურადღება არ მიაქცია. დასაწყისში „სირიუს“-ის სელა სავსებით კარგად მიმდინარეობდა, მაგრამ ხმელთა- მუთაზღვის ერთ-ერთ ნავთსადგურში მისი საიდუმლოება გაიხსნა და რუსულმა საიდუმლო პოლიციამ მას თვალყუ- რის დევნება დაუწყო. რათა თავისი შემდგომი გზა დაე- მალა და პოლიციას დაშალოდა, „სირიუს“-ი ხან ერთი. ხან მეორე მიმართულებით მიდიოდა და ასეთი მანევრე- ბით მან მიზანს მიაღწია.



ნოემბერში იგი შევიდა ბერძნული არხიპელაგის ზღვაში. „ინტერნაციონალური კომიტეტი“ ევროპიდან მას ხელმძღვანელობდა და აცნობებდა დეპეშით კაპიტანს, რომ იგი არ შესულიყო შავ ზღვაში 20 ნოემბერს, რადგან იმ დროს ვიდრე აზიის ნაპირებთან, ევროპული გაზეთების ცნობით, რუსული ფლოტი მიმოდიოდა. „სირიუსი“ უნდა წასულიყო ურისკოდ, და როცა მოვიდა ცნობა რუსეთიდან, რომ რუსეთის შავი ზღვის ფლოტში აჯანყებაა და 20 ნოემბრის შემდეგ გზა უხიფათო იყო, 14 ნოემბერს იგი მოიხსნა ბერძულ კუნძულ ცეო-დან. კომიტეტის შემდგომმა დარიგებამ, რომ ცოტახანს კიდევ მას დაეცადა, ვერ მოუსწრო და ევროპიდან ხელმძღვანელები შიშით უთვალყურებდნენ „სირიუსის“ მგზავრობას. რაღაც ვითარებათა გამო რუსულმა ფლოტმა დაიგვიანა და — „სირიუს“-ს პირდაპირ მისკენ შესახედრათ მოუხდა წასვლა. მაგრამ ახლაც ბედმა და იღბალმა მას (სირიუსს) არ ულაღატა და მან მშვიდობით მიიღწია კავკასიის ერთ ნავთსადგურს. სადაც იგი უნდა განტვირთულიყო. „მაგრამ რამოდენიმე ათას ცალ თოფს და ორ მილიონ ტყვიას ზურგით ვერ წაიღებ“, ამბობს კორნელისენი, იგი უნდა მიეხიდათ შორს მთებში, აჯანყებული ქართველებისათ-

ვის. ეს გადაზიდვა გაგრძელდა ხუთ კვირას. მთელი ქვეყანა აჯანყებულ იყო და ნავთსადგურში გახურებული მუშაობა სწარმოებდა. ყველაფერი კარგად მიდიოდა და მალე მიღებულ იქნა დადასტურებაც, რომ იარაღის ვაგზავნამ დიდი გავლენა მოახდინა.
 „ზემო მოტანილი საბუთები და ანარქისტის ეს ბოლო აღიარება „კავკასიური ექსპედიციის“ შესახებ თავისთავად ლაპარაკობს და განმარტებას არ მოითხოვს...“.

ასეთი არის პეტერბურგში საიდუმლო პოლიციის მიერ გამოცემული ეს წიგნაკი თავისი საბუთებით. ფაქტების მხრივ, რამდენადაც ვიცით, თითქმის ყველაფერი სწორია და აქ მოთხრობილი ამბავი საერთო შთაბეჭდილებას მაინც ახდენს იმ დიდი და მძიმე მუშაობის შესახებ, რომელსაც გიორგი დეკანოზი ეწეოდა უცხოეთში საქართველოს განთავისუფლების მიზნით. ეს პიროვნება ღირსია იმისა. რომ მისი ეს ეროვნული მოღვაწეობა სათანადო იქმნას შესწავლილი და დაფასებული.

3. 6.

ქართულ-თურქული ურთიერთობა

1914-18 წლის მსოფლიო ომის განმავლობაში კავკასიისა და კერძოდ საქართველოს რუსეთიდან გამოყოფის საკითხი არა ერთხელ წამოჭრილა. ქვემოგამოქვეყნებული საბუთი, რომელსაც დღეს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს, არის ერთი იმ მემორანდუმთაგანი, რომელიც სეპარაციის (გამოყოფის) მომხრეებმა სათანადო დაწესებულებებს წარუდგინეს. თურქეთის (ოსმალეთის) სენატის ერთი წევრის, ჩამომავლობით ჩერქეზის, **მარშალ ფუად ფაშას** დახმარებით კონსტანტინეპოლში დაარსებულ იქმნა ეგრედ წოდებული „**კავკასიური კომიტეტი**“ 1915 წელში. ამ „კავკასიურ კომიტეტ“-ში შედიოდნენ წევრებად ჩერქეზი, — აზიზ მეკერი; კონსტანტინეპოლის ავრონომიული აკადემიის პროფესორი, დაღესტანელი — ისსა კოსევი ფაშა, სანიტარული ინსპექტორი თურქეთის ჯარისა და ბრიგადის გენერალი; ქართველი — გიორგი მაჩაბელი და ჩურჩუქსული ქაიხოსრო თაყაიძე. კავალერიის ლეიტენანტი; თათრებისა (აზერბაიჯანელების) და ლეკების წარმომადგენელი — სელიმ ბეი ბებუთოვი. როგორც ამ შემადგელობიდან აშკარადა სჩანს, კომიტეტის უმრავლესობას შეადგენენ თურქეთის ქვეშევრდომები და გავლენიანი პირები. აქედან ის დასკვნა გამოდინარეობს, რომ იმ ხანად თვით თურქეთი ყოფილა დაინტერესებული მხარი დაეჭირა კავკასიის დამოუკიდებლობისათვის და ამ მიზნით, გამოუყენებია თავისი ხალხიც. ეს პოლიტიკა, რასაკვირველია, თურქეთის მაშინდელ ყველა ხელმძღვანელთა მიერ განხორციელებული არ იყო და რამდენადაც ვიცით კავკასიის დამოუკიდებლობის საკითხის გარშემო თვით თურქულ პოლიტიკურ წრეებში სხვადასხვა აზრი და ბრძოლა სწარმოებდა. ცხადია, აღნიშნული კომიტეტის შექმნის დროს გაიმარჯვეს კავკასიის დამოუკიდებლობის მომხრეებმა, მაგრამ ეს გამარჯვება საბოლოო არა ყოფილა, რადგან სულ მალე, უკვე 1916 წელში დასახელებული „კავკასიური კომიტეტი“ დაიშალა, ვინაიდან, როგორც ასაბუთებდნენ, ჩრდილო-კავკასიელებსა და სამხრეთ-კავკასიელებს შორის მუდმივი უთანხმოება არსებობდა და შეთანხმება მიღწეულ ვერ იქმნაო. მთავარი მიზეზი დაშლისა, ჩვენის აზრით, მაინც ის იყო, რომ მაშინდელი თურქეთი ამჯობინებდა გამარჯვების შემთხვევაში მთელი კავკასია დაეკავებინა, როგორც ეს „ახალ-

გაზრდა ოსმალთა“ პანთურანული პოლიტიკიდან გამომდინარეობდა. თურქეთს სურდა მთელი კავკასია ხელთქეროდა და ამიტომ „დამოუკიდებელი კავკასიის“ შექმნას ხელს ვერ შეუწყობდა. ასე იყო გამარჯვების ახლო მოლოდინში. მაგრამ კავკასიის ფრონტზე თურქეთმა სასტიკი დამარცხება იგემა და მისი პოლიტიკაც კავკასიის მიმართ შეიცვალა, რაც აშკარად აღიარებულ იქმნა იმ ხელშეკრულებით. რომელიც მან, თურქეთმა დაუდო „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს“, რომელშიც საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა აღიარებული იყო. ამ ხელშეკრულებისათვის ფასი არ დაუდგია თურქეთს და არც მოუხსურებია მისი განადგება, როცა რუსეთის რევოლუციის შედეგად კავკასიის ფრონტი მოიშალა და თურქული ჯარები საქართველოში შემოიჭრნენ. მაგრამ ეს სხვა ამბავია, რომელსაც ჩვენ კვლავ დაუბრუნდებით, როდესაც ზემომოხსენებულ „ხელშეკრულებას“ ან მის შინაარსს გამოვაქვეყნებთ.

ქვემოდაბეჭდილი მემორანდუმი დაწერილია ფრანგულ ენაზე და გამოქვეყნებულია გერმანულ ჟურნალში: „დიველტ დეს ისლამს“, მარტი, 1943 წ. ტომი 24. ქართულად, რასაკვირველია, იგი პირველად აქ იბეჭდება.

3. 6.

მემორანდუმი, რომელიც 1915 წლის დეკემბრის 17-ს გადაეცა ბერლინში შტაატსეკრეტერს ფონ იაგოვს.

15 ოქტომბერი, 1915 კონსტანტინეპოლი.

ჩერქეზების, დაღესტანელების, ქართველების, აზერბაიჯანის თათრებისა და ლეკების წარმომადგენელთაგან შემდგარ კავკასიურ მისიას პატივი აქვს წარუდგინოს გერმანიის საიმპერიო მთავრობას კეთილ საყურადღებოდ შემდეგი მოსაზრებანი და გადაწყვეტილებანი, რომელნიც კავკასიის ყველა ადგილობრივ მკვიდრთა შეხედულებებს, გრძობებსა და სურვილებს უპასუხებენ.
 ვინაიდან რუსული მთავრობის მიერ ნაწარმოები პოლიტიკა კავკასიაში, ამ ქვეყნის იმპერიისთან შეერთების შემდეგ, წარმოადგენს მხოლოდ მთელ რიგს თავდასხმი-



სას ყველა ეროვნულ მისწრაფებაზე, ყველა განსაკუთრებულ ტრადიციაზე, ყველა სარწმუნოებრივ კულტურაზე, გარდა რუსული მართლმადიდებლობისა; ვინაიდან ეს პოლიტიკა ხმარობს ყოველგვარ საშუალებებს, როგორცაა: განადგურება ვაგლენიანი კლასისა, სკოლებში პროგრამათა გარუსება, არა-რუსთათვის სამსახურში წინსვლის მიუღწევლობა, განუზომელი ვადიდება გადასახადებისა, მცხოვრებთა მიმძღავრებითი მასიური გადასახლება ციმბირს, ჩამოსახლება რუს მცხოვრებთა რუსული ენის, კულტურის, სარწმუნოების, ზნეჩვეულებათა განსამტკიცებლად მეტისმეტად უზეში, მეტისმეტად შემაწუნებელი და მეტისმეტად გამგულდველი ზომებით;

ვინაიდან სულიერი ვითარება, რომელიც ამგვარმა მართველობამ აუცილებლობით წარმოშვა ჩვენს ქვეყანაში, სადაც ხედავთ მხოლოდ სიძოლივს რუსების წინააღმდეგ და მღვივე სურვილს განთავისუფლებისათვის;

ვინაიდან თანამედროვე ომმა რუსეთი ძალიან და ნამდვილად დაასუსტა;

ვინაიდან ტრადიციათა, ზნეჩვეულებათა, ინტერესთა, ჭირვარამთა ერთობა, რომელიც მკიდროდ აკავშირებს ხალხის შემადგენელ სხვადასხვა ელემენტებს ჩამომავლობათა, ენათა და სარწმუნოებათა განუჩრეველად;

მისიის წევრებმა, რომელნიც საცხებით დარწმუნებულნი არიან, რომ სხვადასხვა ხალხები, რომელთაც ისინი წარმოადგენენ, მათ უთადარიგოდ დაუდასტურებენ და მხარს დაუჭერენ, ერთხმად მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილებანი:

ა) განვიხილავთ რა მიმდინარე დროს როგორც უმაღალითო ხანას ისტორიაში, ვისარგებლებთ ამ ერთადერთი შემთხვევით, რათა გამოვიწვიოთ შეიარაღებული აჯანყება იმ მიზნით რომ გადავდებულ იქმნას რუსული იმპერიალიზმის უღელი და ამით ბოლო მოეღოს კაცობრიობის ერთი ნაწილის წამებას, რომელიც ერთ საუკუნეზე მეტია აუტანელი ტირანული ხელისუფლების ბრქვალეებში იხუთება;

ბ) შეიქმნას ეროვნული კონფედერაცია სახელმწიფოებისა, რომელთაგან თითოეული, — საცხებით აღჭურვილი და შემნახველი სრული აღმინისტრაციული ავტონომიისა, — თავის საშუალებათა ფარგლებში დაი-

კისრებს გამოიღოს საჭირო ძალა და სახსარი მთელი ქვეყნის საერთო ინტერესებისა და უზრუნველობის დასაცავად;

გ) რათა დაცულ იქმნას ახალი სახელმწიფო რუსეთის მხრივ ყოველგვარი დაპყრობის ცდისაგან, მიენიჭოს მას სამხედრო ორგანიზაცია, ხალხის პირობებთან და ქვეყნის თავდაცვის მოთხოვნილებებთან შეფარდებული, და ამ მიზნით დადებულ იქნას თურქეთსა და კავკასიურ სახელმწიფოს შორის სამხედრო შეთანხმება, ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთი დანმარების უზრუნველყოფით, მათი ტერიტორიული მთლიანობისა და საერთო ინტერესების დასაცავად;

დ) განემარტოს გერმანიის იმპერიის მთავრობასა და მის მოკავშირეთ ის მოსაზრებანი, რომელნიც აჩვენებენ, რომ კავკასიის დაკარგვა სასიკვდილო ლახვარს ჩასცემს მათთვის ყველაზე უფრო საშიში მტრის პოლიტიკურ პრესტიჟსა და გამოიწვევს საბედისწერო ვითარებას, რომ კავკასიაში მომხდარი მოძრაობის გამოძახილს აუცილებლივ ექნება ალურიცხველი შედეგები თურქესტანში, სპარსეთში, ავღანისტანში, ინდოეთში და თვით რუსეთში;

ე) ეთხოვოს გერმანიის საიმპერიო მთავრობას ძლევამოსილი დანმარება კავკასიის ეროვნული იდეალის განსახორციელებლად, რომელსაც აქვს მისწრაფება შექმნას ახალი სახელმწიფო, რაც დაკავშირებული იქნება თავის ქველმომქმედებთან საუკუნო მადლობის კავშირით და გულით შესთავაზებს ყოველგვარ ეკონომიურსა და კულტურულ უპირატესობებს, რომელიც მის ღირსებასა და ქვეყნის დამოუკიდებლობის პრინციპს შეეგუება.

ჩიტიქების ჯგუფისაგან: აზიზ მკერ, კონსტანტინე პოლის აგრონომიული აკადემიის პროფესორი.

დაღესტანელების ჯგუფისაგან: დრ. ისხა კოსეკი ფაშა, თურქეთის ჯარის სანიტარული ინსპექტორი, ბრიგადის გენერალი.

ქართველების ჯგუფისაგან: თავადი გიორგი მაჩაბელი, ჩურუქსული ქიამილ თავდგირიძე, კავალერიის ლეიტენანტი.

თათრებისა და ლეკების ჯგუფისაგან: სელიმ ბეი ხე-ბუთოვი.

„ქართველი ერის“ № 6/7 მოთავსებულ ბ. გრიგოლ რობაქიძის ლექსში „წმინდა ნინო“ შეცდომაა გაპარული; მეექვსე სტრიქონში სწერია: „გული ვეთიშობელის ჩვენთვის ხიმ უსვია“, — უნდა იყოს: „გული დვითიშობელის ჩვენთვის ხომ უხვია“. მეთერთამეტე სტრიქონს წერტილი არ სჭირდება. ბ. ვ. ნოზაძის წერილში „ეროვნული ერთობის საფუძვლები“ მე-40 გვერდზე, მეორე სვეტში, მეორე და მესამე სტრიქონში, სწერია: „მიწა საკურობად მიეცა“, უნდა იყოს „მიწა საკუთრებად დაუტოვეს“.

ბ. პ. სარველაძის წერილში: „ინგლისელების მზაკვრობა საქართველოში“, მე-55 გვერდზე, მე-26 სტრიქონში სწერია: „სამხრეთ-აღმოსავლეთ რესპუბლიკის“, უნდა იყოს: „სამხრეთ-დასავლეთ რესპუბლიკის“.

გამომცემელი: ქართული საკავშირო შტაბი. პასუხისმგებელი რედაქტორი: ბ. ფრონელი

„Das Georgische Volk“, Berlin W 85, Ludendorffstr. 60. „Kharthweli Eri“.

ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა